

Center for Social Sciences

STUDIUM PRETIUM LIBERTATIS

სოციალურ მეცნიერებათა სერია

სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი

სალექციო კურსი
სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის

მარინა მუსხელიშვილი

თბილისი
2006

სოციალურ მეცნიერებათა სერია

მთავარი რედაქტორი: **მარინე ჩიტაშვილი**

ენობრივი რედაქტორი: **ლია კაჭარავა**

დაკაბადონება, ყდის დიზაინი: **გიორგი ბაგრატიონი**

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

© Center for Social Sciences, 2006

ქ. თბილისი, 0108, თ. ჭოველიძის ქ. 10

ელ. ფოსტა: **contact@ucss.ge**

ინტერნეტ გვერდი: **www.ucss.ge**



წიგნი მომზადებულია და გამოცემულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის - (Center for Social Sciences) მიერ, ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით



The book has been published by the Center for Social Sciences, sponsored by the OSI-Zug Foundation and the Higher Education Support Program (HESP) of the Open Society Institute-Budapest.

ISBN: 99940 - 871 - 6 - 9

სარჩევი

1. შესავალი, ინსტიტუციონალური მიდგომა სამოქალაქო საზოგადოების ცნების განმარტებისადმი	4
2. სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო: ცნების ევოლუცია ისტორიაში	13
3. პატნემი: საზოგადოებრივი კავშირები	19
4. ტოკვილი: დემოკრატია ამერიკაში	27
5. თანამედროვე თეორიები სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესახებ (რესპუბლიკური მიდგომა ლიბერალურის საპირისპიროდ)	31
6. დემოკრატია: სამი პოლიტიკური ტრადიცია	43
7. სამი პოლიტიკური ტრადიცია, პოლიტიკურის დისკურსული განმარტება და სამოქალაქო საზოგადოება	49
8. ჰაბერმასი: საჯარო სივრცის სტრუქტურული ტრანსფორმაცია	57
9-10. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში	66
11. მასმედიის სისტემები: მედიის სამი სისტემა და დისკურსული ეთიკის სამი ტიპი	84
12. საქართველოს მასმედია	94
13. გლობალიზაცია: გლობალური სამოქალაქო საზოგადოება	101
ბიბლიოგრაფია	109
CIVIL SOCIETY – COMPARATIVE PERSPECTIVE	112

კომენტარი: სალექციო კურსი შედგება 32 სააუდიტორიო საათისგან (16 მეცადინეობა). მათ შორის 13 ეთმობა წარმოდგენილი საკითხების შესწავლას (1 საათი - ლექცია, 1 საათი - გარჩევა და დისკუსია), ხოლო ბოლო 3 მეცადინეობა ეთმობა სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ნაშრომების პრეზენტაციას და განხილვას.

სტუდენტებს მოეთხოვებათ დასწრება და აქტიური მონაწილეობა (შეფასების 40%), რეფერატის მომზადება და პრეზენტაცია (30%) და დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურასთან, რომლის ცოდნისა და გაგების დემონსტრირება უნდა მოახდინონ გამოცდაზე (30%).

შესავალი, ინსტიტუციონალური მიდგომა სამოქალაქო საზოგადოების ცნების განმარტებისადმი

სამოქალაქო საზოგადოების ცნება დიდი თეორიული დებატების საგანს შეადგენდა გასული ორი საუკუნის განმავლობაში (ამ დებატების გადაწევა შეიძლება ლოკის, ადამ ფერგიუსონის, ადამ სმიტის, ჰეგელის, ტოკვილის, მარქსის ნაშრომებში), მაგრამ მეოცე საუკუნეში იგი პრაქტიკულად დაივიწყეს და ამ ცნებისადმი ხელახალი ინტერესის გაღვივება მხოლოდ 1980-იანი წლებიდან, პოსტკომუნისტურ ტრანზიტებთან დაკავშირებით ხდება (მაგრამ ამასთანავე განახლებული მნიშვნელობით). სწორედ პოსტკომუნისტური ქვეყნების სოციალურმა მოძრაობებმა, გარკვეულწილად პოსტმარქსისტული იდეებით შთაგონებულებმა (გრამში, როგორც ყველაზე ცნობილი მაგალითი) აიღეს ლოზუნგად ეს ცნება პოლიტიკურ რეჟიმებთან საბრძოლველად.

კომუნისტური სისტემის კრახის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოება, დამოუკიდებელი, არასამთავრობო ნებაყოფლობითი გაერთიანებების სფეროს მნიშვნელობით, დაწყებული სამეზობლო კავშირებით და დამთავრებული ყველა სახის ინტერესთა ჯგუფებითა და საქველმოქმედო ფონდებით, ხდება ფართო მსჯელობის საგანი და განიხილება ფუძემდებლურ კომპონენტად, რომლის ფორმირება აუცილებელია როგორც დემოკრატიზაციისთვის, ასევე დამკვიდრებული დემოკრატიის სიჯანსაღისთვის. ამ ფონზე მით უფრო საოცარია შეუსაბამობა სამოქალაქო საზოგადოების ცნების ფართო აღიარებასა და მის შინაარსობრივ ბუნდოვნებას შორის. შესაძლოა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო სამოქალაქო საზოგადოება, არამედ გაცილებით უფრო დამკვიდრებული ტერმინები, ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, დემოკრატია, ბოლო ათწლეულების გარდაქმნების შუქზე მკვლევრებს სულ უფრო საკამათოდ და არასაკმარისად გააზრებულად ეჩვენებათ. სამოქალაქო საზოგადოების ცნებას ჩვენ აქ და ქვემოთ სხვა, მასთან დაკავშირებული ცნებების განხილვის შუქზე შევისწავლით.

თუ სამოქალაქო საზოგადოებაში ვიგულისხმებთ უბრალოდ „სამოქალაქო გაერთიანებების ხშირ ქსელს“, მასთან დაკავშირებული ბევრი კითხვა უპასუხოდ დაგვრჩება. ზოგიერთი ეს კითხვა უბრალოდ განმარტებითი ხასიათისაა და უკავშირდება იმას, თუ როგორ გამოიყენებოდა და გამოიყენება სამოქალაქო საზოგადოების ცნება ამა თუ იმ ვითარებაში და ამა თუ იმ დროს. შედის თუ არა „ბაზარი“, ბიზნესი, სამოქალაქო საზოგადოების სფეროში, თუ იგი შეადგენს საქმიანობის სხვა, „კერძო“ სფეროს? თუ ეს ასეა, ხომ არ უნდა გამოვრიცხოთ სამოქალაქო საზოგადოების სფეროდან ბიზნესის ასოციაციები, პროფესიული გაერთიანებები და სხვა? რა მიმართებაა სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკას შორის? სად თავდება სამოქალაქო საზოგადოება და იწყება პოლიტიკური საზოგადოება? მიეკუთვნება თუ არა პოლიტიკური გაერთიანებები სამოქალაქო საზოგადოების სფეროს, და თუ არა, სად გადის ზღვარი ინტერესთა ჯგუფსა და პოლიტიკურ პარტიას შორის? არის თუ არა ნებაყოფლობითი გაერთიანებების არსებობა თავისთავად მნიშვნელოვანი, თუ იგი არის რაღაც უფრო ღრმა, არსობრივი საზოგადოებრივი მოწყობის არსებობის გარეგანი გამომხატველი ნიშანი?

სხვა კითხვები უკავშირდება არა სამოქალაქო საზოგადოების განმარტებას, არამედ მის არსს და მნიშვნელობას. რა ფუნქციონალური, ნორმატიული და სტრუქტურული ნაწარმდგურები განაპირობებს სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ცნებისა და როგორც ფენომენის, არსებობას? და რას განაპირობებს, თავის მხრივ ის, რასაც შეიძლება სამოქალაქო საზოგადოება ვუნოდოთ? და საერთოდ, რას შეიძლება ვუნოდოთ სამოქალაქო საზოგადოება – არსებობს თუ არა მის უკან რაიმე გარკვეული ნორმატიული იდეალი, როგორც ეს დემოკრატიის ცნებასთან მიმართებაში ხდება, თუ ეს მხოლოდ ემპირიული, ნორმატიული დატვირთვისგან და შინაგანი ლოგიკისგან გამოცლილი მოვლენაა? სამოქალაქო საზოგადოების არსებობა თუკი მართლაც წარმოადგენს დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირების აუცილებელ კომპონენტს

- რატომ ხდება ეს, რომელ მექანიზმებს ენიჭება ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა? ასუსტებს თუ არა სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოს ზეგავლენას მოსახლეობაზე, თუ პირიქით - ემსახურება სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმიზაციას? რატომ არის მიჩნეული, რომ ნებაყოფლობითი გაერთიანებების არსებობა დემოკრატიის ხელშემწყობი ფაქტორია?

იმისდა მიხედვით, თუ რას გულისხმობენ სამოქალაქო საზოგადოების ცნებაში, სხვადასხვა ავტორები სამოქალაქო საზოგადოების არსებობის არეალს განსხვავებული გეოგრაფიული და დროითი საზღვრებით შემოფარგლავენ. ერთი მხრივ, შეიძლება შეგვხვდეს გამოთქმა „სამოქალაქო საზოგადოება ირანში“, მეორე მხრივ კი, გელნერი ამტკიცებს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არსებობს მხოლოდ დასავლურ ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში, თანაც სავარაუდოდ 1945 წლის შემდეგ. ერთი ნაწილი მკვლევარებისა სამოქალაქო საზოგადოების წარმოქმნას უკავშირებს თანამედროვეობას, სხვები მიუთითებენ ამ ტერმინის გამოყენებაზე ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში. ერთ ნაშრომში შეიძლება შეხვდეთ მტკიცებას, რომ სამოქალაქო საზოგადოებებმა დაამარცხეს კომუნისტური რეჟიმები აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში, ხოლო მეორეში - რომ სამოქალაქო საზოგადოებები ამ ქვეყნებში არ არსებობდა და მხოლოდ ამჟამად ყალიბდება თანდათანობით დემოკრატიული გარდაქმნების შედეგად.

**მინიმალური და ლიბერალური დემოკრატია,
მინიმალური და სრულყოფილი სამოქალაქო საზოგადოება**

რთული საზოგადოებრივი სტრუქტურების გაიგივება ამ საზოგადოებაში მოქმედ ინსტიტუტებთან, ანუ სტრუქტურის ყველაზე თვალსაჩინო და საანალიზოდ მარტივ ნიშნებთან, ნორმატიული დატვირთვის და სოციალური კონტექსტის განხილვის გარეშე, არსობრივი მახასიათებლების დაკარგვის გარკვეულ საშიშროებასთანაა დაკავშირებული. ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ცნება „დემოკრატიის“ მაგალითზე.

მსოფლიოში დემოკრატიის მზარდი აღიარებისა და სწრაფი გავრცელების ფონზე აქტუალურობა შეიძინა შემდეგმა საკითხმა - რითი განსხვავდება ერთმანეთისგან დემოკრატიული და არადემოკრატიული რეჟიმები? როგორ უნდა იყოს მონყობილი პოლიტიკური სისტემა, რომ მას დემოკრატიული ეწოდოს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩამოყალიბდა დემოკრატიის ე.წ. ინსტიტუციონალური (შუმპეტერისეული) განსაზღვრება, რომლის თანახმად (უხეში მიახლოებით) დემოკრატია არის კონკურენტულ არჩევნებზე დაფუძნებული მმართველობა; კონკურენტული არჩევნები კი გულისხმობს ისეთი თავისუფლებების არსებობას, როგორცაა სიტყვის და აზრის თავისუფლება, პოლიტიკური გაერთიანების თავისუფლება და სხვა (აქ ეს განმარტება სრულად არ არის ასახული, მისი ვარიაციები სხვადასხვა ინსტიტუტების ნაკრებია სხვადასხვა ავტორების ნაშრომებში, იხ. ბიბლიოგრაფია, რომელიც „დემოკრატიზაციის“ სახელმძღვანელოშია მოყვანილი).

მაგრამ ამ განსაზღვრების მისადაგებით პოლიტიკური სისტემების კლასიფიცირებისათვის, მალე აღმოჩნდა, რომ ის პოლიტიკური რეჟიმები, რომლებიც ფორმალურად ჯდებათ ამ განმარტების ჩარჩოებში, ხშირად არსებითად განსხვავდებიან ძველი დასავლური დემოკრატიებისგან. ზოგიერთი მათგანი ვერ უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების უფლებების სრულყოფილ დაცვას, დემოკრატიის სხვა იდეალების რეალიზებას. სხვა სიტყვებით, ზოგი მათგანი არის ნაკლებად ლიბერალური, ვიდრე დასავლური დემოკრატიები; პიროვნება ყოველთვის არ არის ამ სისტემების არსებობის ამოსავალი წერტილი. შედეგად დღესდღეობით ასხვავებენ ე.წ. მინიმალურ და ლიბერალურ დემოკრატიებს, თუმცა კი ერთიც და მეორეც ხელისუფლების არჩევის წესზეა დაფუძნებული. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიის ნიშნები, მოცემული მის ინსტიტუციონალურ განსაზღვრებაში, წარმოადგენენ ლიბერალური დემოკრატიის არსებობის აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის კომპონენტებს.

ცხადია, რომ მეტად სასურველია რთული და კომპლექსური მოვლენის არსებობა-არარსებობის კრიტერიუმები დავაფუძნოთ ხელშესახებ, შემონმებად, თვალსაჩინო და „გაზომვად“ პარამეტრებზე (მათ მაგალითს წარმოადგენენ კონკურენტული არჩევნები), მაგრამ ამა თუ იმ ცნების განსაზღვრის მეტისმეტმა ფორმალიზებამ, თუმც კი სასარგებლომ წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით, უკრიტიკო გამოყენების შემთხვევაში შეიძლება მცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანოს, როგორც ამას ზემოთ მოყვანილი მაგალითი ადასტურებს. ეს საშიშროება ნათლად ჩანს სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებაშიც, ვინაიდან თუ მას უბრალოდ „დამოუკიდებელი, არასამთავრობო ნებაყოფლობითი გაერთიანებების ერთობლიობად“ განვიხილავთ (რაც იოლად შემონმებადი, თვალსაჩინო და „გაზომვადი“ პარამეტრია) შედეგად შეიძლება მივიღოთ ისეთივე „არასრულყოფილი“ სამოქალაქო საზოგადოება, როგორი „არასრულყოფილიცაა“ მინიმალური დემოკრატია ლიბერალურ დემოკრატიასთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა შეხედულება სამოქალაქო საზოგადოებაზე შეიძლება კამათის საგნად გავხადოთ, ალბათ უპრიანია დასაწყისშივე დავაფიქსიროთ ერთი გავრცელებული მიდგომა, რომელიც გარკვეულ გეზს მისცემს მომდევნო მსჯელობას და სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონალური, ინსტიტუციონალური და ისტორიული სანყისების უფრო ღრმა გააზრებას. ეს არის ინსტიტუციონალური გაგება, რომელიც ფართოდაა გავრცელებული და რომელიც საკმაოდ დეტალურად აღწერს სამოქალაქო საზოგადოების მთელ რიგ ინსტიტუტებს.

სამოქალაქო საზოგადოება: ინსტიტუციონალური მიდგომა

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ლარი დაიმონდის სტატიაში მოცემულია ერთ-ერთი ყველაზე კონკრეტული და მრავალმხრივი მიმოხილვა იმისა, თუ რა ინსტიტუტები მიეკუთვნება სამოქალაქო საზოგადოებას, და რა საქმიანობას ახორციელებენ ისინი.

სამოქალაქო საზოგადოება, დაიმონდის მიხედვით, არის *ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითნარმოქმნადი, (ფართოდ) თვითგანვითარებადი, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით*. ზოგადად, ის განსხვავდება „საზოგადოებისგან“ იმ თვალსაზრისით, რომ მასში ინდივიდები მოქმედებენ კოლექტიურად საზოგადოებრივ სფეროში საკუთარი ინტერესების, მისწრაფებების და იდეების გამოსახატავად, ინფორმაციის გასაცვლელად, საერთო მიზნების მისაღწევად, სახელმწიფოს წინაშე მოთხოვნების წამოსაყენებლად და სახელმწიფო მოხელეთა ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად. სამოქალაქო საზოგადოება არის შუალედური წარმონაქმნი, რომელსაც უკავია ადგილი კერძო ცხოვრების სფეროსა და სახელმწიფოს შორის. ამგვარად, ის არ მოიცავს პირად და ოჯახურ ცხოვრებას, სარგებლის მიღებისკენ მიმართულ ჯგუფურ აქტიობას (მაგ., დასვენებაზე, გართობაზე, სულიერ დაკმაყოფილებაზე ზრუნვას), ცალკეული ფირმების კომერციულ წამონყებებს და სახელმწიფოზე კონტროლის მისაღწევად წარმოებულ პოლიტიკურ ქმედებებს. სამოქალაქო საზოგადოებაში მოქმედ პირებს ესაჭიროებათ ინსტიტუციონალიზებული სამართლებრივი წესრიგი მათი ავტონომიურობისა და მოქმედების თავისუფლების დასაცავად. ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოება არა მარტო ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლებას, არამედ ლეგიტიმურ ხასიათსაც ანიჭებს მას იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელისუფლება დაფუძნებულია კანონის უზენაესობაზე. იქ, სადაც საკუთრივ სახელმწიფო არღვევს კანონიერების ჩარჩოებს და უგულვებელყოფს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ავტონომიურობას, სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება მაინც არსებობდეს, (თუმცა კი „ჩანასახოვანი“ ან „დამახინჯებული“ ფორმით) თუ მისი შემადგენელი ელემენტები მოქმედებენ

გარკვეული გაზიარებული წესების შესაბამისად (რომლებიც, მაგალითად, უარყოფენ ძალადობას და პატივს სცემენ პლურალიზმს). გაზიარებული წესების არსებობა არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ ეს ურთიერთობები „სამოქალაქოდ“ ჩაითვალოს.

სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციათა მრავალ ფორმას, მათ შორის ფორმალურებს და არაფორმალურებს. ეს ჯგუფები შეიძლება იყოს: 1. ეკონომიკური (სამეწარმეო და კომერციული ასოციაციები და ქსელები); 2. კულტურული (რელიგიური, ეთნიკური, კომუნალური და სხვა ასოციაციები და ინსტიტუტები, რომლებიც იცავენ კოლექტიურ უფლებებს, ღირებულებებს, შეხედულებებს, რწმენასა და სიმბოლოებს); 3. ინფორმაციული და საგანმანათლებლო (რომლებიც აწარმოებენ საზოგადოებრივი ცოდნის, იდეების, ახალი ამბებისა და ინფორმაციის წარმოებას და გავრცელებას); 4. ინტერესებზე დაფუძნებული - (შექმნილი თავისი წევრების საერთო მატერიალური ან ფუნქციონალური ინტერესების დასაცავად; ეს წევრები შეიძლება იყონ მუშები, ვეტერანები, პენსიონერები, პროფესიონალები და ა.შ.); 5. ორიენტირებული განვითარებაზე (ორგანიზაციები, რომლებიც თავს უყრიან ინდივიდუალურ რესურსებს ადგილობრივ დონეზე ინფრასტრუქტურის, ინსტიტუტების და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად) 6. გარკვეულ პრობლემატიკაზე ორიენტირებული (გარემოს დაცვის მოძრაობა, ქალთა უფლებების დაცვა, მინის რეფორმა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა) 7. მოქალაქეობრივი (რომლებიც ცდილობენ არაპოლიტიკური გზით გააუმჯობესონ პოლიტიკური სისტემა და გახადონ ის უფრო დემოკრატიული ადამიანთა უფლებებზე მონიტორინგით, ამომრჩეველთა მობილიზებითა და განათლებით, არჩევნების პროცესებზე თვალყურის დევნებით, ანტიკორუფციული საქმიანობით და ა.შ.).

ამ ორგანიზაციებთან ერთად სამოქალაქო საზოგადოებაში ის ინსტიტუტებიც შედის, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებაში „იდეოლოგიური ბაზრის“ არსებობას და ინფორმაციისა და იდეების დაუბრკოლებელ გაცვლას. ამ ინსტიტუტების რიცხვში შედის არა მხოლოდ დამოუკიდებელი მასმედია, არამედ, აგრეთვე, ის ინსტიტუტებიც, რომლებიც განეკუთვნება ავტონომიური კულტურული და ინტელექტუალური საქმიანობის უფრო ფართო სფეროს - უნივერსიტეტები, სამეცნიერო ინსტიტუტები, გამომცემლობები, თეატრები, კინოფორმები, და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ არის უბრალოდ რაღაც ნაშთი, რომელიც მიიღება „საზოგადოებისგან“ იმ ყველაფრის გამოკლებით, რაც მიეკუთვნება სახელმწიფოს ან ფორმალურ პოლიტიკურ სისტემას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები განსხვავდება სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისგან რამდენიმე ასპექტით (გარდა იმისა, რომ უნდა იყვნენ ნებაყოფლობითი, თვითნარმოქმნადი, ავტონომიური და გარკვეული წესების ფარგლებში მოქმედი): 1. სამოქალაქო საზოგადოება ისახავს მიზნებს, რომლებიც *საზოგადოებრივია*, და არა პირადი. პროდუქტი, რომელიც იქმნება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მიერ წარმოადგენს *საზოგადოებრივ სიკეთეს (პუბლიც გოდ)*; 2. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები საქმიანობის პროცესში ამა თუ იმ გზით ამყარებენ კავშირებს სახელმწიფოსთან, მაგრამ არ ცდილობენ მის ჩარჩოებში ფორმალური პოსტის ან ძალაუფლების მოპოვებას. ამის სანაცვლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ცდილობენ სახელმწიფოსაგან მიიღონ მატერიალური სარგებელი, პოლიტიკური კურსის ცვლილება, თანადგომა, კომპენსაცია ან ანგარიშგება. მოქალაქეობრივი ორგანიზაციები და საზოგადოებრივი მოძრაობები, რომლებიც ცდილობენ სახელმწიფოს ბუნების შეცვლას შეიძლება მაინც მივაკუთვნოთ სამოქალაქო საზოგადოებას, იმ შემთხვევაში, თუ მათ ძალისხმევას წარმართავს საზოგადოებრივი სარგებლის მოტანის სურვილი და არა თვით ჯგუფისთვის სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვება. მაგალითად, დემოკრატიული გარდაქმნების მხარდამჭერი მშვიდობიანი მოძრაობები, როგორც წესი, სამოქალაქო საზოგადოებიდან წარმოიქმნება.

შემდეგი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ სამოქალაქო საზოგადოება ხასიათდება პლურალიზმითა და მრავალფეროვნებით. თუკი რომელიმე ორგანიზაცია - იქნება ეს რელიგიური ფუნდამენტალისტები, რევოლუციონერები ან სხვა - ცდილობს მოაქციოს პოლიტიკური ან ფუნქციონალური სფერო თავისი მონოპოლიის ჩარჩოებში - დაუქვემდებაროს საზოგადოება ერთადერთ აღმსარებლობას, ან პოლიტიკა - ერთადერთ იდეოლოგიას - იმის მტკიცებით, რომ ერთადერთი ლეგიტიმური გზა სწორედ მის მიერაა დასახული, ის უპირისპირდება სამოქალაქო საზოგადოების პლურალისტურ და ბაზარზე ორიენტირებულ ხასიათს. ამას უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების მეოთხე განზომილება, დანაწევრებულობა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ მასში არც ერთი ჯგუფი არ ცდილობს ინდივიდის ან თემის ინტერესთა მთელი სპექტრის ასახვას. სანაცვლოდ, სხვადასხვა ჯგუფები გამოხატავენ სხვადასხვა ინტერესებს, ხოლო ინდივიდს შეუძლია განევიანება ერთდროულად მრავალ სხვადასხვა ჯგუფში, რომელიც განსხვავებულ მიზნებს ისახავს.

სამოქალაქო საზოგადოება განსხვავებულია და ავტონომიურია არა მხოლოდ სახელმწიფოსგან და მთელი საზოგადოებისგან, არამედ, აგრეთვე, საზოგადოებრივი ქმედებების მეოთხე არენისგან - პოლიტიკური საზოგადოებისგან (რომელიც უპირველესად პარტიების სისტემას ნიშნავს). სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და კავშირებმა შეიძლება შექმნან ალიანსები პარტიებთან, მაგრამ თუ პარტიები მოაქცევენ მათ თავისი გავლენის ქვეშ, ან სულაც წარმართავენ მათ საქმიანობას, ამ შემთხვევაში კავშირების მოღვაწეობას უკვე პოლიტიკური ხასიათი ეძლევა, ისინი გადადიან პოლიტიკურ სფეროში და ძირითადად კარგავენ უნარს განახორციელონ გარკვეული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფუნქციები ადამიანსა და სახელმწიფოს შორის შუამავლობისა და დემოკრატიული აღმშენებლობის სფეროში.

ლარი დაიმონდი გამოყოფს სამოქალაქო საზოგადოების ათ დემოკრატიულ ფუნქციას.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის „სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის ბაზისის უზრუნველყოფა“. ამ ფუნქციას აქვს ორი განზომილება: დემოკრატიულ სახელმწიფოში - სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების განხორციელების მონიტორინგი და შეზღუდვა, ხოლო ავტორიტარულ სახელმწიფოებში - მათი დემოკრატიზება.

მეორე - საზოგადოებრივი ასოციაციების მაღალი აქტივობა ავსებს პოლიტიკური პარტიების საქმიანობას ისეთ საკითხებში, როგორებიცაა პოლიტიკური მონაწილეობის სტიმულირება, მოქალაქეთა პოლიტიკური ეფექტურობის და კვალიფიკაციის ამაღლება, და დემოკრატიული მოქალაქეობრიობის მოვალეობათა და უფლებათა აღიარება. როგორც ტოკვილი აღნიშნავდა, ნებაყოფლობითი „ასოციაციები შეიძლება განვიხილოთ დიდ საყოველთაო სკოლად, რომელსაც ესწრება ყველა მცხოვრები გაერთიანების ზოგადი თეორიის შესასწავლად.“

მესამე - სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება გახდეს ისეთი დემოკრატიული ღირებულებების და პრაქტიკის დამკვიდრების ადგილი, როგორებიცაა ტოლერანტობა, თანხმობა, კომპრომისის მონახვის სურვილი, სანინააღმდეგო აზრის პატივისცემა. ეს ღირებულებები და ნორმები ყველაზე სტაბილური ხდება მაშინ, როდესაც ისინი წარმოიქმნება გამოცდილებიდან, და სამოქალაქო საზოგადოებაში ორგანიზაციული მონაწილეობა ამ მხრივ დიდ გამოცდილებას იძლევა.

მეოთხე - სამოქალაქო საზოგადოება ემსახურება დემოკრაციას იმით, რომ ქმნის პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებულ არხებს ინტერესების გამოსათქმელად, დასაბალანსებლად და წარმოსაჩინად. ეს ფუნქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ეხება პოლიტიკისგან ტრადიციულად გათიშულ ჯგუფებს - როგორებიცაა ქალები ან რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები. სამოქალაქო საზოგადოება

განსაკუთრებით მაშინ უწყობს ხელს დემოკრატია, როდესაც იგი ქმნის მმართველობაში მონაწილეების შესაძლებლობებს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიზაცია მჭიდროდ უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

მეხუთე - პლურალისტური სამოქალაქო საზოგადოება, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში, ამცირებს კლასობრივი კონფლიქტისა და პოლიტიკური დაპირისპირების საფრთხეს, ვინაიდან იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მრავალფეროვანი ინტერესების წარმოქმნას. რამდენადაც ინდივიდები ერთიანდებიან სხვადასხვა ორგანიზაციებში საკუთარი მრავალფეროვანი ინტერესების დასაცავად და დასაკმაყოფილებლად, უფრო სავარაუდო ხდება მათი ურთიერთობა სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა და ინტერესების მქონე ადამიანებთან. ამ ურთიერთგადამკვეთმა ზემოქმედებამ უნდა შეამციროს მათი საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების კატეგორიულობა და ხელი შეუწყოს უფრო ვრცელი და მრავალმხრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს ტოლერანტობასა და მეტ მზადყოფნას კომპრომისებისათვის.

სამოქალაქო საზოგადოების მეექვსე ფუნქცია არის ახალი პოლიტიკური ლიდერების რეკრუტირება და სწავლება. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმატებული ფუნქციონირების შემთხვევაში მათი ლიდერები და აქტივისტები იძენენ უნარ-ჩვევებსა და პრაქტიკას, რომელიც საჭიროა მთავრობაში და პარტიულ პოლიტიკაში მოღვაწეობისათვის. ისინი სწავლობენ, თუ როგორ მოახდინონ ადამიანების მობილიზება და მოტივირება, საკითხების განხილვა, ფონდების მოპოვება და მართვა, ბიუჯეტების შედგენა, პროგრამების გამოქვეყნება, პერსონალის მართვა, შეთანხმებების მიღწევა და კოალიციების შექმნა.

მეშვიდე - არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება პირდაპირი როლი ითამაშონ დემოკრატიის გამტკიცების საქმეში. გარდამავალ პერიოდში მათ შეიძლება თვალყური ადევნონ არჩევნებს, იმუშაონ საარჩევნო სისტემის რეფორმის მიზნით, შეიმუშაონ ხელისუფლების დეცენტრალიზების და პოლიტიკური პარტიების დემოკრატიზების გეგმები და ა.შ. დემოკრატიული გარდაქმნების წარმატების შემდეგ ადამიანთა უფლებების დამცავი ორგანიზაციები აგრძელებენ მნიშვნელოვანი როლის შესრულებას სამართლებრივი რეფორმების ჩატარებაში, ციხეებში ადამიანთა უფლებების დაცვაში, და უმცირესობების ინტერესების წარმოჩენაში.

მერვე - სამოქალაქო საზოგადოება ავრცელებს ინფორმაციას და ამით ემსახურება მოქალაქეებს მათი ინტერესების კოლექტიურ დაცვასა და მიღწევაში. თავისუფალი პრესა არის ინფორმაციითა და ალტერნატიული შეხედულებებით საზოგადოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. დამოუკიდებელ ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ მიანოდონ საზოგადოებას ძნელად მოსაპოვებელი ინფორმაცია მთავრობის საქმიანობის შესახებ, რომელიც არ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რას აცხადებს მთავრობა საკუთარი საქმიანობის თაობაზე.

მეცხრე - ახალი ინფორმაციისა და იდეების გავრცელება არსებითია დემოკრატიის პირობებში ეკონომიკური რეფორმების ჩასატარებლად. როგორც წესი, ეკონომიკის სტაბილიზების პროგრამები უნდა განხორციელდეს სწრაფად, ძალისმიერად და ერთბაშად არჩეული ხელისუფლების მიერ კრიზისულ სიტუაციაში. მათგან განსხვავებით, უფრო სტრუქტურული ეკონომიკური რეფორმები - პრივატიზება, ეკონომიკური და სავაჭრო ლიბერალიზება - იმ შემთხვევაში იღებენ უფრო მდგრად და სრულყოფილ ფორმას, თუ ისინი მიიღწევა დემოკრატიული პროცესის ჩარჩოებში. ეკონომიკური რეფორმების წარმატებისათვის აუცილებელია ფართო მხარდაჭერა, რაც საჭიროებს სპეციალური მუშაობის ჩატარებას. მართლაც, იმ ინტერესებს, რომლებისთვისაც რეფორმებმა შესაძლოა არასასურველი შედეგი მოიტანონ როგორც წესი ბევრად უფრო ორგანიზებული სახე აქვთ, ვიდრე იმ ადამიანთა ინტერესებს, რომელთათვისაც რეფორმები პოტენციურად მოგების მომტანია. ამ ჯგუფში შესული ადამიანები - ფერმერები, ნვრილი მეწარმეები, მომხმარებლები - როგორც წესი,

გათიშულები და ცუდად ინფორმირებული არიან.

მეათე ფუნქცია დამოკიდებულია პირველი ცხრა ფუნქციის წარმატებულ განხორციელებაზე. პოლიტიკური სისტემის პასუხისმგებლური ხასიათის, მისი ეფექტურობის, მასში ადამიანების ჩართულობის გაზრდით და ამდენად სისტემის ლეგიტიმურობის ხელშეწყობით სამოქალაქო საზოგადოება ამკვიდრებს მოქალაქეებში სახელმწიფოს პატივისცემას. ის აუმჯობესებს სახელმწიფოს მმართველობით პოტენციალს და ზრდის მის შესაძლებლობას დაეყრდნოს მოქალაქეთა ნებაყოფლობით მორჩილებას.

სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული ფუნქციის ფარგლები

ყველაზე თვალსაჩინო, რაც შეიძლება აღინიშნოს დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთმიმართების ანალიზისას არის ის, რომ ლიბერალურ დემოკრატიებს, როგორც წესი, ახასიათებთ სიცოცხლით სავსე სამოქალაქო საზოგადოების არსებობა. თუმცა ეს, პირველ რიგში, ეხება დასავლურ დემოკრატიებს; მათგან განსხვავებით, მაგალითად, იაპონიაში, მიუხედავად ამ ქვეყანაში ნდობის მაღალი დონისა, არასახელმწიფო ასოციაციები ნევრების მცირე რაოდენობას ითვლიან.

მაგრამ, ცხადია, სწორი არ იქნებოდა იმ მეტად შორსმომავალი დასკვნის გაკეთება, რომლის თანახმადაც სამოქალაქო საზოგადოება, გაგებული როგორც „არასამთავრობო ასოციაციების ხშირი ქსელი“, წარმოქმნის დემოკრატიას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეული კულტურული და ეკონომიკური კონტექსტი ხელშემწყობია როგორც დემოკრატიის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების არსებობისთვის. დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთმიმართების უფრო სიღრმისეული ანალიზი უბიძგებს ბევრ ავტორს, რომ სამოქალაქო საზოგადოება განხილულ იქნეს არა უბრალოდ როგორც არასამთავრობო ასოციაციათა ერთობლიობა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში შეიძლება არსებობდეს, არამედ როგორც საზოგადოების გარკვეული ტიპი, როგორც სოციალური კატეგორია, რომელიც განსაზღვრავს დემოკრატიის საზოგადოებრივ საფუძვლებს და ანიჭებს დემოკრატიას მის ჭეშმარიტ ხასიათს.

“. . . სინამდვილეში ყველაზე არსებითია ის ინსტიტუტები და ის კონკრეტული სოციალური კონტექსტი, რომელიც მას (დემოკრატიას) წარმოშობს. ამ ინსტიტუციონალური პირობების მიღმა „დემოკრატიის“ არსი ბუნდოვანი რჩება, ხოლო თავად ის - მიუღწეველი. . . „სამოქალაქო საზოგადოება“ უფრო სერიოზულ ლოზუნგად მეჩვენება, ვიდრე „დემოკრატია“, ვინაიდან იგი მიუთითებს კონკრეტულ ინსტიტუციონალურ პირობებზე და აუცილებელ ისტორიულ კონტექსტზე“ (გელნერი)

ცხადია, ამგვარი მიდგომა უფრო ზოგად ხასიათს ატარებს, ვიდრე ის, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. იგი სწავლობს საზოგადოებრივი ინსტიტუტების გარკვეული ტიპის (არასამთავრობო ორგანიზაციების) ჩამოყალიბების პერსპექტივებს ყველა სხვა ფაქტორთან მიმართებაში - ეკონომიკასთან, კულტურასთან, პოლიტიკასთან და ისტორიულ გამოცდილებასთან, და სულაც არ გამოყოფს ამ ერთობლიობიდან მხოლოდ ერთს - ასოციაციურ ცხოვრებას.

ამდენად, ლარი დაიმონდი და გელნერი მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე ტერმინს იყენებენ, სხვადასხვა შინაარსს დებენ მასში. ერთი ლაპარაკობს არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც ამა თუ იმ დოზით შეიძლება არადემოკრატიულ ქვეყნებშიც არსებობდეს (და დემოკრატიზაციასაც უწყობდეს ხელს), ხოლო მეორე - გარკვეულ სოციალურ წესრიგზე, რომელიც წარმოშობს როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე თვით დემოკრატიასაც.

ამ კონტექსტიდან გამოცალკევებით სამოქალაქო საზოგადოების განხილვა ასოციაციების ერთობილობის სახით ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ საკუთრივ არასამთავრობო

ორგანიზაციების შექმნა არის დემოკრატიის განმსაზღვრელი ელემენტი. ეს, თავის მხრივ, ხშირად ხელს უწყობს იმგვარი არაჯანსაღი პრაქტიკის დამკვიდრებას, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებას დამახინჯებული, იდეოლოგიზირებული მნიშვნელობა ენიჭება.

ერთ უკიდურესობაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, როდესაც ვიხილავდით სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს. სამოქალაქო საზოგადოება არ აძლევს ძლიერ სახელმწიფოს შესაძლებლობას დაამყაროს დიქტატი საზოგადოებაზე. მაგრამ თუ სახელმწიფო სუსტია, მისი გაძლიერება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაა, ვიდრე ლაპარაკი მისი შეზღუდვის თაობაზე. ძლიერი სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია იმ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფა, რომელთა დამცველად სამოქალაქო საზოგადოება გვევლინება. *სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება უკავშირდება სახელმწიფოს გაძლიერებას, და არა პირიქით, მის დასუსტებას.*

თუ სამოქალაქო საზოგადოებას განვსაზღვრავთ ტრადიციული გაგებით, როგორც „ისტორიულ წარმონაქმნს, რომელშიაც ერთობები, ინდივიდთა შორის კავშირები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ეროვნული კულტურა იქმნება დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და მდგრადი ხდება პოლიტიკური ძალაუფლების ყველაზე მძლავრი ზენოლის მიმართ“ (იხ. ზემოთ), შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამგვარი სამოქალაქო საზოგადოება ხელის შეწყობის მაგიერ დაბრკოლებებს უქმნის დემოკრატიზების პროცესებს, ვინაიდან ეს პროცესები შეიძლება სწორედ ისტორიულად დამკვიდრებული კავშირების და ინსტიტუტების გარდაქმნას მოითხოვდნენ.

გადაჭარბებული ყურადღება სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ასევე შეიძლება გადაიზარდოს სახელმწიფოს და პოლიტიკის იგნორირებაში, რაც გამოიხატება დემოკრატიულ პროცესში პოლიტიკური პარტიების როლის დაკნინებაში. მაგალითისათვის, პატენემის თეორიის (იხ. ლექცია 4) კრიტიკისას აღინიშნა, რომ ჩრდილოეთ იტალიაში მრავალი საზოგადოებრივი ასოციაცია შეიქმნა სწორედ პოლიტიკური პარტიების ინიციატივითა და მფარველობით. ამასთან, ხშირად ზღვარი პოლიტიკურ პარტიასა და ინტერესთა ჯგუფს შორის არის საკმაოდ ბუნდოვანი და არაერთმნიშვნელოვანი. ინტერესთა ჯგუფები შეიძლება იღებდნენ მცირე პარტიების ფორმას, რომელთა პროგრამები ერთ პრიორიტეტულ საკითხზეა ორიენტირებული (მაგალითად, ეკოლოგიური მოძრაობა) და იღებდეს მონაწილეობას არჩევნებში ტაქტიკური მიზნით - საკუთარი იდეების პოპულარიზებისთვის.

ამავე დროს პოლიტიკის და სახელმწიფოს იგნორირება სამოქალაქო საზოგადოების სასარგებლოდ ხშირად გამოიხატება თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური საკითხების განხილვა და მათზე მსჯელობა არაა სამოქალაქო საზოგადოების საქმე, იგი უნდა იყოს დეპოლიტიზირებული და არ ერეოდეს პოლიტიკურ ბრძოლებში, რაც მხოლოდ პოლიტიკოსების და სახელმწიფო მოხელეების სამოქმედო ასპარეზია. ასეთი დეპოლიტიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პოლიტიკური საკითხების გაშუქებისას ხდებიან მეტისმეტად დამოკიდებულნი პოლიტიკოსების შეხედულებებზე, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია პოსტსაბჭოური სივრცისთვის - განსხვავებით დემოკრატიული ქვეყნებისგან, სადაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბევრად უფრო კარგად ახერხებენ სწორედ პოლიტიკაზე და სახელმწიფო საკითხებზე დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი აზრის გამოთქმას. იმ შემთხვევაში, თუ მათ ზურგს არ უმაგრებს სამოქალაქო საზოგადოება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკეთეს შემთხვევაში ასრულებს კომუნიკაციურ ფუნქციას ხელისუფლება - ხალხი, მაგრამ ვერ ასრულებენ სხვა ფუნქციებს ხალხი - ხელისუფლება და ხალხი - ხალხი. პოლიტიკური დღის წესრიგი დემოკრატიულ ქვეყნებში ნაწილობრივ მაინც მასმედიის გავლენით ყალიბდება, რაც დემოკრატიის მნიშვნელოვანი ელემენტია. პოლიტიკური იდეები და ღირებულებები სწორედ სამოქალაქო საზოგადოებაში უნდა იღებდნენ სათავეს, თუკი ლაპარაკია დემოკრატიის ხელშეწყობაზე სამოქალაქო საზოგადოების მიერ. დეპოლიტიზირებული სამოქალაქო

საზოგადოების ფონზე მასმედია ვერ იტვირთავს მეოთხე ხელისუფლების ფუნქციას.

სამოქალაქო საზოგადოების დეპოლიტიზების სურვილი ხშირად განპირობებულია იმით, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში საზოგადოებრივი კონფლიქტი პოლიტიკური სფეროს მახასიათებლადაა წარმოდგენილი, რაც შორს დგას სამოქალაქო საზოგადოებისაგან, რომელიც ხშირად უნდათ წარმოიდგინონ თბილი, უკონფლიქტო ურთიერთობების სფეროდ. სინამდვილეში, სამოქალაქო საზოგადოების წარმოქმნის თავიდათავი სწორედ კონფლიქტის არსებობაა (პირველ რიგში ეკონომიკურის). თუ საზოგადოებაში არ ჩამოყალიბდა კონფლიქტების (კონკურენციის) პირობებში ერთობლივი მოქმედების კულტურა, ნებისმიერი კონფლიქტის გადაჭრა ავტომატურად გადაინაცვლებს სახელმწიფოს კომპეტენციის სფეროში, რაც ასუსტებს, და არ აძლიერებს დემოკრატიას, ზრდის სახელმწიფოს მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების საშიშროებას.

ლიტერატურა:

- Diamond L. Towards Democratic Consolidation. *Journal of Democracy*, v.5, N.3, 1996, pp. 4-18
- Michael W.Foley, Bob Edwards, The Paradox of Civil Society, *Journal of Democracy*, V.7, N.3, 1996, 38-52
- Волков В. 1998. Общественность: забытая практика гражданского общества. - Pro et Contra: www.carnegie.ru. 21pp.
- Стивен Холмс, Чему Россия учит нас теперь? Как слабость государства угрожает свободе, www.carnegie.ru

ლექცია 2

სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოსთან მიმართებაში: ცნების ევოლუცია ისტორიაში

სამოქალაქო საზოგადოების ცნება ახალი არ არის, მაგრამ მან დროთა განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა მნიშვნელობა. ცნების ევოლუციის ისტორიის გაცნობა სასარგებლო იქნება მის დღევანდელ შინაარსში უკეთ გარკვევისთვის.

სამოქალაქო საზოგადოების ცნებას ანდა იდეას, ძველ ბერძნულ ცივილიზაციაში, ან თუნდაც განმანათლებლობის ეპოქაში, დღევანდელთან შედარებით ბევრად უფრო ფართო შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა. ამ განხილვისას ჩვენ მივყვებით დომინოკ კოლას „პოლიტიკური სოციოლოგიის“ სახელმძღვანელოს.

არისტოტელესთვის სამოქალაქო საზოგადოება იგივე იყო, რაც „პოლიტიკური ერთობა“. ის, რასაც არისტოტელე უწოდებს Polis (ქალაქი-სახელმწიფო) და რასაც წარმოადგენდა ათენი ძვ. წ. V საუკუნეში, ბერძენი ფილოსოფოსისათვის იყო იმავდროულად „პოლიტიკური ერთობა“, ან „პოლიტიკური საზოგადოება“, ანდა „სამოქალაქო საზოგადოება“. არისტოტელეს მიხედვით, ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი ("zoon politikon"), ვინაიდან მას შეუძლია იცხოვროს სამოქალაქო, ანუ პოლიტიკურ საზოგადოებაში; ის არის მოქალაქე, ან, უფრო სწორად, მისთვის დამახასიათებელია ორგანიზებული პოლიტიკური ერთობლიობის წევრობა, სახელმწიფოს (ანუ ქალაქი-სახელმწიფოს) წევრობა, რომელიც შედგენილია მოქალაქეებისაგან. რასაკვირველია, არისტოტელეს დროის ყველა ადამიანი არ ცხოვრობდა პოლიტიკურ ერთობაში, სამოქალაქო საზოგადოებაში, ქალაქში ანუ სახელმწიფოში; არსებობდნენ ბარბაროსები, რომლებიც ერთიანდებოდნენ ეთნოსების (ხალხების) სახით. მაგრამ მათი თვითორგანიზების ეს ფორმა პოლისთან შედარებით უფრო დაბალ დონეზე იყო და არ ატარებდა „პოლიტიკური ერთობის“ ნიშნებს. მაგრამ ადამიანი სხვა ცოცხალი არსებებისგან განსხვავდება თავისი ბუნებით, იმ თავისებურებით, რომ ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი ანუ აქვს უნარი იცხოვროს პოლიტიკური საზოგადოების სახით.

არისტოტელესთვის სამოქალაქო საზოგადოება, ქალაქი, ნებისმიერი სხვა სახის ასოციაციაზე მაღლა დგას, ვინაიდან მოიცავს ყველა სხვა ასოციაციას (ოჯახი, საძმო, სამუშაო ჯგუფი) და ისახავს არა განსაკუთრებულ, კერძო, არამედ ყველასათვის საერთო მიზანს. სამოქალაქო საზოგადოების მიზანი არის ყველას ინტერესი და ეს მიზანი მაღლა დგას ყველა დანარჩენ მიზანთან შედარებით. ამასთან ქალაქი, სამოქალაქო საზოგადოება არის ის ადგილი, სადაც ხდება სამართლიანობის გამიჯვნა უსამართლობისგან. ამგვარად, სწორედ აქ წარმოჩინდება ადამიანი ყველაზე დიდი სიმალლით.

დანყებული არისტოტელედან და დამთავრებული რუსოთი, ეს ორი ტერმინი, რომელიც დღეს ესოდენ ხშირადაა დაპირისპირებული - „სახელმწიფო“ და „სამოქალაქო საზოგადოება“ - დიდხანს სინონიმებს წარმოადგენდნენ, სანამ არ მოხდებოდა ამ ცნებების დაშორიშორება.

თუმცა, თანამედროვე ეპოქამდე „სახელმწიფოსაც“ დღევანდელისგან საკმაოდ დაშორებული მნიშვნელობა გააჩნდა. სახელმწიფო, მისი თანამედროვე, უნივერსალისტური გაგებით, ანუ ერი-სახელმწიფო, სამართლებრივი სახელმწიფო, ეკონომიკისგან და რელიგიისგან ცალკე მდგომი ინსტიტუტი, კაცობრიობის ისტორიის შედარებით გვიანდელი ეპოქის პროდუქტია. მხოლოდ რეფორმაციის პერიოდში ხდება ლეგიტიმური სახელმწიფო, რომელიც გამოყოფილია ეკლესიისგან, რაც შემდგომში სამოქალაქო საზოგადოების იდეოლოგიური პლურალიზმის დამკვიდრების საწინდარი გახდა. ნეტარი ავგუსტინესთვის ამქვეყნიური საზოგადოება უპირისპირდება ღვთის ქალაქს. გამომდინარე იქიდან, რომ

ადამიანები არიან ცოდვილები და ბოროტებისკენ მიდრეკილნი, მათ სჭირდებათ სახელმწიფო, ანუ სამოქალაქო საზოგადოება (ღვთის სამფლობელოსა და ეკლესიის საპირისპიროდ), რომელიც დაამყარებს წესრიგს და დაიცავს მშვიდობას. და თუმცა ღვთის ქალაქს უპირობო პრიორიტეტი ენიჭება, დედამიწაზე ღვთის ქალაქის დაფუძნების შეუძლებლობა ლეგიტიმურს ხდის ამქვეყნიური პოლიტიკისა და სახელმწიფოს არსებობას.

შემდგომში, როდესაც ჩნდება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების საკონტრაქტო თეორია (პოლიტიკური ერთობა იქმნება ადამიანთა შეთანხმების, კონტრაქტის საფუძველზე), ჰობსი ასაბუთებს სამოქალაქო საზოგადოების ანუ პოლიტიკური წესრიგის საჭიროებას იმ ვარაუდიდან გამომდინარე, რომ ადამიანები „ბუნებრივ მდგომარეობაში“ მიდრეკილები არიან დესტრუქციული კონფლიქტებისკენ. თუ ადამიანებმა არ შექმნეს სამოქალაქო საზოგადოება, მათ მოელით „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“. სამოქალაქო საზოგადოება იძლევა საშუალებას დამყარდეს ყოვლისშემძლე პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც ამავე დროს ვერ წაართმევს ადამიანებს მათ უფლებებს. ამგვარად, აქ უკვე ლაპარაკია ადამიანთა ბუნებრივ უფლებებზე, რომელთა დაცვასაც ემსახურება სახელმწიფო. *ქვემოთ, როდესაც ჩვენ განვიხილავთ სამოქალაქო საზოგადოების გავრცელებულ თანამედროვე ხედვას - როგორც სახელმწიფოსგან განსხვავებული შუალედური წარმონაქმნისა, რომელიც იცავს ადამიანის თავისუფლებას სახელმწიფოს ძალაუფლების გადამეტებული ზრდისგან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ სახელმწიფო არის ამ უფლებების რეალიზების მთავარი გარანტი, და რომ სახელმწიფოსგან ავტონომიური სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, მრავალი ავტორის აზრით, შესაძლებელი ხდება მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოს არსებობის შემთხვევაში.*

რუსოც, ჰობსის მსგავსად ხაზს უსვამდა საკონტრაქტო ურთიერთობების მნიშვნელობას პოლიტიკური ერთობის ფორმირებაში და სამოქალაქო საზოგადოებას ბუნებრივ მდგომარეობას უპირისპირებდა. მაგრამ მისთვის ბუნებრივი მდგომარეობა არ არის კონფლიქტური არსებობა. პირიქით, ბუნებრივ მდგომარეობაში განმარტოებული ადამიანი ბედნიერი იყო. ადამიანი იძულებულია მიმართოს სხვა ადამიანებს თანამშრომლობისათვის, დადოს მათთან კონტრაქტი და შექმნას სამოქალაქო საზოგადოება, ვინაიდან ეს მას გადასარჩენად სჭირდება, მაგრამ სწორედ სამოქალაქო საზოგადოებაში სწავლობს იგი აგრესიასა და კონფლიქტს. რუსოს მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოების შექმნაზე შეთანხმების მიღწევით ადამიანები თმობენ თავისი ინდივიდუალისთვის და თავისუფლების ნაწილს კოლექტივის სასარგებლოდ, ემორჩილებიან მას. რუსოს „კარგი მოქალაქე“ „თავის კერძო სურვილებს უქვემდებარებს საერთო მოსწრაფებებს“, წარმოადგენს მთლიანობის განუყოფელ ნაწილს. „*კარგი მოქალაქის*“ ამგვარი, ერთგვარად კოლექტივისტური თეორია მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შოტლანდიელი მორალისტების ადამ სმიტის, ადამ ფერგიუსონის და სხვების ნაშრომებში თანდათან იცვლება თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ლიბერალურ-ინდივიდუალისტური კონცეფციით.

ადამ ფერგიუსონის ნაშრომი არის ერთ-ერთი პირველი, რომელშიაც სამოქალაქო საზოგადოება წარმოჩინდება სახელმწიფოსთან დაპირისპირებაში. გელნერის მიხედვით, ფერგიუსონი აღწერდა იმას, რაც მის თვალწინ ხდებოდა - არისტოკრატიული საზოგადოების გარდაქმნას კომერციულ საზოგადოებად, და ადამიანის და სახელმწიფოს ურთიერთობების ცვლას. ფერგიუსონს ანუხებდა კითხვა - როგორ შეიძლება ამ ახალ წესრიგში, რომელიც დაფუძნებულია შრომის განაწილებაზე, მოქალაქე არ აღმოჩნდეს დამონებული სახელმწიფოს მიერ? როდესაც ადამიანების ერთმა ნაწილმა - მოქალაქეებმა იციან მხოლოდ ფეხსაცმლის კერვა ან სხვა ხელობა, ხოლო სხვებს - პოლიტიკოსებს და მეომრებს ევალებათ მათი დაცვა, ხომ არ დაიმორჩილებენ ეს უკანასკნელები მათ, ვისი დაცვაც შეადგენს მათ მოვალეობას?

ეს ახალი ეკონომიკური და სოციალური კონტექსტი, რომელიც აქტუალურს ხდის სამოქალაქო საზოგადოების არსებობას, ისტორიულად და თეორიულად უკავშირდება მეთვრამეტე საუკუნეში (და თანამედროვე კაპიტალისტური კულტურის წარმოქმნაში) კერძო და საზოგადოებრივი სფეროების, ეკონომიკისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან განცალკევებას.

თანამედროვეობის ეპოქაში ევროპის შესვლის პროცესი უკავშირდება ადგილობრივი, ტერიტორიული და ძირძველი კავშირების რღვევას, ტრადიციული იერარქიული სოციალური სტრუქტურის მოშლას. ნათესაურ-მეგობრული, ტერიტორიული და ადგილობრივი ჩვეულებები, რომლებიც განსაზღვრავდა და აკავშირებდა დასავლურ ევროპულ საზოგადოებებს ველარ ახორციელებენ ადრინდელ შემაკავშირებელ როლს ახალ საბაზრო ურთიერთობებში, რომლებიც აგებულია გათვლაზე, ინტერესზე, კონტრაქტზე და ახალ იდუსტრიულ წარმოებაზე, რომელიც შრომის დანაწილებას მოითხოვს.

კაპიტალისტური სულისკვეთება და ინდუსტრიული რევოლუცია, შრომის განაწილება და საბაზრო ეკონომიკის განვითარება, ტრადიციული საზოგადოებრივი კავშირების რღვევა და საზოგადოებრივი ურთიერთობების რაციონალიზაცია და ფორმალიზაცია, საბოლოო ჯამში აყალიბებს ერთი მხრივ, ეროვნულ სახელმწიფოებს მათი დღევანდელი ფორმით, ხოლო მეორე მხრივ - სახელმწიფოსგან გამოყოფილ სამოქალაქო საზოგადოებას. რას წარმოადგენს ეს ახალი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, თანამედროვე ეპოქაში წარმოქმნა, და რა მიმართებაშია იგი სახელმწიფოსთან?

განმანათლებლური აზროვნების დიდი მიღწევა იყო იმის გააზრება, რომ სამოქალაქო საზოგადოება ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც შუალედური წარმონაქმნი პირად ცხოვრებასა და პოლიტიკურ სახელმწიფოს შორის. ეს ხედვა არ იყო წმინდა თეორეტიკების შედეგი, არამედ ასახავდა საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროს ზრდას, რომელიც ფაქტობრივად დამოუკიდებელი იყო პოლიტიკური საზოგადოებისგან და ეფუძნებოდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კომერციის, გაცვლისა და შრომის დანაწილებაზე დაფუძნებული წარმოების ბურჟუაზიულ სამყაროს. სამოქალაქო საზოგადოების სფეროში ინდივიდი მოღვაწეობს, პირველ რიგში, როგორც კერძო საკუთრების დამოუკიდებელი მეპატრონე (როგორც არ უნდა იყოს ეს საკუთრება - კაპიტალი, მიწა, ფული, კერძო ქონება, სამუშაო ძალა ან საკუთარი თავი). ეს ადამიანი იღვწის პირადი მიზნების მისაღწევად, რისთვისაც თავისუფლად ამყარებს ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან, თვითონვე აყალიბებს ამ ურთიერთობებს.

სამოქალაქო საზოგადოება ამ ხედვს შესაბამისად მოქცეულია ორ პოლუსს - კერძო საკუთრებასა და სახელმწიფოს - შორის. კერძო საკუთრება აქ განიხილება როგორც ბუნებრივი თავისუფლების რეალიზება, როგორც კაცობრიობის ემანსიპაცია და განთავისუფლება პიროვნული დამოკიდებულებისგან, წოდებრივი უთანასწორობისგან და სხვა უსამართლობებისგან, რომლებიც ძველ პოლიტიკურ წესრიგს ახასიათებდა როგორც თანამედროვე სამყაროში თავისუფლების წინაპირობა. კერძო საკუთრება აქ ჩნდება როგორც პიროვნული უფლებების, უნივერსალური თანასწორობისა და სხვების უფლებათა პატივისცემის მატერიალური საფუძველი.

სამოქალაქო საზოგადოება იქმნება როგორც „მოქალაქე (ბიურგერი) ინდივიდების“ საზოგადოება, რომელიც არ არის თავისუფალი კონფლიქტებისგან; ამ კონფლიქტებს განაპირობებს კლასობრივი უთანასწორობა კაპიტალის, მიწის და შრომის მფლობელებს შორის, ბაზრის ანარქიული ხასიათი, ეკონომიკური კრიზისები და სხვ. ამგვარად, საჭიროა სახელმწიფო, რომელიც მოაგვარებს ამ კონფლიქტებს, შეზღუდავს ბაზრის ნეგატიურ გამოვლინებებს და საზოგადოების არსებობას დააფუძნებს იმ უნივერსალურ პრინციპებზე, რომლებიც აკლია სამოქალაქო საზოგადოებას.

ორი პოლუსი, სახელმწიფო და ბაზარი, რომელთა შორისაცაა მოქცეული სამოქალაქო საზოგადოება, განსხვავებულია თავისი ბუნებით. სახელმწიფო არის ცენტრალიზებული წარმონაქმნი, მარეგულირებელი ორგანიზაცია, რომელიც თანამედროვეობის ეპოქაში ჩამოყალიბდა როგორც ეროვნული სამართლებრივი სახელმწიფო, ძალა, რომელიც „ფლობს ძალადობის გამოყენების ლეგიტიმურ მონოპოლიას მოცემულ ტერიტორიაზე“ (ვებერი). ამავე დროს თანამედროვეობის ეპოქა - ეს არის დეცენტრალიზებული ინდუსტრიული საბაზრო ეკონომიკის ეპოქა. ეს ეკონომიკა არ შეიძლება იყოს ცენტრალიზებული, თუკი გვსურს, რომ ის იყოს ეფექტიანი. მზარდი ეკონომიკური განვითარება გულისხმობს თავისუფალ ეკონომიკურ სუბიექტს, მესაკუთრეს, რომელიც არ არის შთანთქმული სახელმწიფოს მიერ. როგორ უნდა

ჩაირთოს ეს ინდივიდუალური, ეგოისტური ელემენტი მთლიან ერთობაში ისე, რომ არ მოხდეს მისი პირადი თავისუფლების სრული ჩამორთმევა მთლიანის, სახელმწიფოს მიერ?

ჰეგელის აზრით, კორპორაციების შექმნა, რაც სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურირებას ახდენს და იცავს ადამიანებს სოციალური დანაწევრებისგან (რომელიც შეიძლება გამოიწვიოს თითოეული ინდივიდის მიერ მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებამ), შესაძლებელი ხდება სწორედ უნივერსალური სახელმწიფოს პირობებში. სწორედ სახელმწიფო არის სამოქალაქო საზოგადოების არსებობის წინაპირობა. სახელმწიფოს გარეშე სამოქალაქო საზოგადოება დაიშლება, ვინაიდან თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობების არსებობის რეალობიდან გამომდინარე მას ვეღარ აკავშირებენ ტრადიციული, ოჯახური, პატრიარქალური სოციალური ურთიერთობები.

მარქსმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ჰეგელის თეორია. მარქსის მტკიცებით, სახელმწიფო არ წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებულ კონფლიქტზე მალლა მდგომ წარმონაქმნს; პირიქით, სახელმწიფო ექცევა სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ჯგუფის, გაბატონებული კლასის, ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ და იქცევა მის იარაღად სხვა კლასების დამორჩილების საქმეში. სწორედ ამიტომ, მარქსის შეხედულებით, კლასთა შორის ბრძოლის დასრულებით, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლით უნდა მოხდეს სახელმწიფოს სიკვდილი.

მარქსის თეორიის ლენინისეული ინტერპრეტაციის ცხოვრებაში გატარების შედეგად სახელმწიფო არ გამქრალა, არამედ გადაიქცა პარტია-სახელმწიფოდ და საბოლოო ჯამში სრულიად შთანთქა სამოქალაქო საზოგადოება (რომელიც, მარქსის მიხედვით, რუსეთში არც არსებობდა). საბოლოო ჯამში მოხდა სახელმწიფოს „ტოტალიტარიზაცია“. ტოტალიტარიზმი კი, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ხასიათდება სწორედ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების შერწყმით.

ტოტალიტარიზმი

ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დახასიათება ეკუთვნის კარლ ფრიდრიხს. მისი შეხედულებით, ტოტალიტარული საზოგადოება ხასიათდება ექვსი ნიშნით, რომელთაგან ყველა უნდა იყოს წარმოდგენილი, რათა ცნება გამოყენებული იყოს მთელი თავისი მნიშვნელობით.

1/ ოფიციალური იდეოლოგია, რომელიც შედგება ოფიციალური დოქტრინისაგან და მოიცავს ადამიანის არსებობის ყველა სასიცოცხლო ასპექტს; მას უნდა დაეთანხმოს ყველა, ვინც ცხოვრობს საზოგადოებაში, ყოველ შემთხვევაში პასიურად მაინც; ეს იდეოლოგია მიმართულია ათასწლიან ამოცანებზე, როგორც ადამიანის სახეობის უმაღლესი „სრულყოფილი“ საზოგადოების მომავალზე.

2/ მასების ერთადერთი პარტია, რომელიც აერთიანებს მთლიანი მოსახლეობის, კაცებისა და ქალების შედარებით მცირე რიცხვს (არა უმეტეს 10%-ისა), რომლებიც მხურვალედ და უყოყმანოდ უჭერენ მხარს იდეოლოგიას და ნებისმიერი საშუალებით ცდილობენ გამოავლინონ სრული თანხმობა მის მიმართ. მსგავსი პარტია ორგანიზებულია მკაცრად იერარქიზირებული და ოლიგარქიული წესით. აქ, როგორც წესი, ერთადერთი ხელმძღვანელია. ის ან ყველაზე მალლა დგას ან გაიგივებულია სამთავრობო ბიუროკრატიულ ორგანიზაციასთან.

3/ ხელისუფლების კვაზიმონოპოლია (ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში) ეფექტურ სამხედრო საბრძოლო საშუალებებზე. ეს მონოპოლია პარტიისა და მისი კადრების ხელშია, ანდა სხვანაირად რომ ითქვას, ბიუროკრატიისა და შეიარაღებული ძალების ხელშია.

4/ ხელისუფლების კვაზიმონოპოლია (ტექნიკურ შესაძლებლობათა ფარგლებში) კომუნიკაციის ეფექტურ საშუალებებზე, რაც ასევე პარტიის ხელშია მოქცეული.

5/ მთელი საწარმოო და ეკონომიკური საშუალებების კვაზიმონოპოლია, რომელიც ექვემდებარება ცენტრალიზებულ დაგეგმარებას.

6/ რეპრესიული პოლიციური ძალაუფლებრივი სისტემა, დაფუძნებული ძალადობის და საკომუნიკაციო საშუალებების მონოპოლიაზე, რომელიც არა მხოლოდ რეჟიმის „მტრების“ წინააღმდეგ, არამედ, აგრეთვე, მოსახლეობის თვითნებურად არჩეული კატეგორიების წინააღმდეგაცაა მიმართული; ამგვარი თვითნებური სელექცია რეჟიმის გადარჩენის მოთხოვნაა.

ტოტალიტარიზმის საბჭოური ვარიანტი, გარდა ამ ნიშნებისა, ხასიათდებოდა ადამიანის, როგორც კერძო მესაკუთრის, სრული მოსპობით. როგორც ჩანს, ეს არ იყო საკმარისად გააზრებული სამოქალაქო საზოგადოების იმ თეორეტიკოსების მიერ, რომლებიც საბჭოთა წყობის დამხობას სამოქალაქო საზოგადოების წარმატებას უკავშირებდნენ. სამოქალაქო საზოგადოების განხილვა პოსტსაბჭოურ სივრცეში ამ ეკონომიკური განზომილებიდან მონყვეტილად შეიძლება ზოგიერთი თანამედროვე თეორიის სისუსტეს განაპირობებდეს. ტიპური პოსტსაბჭოთა მიდგომა სამოქალაქო საზოგადოების ცნებისადმი არის ვაცლავ ჰაველის ქვემოთ აღწერილი ხედვა.

წყარო: დომინიკ კოლა, პოლიტიკური სოციოლოგია

სამოქალაქო საზოგადოება და პოსტკომუნიზმი; ვაცლავ ჰაველი

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების იდეის წინ წამოწევა, რაც გაიგივებული იყო ოფიციალური კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან 1980-იან წლებში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, აკავშირებს ამ ცნების ყურადღების ცენტრში მოქცევას ამ ქვეყნებში შექმნილ პოლიტიკურ კონტექსტთან - მტრულ განწყობასთან არა მარტო ოფიციალური კომუნიზმის მიმართ, არამედ მარქსისა და მარქსიზმის მიმართ. მარქსიზმი განიხილებოდა ძირითად მტრად, ვინაიდან ის იყო სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე გავლენიანი გაცხადებული მონინააღმდეგე. ამ პოლიტიკურმა კონტექსტმა დალი დაასვა სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე თეორიას, რომლითაც, მიუხედავად განსხვავებული მიდგომების გამოყენებისა, ხდება სამოქალაქო საზოგადოების რომანტიზაცია, იგი ყველა სხვა სფეროსთან -სახელმწიფოსთან, ეკონომიკასთან, ოჯახთან შედარებით წინ არის წამოწეული და ცენტრალური ადგილი უჭირავს.

ამ თეორიის მიხედვით, თანამედროვე სამყაროში სამოქალაქო საზოგადოება არის თავისუფლების ფუძემდებლური წყარო. საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების დაცვა ყველა იმ აგრესიული ძალისგან, რომელიც მას თრგუნავს: ერთი მხრივ, სახელმწიფოს პოლიტიკური ძალაუფლებისგან, ხოლო მეორე მხრივ - ფულის ეკონომიკური ძალისგან. სამოქალაქო საზოგადოების ეს თეორია ათავსებს მას ბარიკადების ერთ მხარეს მოქმედებასთან, შემოქმედებითობასთან, ინიციატივასთან, პროდუქტიულობასთან, თავისუფლებასთან, გაერთიანებასთან, თავად სიცოცხლესთან ერთად. მათ საპირისპიროდ ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა აღიწერება ისეთი ტერმინების გამოყენებით, როგორიცაა დამორჩილება, მომხმარებლობა, პასიურობა, პრივატიზება, ძალისმიერება, განსაზღვრულობა, აუცილებლობა და სხვ.

სიცოცხლისა და სიკვდილის, აქტიურობისა და პასიურობის, მოქმედისა და სტრუქტურის ამ დაპირისპირებით სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე ხედვა ამართლებს სამოქალაქო საზოგადოების პირველადობას პოლიტიკასთან და ეკონომიკასთან მიმართებაში.

როდესაც „პერესტროიკის“ დასაწყისში ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ დემოკრატიისთვის წარმართა ბრძოლა, ამ დემოკრატიაში, პირველ რიგში, თავისუფლება იგულისხმებოდა. თავისუფლება კი, მისი სრული სახით, მიუღწეველია თუკი არსებობს რაიმე სახის პოლიტიკური ძალაუფლება, თუნდაც დემოკრატიული და რაიმე სახის ფულადი ეკონომიკა, თუნდაც

საბაზრო. სინამდვილეში, ალბათ, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ლოზუნგები ზუსტად არ ასახავდნენ თავისუფლების იმ წყურვილს, რომელიც ტოტალიტარიზმის მსხვერველს უკავშირდება და რომლის საპროტესტო ტალღა მიმართული იყო არა უბრალოდ საბჭოური სისტემის გარდაქმნისკენ, არამედ საერთოდ თანამედროვეობის პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების უარყოფისკენ, რამდენადაც ეს ინსტიტუტები უსახო, მკაცრი და მომთხოვნია.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ამგვარი განწყობა არა მასიური, არამედ ელიტარული იყო და მომდინარეობდა პერესტროიკის დისიდენტი ლიდერების მსოფლმხედველობიდან. აღმოსავლეთ ევროპაში ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მათი აზრით, დასაწყისიდან დისიდენტი, ინტელექტუალური ლიდერების და მათი შეხედულებების ძლიერ გავლენას განიცდიდა. მათთვის დამახასიათებელი იყო პრიორიტეტის მინიჭება არა ბრძოლისათვის პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად, არამედ მტრული დამოკიდებულება ნებისმიერი სახის პოლიტიკის მიმართ, ნებისმიერი ძალაუფლების მაქსიმალური შეზღუდვის სურვილი. საზოგადოებრივ საქმეებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინიციატივა უნდა მოდიოდეს ქვემოდან, ხალხისაგან, და არა სახელმწიფოს ინსტიტუციონალური სტრუქტურებიდან. ეს თვალსაზრისი ყველაზე გამოკვეთილად ვაცლავ ჰაველის ნაშრომებშია ჩამოყალიბებული. ანტი-პოლიტიკურობა, რომლის ქვაკუთხედს ოფიციალური პარტიული პოლიტიკისადმი უნდობლობა შეადგენს, მიიჩნეოდა სამოქალაქო საზოგადოების მამოძრავებელ ძალად, ხოლო პოლიტიკა იყო უარყოფილი როგორც ძალაუფლების სურვილის გამოხატულება.

ცხოვრება, რომლის მიზანია საკუთარი თავისუფლების განხორციელება, მრავალფეროვნება, პლურალიზმი და თვითორგანიზება, ვაცლავ ჰაველის მიხედვით, უპირისპირდება ნებისმიერ სისტემას, რომელიც უნიფიცირებას მოითხოვს. აქედან გამოსავალი არის არა ერთი სისტემის შეცვლა მეორეთი, არამედ საჭიროა თვით ცხოვრებისკენ შემობრუნება. ამ შემთხვევაში პოსტ-ტოტალიტარული სისტემის სტრუქტურები „უბრალოდ მოკვდება და გაუქმდება და მათ ადგილს დაიკავენ ახალი სტრუქტურები, რომლებიც „ქვევიდან“ აღმოცენდება“.

ჰაველის ეს პროექტი ნააგავს ახლადამენებული სახლის წინ მწვანე გაზონის მონყობას შემდეგი ხერხით. სახლის წინ უნდა დაითესოს ბალახი ისე, რომ ბილიკების გასაყვანი ადგილი არ მოინიშნოს, ხოლო შემდგომში, როდესაც სახლის მცხოვრებლები ივლიან ამ ბალახზე და ბუნებრივად გაკვალავენ ბილიკებს იქ, სადაც მათ უფრო აწყობთ, ეს გაკვალული ბილიკები დაფიქსირდეს ბეტონით. ამ გზით სახლის მცხოვრებლები თავად განსაზღვრავენ იმ ინსტიტუტებს (ბილიკებს), რომლებითაც მათ უნევთ სარგებლობა.

ამდენად, სამოქალაქო საზოგადოების ეს თეორია არის გარკვეული ამბოხება თანამედროვეობის, მისი ინსტიტუტების და ტექნოლოგიების წინააღმდეგ. პოლიტიკის უარყოფასთან ერთად იგი თანამედროვე საზოგადოებებისათვის ეძებს სხვა, უფრო სიღრმისეულ გამოსავალს, ვიდრე საპარლამენტო დემოკრატიაა, რომელსაც თავისი პარტიული ხასიათის გამო, არ შეუძლია გადაჭრას სახელმწიფოს ფუნქციონირებაში მოქალაქეთა ფართო ჩართვისა და მონაწილეობის ამოცანა. *სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრების სამყარომ უნდა შეცვალოს თანამედროვეობის ინსტიტუტები, მათ შორის სახელმწიფოც.*

ლიტერატურა:

- დომინიკ კოლა, პოლიტიკური სოციოლოგია. თბილისი, 1999, თავი X: სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, გვ. 205-228
- Jean L. Cohen, Andrew Arato, 1999, Civil Society and Political Theory, the MIT Press, Cambridge, Massachusetts and London, England, pp.131-177 (რუსული გამოცემის მიხედვით)
- Robert Fine, *Civil Society Theory, Enlightenment and Critique*, Democratization, Frank Cass, 1997, pp.7-28
- ვაცლავ ჰაველი, ძალა უძალოთა, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1995

პატნემი: საზოგადოებრივი კაპიტალი

რობერტ პატნემმა გამოიკვლია სამხრეთ და ჩრდილოეთ იტალიაში სამოქალაქო ცხოვრების თავისებურებების მიმართება ამ რეგიონების პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასთან. მდიდარ ფაქტობრივ და რაოდენობრივ მასალაზე დაყრდნობით მან აჩვენა, რომ საზოგადოებრივი კაპიტალი არის ის სიმდიდრე, რომელიც არ იქმნება ერთბაშად და რომელიც საზოგადოების წარმატებული ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლისა და განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია.

პატნემი სვამს კითხვას - რა კავშირშია ამა თუ იმ დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების წარმატებული ფუნქციონირება იმ სოციალურ კონტექსტთან, რომელიც საზოგადოებას ახასიათებს?

1860 წელს იტალიის ერთიანი სახელმწიფოს გამოცხადების შემდეგ, ქვეყნის უაღრესად ცენტრალიზებული მმართველობის მოდელი განიხილებოდა როგორც აუცილებელი საშუალება სუსტად ინტეგრირებული, მრავალფეროვანი და უკიდურესად განსხვავებული გეოგრაფიული რეგიონების გასაერთიანებლად და ერთიანი ერის ჩამოსაყალიბებლად. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ქვეყნის დემოკრატიული მოწყობის პირობებში, გახდა შესაძლებელი 1948 წლის ახალ კონსტიტუციაში რეგიონებში პირდაპირი არჩევნებით არჩეული ხელისუფლების არსებობის დაფიქსირება. თუმცა კი, კონსტიტუციის ეს მუხლი სრული სახით 1970 წლამდე არ ამოქმედებულა და შემდგომშიც ახლადშექმნილ რეგიონულ ხელისუფლებას გარკვეული დრო დასჭირდა იმისთვის, რათა რეგიონების თვითმმართველობა ფორმალურიდან რეალურად გადაქცეულიყო.

1970 წელს იტალიის მთავრობამ დაიწყო ქვეყნის მმართველობის დეცენტრალიზება და მოახდინა ძალაუფლებისა და რესურსების მნიშვნელოვანი დელეგირება ახლადშექმნილ რეგიონულ წარმომადგენლობით ხელისუფლებაზე.

რა მოუტანა რეფორმამ იტალიის რეგიონებს? გაუმჯობესდა თუ არა მის შედეგად მმართველობისა და პოლიტიკის ხარისხი? რამდენად წარმატებულად ამუშავდა ახლადშექმნილი წარმომადგენლობითი პოლიტიკური ინსტიტუტები? ხელისუფლების საქმიანობის დაწვრილებითი შესწავლის საფუძველზე მეცნიერებმა „ნიშნები დაუწერეს“ რეგიონების ახლადშექმნილ ინსტიტუტებს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად კარგად ახორციელებდნენ ისინი მათ წინაშე მდგარ ამოცანებს - აუმჯობესებდნენ კანონმდებლობას, დროულად ამტკიცებდნენ ბიუჯეტებს, აუმჯობესებდნენ ბიუროკრატიის მუშაობას, ჯანმრთელობის დაცვას და სხვ.

გამოკვლევებიდან გამომჩნდა, რომ ზოგი რეგიონის ხელისუფლება სტაბილურად კარგად მუშაობდა, ხოლო სხვების კი, სტაბილურად დაბალ დონეზე იყო. ეს ობიექტური მაჩვენებლები ზედმინვენით სრულად ასახავდა მოსახლეობის წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია ამა თუ იმ რეგიონული ხელისუფლების საქმიანობა.

მოკლედ, ზოგი რეგიონების ხელისუფლების მოღვაწეობა უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე სხვებისა. მათ უფრო ეფექტურად წარმართეს შიდა პროცედურები, პოლიტიკური ინიციატივების გამოჩენისას მეტი შემოქმედებითობა გამოავლინეს, უფრო ეფექტურად განახორციელეს ეს ინიციატივები. ეს განსხვავებები კარგად იყო გათვითცნობიერებული რეგიონების მოსახლეობის მიერ.

თუ ყველა რეგიონს გააჩნდა იდენტური მმართველობის სტრუქტურები, და ანალოგიური საკანონმდებლო და ეკონომიკური რესურსები, მაშინ რამ განაპირობა ეს განსხვავება?

თუ დავხედავთ იტალიის რუკას, დავინახავთ, რომ ჩრდილოეთის რეგიონების მმართველობა საერთო ჯამში უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე სამხრეთის რეგიონებისა. ვინაიდან სუფთა პოლიტიკური ხასიათის პარამეტრები იდენტურია, ამ განსხვავების ახსნა შეუძლებელია სხვა ტიპის, არაპოლიტიკური ფაქტორების მოშველიების გარეშე. ამგვარი

ფაქტორები ორი სახის შეიძლება იყოს: ა) სოციალურ-ეკონომიკური - სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, რომელიც უკავშირდება ინდუსტრიალიზაციის დონეს; და ბ) სოციალურ-კულტურული: „სამოქალაქო ურთიერთობების“ თავისებურებები - სამოქალაქო ურთიერთობების ხასიათი და სოციალური სოლიდარობის დონე.

ინდუსტრიული რევოლუცია უკანასკნელი საუკუნეების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დასავლეთის ისტორიაში, რომელმაც რადიკალურად შეცვალა დასავლური საზოგადოებების ცხოვრება. ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაცია მეცნიერების მიერ ხშირად განიხილება ქვეყნის სტაბილური დემოკრატიული განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად. ინდუსტრიალიზაცია, რომელიც იტალიაში გასული საუკუნის მინურულს დაიწყო, ბევრად უფრო წარმატებული აღმოჩნდა ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონებში, ვიდრე სამხრეთ ნაწილში. მაგრამ დასკვნა, რომელიც მეცნიერებმა გამოკვლევებზე დაყრდნობით გააკეთეს, იყო ის, რომ სავარაუდოდ ორივე - თანამედროვე ეკონომიკის დამკვიდრება და დემოკრატიული ინსტიტუტების წარმატება ჩრდილოეთ იტალიაში უკავშირდება მესამე ფაქტორის ზეგავლენას - ამ რეგიონში საზოგადოებრივი ცხოვრების მონეობის ხასიათს.

რა არის საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ორ მოდელს შორის განსხვავების არსი?

განსხვავება ჩრდილოეთისა და სამხრეთის მცხოვრებთა შორის დაახლოებით შეესაბამება სხვაობას *მოქალაქესა* და *ქვეშევრდომს* შორის. მოქალაქე აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს არ ნიშნავს, რომ ის უანგარო ალტრუისტია, რომელიც არ ზრუნავს საკუთარ ინტერესებზე, არამედ თავის ინტერესებს ის იაზრებს უფრო ფართო საზოგადოებრივი ინტერესების კონტექსტში. მოქალაქეთა ერთობა ხასიათდება ყველასათვის ერთნაირი უფლებებითა და მოვალეობებით. ამგვარი ერთობა შეკრულია კოოპერირების და „მისვლა-მოსვლის“ ჰორიზონტალური ურთიერთობებით, და არა ზემდგომისა და მასზე დამოკიდებულის ურთიერთობებით, როგორც ეს ბატონ-ქვეშევრდომთა შორის ხდება. მოქალაქეები ურთიერთობენ როგორც თანასწორები, და არა როგორც პატრონი და კლიენტი.

მოქალაქეთაგან შემდგარი საზოგადოების ღირებულებები და ნორმები ვლინდება ამ საზოგადოებების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამგვარ საზოგადოებაში ადამიანები უფრო ადვილად ქმნიან კავშირებს, ხოლო ეს კავშირები, თავის მხრივ, ხელს უწყობს წარმატებულ საზოგადოებრივ ურთიერთქმედებას. იქ, სადაც მოქალაქეობრივი განწყობები სუსტია, ადამიანებს უჭირთ ერთად მოქმედება საერთო მიზნების მისაღწევად ან ნებისმიერი მიზნისთვის, რომელიც სცილდება მათი ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობაზე უშუალო ზრუნვას.

საზოგადოებრივი ცხოვრებით მეტი დაინტერესება ვლინდება, მაგალითად, იმაში, რომ მოქალაქეთაგან შემდგარი საზოგადოებისთვის დამახასიათებელია მეტი დაინტერესება გაზეთების კითხვით. მოქალაქეები, ქვეშევრდომებისგან განსხვავებით, ინტერესდებიან იმით, თუ რა ინერება გაზეთებში და უფრო ხშირად ყიდულობენ მათ.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ნაკლები მოქალაქეობრივი ცნობიერების მქონე მოსახლეობა ასოციალური ან აპოლიტიკურია. უბრალოდ მასში გამჯდარი ვერტიკალური, არასიმეტრიული, პატრონ-კლიენტის ურთიერთობები საზოგადოებრივ ცხოვრებას სხვა ელფერს ანიჭებს. როდესაც იტალიის სამხრეთი რეგიონების მცხოვრებს ექმნება პრობლემა (მაგალითად, სჭირდება ლიცენზია, სამსახური და სხვა), იგი გაცილებით უფრო ხშირად ცდილობს მოძებნოს პოლიტიკოსი, რომელიც მას პიროვნულად დაეხმარება, ვიდრე ეს ხდება ჩრდილოეთ რეგიონებში. შეიძლება ამიტომაცაა პოლიტიკური ცხოვრება იქ უფრო პერსონიფიცირებული, უფრო ორიენტირებული პოლიტიკოსებზე, როგორც პიროვნებებზე, ვიდრე მათ პროგრამებზე. ჩრდილოეთ რეგიონებში პოლიტიკოსები უფრო იშვიათად ხვდებიან მთხოვნელებს, თანაც მათ უფრო ხშირად მიმართავენ პოლიტიკის განსაზღვრასთან და კანონების მიღებასთან

დაკავშირებული საკითხების გამო, მაშინ როცა სამხრეთ რეგიონებში მათ უფრო ხშირად სთხოვენ სამსახურსა და მფარველობას.

სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება ჩრდილოეთში ნაკლებად იერარქიულია, ვიდრე სამხრეთში. თანასწორობა არის მნიშვნელოვანი მახასიათებელი იმ საზოგადოებისა, რომელიც უფრო მიდრეკილია ჰორიზონტალური, სიმეტრიული ურთიერთობებისადმი. სამხრეთში ადამიანები გრძნობენ, რომ ისინი არიან ექსპლუატირებულნი, არა აქვთ გავლენა და არიან გათიშულები. სამხრეთ რეგიონებში, მაფიის სამშობლოში, ბევრად უფრო გავრცელებულია კორუფცია. კანონები უფრო „კანონობს“ ჩრდილოეთში, ვიდრე სამხრეთში. ჰორიზონტალური კავშირების სისუსტის ფონზე იერარქია, ძალა და პოლიცია რჩება იმ შემაკავშირებელ ვერტიკალურ ინსტიტუტად, რომელიც იცავს საზოგადოებას ანარქიისგან.

ეკონომიკური ზრდის ტემპები უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განსხვავებული იყო იტალიის სხვადასხვა რეგიონებში. იმ დროს, როდესაც ჩრდილოეთში წარმატებულად ვითარდება ბიზნესი და წარმოება, სამხრეთში უმეტესწილად ვერ ხერხდება სიღარიბისა და ჩამორჩენილობის დაძლევა. ამგვარად, სხვაობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში კავშირშია ეკონომიკურ საქმიანობასთანაც. ამ კავშირის სრული ანალიზი მეტად რთულია, მაგრამ ზოგიერთი ნიშნების გამოკვეთა შეიძლება. ასე, მიუთითებენ მკვლევრები იტალიის ეკონომიკურ განვითარებაში ე.წ. „ინდუსტრიული რაიონების“ მნიშვნელობაზე. ამ რაიონებში ვითარდება წვრილი, მაგრამ ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული და მეტად პროდუქტიული წარმოება. მათ ახასიათებთ კონკურენციისა და კოოპერირების თავისებური ნაზავი. ფირმები კონკურირებენ ინოვაციების შემოტანისა და წარმოების განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ კოოპერირებენ ადმინისტრაციულ მომსახურებაში, ნედლეულის შემოტანაში, ინფორმაციის მიღებასა და კვლევებში. ფირმების ამ ქსელს ახასიათებს ჰორიზონტალური კავშირების სიძლიერე, რომელიც ეფუძნება ქვეკონტრაქტების დადებას და შეკვეთების ნაწილის გადაცემას დროებით ნაკლებად დატვირთულ კონკურენტებზე. იქმნება ტექნოლოგიურად მონინავე და მოქნილი სისტემა, რომელსაც შეუძლია წარმატებით კონკურირება თანამედროვე სამყაროში. *„კერძო ეკონომიკური ასოციაციებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების ხშირმა ქსელმა . . . თანამშრომლობის ქცევის განვითარების ხელშეწყობით და მცირე ფირმებისთვის იმ ინფრასტრუქტურის შექმნით, რომელსაც ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ საკუთარი ძალებით, შექმნა გარემო, რომელშიაც წარმატებით ვითარდება ბაზარი.“*

რამ განაპირობა ესოდენ დიდი განსხვავება ჩრდილოეთ და სამხრეთ იტალიის საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობაში? პასუხის გაცემა ამ კითხვაზე მეტად რთულია, თუმცა კი, ფესვები ამ სხვაობისა შეიძლება განპირობებული იყოს ისტორიული ტრადიციით. ჩრდილოეთ იტალიას წარსულში (მეთერთმეტე საუკუნიდან) ახასიათებდა ქალაქ-რესპუბლიკების არსებობა. თვითმმართველობის ამ მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ, შესაძლოა, გამოუმუშავა მოსახლეობას თანასწორობის, პასუხისმგებლობის და სოლიდარობის ჩვევა. სამხრეთ იტალია კი, განიცდიდა სიცილიის სამეფოს ფეოდალურ და ავტორიტარულ ბატონობას, რამაც იქ ჩამოაყალიბა არა მოქალაქე, არამედ ქვეშევრდომი. სამხრეთში, იტალიის გაერთიანების შემდეგაც:

„ყველა კლასში კომუნალური სულის არარსებობა გამომდინარეობდა მორჩილების ჩვევისგან, რაც ადამიანებს დესპოტიზმის საუკუნეებმა ჩაუნერგეს. არისტოკრატიაც კი, შეეჩვია ობსტრუქციას და გაიზიარა ის შეხედულება, რომ, მორალური თვალსაზრისით, სავსებით დასაშვებია მმართველების მოტყუება, თუკი ეს მოტყუება სარგებლის მომტანია. . . გადასახადების გადახდის საჭიროების გათვითცნობიერების სანაცვლოდ, ჩამოყალიბდა დამოკიდებულება, რომ თუ ადამიანთა ერთმა ჯგუფმა გამოძებნა მათი გვერდის ავლის გზა, მაშინ დანარჩენმა ჯგუფებმაც უმჯობესია მიხედონ თავის საკუთარ ინტერესებს. ამგვარად თითოეული პროვინცია, თითოეული კლასი, თითოეული წარმოება ეძებდა მოგების მიღების გზებს საზოგადოების მოგების საფასურად.“

იქ, სადაც ადამიანები თანამშრომლობენ და კოოპერირებენ, საზოგადოების როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური განვითარების მიღწევა უფრო იოლია. ამდენად თანამშრომლობა და კოოპერირება ზოგადად უნდა იყოს რაციონალური გათვლის შედეგი, და არა უბრალოდ „ღირსეული მოქალაქისთვის“ დამახასიათებელი ჩვევა. მაგრამ, როგორც იტალიის მაგალითი მეტყველებს, რაციონალური გააზრება იმისა, რომ კოოპერირება ზოგადად სასარგებლოა, არ ინვესტს ამ კოოპერირების მარტივად წარმოქმნას. ის, რომ სხვადასხვა საზოგადოებები ავლენენ თანამშრომლობისა და კოოპერირების განსხვავებულ უნარს, მიუთითებს იმაზე, რომ გარდა ეკონომიკური, ინტელექტუალური, მატერიალური და სხვა სახის კაპიტალისა, საზოგადოების წარმატებული განვითარებისთვის საჭიროა კაპიტალის კიდევ ერთი სახეობა - *საზოგადოებრივი კაპიტალი*.

საზოგადოებრივ კაპიტალში იგულისხმება საზოგადოებრივი მოწყობის ისეთი მახასიათებლები, რომელთა რიცხვშიც შედის ადამიანთა შორის ნდობა, ურთიერთობის ნორმები და ამ ურთიერთობათა ქსელები, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდას შეთანხმებული მოქმედების გაადვილების გზით.

ის, რომ საზოგადოებრივი კაპიტალი აადვილებს სპონტანურ თანამშრომლობას, შეიძლება დავინახოთ მარტივი მაგალითის საშუალებით.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს ის, რასაც საბჭოთა დროში ჩვენ „ურთიერთდახმარების სალაროებს“ ვუწოდებდით. მათი ფუნქციონირების პრინციპი მარტივია. თუ სალაროში გაერთიანებულია, მაგალითად, თორმეტი ადამიანი, რომლებსაც შემოაქვთ ყოველთვიურად თითო-თითო ლარი, მაშინ ამ სალაროს ყველა წევრს შეეძლება რიგრიგობით, წლის განმავლობაში ერთხელ მიიღოს ამ სალაროდან თორმეტი ლარი. მთავარი, რასაც ეფუძნება ამ სალაროს ფუნქციონირება არის ის, რომ მან, ვინც უკვე აიღო თორმეტი ლარი, უნდა გააგრძელოს თავისი შენატანის შეტანა მანამ, ვიდრე არ შეიკვრება წრე და მანამ სალაროს მეთორმეტე, უკანასკნელი წევრი არ აიღებს მის კუთვნილ თორმეტ ლარს.

რა არის ის, რაც ხდის ამგვარი ასოციაციების არსებობას შესაძლებელს? რატომ აგრძელებენ სალაროს წევრები შენატანების გადახდას მას შემდეგ, რაც თავისი წილი გამოიტანეს? და რატომ რისკავენ საერთოდ ამგვარ სალაროებში გაერთიანებას, მათ ხომ არა აქვთ იმის გარანტია, რომ სალაროს სხვა წევრების მიერ მოტყუებულნი არ დარჩებიან? საიდან ჩნდება ერთმანეთის ნდობა, რომელიც აუცილებელია სალაროს ფუნქციონირებისათვის?

პატარა სოფელში, სადაც ყველა ყველას იცნობს და არავინ აპირებს სხვაგან გადასახლებას, ამგვარი ნდობა შეიძლება ბუნებრივად გამომდინარეობდეს იქიდან, რომ სოფლის ყველა მცხოვრები იძულებულია დაემორჩილოს ქცევის ერთიან ნორმებს, რომელთა დარღვევა თანასოფლელების რისხვას გამოიწვევს. დიდ ქალაქში, სადაც ურთიერთობები ნაკლებად მჭიდრო და პიროვნულია, ნდობის უზრუნველსაყოფად საჭიროა უფრო რთული და ნაკლებად მჭიდროდ შეკრული საზოგადოებრივი ქსელების გამოყენება. ქალაქში სალაროს ყველა წევრი შეიძლება არ იცნობდნენ ერთმანეთს და მათი ნდობა ერთგვარად ჯაჭვურად გადაიცემოდეს ერთი ადამიანიდან მეორეზე: „მე ვენდობი მას, რადგანაც მას ენდობი შენ, ხოლო მე გენდობი შენ“.

ცხადია, რომ რაც უფრო მცირეა საზოგადოებრივი კაპიტალი, მით უფრო ძნელია ამგვარ ასოციაციაში ადამიანთა განწევრიანება. ეს მაგალითი აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გადაიქცეს საზოგადოებრივი კაპიტალი მატერიალურ მოგებად ყველასათვის. ისტორიულად, გარკვეული თვალსაზრისით ანალოგიური მექანიზმების წყალობით წარმოიქმნა ჩრდილოეთ იტალიის სავაჭრო ქალაქებში ბანკები, რომლებიც გასცემდნენ კრედიტებს (ცრედერე - იტალიურად *დაჯერება*).

საზოგადოებრივი კაპიტალის გაზრდის მისწრაფება ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი კაპიტალის ზრდის სურვილი. თანაც, საზოგადოებრივი კაპიტალი, სხვა რესურსებისგან განსხვავებით, იზრდება, და არა მცირდება მისი ხშირი მოხმარებით. და პირიქით, იგი მცირდება იმ შემთხვევაში, თუ ამ კაპიტალით არ სარგებლობენ.

საზოგადოებრივი კაპიტალი ამცირებს პარტნიორების ხარჯებს იმ ურთიერთობებზე,

რომლებიც უზრუნველყოფენ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებას. კერძოდ, ის შეთანხმება, რომელიც ერთ შემთხვევაში შეიძლება დადასტურდეს ხელის ერთი ჩამორთმევით, სხვა შემთხვევაში პარტნიორების მიერ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვს ურიცხვი ადვოკატების ჩარევას და უამრავი ქალაქდების ხელმოწერას.

ნდობა არის საზოგადოებრივი კაპიტალის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. „თითქმის ყველა კომერციული ურთიერთობა გულისხმობს თავის თავში ნდობის ელემენტს, მათ შორის ყველა ურთიერთობა, რომელიც დროთა განმავლობაში გრძელდება. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მსოფლიოში ეკონომიკური ჩამორჩენილობის დიდი ნაწილი შეიძლება აიხსნას ერთმანეთისადმი ნდობის არარსებობით“.

ზოგჯერ მიჩნეულია, რომ წარმატებული თანამშრომლობისათვის საჭიროა მესამე მხარის არსებობა - მაგალითად, სახელმწიფო კანონის უზენაესობის დაცვით შეიძლება უზრუნველყოფდეს მხარეთა შორის გარკვეული ნდობის არსებობას. მაგრამ მიუკერძოებელი სახელმწიფოს შექმნა თავად არის პრობლემა, რომელიც მოითხოვს მისდამი ნდობას როგორც მისი ფუნქციონირების წინაპირობას. სახელმწიფოს მმართველებმა თავად შეიძლება გამოიყენონ სახელმწიფო ძალაუფლება საკუთარ ინტერესებში. თანამედროვე საზოგადოებაში, მისი პლურალისტური მოწყობიდან გამომდინარე, ნდობა ვერც გაზიარებული რელიგიური ნორმებიდან წარმოიქმნება და ვერც სხვა გარეგანი ფაქტორებიდან. ნდობა, მისი წმინდა სახით, უპირობოა.

რატომ ხდება, რომ ერთი საზოგადოება ხასიათდება ნდობის უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე მეორე? ისტორიული ფესვების მოძიება არ არის საკმარისი ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ვინაიდან იგი წარმოშობს სხვა კითხვას - რატომ მოხდა, რომ ჩრდილოეთი და სამხრეთ იტალია განვითარების სხვადასხვა გზით წავიდა თუნდაც მეთორმეტმეტე საუკუნეში? იტალიის მაგალითის შესწავლა, სავარაუდოდ, ერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს - სოციალური კონტექსტი და ისტორია მნიშვნელოვნად განაპირობებენ ფორმალური ინსტიტუტების ფუნქციონირებას. საზოგადოებრივი კაპიტალის შექმნა იოლი არ არის, მაგრამ იგი გასაღებია დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტური ამუშავებისათვის.

ნდობა, ეკონომიკა და დემოკრატია

სიტყვა „ნდობა“ მეტად პოპულარული გახდა 90-იანი წლების სამეცნიერო გამოკვლევებში.

ადამიანთა შორის ნდობას, როგორც საზოგადოებრივი კაპიტალის ფორმას, ფრენსის ფუკუიამა განიხილავს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სტრუქტურის განმსაზღვრელ კომპონენტად. მისი მტკიცებით, აშშ-სა და იაპონიას გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე ამას ადრე ფიქრობდნენ. ორივე ქვეყანის მოქალაქეებს ახასიათებთ მაღალი უნარი ენდონ არანათესავეებს და, ამდენად, შექმნან დიდი ინდუსტრიული კორპორაციები. ნდობის დაბალი დონის მქონე ქვეყნებში, მაგალითად, ლათინურ ამერიკაში, ბიზნესი თითქმის მთლიანად ოჯახური სანარმოს სახით შენარჩუნდა. მხოლოდ მაღალი ნდობის მქონე საზოგადოებებში არის შესაძლებელი, რომ მესაკუთრეებმა იქირავონ პროფესიონალი მენეჯერი მათი საკუთრების სამართავად, რომელიც დაინიშნება ამ თანამდებობაზე მისი პროფესიონალიზმის წყალობით და არა ოჯახის წევრობის გამო.

ამერიკის და იაპონიის ამგვარი გაიგივება მეტად მოულოდნელად გამოიყურება და მიუთითებს იმაზე, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში ნდობის არსებობის საფუძვლები ფუკუიამას არა აქვს სათანადოდ დიფერენცირებული. ფუკუიამასთვის ადამიანი არის სანდო იმდენად, რამდენადაც იქცევა საზოგადოებაში დამკვიდრებული წესებისა და მორალის შესაბამისად. საზოგადოება მისგან მოელის გარკვეულ ქცევას, რომელსაც განაპირობებს ან მისი წარმომავლობა (მაგ. ფეოდალურ საზოგადოებაში), ან საზოგადოებაში გავრცელებული რელიგიური რწმენა, ან საზოგადოებრივი ქცევის

მიღებული პრაქტიკა (მაგ. საქართველოში პანაშვიდზე მისვლა), და ის ამ მოლოდინს აკმაყოფილებს. იაპონური, მეტად კოლექტივისტური საზოგადოებისთვის, რომელიც ეფუძნება წარმომავლობით, რელიგიურ და კულტურულ „ერთნაირობას“, ნდობის ფენომენის არსის ამგვარი გაგება, შესაძლებელია, გამართლებულია, მაგრამ ამერიკისთვის მისი გამოყენება ცოტა საეჭვოა. ამერიკელს იაპონელზე ბევრად უფრო ხშირად უხდება ტოლერანტობის გამოვლენა ქცევის განსხვავებული ნორმების მქონე ადამიანების მიმართ, ვიდრე ერთიან ნორმებზე დაფუძნებულ ურთიერთობებში მონაწილეობა. თანამედროვე ამერიკული საზოგადოება არის ინდივიდუალისტური, მასში პატივის სცემენ ინდივიდის ავტონომიას და პატიოსნებას. ადამიანის მორალი მისი პირადი საქმეა. სელიგმანის მიხედვით თანამედროვე საზოგადოებაში ორ ადამიანს შორის ნდობის წარმოქმნა შეიძლება ზოგჯერ მოითხოვდეს უპირობო რწმენას ერთიმეორის მიმართ, ისეთივე უპირობოს, როგორცაა მეგობრობა ან ღმერთის რწმენა, და რომელიც ან არსებობს, ან არ არსებობს, მაგრამ, რომლის მოთხოვნა არ შეიძლება გარეგანი პირობების დასმით.

ადამიანთა შორის არსებული ნდობა არ არის საზოგადოების ერთხელ და სამუდამოდ მოცემული მახასიათებელი. ერთი მხრივ ის, როგორც ამას პატნემი ამტკიცებს, ახდენს გავლენას დემოკრატიული და საბაზრო ინსტიტუტების კარგ ფუნქციონირებაზე. მაგრამ მეორე მხრივ, სავარაუდოდ, ამ ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირება თავად იწვევს ნდობის დონის ამაღლებას. ასე, შესაძლოა ვივარაუდოდ, რომ ადამიანთა შორის ნდობის დაბალმა დონემ იტალიასა და გერმანიაში გავლენა მოახდინა ამ ქვეყნებში დემოკრატიის დამარცხებაზე მეორე მსოფლიო ომამდე, მაგრამ ამ ნდობის მკვეთრი ზრდა ორივე ქვეყანაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში შესაძლოა მიუთითებდეს დემოკრატიული ინსტიტუტების მასტაბილიზებულ ზეგავლენაზე საზოგადოებაზე. თუმცა კი ისიც არ არის გამორიცხული, რომ ეს ზრდა უკავშირდება ამავე პერიოდში ამ ქვეყნებში ეკონომიკის სწრაფ აღორძინებას. ამჟამად სახეზეა აშშ-ში ნდობის დონის გარკვეული კლება და, აგრეთვე, გამოითქვა მოსაზრება ამ ქვეყანაში საზოგადოებრივი კაპიტალის კლების საშიშროების შესახებ, რომელსაც პატნემი გარკვეულწილად საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ტელევიზიის გავლენას უკავშირებს.

ტრადიციული და თანამედროვე საზოგადოებრივი წესრიგი

გერმანელმა მეცნიერმა ტიონისმა (Tunnies) საზოგადოებრივ მეცნიერებებში დაამკვიდრა ორი გერმანული ტერმინის გამოყენება, Gemeinschaft (თემი) და Gesellschaft (საზოგადოება) ორი ტიპის საზოგადოებრივი წესრიგის განსასხვავებლად. პირველი, Gemeinschaft შეესაბამება არამოდერნიზებულ, ტრადიციულ ერთობას, ხოლო მეორე, Gesellschaft, მოდერნიზებულ, ინდუსტრიალიზებულ, კონკურენციის საფუძველზე აგებულ საზოგადოებას. პირველს ტიონისი ერთგვარი ნოსტალგიით აღწერს როგორც ჰარმონიულს და ჰუმანურს, ხოლო მეორეს, რომელშიაც ადამიანები მუდმივად ქიშპობენ და პაექრობენ საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად, განიხილავს დეჰუმანიზირებული, ეგოისტური ინტერესების ბრძოლის ველად.

თანამედროვე ტიპის საზოგადოების წარმოქმნამდე, ტრადიციულ საზოგადოებებში, Gemeinschaft -ში, ადამიანის ურთიერთობები ნაკლებად მრავალფეროვანი იყო, მათ ხასიათს (და მის ქცევას) განაპირობებდა ადამიანის ადგილი საკმაოდ ვიწრო და მდგრად ერთობაში, საზოგადოებრივი წესრიგი უფრო ჰარმონიული იყო და ეფუძნებოდა ჩვეულებებს, ეროვნულ თავისებურებებს, ემოციებს და რელიგიას. საზოგადოებრივი ურთიერთობები იყო რეგლამენტირებული ურთიერთობები ადამიანებს შორის პირისპირ. ადამიანთა შორის სოლიდარობა ამ საზოგადოებაში მექანიკურად მომდინარეობს მათი ნათესაური, თემური ან

მეზობლური დამოკიდებულებისგან.

თანამედროვე საზოგადოებრივი წესრიგი, Gesellschaft-ი, ეფუძნება რაციონალურ გათვლას და რაციონალური სურვილების ერთობას, იგი აგებულია კონტრაქტის, შეთანხმების საფუძველზე, მას იცავს პოლიტიკური კანონმდებლობა და იდეოლოგიურად ამართლებს საზოგადოებრივი აზრი. ცივილიზებული ადამიანი აზროვნებს რაციონალურად, მოქმედებს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, თავად ირჩევს ურთიერთობათა სახეობას, ის მობილურია, მოდულური (გელნერის გაგებით), ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ურთიერთობებისთვის მისი ფუნქციონალური მახასიათებლები (მაგ. პროფესიონალიზმი) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი პიროვნული თავისებურება. ამ საზოგადოებაში სოლიდარობა ადამიანთა შორის ჩნდება მათი ინტერესებისა და მიზნების ორგანული თანხვედრის შედეგად.

ოჯახი და ოჯახური ურთიერთობები დომინირებს პირველი ტიპის საზოგადოებრივ წესრიგში, რომელთანაც უფრო ახლო დგას სოფლის მოწყობა. დიდი ინდუსტრიული ქალაქი უფრო ახლოა მეორე ტიპის საზოგადოებასთან. შემთხვევითი არ არის, რომ „სამოქალაქო“ საზოგადოება - ეს არის მოქალაქეთა, ქალაქელთა საზოგადოება.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ადამიანი მონაწილეობს ორივე ტიპის ურთიერთობებში, ცხადია, რომ სანყისები, რომლებზედაც ხდება თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში შესვლა, განსხვავებულია ურთიერთობების ტრადიციული ფორმისგან. ტრადიციული სანყისები ადამიანთა ურთიერთობისა არაა საკმარისი თანამედროვე ეკონომიკური და პოლიტიკური წესრიგის ფუნქციონირებისათვის, და ეს პრობლემა - ერთი ტიპის ურთიერთობებიდან მეორეზე გადასვა - თუმცა კი, ყოველთვის მტკიცებულია, ყველა საზოგადოებაში ერთნაირად იოლად არ წყდება. თუ ტრადიციული ურთიერთობები უბრალოდ მოიშალა თანამედროვე წესრიგის ხელოვნურად დამკვიდრების შედეგად, და მათ ადგილზე არ წარმოიქმნა სამოქალაქო საზოგადოება, ხელოვნურმა მოდერნიზაციამ შეიძლება უბრალოდ დაანანევროს ადამიანები იმის ნაცვლად, რომ გამოიწვიოს შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება.

ამ კუთხით განხილული სამოქალაქო საზოგადოების პრობლემა უკავშირდება საზოგადოების უნარს დაამყაროს ქმედითი თანამშრომლობა დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ჩვენში მას, ოდნავ განსხვავებული ტერმინებით, ხშირად უბრუნდებიან როდესაც ცდილობენ გასცენ პასუხი კითხვას - როგორ გავხდეთ დემოკრატიულები ისე, რომ არ დავკარგოთ ტრადიციული ფასეულობები და ურთიერთობების ჩვენებური, ქართული სტილი? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე გავიარეთ საბჭოური ტიპის, ძალისმიერი მოდერნიზების პროცესი, ამ კითხვაზე პასუხი ჯერ არა გვაქვს გაცემული, ვინაიდან საბჭოთა დროს მოდერნიზაცია სწორედ გათიშულად და ატომიზირებულად გავიარეთ, ხოლო ის თანამშრომლობა, რომელიც პოლიტიკასა თუ ეკონომიკას ეხება, მხოლოდ ამჟამად დაგვჭირდა.

როგორც ტიონისის ანალიზი აჩვენებს, მარტო ტრადიციებზე დაყრდნობით თანამედროვე ურთიერთობების აგება შეუძლებელია. რაც არ უნდა ღირებული და აუცილებელი იყოს ჩვენთვის რელიგიური, კუთხური, ეროვნული, კულტურული თუ სხვა იდენტურობებისა და ერთობების აღდგენა, ისინი ყველა მიეკუთვნება მექანიკური, Gemeinschaft-ის სოლიდარობის ტიპს. Gesellschaft -ის ორგანული და ინდივიდუალისტური სოლიდარობის დამკვიდრება სხვა ტიპის ურთიერთობების აღმოცენებასთანაა დაკავშირებული. ურთიერთობების „სოფლური“ სტილი, რომელიც ნაცნობობის და პიროვნული ურთიერთობების დომინირებით ხასიათდება, ეკონომიკას და პოლიტიკას ანიჭებს კლანურობის არაკონკურენტულ ხასიათს. ხომ არ არის ეს ასევე ჩვენს ქვეყანაში კორუფციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი?

Gesellschaft -ში ადამიანს მუდმივად უწევს ურთიერთობების დამყარება სხვა ადამიანებთან ისე, რომ ეს ურთიერთობა არ არის რეგლამენტირებული არც ნაცნობობით,

არც ნათესაობით, არც გაზიარებული მორალითა და არც რელიგიური ნორმებით. მას აქვს უფლებები და ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ როგორია მისი უფლებები და ვალდებულებები სხვა ადამიანების, საზოგადოების წინაშე?

აქ წინა პლანზე გამოდის პატიოსანი, თავისი სიტყვის ერთგული, შეთანხმების შემსრულებელი ადამიანის პრობლემა. ადამიანისა, რომელსაც პირობის შესრულებას პირველ რიგში აიძულებს არა სასჯელის შიში, არამედ საკუთარი სინდისი. შემთხვევითი არაა, რომ ეს საკითხი ფართოდ იხილებოდა მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფოსებისა და მორალისტების ნაწერებში. „გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქალაქის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს“ (ილია ჭავჭავაძე).

მკვიდრდება თუ არა Gesellschaft-ისთვის დამახასიათებელი ურთიერთობები დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგად, თუნდაც შორეულ მომავალში, თუ მათი კულტივირება სპეციალური ზრუნვის საგანი უნდა იყოს? შესაძლოა კი, მათი კულტივირება, თუ ეს არის პოლიტიკური კულტურის ის პარამეტრი, რომელიც ვერ შეიცვლება მოცემული კულტურის ჩარჩოებში? ყველა ეს კითხვა, ცხადია, სცდება სამოქალაქო საზოგადოების პრობლემატიკას და მოიცავს ზოგადად როგორც დემოკრატიის დამკვიდრების, ასევე ეკონომიკური განვითარების პრობლემებს.

ლიტერატურა:

Robert D.Putnam, *Making Democracy Work, Civic Traditions in Modern Italy*, Princeton University Press, 1994

ლექცია 4

ტოკვილი, „დემოკრატია ამერიკაში“

პატნემის კვლევა, არსებითად სამოქალაქო საზოგადოების არსს სოციოლოგიური თვალსაზრისიდან უდგება. ის იკვლევს იმას, თუ როგორ უკავშირდება სოციალური კომუნიკაციის გარკვეულის ტიპი, სტრუქტურა, დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებას. ტოკვილის ნაშრომი „დემოკრატია ამერიკაში“ ასევე დიდწილად ამ კუთხით უდგება პრობლემას – ისიც, პატნემის მსგავსად, თითქმის ტოლობის ნიშანს სვამს საზოგადოების სტრუქტურასა და დემოკრატია (პოლიტიკურ რეჟიმს) შორის. შემდგომში ჩვენ გავეცნობით კიდევ ერთ ლიბერალ ავტორს – გელნერს, რომელიც მსგავსი მიდგომით ხასიათდება (დემოკრატია აიგივეებს საზოგადოებრივი ურთიერთობების სტრუქტურასთან, ხოლო ამ უკანასკნელის დემოკრატიულ ბუნებას მიიჩნევს მხოლოდ დასავლურ, ევროპულ მახასიათებლად).

ტოკვილის კვლევა, რომელიც უკვე მეორე საუკუნეა თავის აქტუალობასა და მნიშვნელობას არ კარგავს, აღწერს მხოლოდ ერთ ქვეყანას – ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაგრამ იმპლიციტურად შედარებით ანალიზს ეყრდნობა, ვინაიდან ამერიკის საზოგადოებას ის აღწერს ევროპელი მკითხველისთვის. ამდენად ამერიკის „დემოკრატიულ“ საზოგადოებას ის წარმოაჩენს საფრანგეთის და ევროპის „არისტოკრატიულ“ საზოგადოებებთან შედარებაში. ტოკვილი აღწერს პირველ რიგში სხვაობას დემოკრატიულ და არისტოკრატიულ საზოგადოებებსა და მათ სხვადასხვა ინსტიტუტებსა და ღირებულებებს შორის. ტოკვილის კვლევა სოციოლოგიურია და ფენომენოლოგიური, ის მოიცავს როგორც დესკრიპტულ აღწერას იმ ურთიერთობებისა, რომლებიც ავტორმა თითქმის ორი საუკუნის წინანდელ ამერიკაში დაინახა, ასევე იმ ფსიქოლოგიურ განწყობებისა და ლეგიტიმაციის პრინციპების ანალიზს, რომლებიც აგებს, ავითარებს ამ ინსტიტუციონალურ მონაცემებს ამერიკაში. ტოკვილის კვლევის შესწავლისას ჩვენ გავამახვილებთ ყურადღებას ინსტიტუციონალური მიდგომის თვალსაზრისიდან დემოკრატიული და არისტოკრატიული საზოგადოებების ინსტიტუტების შედარებაზე, ხოლო ლეგიტიმაციის თვალსაზრისით – თანასწორობისა და თავისუფლების პრინციპების დაპირისპირებაზე.

თუმცა კი, თავად ტოკვილისთვის მთავარი ინტერესი იყო პოლიტიკური ინსტიტუტები, რაც, იმ პერიოდში საფრანგეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ფრანგისთვის ძირითად ინტერესს წარმოადგენდა. შეიქმნებოდა თუ არა საფრანგეთში „თავისუფალი დემოკრატია“ თუ „დემოკრატიული ტირანია“ – ეს იყო ის კითხვა, რომელიც იდგა მის წინაშე იმ დროს (1848). ამერიკის მაგალითის განხილვისას ის ხაზს უსვამს იმას, რაც ხშირად აკლია დღესაც ახალი დემოკრატიების პოლიტიკოსებს: „არ გადმოვიტანოთ მონურად ის ინსტიტუტები, რომლებიც ამერიკელებმა შექმნეს თავისთვის, არამედ უკეთ გავიგოთ მასში ის, რაც ჩვენ გვადგება; არა იმდენად დავესესხოთ მაგალითებს, არამედ უბრალოდ ჭკუა ვისწავლოთ, ხოლო თუკი რამეს ვისესხებთ, ეს იყოს თავად პრინციპები, და არა კანონების კერძო დეტალები“. (გვ.24). სწორედ ამიტომ, რომ ტოკვილი სწავლობს ინსტიტუტებს მათ დისკურსულ მნიშვნელობებთან, ანუ ლეგიტიმაციის საწყისებთან ერთად.

ის, რასაც ტოკვილი ხედავს ამერიკაში, და რაც მისთვის აღმოჩენაა, არის დემოკრატიული საზოგადოება – საზოგადოება, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ევროპული არისტოკრატიული საზოგადოებებისგან, და დემოკრატია, რომელსაც ქმნის ეს საზოგადოება. ტოკვილი ცდილობს იყოს ობიექტური და მიუკერძოებლად აღწეროს ის, რასაც ხედავს. მას თან მოსწონს და აღაფრთოვანებს ეს ახალი, განსხვავებული ამერიკული საზოგადოება, თან აშინებს და აფრთხობს ბევრი მისი თვისება. კერძოდ, და მთავარი, რაც უნდა აღვნიშნოთ, არის მისი შიში „დემოკრატიული ტირანიისა“, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებებში შეიძლება დამყარდეს. ამ საშიშროების საანალიზოდ ტოკვილი იყენებს თავისუფლებისა და

თანასწორობის ღირებულებრივ დაპირისპირებას ამერიკელთა ცნობიერებასა და პრაქტიკაში.

„თავისუფალი დემოკრატიის“ დაპირისპირება „დემოკრატიულ ტირანიასთან“ მომდინარეობს იქიდან, რომ ტოკვილი მკაფიოდ ასხვავებს და უპირისპირებს ერთმანეთს თანასწორობასა და თავისუფლებას. უმრავლესობის ბატონობა, რაც დემოკრატიული ხალხებისთვისაა დამახასიათებელი, შეიძლება გადაიქცეს ტირანიად, თუკი მას ადამიანთა თავისუფლება დააკლდა.

ამერიკის პოლიტიკური წყობის ერთადერთი საწყისია ხალხის მმართველობის პრინციპი. ეს წყობა უაღრესად დემოკრატიულია, ხოლო ამერიკელების მდგომარეობა ბევრი გაგებით თანასწორია, და ეს თანასწორობა, ტოკვილის აღწერით, არის არა მარტო უფლებრივი თანასწორობა (შესაძლებლობათა, ნეგატიურ თავისუფლებათა თანასწორობა), არამედ ფაქტობრივი „სითანაბრე“, მსგავსება როგორც ქონებრივი, ასევე ინტელექტუალური. ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა ამერიკული საზოგადოება, რომ მოსახლეობის დიდ მასებს გააჩნიათ მეტ-ნაკლებად ერთნაირი შესაძლებლობები აწარმოონ ეკონომიკური საქმიანობა და შეიძინონ ცოდნა, და ეზიარონ პროფესიულ საქმიანობას, რომელსაც მისდევს უმრავლესობა. ამდენად, არისტოკრატიული ელიტები მეტად დასუსტებულია, თუ არა გამქრალი. მათ არა აქვთ არც ქონებრივი და არც ინტელექტუალური თვალსაზრისით წამყვანი როლი; წოდებრივი და ოჯახური გავლენები საზოგადოებაში არ შეიმჩნევა. ამერიკა არის ის ქვეყანა, რომლის მოქალაქენი მსოფლიოში ყველაზე თანაბარია თავისი ქონებრივი და ინტელექტუალური განვითარებით.

ბუნებრივია, რომ ამგვარი თანასწორობა (სითანაბრე) ბადებს პოლიტიკურ თანასწორობასაც. მაგრამ პოლიტიკური თანასწორობის მიღწევა შესაძლებელია ორი გზით: ან ყველა მოქალაქეს მიეცეს თანაბარი პოლიტიკური უფლება, ან არავის არ მიეცეს.

„თავისუფლების მიღწევა“, ტოკვილის მიხედვით, „არ შეადგენს ადამიანთა ცხოვრების მთავარ და მუდმივ მიზანს; ერთადერთი, რაც მათ უსაზღვროდ უყვართ, არის თანასწორობა“ (გვ.61). ამერიკელებმა მოახერხეს ისეთი თანასწორობის მიღწევა, როდესაც ხალხის მმართველობა შენარჩუნებულია. ეს, ტოკვილის მიხედვით, უკავშირდება მათ მისწრაფებას და უნარს რომ მუდმივად შექმნან გაერთიანებები და იმოქმედონ კოლექტიურად. სხვანაირად თანასწორობის მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ცალ-ცალკე არც ერთს არ ექნებოდა საკმარისი ძალა, რომ თავი დაეცვა მმართველების ტირანიისგან.

გაერთიანებათა შექმნის თავისუფლება, ამდენად, ერთ-ერთი ფუძემდებლური თავისუფლებაა, რომელსაც მოაქვს, საყოველთაო ხმის უფლებასთან ერთად, თავისუფალი დემოკრატიული მოწყობა. მის გარეშე, და ადამიანთა მუდმივი საზოგადოებრივი აქტიობის გარეშე იგივე თანასწორობა თავისუფლების წყარო არ იქნებოდა.

ტოკვილის აღწერაში, ამერიკელების ცხოვრებაში პოლიტიკურ საქმიანობას უზარმაზარი ადგილი უკავია. „საზოგადოების მართვაში მონაწილეობის მიღება და მასზე ლაპარაკი - ეს არის ამერიკელისთვის ყველაზე მთავარი საქმიანობა და ყველაზე დიდი სიამოვნება“ (გვ. 191). საჯარო შეხვედრები, კლუბები, პარტიები – ყველაფერი ეს დულს და მუშაობს. „უნყვეტი საქმიანობა პოლიტიკურ სფეროში, რომელიც დემოკრატიული მმართველობის პირობებში ჩნდება, შემდეგ გადადის სამოქალაქო ცხოვრებაშიც. შესაძლებელია, საბოლოოდ, სწორედ ამაში მდგომარეობს დემოკრატიის ძირითადი უპირატესობა. მისი ძირითადი ფასეულობა არა ისაა, რასაც ის თავად აკეთებს, არამედ ის, რაც კეთდება მისი წყალობით“ (გვ.191).

ამდენად, ტოკვილისთვის დემოკრატია კარგია არა იმიტომ, რომ დემოკრატიული მთავრობები კარგად მუშაობენ (რაც სათუთა), არამედ მის მთავარ მიღწევას მისი გვერდითი პროდუქტი წარმოადგენს – ის გავლენა, რომელსაც ხალხზე ახდენს მმართველობაში მონაწილეობის მუდმივი პრაქტიკა. ასეთი ხალხი უფრო განათლებულია და ენერგიული. ეს კი, საბოლოო ჯამში, ავითარებს ეკონომიკას. აქ ლაპარაკია სწორედ „თავისუფალ დემოკრატიაზე“ ტოკვილის ტერმინოლოგიით, ან „ლიბერალურ დემოკრატიაზე“, თუკი დღესდღეობით უფრო

მიღებულ ცნებებს გამოვიყენებთ. ლიბერალური დემოკრატია, ამდენად, შესაძლოა ნაკლებად სასურველი იყოს ერთპიროვნულ მმართველობასთან შედარებით, ტოკვილის მიხედვით, მოკლევადიან პერსპექტივაში (ვინაიდან ერთი მმართველი შეიძლება საუკეთესო მმართველი აღმოჩნდეს, ხოლო დემოკრატიის გზით მხოლოდ მმართველობის საშუალო დონე მიიღწევა), მაგრამ იგებს გრძელვადიანი განვითარების თვალსაწიერიდან. და ეს მოგება სწორედ მის საზოგადოებრივ, და არა უშუალოდ პოლიტიკურ ზეგავლენას უკავშირდება.

მაგრამ ამ საყოველთაო პოლიტიკურ ჩართულობას და თანასწორობაზე დაფუძნებულ უმრავლესობის ბატონობას, რომელიც ამერიკაში უსაზღვროა, შეიძლება მოჰყვეს განუკითხაობა, და მისი შემზღვეველი არაფერი იარსებებს. არანაირი მექანიზმი, რომელიც დაიცავს ადამიანს უმრავლესობის განუკითხაობისგან, არ არსებობს. განსაკუთრებით კი, გაუსაძლისია უმრავლესობის, ანუ საზოგადოებრივი აზრის ბატონობა. “ მე არ ვიცნობ არც ერთ ქვეყანას“, ამბობს ტოკვილი, „სადაც საბოლოო ჯამში სულიერი თავისუფლება და სიტყვის თავისუფლება იმდენად შეზღუდული ყოფილიყო, როგორც ამერიკაში“. უმრავლესობის ტირანია ამ მხრივ ბევრად უფრო სრულია, ვიდრე ნებისმიერი მონარქიული წყობის ტირანია, და თუნდაც ესპანური ინკვიზიცია. საზოგადოებრივი აზრი, ამდენად, ტოკვილთან, წარმოჩინდება მისი უზარმაზარი ძალით, რომელიც მიმართულია (ზოგჯერ) აზროვნების თავისუფლების საპირისპიროდ. მას მერე, რაც საზოგადოებრივი აზრი რაიმე საკითხზე ფორმირებულია, იშვიათად თუ გაბედავს ვინმე საჯაროდ საპირისპირო აზრის გამოთქმას. (კომენტარი: საზოგადოებრივი აზრი ტოკვილისეულ ამერიკაში მართავს, ის არ არის უბრალოდ „სადაზღვრეო ძალი“, რომელიც თავისი კრიტიკული პოტენციალით საზღვარს უდებს მმართველთა თვითნებობას. ამ მხრივ ამერიკული დისკურსი განსხვავდება შემდგომ საუკუნეებში ევროპაში ჩამოყალიბებული საჯარო დისკურსისგან. ეს ხდება იმიტომ, რომ იმდროინდელ ამერიკაში არ არსებობს მმართველობითი პასუხისმგებლობით აღჭურვილი არისტოკრატია, სოციალურად განსხვავებული ფენა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მიღმა არსებობს. სამოქალაქო საზოგადოება აქ მართავს – არა მარტო იმ გაგებით, რომ ირჩევს ამა თუ იმ პოლიტიკურ ელიტებს არჩევნების გზით, არამედ იმითაც, რომ მუდმივად იღებს მმართველობაზე პასუხისმგებლობას და არ იხსნის ამ პასუხისმგებლობას იმ მოტივით, რომ ის არჩეულ მოხელეებზე გადაიტანოს).

საზოგადოებრივი აზრის ეს უზარმაზარი ძალა წარმოუდგენელია არისტოკრატიულ საზოგადოებებში. და აქ პირველ პლანზე გამოდის სხვაობა არისტოკრატიულ ხალხებსა და დემოკრატიულ ხალხებს შორის, რომლებიც (ეს უკანასკნელები) თანასწორობის პრინციპებზეა აგებული. ინდივიდუალიზმი, რომელსაც ტოკვილი დემოკრატიული საზოგადოებების წარმოქმნას უკავშირებს, ეს არის არა მარტო სტრუქტურული (სოციალური) ახლებური მონყოლის მაჩვენებელი, არამედ პიროვნების იდენტურობის ფორმირების განსხვავებული სტილი. არისტოკრატიულ საზოგადოებებში ადამიანის იდენტურობის ფორმირებაში ჩართულია მისი კლასობრივი და სტატუსური მიკუთვნებულობა, მისი კავშირები წინაპრებთან და ვალდებულებები მომავალ თაობათა წინაშე. კლასი არისტოკრატიულ საზოგადოებაში პატარა სამშობლოს როლს ასრულებს. დემოკრატიულ საზოგადოებებში კი, ადამიანები უფრო ახდენენ თვითიდენტიფიკაციას მთელ კაცობრიობასთან, და არა კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთან. ადამიანი ემანსიპირებულია როგორც წარსულისგან, ასევე მომავლისგან, დროის შემაკავშირებელი ძარღვი წყდება და ადამიანები უფრო გულგრილები ხდებიან ერთმანეთის მიმართ. მათი იდენტურობა, ამდენად, ხდება უფრო „დეკრიპტული“ ვიდრე „ასკრიპტული“.

საზოგადოების ეს გათიშულობა და „მასობრიობა“ (უფრო გვიანდელი ავტორების ტერმინოლოგიით) დესპოტიის საუკეთესო საწყისია, თუ არ არსებობს ძალისხმევა საერთო საქმეთა საკეთებლად.

„როდესაც სახელმწიფოს მართავს საზოგადოებრივი აზრი, ყველა ადამიანს ესმის საზოგადოებრივი აღიარების მნიშვნელობა, და თითოეული ცდილობს მიაღწიოს მას, ცდილობს დაიმსახუროს იმათი პატივისცემა და კეთილგანწყობა, რომელთა შორის მან უნდა იცხოვროს“

(გვ.376) და ეს არის საზოგადოებრივი აზრისა და პოლიტიკურ თავისუფლების შინაგანი კავშირი, რომელიც ამარცხებს თანასწორობის ნაკლოვანებებს თავისუფლების ძალით.

ტოკვილის ნაწერებში თანასწორობა, ამდენად, უფრო უკავშირდება საზოგადოების მოდერნიზაციას, და არა მის დემოკრატიზაციას ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. ტოკვილის დემოკრატია, ანუ თანასწორობა (ეგალიტარული საზოგადოება) შეიძლება იყოს როგორც ლიბერალური, ასევე ტოტალიტარული. ეს ბრწყინვალე განჭვრეტაა იმ მომავლისა, რომელიც ტოკვილის შემდგომ საუკუნეს იჩენს თავს: მოდერნიზაციამ, ცხოვრების პირობების თანასწორობასთან ერთად, მოიტანა ორი ტიპის „დემოკრატიების“ წარმოქმნა – დასავლური, ლიბერალური და საბჭოური ტოტალიტარული (ასევე ფაშისტური გერმანია). ეს დაპირისპირება ლიბერალურ და არალიბერალურ დემოკრატიებს შორის დღესაც არის აქტუალური, ვინაიდან უკავშირდება დემოკრატიზაციას ისეთ საზოგადოებებში, რომლებიც თავისი სტრუქტურით არანაირად არ არიან დემოკრატიულები, ან ისეთ საზოგადოებებში, რომლებიც, პირიქით, დემოკრატიულია, მაგრამ თავისუფლების ტრადიცია არა აქვს.

ოღონდ აქ არ უნდა დაფუძვთ ტერმინოლოგიური შეცდომა. თანასწორობა ტოკვილთან უპირისპირდება თავისუფლებას, რომელსაც საყოველთაო ხმის უფლება და საყოველთაო პოლიტიკური უფლებები უზრუნველყოფენ. ანუ საყოველთაო არჩევნები დემოკრატიის ნაწილად კი არ განიხილება, არამედ მის ლიბერალურ კომპონენტად. ნიშნავს თუ არა ეს, რომ „საარჩევნი დემოკრატიები“ („მინიმალური“, „არალიბერალური“ დემოკრატიები) უკვე თავისუფალია ტიკვილისეული ტერმინოლოგიით?

რაც შეეხება საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს, რომელშიაც პიროვნება სრულიად დამონებული იყო უმრავლესობის მიერ, მისი ამ ნიშნით შედარებისას ლიბერალურ დემოკრატიასთან ტიკვილისეული ტერმინოლოგიის გამოყენება სავსებით შესაძლებელია. რაც შეეხება „მინიმალურ დემოკრატიებს“, სადაც ტარდება საყოველთაო არჩევნები, ხომ არ არიან ისინი სწორედ „თავისუფალი“ ტოკვილის გაგებით?

პოსტსაბჭოთა სივრცე წააგავს ტოკვილისეულ დემოკრატიულ საზოგადოებას მოდერნიზირებულობის დონით, რის გამოც მას არისტოკრატიული საზოგადოების ნიშნები აღარა აქვს. ამის გარდა, მართალია, მასში საყოველთაო არჩევნებზე ტარდება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტოკვილი არ ასახელებს უშუალოდ არჩევნებს როგორც თავისუფლების პირობას. ის ამბობს, რომ თავისუფლების საწინდარია მოქალაქეთა მონაწილეობა მმართველობაში, მუდმივი ჩართულობა, სამოქალაქო და პოლიტიკური აქტიობა და გაერთიანების უნარი. ეს კი, თავის მხრივ, არსებობს მაშინ, როდესაც არსებობს ხელისუფლების არჩევითობა. ანუ სამოქალაქო (და პოლიტიკური) საზოგადოებებია თავისუფლების საწინდარი, და არა უშუალოდ არჩევნები. თუკი არჩევნები ტარდება, მაგრამ მოსახლეობა ატომიზირებულია და პასიური (როგორც ეს პოსტსაბჭოთა სივრცეში ხდება), ხელისუფლება ისევე ადვილად დაამყარებს ბატონობას თითოეულზე, როგორც არჩევნების არარსებობის პირობებში.

ამდენად, „სოციალური კაპიტალი“, რომელზედაც ლაპარაკობს პატნემი, იცავს ამერიკელებს უმრავლესობის ტირანიისგან, ტოკვილის მიხედვით. სოციალური კაპიტალის არარსებობა ახალ დემოკრატიებში საშიშია, ვინაიდან უმრავლესობის ბატონობას ხდის დესპოტურს და ტირანიულს.

ლიტერატურა:

Алексис де Токвиль, Демократия в Америке, гв. (რუსული გამოცემის მიხედვით) 158-159, 177-178, 190-203, 222-228, 322-324, 371-388

ლექცია 5

თანამედროვე თეორიები სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესახებ საჯარო და კერძო პოლიტიკურ აზროვნებაში

ადამ სელიგმანის მიხედვით, კერძოსა და საზოგადოებრივის ცნებები, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების ცნება, დღესდღეობით ისევ გახდა აქტუალური, და არის უამრავი ნიგნის, სტატიის, კონფერენციისა და სიმპოზიუმის საგანი. თუმცა კი, ეს ცნებები ან იდეები ახალი არ არის და ადრეც უკვე იყო გამოყენებული ანთროპოლოგთა, პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტთა და სოციოლოგთა ნაშრომებში. „დანყებულნი ჰანა არენდტის ნაშრომით „Vita Activa“ (1958), შემდგომში ჩარლზ მაიერის გავლენიანი ტომით „საჯაროსა და კერძოს საზღვრები“ (1987) და დამთავრებული ინგლისურ ენაზე იურგენ ჰაბერმასის „საჯარო სფეროს სტრუქტურული ტრანსფორმაციის“ პუბლიკაციით (1989, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა მკვლევართა ყურადღების ახალი მიმართულებით წარმართვაში), კერძოსა და საზოგადოებრივის ცნებები სამეცნიერო წრეებში სულ უფრო გამოკვეთილი და პრესტიჟული ხდება“.

ამ ცნებებს სხვადასხვა ნაშრომებში განსხვავებული მნიშვნელობა და განმარტება ეძლევა. მაგალითი იმ წინააღმდეგობრიობისა, რომელიც არსებულ მიდგომებს ახასიათებს, შეიძლება აღმოვაჩინოთ კერძოსა და საზოგადოებრივის არენდტისეულ ხედვაში; მისი გაგებით ისინი თანამედროვეობის ხანაში იწყებენ გაქრობას „სოციალურის აღზევებასთან“ ერთად. „სოციალურის აღზევება“ არის ტერმინი, რომელიც მას მოაქვს სწორედ იმ სხვაობის დასასრულის აღსანიშნავად, რომელიც მანამდე (მაგალითად, ანტიკურობის ხანაში) კერძოსა და საზოგადოებრივ შორის არსებობდა. არენდტი წინააღმდეგობაში მოდის სხვა თეორეტიკოსთა ნაშრომების უმეტესობასთან, მარქსით დანყებული და ჰაბერმასით დამთავრებული, რომელთაგან ყველა სწორედ მეთვრამეტე საუკუნესა და თანამედროვე კაპიტალისტური კულტურის საწყისებში პოულობენ საზოგადოებრივ და კერძო სფეროებს შორის განსხვავების წარმოქმნის საწყისებს – იმ განსხვავებისა, რომლის დაკნინებას არენდტი იმავე (თანამედროვეობის) პერიოდში ათავსებს.

საზოგადოებრივისა და კერძო გააზრების შესანიშნავ საფუძვლეს ქმნის ნორბერტო ბობიო თავის კლასიკურ ნაშრომში „საზოგადოებრივი და კერძო/ დიდი დიქტომია“, სადაც ის ამ ცნებების კლასიფიცირებას ახდენს თანასწორობა/ უთანასწორობის და (მთელისა და ნაწილების მიმართების)/(ნაწილებს შორის ურთიერთობის) ფარდობით ტერმინებში. მისი სქემა დაახლოებით შემდეგნაირად გამოიყურება:

საზოგადოებრივი

უთანასწორობა

ურთიერთობები:

ნაწილებსა და მთელს შორის

ღმერთი

სახელმწიფო

ოჯახი

კერძო

თანასწორობა

ურთიერთობები:

ნაწილებს შორის

ძმები

ტომი

მეგობრები

მოქალაქეები

მტრები

ცხადია, ეს დიქტომიები უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც იდეალური ტიპები, რომელშიც პოლიტიკის თეორიაშია გამოსაძეგი. „როგორც კი ვცდებით პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროსა და ყოველდღიური ცხოვრების დეტალებს ვეხებით, - ამბობს სელიგმანი - მასში პრობლემებს ვაწყდებით. ასე, ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობები, თუმცა კი,

ნამდვილად უთანასწოროა და მთელისა და ნაწილის მიმართებასთან შესაბამისობაში იმყოფება, ასევე ხშირად განისაზღვრება სინდისის კერძო ხასიათისა და, ხშირ შემთხვევებში, სახლის ან სხვა განმარტოების ადგილების პრივატულობის კონტექსტში. ოჯახი, ანალოგიურად, თანამედროვეობის ხანაში კერძო სფეროში შევიდა, ხოლო სახელმწიფო, თავის მხრივ, ჩართული აღმოჩნდა კერძო ცხოვრების და პრობლემების რეგულირებაში. დაყოფის მეორე სვეტს თუ დავაკვირდებით, ურთიერთობა ძმებს შორის მხოლოდ ზოგიერთ კულტურაშია თანასწორი, ხოლო სხვებში არა. ტომობრივ საზოგადოებებში ნათესაური კავშირების სისტემა შეიძლება ან თანასწორობის, და ან იერარქიის პრინციპებს ეყრდნობოდეს, და ერთს მეორესთან ანალიტიკური უპირატესობა არა აქვს. მეგობრობა, როგორც თანასწორთა არაფორმალური ურთიერთობა, ასევე უაღრესად თანამედროვე მოვლენაა, მეტად განსხვავებული ვარიაციებით კულტურებისა და ისტორიული პერიოდების მიხედვით. ის, რაც მაინც რჩება ბოზიოს განმარტებისგან, არის პრინციპული და ღრმააზროვანი გაიგივება საჯაროსი - მთელისა და ნაწილების ურთიერთობასთან, ხოლო კერძოსი - ნაწილებს შორის ურთიერთობასთან”.

ბოზიოს განმარტება უპირისპირებს ერთმანეთს ორ საწყისს სამოქალაქო საზოგადოებაში ადამიანთა შორის ნდობის შექმნისა. თანამედროვე საზოგადოებებში ამ ნდობას (და, ფაქტობრივად, ეთიკას) ქმნის კერძო სფერო, (ის კერძო სფერო, რომელსაც ბოზიო განსაზღვრავს როგორც ნაწილებს შორის ურთიერთობის ფორმას), მაშინ როცა უფრო ძველ ტრადიციაში ნამყვან როლს თამაშობდა არა ნდობა პიროვნებებს შორის, არამედ ინსტიტუციონალიზებული ურთიერთობების ნორმები, საჯარო სფეროში მიღებული ქცევის მოდელები, მთელისა და ნაწილის მიმართების მორალი (მორალისა და ეთიკის ჰეგელისეული განსხვავების ტერმინებში).

მოკლედ მიმოვიხილოთ პოლიტიკური აზროვნების ის ორი ტრადიცია, „რომელთა მორალური იმპერატივები უშუალოდ უკავშირდება კერძოსა და საზოგადოებრივის ამ ორ მეტად განსხვავებულ სფეროს და რომლებიც, შესაბამისად, გასული ორი ასწლეულის მსვლელობაში, საზოგადოებრივი სიკეთის ბაზისად ურთიერთობების ან ერთსა, და ან მეორე სიმრავლეს იაზრებდნენ. შევისწავლოთ კერძო/საზოგადოებრივის პრობლემის როლის გარკვეული მომენტები პოლიტიკურ და მორალურ ფილოსოფიაში.” სელიგმანის მტკიცებით, თუკი ჩვენ შევისწავლით ორ პოლიტიკურ ტრადიციას, რომლებსაც მოკლედ დავარქმევთ „მოქალაქეობრივი ღირსების” და „სამოქალაქო საზოგადოების” ტრადიციებს, ჩვენ აღმოვაჩინებთ კერძოსა და საზოგადოებრივის - როგორც სათნოებისა და ზნეობის წყაროების - ორ მეტად განსხვავებულ ვერსიას. ამ ორი პოლიტიკური ხედვისთვის მორალისა და ზნეობრივი წესრიგის მაფორმირებელი მთავარი ურთიერთობები მეტად განსხვავებულ სიმრავლეებს შეადგენენ - ერთია ურთიერთობები ნაწილებსა და მთელს შორის, ხოლო მეორე - ურთიერთობები ნაწილებს შორის.

ანუ არსებობს ორი ტრადიცია, რომელიც ორივე სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას ეხება, და სწორედ იმ მის ელემენტს, რომლის „გაქრობასაც” ემდურის არენდტი თავის ნაშრომში - კერძო და საზოგადოებრივი სფეროების, მათი ცალ-ცალკე და ერთად არსებობის ელემენტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთისთვის დამახასიათებელია თანამედროვეობის ხანაში არა რომელიმე ერთ ტრადიციაზე აქცენტის გაკეთება, არამედ ორივე ტრადიციის ბრძოლა ერთმანეთთან პოლიტიკურ ველში. შესაძლებელია, არენდტი, ისევე როგორც ბევრი სხვა თანამედროვე რესპუბლიკელი მოაზროვნე, აღნიშნავს უბრალოდ ერთი - ლიბერალური - ტრადიციის ზედმეტად გაძლიერებას მერე - რესპუბლიკური ტრადიციის საპირისპიროდ, თუმცა კი აქ ფრთხილად უნდა ვიყოთ, ვინაიდან მასობრივი საზოგადოებები, რომლებზედაც არენდტი ლაპარაკობს, სწორედ პოსტლიბერალურად არიან განხილული ბევრ ავტორთან. ყოველ შემთხვევაში, ამ ტრადიციების განურჩევლობა, უფრო შეიძლება უკავშირდებოდეს მასობრივი საზოგადოების ფენომენს, ვიდრე მათი სრული ნაშლა. „ორივე ტრადიცია მყარადაა ჩაქსოვილი დასავლეთ ევროპის ინტელექტუალურ ტრადიციაში, ბუნებითი სამართლის დოქტრინაში, ძველი საბერძნეთისა და რესპუბლიკური რომის

პოლიტიკურ ფილოსოფიებსა და სახეებში. ორივემ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი ადრეული თანამედროვეობის ხანაში, როდესაც ფეოდალური წესრიგისა და უნივერსალური კათოლიკური ეკლესიის რღვევას მოყვა საზოგადოებრივი მოწყობის ახალი ბაზისის ძიება. ორივე განსხვავებული (და ხშირად გადახლართული ფორმით) გაგრძელდა მეთვრამეტე – და გარკვეულწილად მეცხრამეტე – საუკუნეებში სხვადასხვა მოაზროვნეთა ნაშრომებში, რაც აძნელებს საკითხის სრული ისტორიის გადმოცემას. ორივე მიისწრაფის შექმნას საფუძველი იმისთვის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ „მორალური ერთობა“ როგორც სოციალური ცხოვრების საფუძველი. და ორივე ტრადიციაში „ღირსების (სათნობის, virtue)” იდეა წარმოიდგინება ამგვარი ერთობის საკვანძო ელემენტად.”

„სამოქალაქო საზოგადოება იყო უფრო ანგლო-ამერიკული ტრადიცია, რომელიც ყველაზე მკაფიოდაა გამოკვეთილი ისეთ მოაზროვნეებთან, როგორებიც არიან ფრენსის ჰატჩესონი, ჯონ მილარი, ჰაგ ბლერი (Hugh Blair), ადამ ფერგიუსონი და ადამ სმიტი, რომლებსაც ჩვენ შოტლანდიურ განმანათლებლობასთან ვაკავშირებთ. საპირისპიროდ, ღირსეული მოქალაქეობის ტრადიცია თავისი ბუნებით უფრო კონტინენტური ხასიათისაა, და უშუალო ასოციაციებს ინვესს ისეთ ავტორებთან, როგორებიცაა მაკიაველი და ჟან-ჟაკ რუსო. მოქალაქეობრივი ღირსების ტრადიცია უფრო ახლოსაა ძველი საბერძნეთისა და რომის პოლიტიკურ ფილოსოფიასთან და, ამ მხრივ, უფრო „ძველმოდურია“. იღებს რა ძველ ქალაქ – სახელმწიფოებს როგორც რესპუბლიკური ღირსების მოდელს, ის ისწრაფვოდა (და გარკვეული მნიშვნელობით კვლავაც ისწრაფვის) დაუბრუნდეს მოქალაქეობის იმ განსაზღვრებას, რომელიც ათენის პოლისსა თუ რომის რესპუბლიკას ედო საფუძველად. ის ამგვარად ცდილობს დაუბრუნდეს კაცის, როგორც მოქალაქის ცნებას, როდესაც, არისტოტელეს მიხედვით, კაცის (და დღესდღეობით ქალისაც), დანიშნულება უნდა განთავსებულიყო პოლიტიკური საქმიანობის სფეროში და მხოლოდ მასში.”

საპირისპიროდ, სამოქალაქო საზოგადოების იდეა, როგორც მინიმუმ იმ სახით, რა სახითაც ის განვითარდა შოტლანდიელ მორალისტებთან მეთვრამეტე საუკუნეში, სულ სხვა საწყისებს ეფუძნებოდა. მათი აზროვნება უფრო კარგად მიესადაგა იმ ცვლილებებს, რომლებიც კაპიტალიზმის და ბაზრის განვითარებას მოჰყვებოდა ადამიანთა ურთიერთობებში – იმას, რასაც ადამ სმიტი აღწერდა: ურთიერთგაგების, ერთობისა და კოოპერირების (და, ამდენად, საბოლოოდ, ღირსების) ახალი საფუძვლების შექმნის ამოცანას, მათთვის ძველი საწყისები სოლიდარობისა და საზოგადოების ქსოვილის ფორმირებისა მეთვრამეტე საუკუნის კომერციულ საზოგადოებაში სულ უფრო საეჭვო ხდებოდა.

„მეთვრამეტე საუკუნის ბოლო მესამედისთვის, და უფრო მკაფიოდ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სამოქალაქო საზოგადოების ტრადიცია იწყებს მოქალაქეობრივი ღირსების ტრადიციის ადგილის დაკავებას. . . სოციოლოგიური ტერმინებით ზნეობრივი წესრიგის განსხვავებული კონცეფციები შეიძლება განიმარტოს სოლიდარობის განსხვავებული ცნებების მეშვეობით, სადაც მორალური გრძნობა შესაბამისად იქნება საზოგადოებრივი ან კერძო მორალის ფუნქცია.

ჩემი აზრით, სელიგმანი რესპუბლიკური ტრადიციის დახასიათებისას, და კერძოდ, რუსოს ნააზრევის გადმოცემისას, გარკვეულ შეცდომას უშვებს, როდესაც ამ მიდგომას დიურკჰემის მექანიკური სოლიდარობის მოდელთან აიგივებს. კარგად უნდა გავიგოთ რუსოს მიდგომის ერთი ასპექტი: რესპუბლიკური იდეები, რომლებსაც ის აყალიბებს, არანაირად არ არის ტრადიციონალისტური იდეები. მოქალაქეობრივი ღირსების ტრადიცია არ ნიშნავს პიროვნების მექანიკურ დაქვემდებარებას *volonté générale*-ისადმი. მართალია, რუსოს მიხედვით, მოქალაქეთა ერთობა ხდება უზენაესი პიროვნების ნებაზე, რომელიც, თავის მხრივ, უნდა ექვემდებარებოდეს საერთო ნებას, ხოლო თითოეული მოქალაქე მთელის ნაწილი ხდებოდეს, მაგრამ აქ ყველაზე მთავარია ის, რომ რუსო მკაფიოდ ასხვავებს საყოველთაო და ყველას ნებას. ყველას ნებას ის მხოლოდ კერძო ნებათა ერთ-ერთ ნაირსახეობად იხილავს, და ამ ნებებს ლეგიტიმურად მიიჩნევს ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც მიმდინარე და ვიწრო

სფეროებს ეხება. მაგრამ რაც შეეხება მაღალი, საკანონმდებლო დონის საკითხებს, აქ გადაწყვეტილებების ლეგიტიმაცია ეკუთვნის უკლებლივ ყველას, და არა უმრავლესობას, და არა ყველას ნებას. ეს საყოველთაო ნება უნდა მოიცავდეს უმცირესობებსაც და თითოეულ ადამიანსაც, და მხოლოდ ამ შემთხვევაში ფორმირდება ის, რასაც ის *volonté générale*-ს უწოდებს.

რუსოს ეს მიდგომა კარგად ჩანს, აგრეთვე, მის მსჯელობაში რელიგიის შესახებ. რელიგია, რუსოს მიხედვით, შეიძლება იყოს ორგვარი. შესაბამისად, ის სხვადასხვა როლს შეიძლება ასრულებდეს სოციალური კონტრაქტის ფორმირებაში. ერთ შემთხვევაში რელიგია შეიძლება იყოს სამოქალაქო, კერძო სფეროს ნაწილი, და ამ მხრივ უნივერსალისტური და ხელშემწყობი რესპუბლიკის არსებობისთვის. მეორე შემთხვევაში; ის ხდება საჯარო სფეროს მაფორმირებელი, და, ამდენად, პარტიკულარისტული, ანუ აყალიბებს იმ ურთიერთობებს, რომლებიც მხოლოდ მოცემული საზოგადოებისთვის, მოცემული დროისთვის არის დამახასიათებელი.

ანუ რუსოსეული მორალი, მართალია, საზოგადოებრივი სფეროს არეალში იქმნება, მაგრამ იქმნება თვით მოქალაქეების მიერ, და არა არსებობს მათი კონტროლის მიღმა, როგორც ეს შეიძლება ტოტალიტარულ საზოგადოებებში ხდებოდეს.

ადამ სმიტი და სხვა წარმომადგენლები ე.წ. „სამოქალაქო საზოგადოების“ ტრადიციისა, განსხვავებით რუსოსგან, არიან დაინტერესებული არა იმდენად ერთობლივი ნების ფორმირებით, და ამგვარად, საზოგადოებრივი სფეროს წარმოქმნით, არამედ ადამიანთა შორის ურთიერთობათა რეგულირებით რღვევადი სოციალური წესრიგის ფონზე (საბაზრო მექანიზმების გავლენა). მათი ინტერესია იმ სივრცის ფორმირება, სადაც შესაძლებელია ახალი, არამექანიკური სოლიდარობა ადამიანებს შორის. ანუ, რუსოს არ აინტერესებს უბრალოდ, ინტერსუბიექტური ურთიერთობების პრობლემა, რომელსაც ის პოლიტიკური სფეროს გარეთ ტოვებს. სმიტს, მისგან განსხვავებით, ნაკლებად აინტერესებს მიმართება სახელმწიფოსთან, და უფრო – ჰარმონიული საზოგადოების ფორმირების იდეა მაშინ, როდესაც კაპიტალიზმის გავლენით საზოგადოებამ თითქოს ატომიზაცია შეიძლება განიცადოს.

დიდი ხნის განმავლობაში ადამ სმიტის თეორია და; ზოგადად, საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ ერთი თვალსაწიერიდან განიხილებოდა – როგორც რაციონალური ინსტრუმენტული ქმედების საბაზრო ურთიერთობების ფორმირების თეორია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მორალისა და ზნეობის საკითხებთან. ანუ ბაზარი – ეს არის რაციონალური მოქმედების სფერო, სადაც ინდივიდუალისტური მიდგომები ბატონობს, და არაფერია დარჩენილი ადამიანთა სოლიდარობის და ურთიერთმიმართების სფეროდან. ბოლო წლებში ხდება ამ მიდგომის გადასინჯვა. ნელ-ნელა ცხადი ხდება, რომ საბაზრო ეკონომიკა არის მეტად მტკიცე ზნეობრივ ნორმებზე დამყარებული წესრიგი, და ამ ნორმების გარეშე ის ვერ იარსებებს. ანუ ის არ არის ეკონომიკური მიმოცვლის ერთადერთი აბსტრაგირებული და რაციონალური წესი. მაგალითად, მაფიოზური და კლანური სისტემა ასევე აბსტრაქტულია და რაციონალური, მაგრამ ის ურთიერთობათა სულ სხვა მოდელს ეყრდნობა. უნივერსალისტური ეთიკა, რომელიც სმიტისა და ფერგიუსონის ადამიანთაშორისი ურთიერთობების საფუძველში დევს, ქმნის იმ სამოქალაქო საზოგადოებებს, რომლებიც ლიბერალურ ინდივიდუალისტურ ტრადიციას შეეფერება.

თუკი რუსოსთვის საერთო ნების წყაროს „ყველა“ წარმომადგენდა, სმიტისთვის ამ წყაროს წარმომადგენს „ერთი“ – მიუკერძოებელი, განზე მდგომი დამკვირვებელი, რომელიც აღჭურვილია საკუთარი, შინაგანი სინდისის საფუძველზე განსჯის უნარით. ამდენად, ლეგიტიმაცია ხდება დამოკიდებული ინდივიდების, ერთეულების მიერ იმის აღქმაზე, თუ რა არის სამართლიანი.

აქ ჩნდება სათნოების, სოციალური თანაზიარების და საერთო სიკეთის მოდელი, რომელიც მეტად განსხვავებულია იმ სხვადასხვაგვარი მოაზროვნების მოდელებისგან, ვისაც ჩვენ მოქალაქეობრივი ღირსების ტრადიციას მივაკუთვნებთ. ამ ტრადიციაში საზოგადოებრივი სიკეთე აღემატება ყველა კერძო ინტერესს და საბოლოოდ ეფუძნება კერძო ინტერესის დაძლევას საერთო საზრუნავის სასარგებლოდ. ეს არ არის უბრალოდ მოქალაქეობრივი

სულისკვეთება, არამედ კაცობრიობის იმგვარი ხედვა, რომელიც საჯარო საქმიანობას ხედავს ერთადერთ შესაძლებლობად კერძო მოქალაქის თვითიდენტიფიკაციის რეალიზებისა და დაკმაყოფილებისა. ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო საზოგადოების ტრადიციაში ეთიკური იდეა არის კერძო საქმე, რეალიზებული ინდივიდუალური სოციალური აქტორების გულებში, გონებაში და გაცვლის აქტებში. პოლიტიკური აზროვნების ამ ორი ტრადიციის თავისებურებები შეჯამებულია – გარკვეულწილად სქემატურად - შემდეგ ტაბულაში.

	სამოქალაქო საზოგადოება	ღირსეული მოქალაქეობა
სათნოების სფერო	კერძო	საზოგადოებრივი
სათნოების განსაზღვრება	მორალური გრძნობები; ბუნებრივი სიმპათია, ყურადღება, /	გაზიარებული ერთობა
სათნოების მექანიზმები	მიუკერძოებელი დამკვირვებელი	volonté générale
პიროვნულობის მოდელი	დაყოფილი (და, ამდენად), რეფლექსური (შედარებით დიფერენცირებული)	ფორმირებულია კოლექტიური შეგნებით (conscience collective) (შედარებით არადიფერენცირებული)
პიროვნული ორიენტაცია	შინაგანი	გარეგანი

წყარო: სელიგმანი

სელიგმანის მიხედვით, და ეს შეფასება უნდა გავიზიაროთ, „კამათი, რომელიც მიმდინარეობს მოქალაქეობის ლიბერალურ და რესპუბლიკურ ვერსიებს შორის სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე ვერსია პოლიტიკური აზროვნების ამ ორი ტრადიციისთვის დამახასიათებელი მოქალაქეობის, ინდივიდისა და საზოგადოებრივი სიკეთის საპირისპირო ხედვების. ლიბერალური (ან, რასაც ჩარლზ ტეილორმა „პროცედურული“ უწოდა) თეორია იხილავს საზოგადოებას მორალურად ავტონომიური ინდივიდების ნაკრებად, რომელთაგან თითოეულს აქვს კარგი ცხოვრების საკუთარი ხედვა, საზოგადოების ფუნქცია კი, შემოფარგლულია ამ ინდივიდების სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფით, რაც მიიღწევა საჯარო სივრცეში გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურულად სამართლიანი (ან წესიერი) დემოკრატიული პროცესით. ეს თეორია უფრო ზრუნავს სამართლიანობის უნივერსალურად ვალიდური პრინციპების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, ვიდრე საზოგადოების შემადგენელი რაიმე ინდივიდუალური სოციალური აქტორების კონკრეტული კერძო მორალური ხედვის წინ წამოწევაზე.

მოქალაქეობის რესპუბლიკური ვერსია, ამის საწინააღმდეგოდ, წინ წევს საზოგადოების როგორც საერთო სიკეთის მიღწევაზე ორიენტირებული „მორალური ერთობის“ ცნებას, რომლის ონტოლოგიური სტატუსი წინ უსწრებს ნებისმიერი ინდივიდუალური წევრის სტატუსს. შემდგომი განმარტების გარეშეც ადვილია ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დაფიქსირებულ ამგვარ განსხვავებულ შეხედულებებში შევამჩნიოთ გამოძახილები (ოდნავ მოდიფიცირებული) სმიტის და რუსოს ნაწერებზე.

ბრძოლა სოციალური მონყობისა და სოლიდარობის ახალი პრინციპების ფორმულირებისთვის პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში, სელიგმანის აზრით, მცდარად ეფუძნება დაპირისპირებას იმ პრინციპებს შორის, რომლებიც უხეშად შეიძლება დავახასიათოთ როგორც „დემოსი“ და „ეთნოსი“ და რომლებიც აქ განხილული მოდელისგან ერთს ან მეორეს ეფუძნება.

ნებისმიერი მოცემული პოლიტია შეიძლება განისაზღვროს არა უბრალოდ ამ ორიდან რომელიმე ერთი მოდელის გაზიარებით, არამედ ორივეს შეზავებით, და ამდენად, ერთობისა და სოლიდარობის საფუძვლების დიფერენცირებული ფორმულირებით, ისევე როგორც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების უფლებებისა და ვალდებულებების.

რუსო: რესპუბლიკური სამოქალაქო საზოგადოება

რუსოს ნაშრომი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ რამოდენიმე დამატებით კომენტარს მოითხოვს.

რუსოს *საზოგადოებრივი ხელშეკრულება* მთლიანად აგებულია იდეალური ტიპების დაპირისპირებებზე: სამოქალაქო საზოგადოება და ბუნებრივი წესრიგი; ყველას ნება და საყოველთაო ნება; მფლობელობა და საკუთრება; სამოქალაქო და არასამოქალაქო რელიგია; და ა.შ. ასე: „ . . . აუცილებელია მხოლოდ ძალის გამოყენების შედეგად გამოვლენილი მფლობელობა, ან პირველი დამპყრობლის უბრალო უფლება, განვასხვაოთ საკუთრებისგან, რომელიც მხოლოდ დადებით უფლებას შეიძლება ეფუძნებოდეს“. მფლობელობასა და საკუთრებას შორის აქ დაფიქსირებული განსხვავება ყოფით ვითარებაში შეიძლება უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოს, და თუკი არასაკმარისად სერიოზულად და ანალიტიკურად მივუდგებით სოციალურ მეცნიერებებს, და დავიყვანთ მათ ყოფითი (პოლიტიკური) ჟარგონის დონეზე, მათ შორის სხვაობა შეიძლება გამოგვჩვენოს კიდევ (ყურადღება არ მივაქციოთ). მაგრამ, თუკი ამ სხვაობას გავშლით და ყურადღებით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მფლობელობისა და საკუთრების განსხვავებული ბუნება და ხასიათი სინამდვილეში არის დასავლური საბაზრო ეკონომიკასა და არადასავლური არასაბაზრო (ჩრდილოვანი) ეკონომიკებს შორის სხვაობის საწყისი, რომელიც არამცთუ თეორიულია, არამედ გამოისახება თვალნათლივ უზარმაზარ სხვაობაში (განსხვავებულობაში) ეკონომიკური მწარმოებლურობის, უთანასწორობისა და სიმდიდრის მხრივ.

ანუ ამგვარი დაკვირვებები, როგორცაა მფლობელობისა და საკუთრების ერთმანეთისგან გარჩევა, სულაც არ არის სიტყვებით თამაში. მნიშვნელოვანია, რუსოს მიხედვით, ის, რომ სამოქალაქო მდგომარეობა ცვლის ბუნებრივ მდგომარეობას, და ეს უკავშირდება ადამიანთა ქცევაში მართლმსაჯულების პრინციპზე გადასვლას ინსტიტუტებზე დაფუძნებული ქცევის საპირისპიროდ. საზოგადოებრივი სიკეთე, რომელიც იქმნება ერთეულთა ძალების შეჯამებით, ბევრად აღემატება შესაკრებთა მარტივ ჯამს, და თითოეული წევრის შესაძლებლობებსაც ზრდის, ანუ ბუნებრივი მდგომარეობიდან სამოქალაქო მდგომარეობაზე გადასვლა არანულოვანჯამოვანია.

(კომენტარი: პოლიტიკური თეორიები ხშირად იყენებენ თამაშთა თეორიის ტერმინოლოგიას, რომელიც, თავის მხრივ, მოიტანა პოლიტიკურ მეცნიერებაში რაციონალური არჩევანის მიდგომის გამოყენებამ. ზოგიერთი ავტორი პოლიტიკას უყურებს როგორც არანულოვანჯამოვან თამაშს, რომლის დროსაც ჯამი მეტია, ვიდრე 0, ანუ ყველა მეტ-ნაკლებად მოგებული რჩება უბრალოდ იმის გამო, რომ მონაწილეობს თამაშში. არსებობენ სხვა ავტორები, რომლებისთვისაც პოლიტიკა ნულოვანჯამოვანია – ერთის მოგება ნიშნავს სხვების შესაბამის ნაგებას, ხოლო ჯამში იქმნება ნული. რესპუბლიკური მიდგომა, როგორც წესი, არსებითად არანულოვანია, და რუსოც ამ მხრივ ტიპური მაგალითია. მიაქციეთ ყურადღება, რომ არსებობს, აგრეთვე, უარყოფითჯამოვანი თამაშებიც, როდესაც ყველა რჩება ნაგებული

(კაზინოს თამაში). პოლიტიკის ეს ვერსია, როგორც წესი, არ განიხილება. მას წააგავს, მაგალითად, ვალერშტაინის მსოფლიო სისტემის თეორია, რომელშიაც პერიფერიული სახელმწიფოები ყოველთვის აგებენ, რაც სწორედ ამგვარი თამაშის შედეგებს წააგავს.

საერთოდ, როდესაც საქმე გექნებათ ნულოვანჯამოვან და არანულოვანჯამოვან მოდელებთან, სასარგებლოა წარმოიდგინოთ, პირველ შემთხვევაში, ჭადრაკის თამაში, ხოლო მეორე შემთხვევაში, მათემატიკა. ჭადრაკში წაგებულ და მოგებულ ქულათა ჯამი ყოველთვის ნოლია, ხოლო მოგება – პრაქტიკულად თვითმიზანი (და ფეხბურთშიც, ასევე სხვა სპორტულ თამაშებში). მათემატიკაში მეცნიერები ასევე ეჯიბრებიან ხოლმე ერთმანეთს იმაში, თუ ვინ უფრო ადრე დაამტკიცებს თეორემას და შექმნის თეორიას, (რომელსაც მერე მისი სახელი დაერქმევა), მაგრამ ერთის მოგება არ ნიშნავს იმავდროულად სხვების წაგებას. ვინაიდან მეცნიერის მიგნება პოზიტიური შენატანია ყველას ცოდნაში, და ის ყველას თანაბრად ერგება, მოგებულთა ყველა, და საერთო პროცესი არის მეცნიერების მზარდი განვითარება და ცოდნის აკუმულირება. პოლიტიკის ვერსია, სადაც პოლიტიკა არანულოვანჯამოვანია, და როდესაც ის ნულოვანჯამოვანია, ეფუძნება კერძოსა და საზოგადოებრივის განსხვავებულ მიმართებებს ერთმანეთთან, რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

ასევე, ყველას ნება განსხვავდება საყოველთაო ნებისგან. „საყოველთაო ნება მხოლოდ საერთო ნებას ითვალისწინებს, ყველას ნება კი, როგორც ცალკეულ ადამიანთა ნებათა ერთობლიობა – კერძო ინტერესებს“. რუსოს აზრით, კერძო ინტერესების ჯამი უდრის ნოლს, ანუ ისინი აბათილებენ ერთმანეთს, და ის რაც რჩება ყველას ინტერესის შეკრებით, ამ გაბათილების შემდეგ, არის საყოველთაო ინტერესი. მაგრამ თუკი მოხდა ისე, რომ მოქალაქეებმა მოასწარეს კერძო ინტერესების ასოციაციური გაერთიანება მანამ, სანამ საყოველთაო ნების გამოკვეთამდე მივიდოდა საქმე, მაშინ მათი პრეფერენციები შეიცვლება, ისინი იმოქმედებენ როგორც კერძო პირები, კერძო ინტერესების წარმომადგენლები, და გაიმარჯვებს კერძო ინტერესი, და არა საყოველთაო. ამდენად, აუცილებელია, მოქალაქეებს ან არ მიეცეთ ასოციაციებში განწევრიანების შესაძლებლობა ან ამგვარი ასოციაციების რიცხვი მაქსიმალურად გაიზარდოს, რათა დანაწევრებულმა კერძო ინტერესებმა მაინც გააბათილონ ერთმანეთი. სხვა სიტყვებით, ერთეულების ჯამად გადაქცევის შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გზით ვაჯამებთ შესაკრებებს. ერთ შემთხვევაში შედეგი ნულოვანჯამოვანია, ხოლო მეორე შემთხვევაში – არა.

საინტერესოა, რომ ჰაბერმასი რუსოს აკრიტიკებს სწორედ იმისთვის, რომ რუსო, საყოველთაო ნების ფორმირების მისეულ თეორიაში, არ აქცევს სათანადო ყურადღებას პროცედურას, ანუ მოქალაქეთა მსჯელობას – ის საყოველთაო სიკეთის წარმოქმნას გარკვეულწილად ავტომატურად მიიჩნევს. მაგრამ აქ მოყვანილი მსჯელობიდან ჩანს, რომ რუსოსთვის პროცედურა სულას არ არის სულერთი, და ის შედეგის რაობას განაპირობებს.

ამასვე (პროცედურის მნიშვნელობას შედეგის რაობის განსასაზღვრავად) უკავშირდება საკითხი, რომელსაც რუსო ასევე უთმობს ყურადღებას – საჯარო უნდა იყოს თუ ფარული კენჭისყრა გადანყვეტილებების მიღებისას. ეს საკითხი სულაც არ არის უბრალო ტექნიკური საკითხი, ამ პროცედურებს შორის პრინციპული სხვაობა არსებობს. ითვლება, რომ ფარული კენჭისყრა საჭიროა, რადგან დაცული იყოს რიგითი მოქალაქეები ხელისუფლების ზენოლისგან. ხოლო ხმის მიცემა იყოს თავისუფალი. მაგრამ, გარდა ამისა, ადამიანი, რომელიც მოქმედებს საჯაროდ, და ადამიანი, რომელიც ფარულად მოქმედებს, განსხვავებულ ლოგიკას მიყვებიან. საჯარო ქმედებაში ადამიანი ვერ გამოამჟღავნებს ბევრ ისეთ მისწრაფებას და ინტერესს, რომელიც სამარცხვინოა და დასაძრახი საზოგადოების თვალში. საჯარო მოქმედება ნაკლებად გულწრფელია ამ მხრივ, ვიდრე ფარული.

ჯონ ელსტერი ხაზს უსვამს განსხვავებას საჯარო და ფარულ კენჭისყრებს შორის, როდესაც მიუთითებს განსხვავებაზე ჩვეულებრივ დემოკრატია და ე.წ. დელიბერაციულ (მსჯელობაზე დაფუძნებულ) დემოკრატია შორის. დელიბერაციული დემოკრატია – ეს არის თეორიული კონსტრუქცია, რომელიც აქტიურად განიხილება დასავლური ინტელექტუალების

მიერ, როგორც არსებული ინსტიტუციონალიზებული ლიბერალური საარჩევნო დემოკრატიის გაუმჯობესების (გამოსწორების) გზა. ასეთ დემოკრატიაში პოლიტიკური საკითხები წყდება არა კენჭისყრით, არამედ ღია ფართო მსჯელობით, რომელშიაც ყველა მოქალაქე იღებს მონაწილეობას (ან, ყოველ შემთხვევაში, შეუძლია ჩაერთოს თანაბარუფლებიანობის საფუძველზე).

გადანყვეტილებების მიღება ფარული კენჭისყრით თუ საჯარო დისკურსით, როგორც ელსტერის მითითება ცხადყოფს, შესაძლებელია განსხვავებულ შედეგებს იძლეოდეს და განსხვავებულ ურთიერთობებსაც ქმნიდეს კერძო და საზოგადოებრივ სფეროებს შორის. რუსო ამ საკითხზე გარკვევით გამოთქვამს საკუთარ პოზიციას (გვ.116). რომაელები ხმას საჯაროდ აძლევენ. „ეს ადათი მანამდე იყო კარგი, სანამ მოქალაქეებში პატიოსნება სუფევდა და სანამ თითოეულს ეთაკილებოდა საჯაროდ მიეცა ხმა უსამართლო აზრის ან უღირსო ადამიანისთვის. მაგრამ როდესაც ხალხი გაირყვნა და უკვე ხმები იყიდებოდა, მაშინ ხმის ფარული მიცემა უფრო ხელსაყრელი შეიქნა, რათა მყიდველები უნდობლობით შეეზღუდათ და არც გაიძვერებისთვის მიეცათ თაღლითობის საშუალება“. და შემდეგ, რუსო აღნიშნავს, რომ იმის არჩევა, თუ როგორ უნდა ხდებოდეს კენჭისყრა – ღიად თუ ფარულად, არ არის აბსოლუტური, არამედ დამოკიდებულია მოცემული ხალხის ზნეობაზე, ქველი ხალხი ერთი კანონებით უნდა იმართებოდეს, ხოლო უზნეო ხალხი – სხვით.

ამდენად, რუსო მიიჩნევს, რომ ფარული კენჭისყრა ხალხის გარყვნილობის გამო ხდება აუცილებელი, და რომ ჯანსაღ საზოგადოებას ფარული კენჭისყრა არ დასჭირდება. „საზოგადოებრივი“ და „საჯარო“ რესპუბლიკური კონცეფციით აქ სრულად შეკრულია (გაიგივებული), ხოლო „არაჯანსაღი“ უკავშირდება არა იმდენად კერძოს, რამდენადაც მიკერძოებულს.

გელნერი: სამოქალაქო საზოგადოების ლიბერალური ხედვა

სამოქალაქო საზოგადოების განხილვისას გელნერი ხაზს უსვამს საზოგადოების სოციალური სტრუქტურის მნიშვნელობას. ამ სტრუქტურის თავისებურებას იგი იხილავს ეკონომიკური ურთიერთობების იმ ლიბერალური ტიპის ფონზე, რომელიც დასავლურ სამყაროში წარმოიშვა. სამოქალაქო საზოგადოება, გელნერის მიხედვით, არის ინდივიდუალისტური დასავლური საზოგადოების არსებობის სფეციფიური ტიპი, რომლის ანტითეზაა არა მარტო ტოტალიტარული საბჭოური ტიპის საზოგადოება, არამედ ნებისმიერი სხვა, არალიბერალური, მაგალითად, ისლამური ქვეყნების საზოგადოება. სამოქალაქო საზოგადოება იცავს ადამიანს არა მარტო სახელმწიფო პოლიტიკური ძალაუფლების ტირანიისგან, არამედ ათავისუფლებს მას საკუთრივ საზოგადოების მხრიდან დამონებისგან.

რეალურად, გელნერის აზრით, „არსებობს სამი ტიპის საზოგადოება. არსებობენ სეგმენტირებული საზოგადოებები, რომლებიც გამსჭვალულია რიტუალებით და ნათესაური კავშირებით. ისინი შესაძლოა, თავისუფალი არიან ცენტრალიზებული ტირანიისგან, მაგრამ მაინც არ არიან თავისუფალნი „თავისუფლების“ თანამედროვე გაგებით. მეორეს მხრივ, არსებობს ცენტრალიზება, რომელიც სპობს მეორე დონის ყველა ინსტიტუტსა და ერთობას, რიტუალიზებულია ისინი თუ არა. და ბოლოს, არსებობს მესამე შესაძლებლობა - რომლის განსაზღვრასაც ვცდილობთ და რომელთანაც ჩვენს იმედებს ვაკავშირებთ - იგი გამორიცხავს როგორც დამორჩენავ კომუნალურობას, ასევე ცენტრალიზებულ ავტორიტარიზმს. მართებულია, რომ სოციალური ორგანიზაციის სწორედ ამგვარ ტიპს ვუწოდოთ სამოქალაქო საზოგადოება...“

ამდენად, გელნერი თვლის, რომ სამოქალაქო საზოგადოების ტრადიციული განმარტება: „სამოქალაქო საზოგადოება - ეს არის სხვადასხვა არასამთავრობო ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც საკმაოდ ძლიერია, რათა ითამაშონ სახელმწიფოს

გამანონასნორებლის როლი და ისე, რომ ხელი არ შეუშალონ მას, შეასრულონ არბიტრის როლი ინტერესთა ძლიერ ჯგუფებს შორის, შეაკავონ სახელმწიფოს სწრაფვა დანარჩენი საზოგადოების დომინირებისა და ატომიზაციისკენ“ (გელნერი) - არ არის სრული და ვერ ასხვავებს სამოქალაქო საზოგადოებას სეგმენტირებული საზოგადოებისგან. საზოგადოებრივი ურთიერთობების ეს ორი ტიპი წარმატებით უპირისპირდება სახელმწიფოს ცენტრალიზებული კონტროლის გადამეტებულ გაძლიერებას, მაგრამ მათი ეს უნარი განსხვავებული მიზეზებითაა განპირობებული.

სეგმენტირებულ საზოგადოებაში ადამიანის არსებობა მჭიდროდ უკავშირდება იმ ტრადიციულ გარემოს, რომელშიაც მას ფესვები აქვს გადგმული. ადამიანს არ შეუძლია იოლად შეიცვალოს თავისი გარემოცვა, პროფესია, სტატუსი, რელიგია და სხვა, ვინაიდან ეს ცვლილება უკავშირდება იმ ერთობიდან (სოფლიდან, კომუნიდან, კასტიდან, კლანიდან) განდევნას, რომლის წევრიცაა იგი, ხოლო ერთობიდან განდევნა მისთვის დალუპვის ტოლფასია, ვინაიდან სხვა ერთობაში საარსებოდ იგი არ არის მომზადებული. ისტორიულად ჩამოყალიბებული რიტუალების, ნორმებისა და ცხოვრების წესის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ სახელმწიფო ვერ ცვლის მათ და ამდენად ვერ ახერხებს ადამიანთა სრულ დამორჩილებას. მაგრამ ამგვარ საზოგადოებაში, ადამიანი მაინც არ არის თავისუფალი, რომც არ განიცდიდეს პოლიტიკური ძალაუფლების ძლიერ ზეწოლას, ან წარმატებით იცავდეს თავს ამგვარი ზეწოლისგან, ვინაიდან იგი საკუთრივ საზოგადოების მიერაა შეზღუდული და ამდენად არათავისუფალია.

თანამედროვე დასავლურ სამყაროში ახალმა ეკონომიკურმა მოწყობამ, შრომის დანაწილებამ და საკონტრაქტო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა შეასუსტეს ტრადიციების, წარმომავლობისა და ზნე-ჩვეულებების როლი ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანი გახდა „მოდულური“. რას ნიშნავს ეს? როგორც ავეჯი, ან სათამაშო კონსტრუქტორი, შეიძლება შედგებოდეს შემადგენელი მოდულებისგან, რომლებიც შეიძლება იოლად შეერთდეს სურვილისამებრ სხვადასხვა კომბინაციების გამოყენებით, ასევე თანამედროვე ადამიანს აქვს უნარი გაერთიანდეს სხვადასხვა ასოციაციებში, მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ ინსტიტუტების ფუნქციონირებაში, ტოვებდეს მათ თუ ჩათვლის საჭიროდ. ადამიანთა შორის ყალიბდება მოქნილი, მობილური, ცვალებადი და მრავალფეროვანი კავშირები. სწორედ მოდულური ადამიანის არსებობა არის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საწინდარი.

გელნერის შეხედულებით, თანამედროვე მოდულური, ეგალიტარული და ინდივიდუალისტი ადამიანის ფორმირება უკავშირდება ეკონომიკისა და პოლიტიკის დამორიშორებას, შრომის დანაწილებას, სპეციალიზებას. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკა გამოყოფილია სახელმწიფოსგან და ამავე დროს სახელმწიფო ასრულებს ინსტრუმენტალურ ფუნქციას ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ამ სახელმწიფოში გამორიცხულია ნებისმიერი სახის იდეოლოგიური მონოპოლიის არსებობა, მაგრამ თავად სახელმწიფო ასრულებს მნიშვნელოვან როლს წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში.

სამოქალაქო საზოგადოების ცნება, გელნერის აზრით, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დემოკრატიის ცნება, ვინაიდან ის გვეხმარება გავერკვეთ თანამედროვე დასავლური საზოგადოების სოციალური მოწყობის არსში. ეს არის ის არსებითი, რაც დასავლურ დემოკრაციას მის თავისებურებას ანიჭებს.

გელნერის მოდელი მოდულური საზოგადოებისა, ეს არის საზოგადოების ლიბერალური ხედვა, რომელიც, გარკვეულწილად, უპირისპირდება არა მარტო არალიბერალურ კონცეფციებს, არამედ რესპუბლიკურ და კომუნიტარიანულ ხედვებსაც დასავლური საზოგადოების შიგნით. გელნერი ლაპარაკობს ინსტიტუტებზე, სტრუქტურულ დიფერენციაციაზე, და მხოლოდ გარკვეულ ასპექტებს ანიჭებს უპირატესობას. ამაში გასარკვევად ცოტა ღრმად უნდა ჩავიხედოთ თანამედროვე ინსტიტუტების ბუნებაში.

წარმოვიდგინოთ ორი განსხვავებული სიტუაცია. ერთ შემთხვევაში, წარმოიდგინეთ, რომ დგახართ მეტროს სადგურის ბაქანზე და ელოდებით მატარებელს, რომელიც ტუნელიდან

გამოჩნდა და ბაქანს უახლოვდება. მეორე შემთხვევაში, თქვენ დგახართ ჯუნგლებში, ბილიკთან, რომლითაც სპილოები წყლის დასაღვებად დადიან, და უყურებთ სპილოს (სპილოებს), რომელიც ამ ბილიკით გაიხლოვდებათ.

ორივე შემთხვევაში თქვენი გონება მსგავს რეფლექტორულ სიგნალებს იძლევა – გამოყოფს ადრენალინს, რაც ბუნებრივია, როდესაც რალაცა დიდი და პოტენციურად საშიში გაიხლოვდებათ დიდი სიჩქარით. ეს ხდება რეფლექტორულად, ქვეცნობიერად, და თავისთავად არ განაპირობებს თქვენს ქცევას. კოგნიტური რეაქციები კი, ამ ორ შემთხვევაში სავარაუდოდ შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს. პირველ შემთხვევაში, სავარაუდოდ, თქვენ ადგილიდან არ დაიძვრებით, ვინაიდან მშვენივრად იცით, რომ მატარებელი რელსებს გაჰყვება, თქვენს გვერდით ჩაივლის, და, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი სხეული საფრთხის სიგნალს იძლევა, თქვენ არაფერს არ რისკავთ. მეორე შემთხვევაში, ვითარება უფრო გაურკვეველია. თქვენ წინასწარ ვერ განსაზღვრავთ სპილოს ქცევას. თქვენ იქ რომ არ ყოფილიყავით, სპილო, სავარაუდოდ, გაყვებოდა ბილიკს, როგორც ის ამას ჩვეულებრივად აკეთებს. მაგრამ თქვენი იქ ყოფნა მასზე ახდენს ზეგავლენას და შეიძლება გააბრაზოს კიდევ. მატარებლისგან განსხვავებით, სპილოსთან თქვენი ურთიერთობა ინტერაქციულია (მატარებელთან არაა ინტერაქციული, იმიტომ რომ თქვენი არსებობა-არარსებობა არ ახდენს გავლენას მატარებლის ქცევაზე), და შესაბამისად ამ ურთიერთქმედების შედეგი კონტექსტუალურად განპირობებულია. ანუ, თუკი სპილო მოთვინიერებულია, და თქვენდამი შეჩვეული, ანუ თქვენს შორის ნდობა და ნაცნობობა არსებობს, საფრთხე პრაქტიკულად არ არსებობს. მაგრამ თუკი სპილო ველურია, ინტერაქციის შედეგი შეიძლება თქვენს შორის არსებულ ძალთა თანაფარდობაზე იყოს დამოკიდებული. მაგალითად, თუკი თოფი გაქვთ და ნადირობას აპირებთ, ერთია, ხოლო თუკი სპილოსი გეშინიათ და გირჩევენიათ გზიდან გაეცალოთ – სხვა.

თანამედროვეობის ინსტიტუტები უნივერსალისტურია, ანუ მათი ფუნქციონირება წინასწარმეტყველებადია, როგორც მატარებლის მარშრუტი. მგზავრს, რომელიც დგას ბაქანზე, არ სჭირდება თოფის სროლა, რათა აიძულოს მემანქანე გააჩეროს და წაიყვანოს ის დანიშნულების ადგილას. მგზავრმა იცის, თუ რას უნდა ელოდეს მატარებლისგან, და ეს ცოდნა აძლევს შესაძლებლობას დაგეგმოს თავისი გადაადგილება, მოიფიქროს მოქმედება, რომელიც წინდაწინ განსაზღვრულ შედეგს გამოიღებს.

ამასთან, თანამედროვეობის ინსტიტუტები უნივერსალურია, ანუ ინდიფერენტული იმ კონტექსტის მიმართ, რომელშიაც ისინი მოქმედებენ. მატარებლისთვის აბსოლუტურად სულერთია, თუ ვინ დგას ბაქანზე, თუნდაც არავინ არ იდგეს, ის იქ მაინც გააჩერებს. ცხადია, აქ ლაპარაკია მატარებლის „იდეალურ ტიპზე“ და არა, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ვითარებაზე, სადაც ზოგჯერ შესაძლებელია, მემანქანეს დაუძახო რომ მან თქვენს სოფელთან შეანელოს სვლა და ჩაგსვათ მატარებელში - რაც კიდევ უფრო სავარაუდოა, თუკი მემანქანე თქვენი მეზობელია ან ახლობელი. მაშინ მატარებლის მოძრაობა უკვე ემორჩილება არა პირველი ტიპის – უნივერსალურ – ლოგიკას, არამედ მეორე ტიპის – პარტიკულარისტულ – მიმართებებს. ის ხდება ინტერაქციული, და მისი შედეგები განპირობებულია იმ ძალისხმევით, რომელსაც მხარეები იჩენენ ამ ინტერაქციის დროს. პირველი ტიპის ინსტიტუტები ატარებენ ნეიტრალურ, ობიექტურ ხასიათს იმ გაგებით, რომ ყოველთვის ერთნაირად მოქმედებენ და წინასწარმეტყველებად შედეგს იძლევიან, მაშინ როდესაც მეორე ტიპის ურთიერთობები წინასწარმეტყველებად შედეგს არ იძლევა.

გიდენსი „თანამედროვეობას“ აიგივებს ინსტიტუტების მიმართ ისეთი ნდობის გავრცელებასთან, რომელიც დაკავშირებულია სივრცისა და დროის უნივერსალიზაციასთან, ანუ ამ ინსტიტუტების ადვილ და ცალსახა გადატანასთან და გავრცელებასთან მთელ მსოფლიოში, უნივერსალური და უნივერსალისტური სახით, რაც, გაკვეთილნილად, ცოდნის ფაქტორითაა განპირობებული. ნდობა ამ ინსტიტუტების მიმართ განპირობებულია მათი წინასწარმეტყველებადობითა და ობიექტურობით, ფუნქციონირების შინაგანად განპირობებული ლოგიკით, რომელიც მონყვეტილია კონტექსტს და გარემოებებს. ეს არის

საექსპერტო, სამართლებრივი, რაციონალურ-ბიუროკრატიული (ვებერისეული განმარტებით) ინსტიტუტები, რომლებითაც იქმნება თანამედროვე საშუალო კლასის არსებობის საიმედო, სანდო საფუძველი, მყარი, „შესწავალადი“ საარსებო გარემო. ეს ინსტიტუტები ადვილად ინაცვლებენ კონტექსტიდან კონტექსტში, და, ამგვარად, გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის „დამრტყმელ ძალას“ წარმოადგენენ.

ნდობა პარტიკულარისტული ინსტიტუტების მიმართ, საპირისპიროდ, არის სხვა ტიპის, და არ ეფუძნება შედეგების წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას. ინსტიტუტი ინდივიდს აძლევს შანსს, მაგრამ შედეგი სხვა გარემოებებზეც არის დამოკიდებული, კერძოდ კი თვით ინდივიდის ძალისხმევაზე. ასე, ქორწინების ინსტიტუტი ემყარება გარკვეულ წარმოდგენებსა და ნორმებს, მაგრამ ოჯახის არსებობის შენარჩუნებას ყველა წყვილი ვერ ახერხებს. მომავლის სტანდარტსა და გარანტიას არავინ იძლევა, ყველაფერი ოჯახის წევრებზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ რამდენად მოახერხებენ ისინი ერთმანეთთან არანულოვანჯამოვანი, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების აგებას. საპირისპიროდ, უნივერსალისტურ ინსტიტუტებში, როდესაც, მაგალითად, მწვანე შუქი ინთება გზაზე გადასვლისას, წესით ეს ნიშნავს არა შანსს გზის მშვიდობიანად გადაკვეთისა, არამედ მის გარანტიას. აქვე დავძენთ, რომ ინსტიტუტების ფორმალურად დათქმული უნივერსალიზმი რეალურად სრულად არ ხორციელდება, და მით უფრო ნაკლებად ხორციელდება, რაც უფრო არადასავლური ქვეყნებისკენ ვინაცვლებთ. ასე, სამხრეთის ქვეყნებში, ანთებული მწვანე შუქი სწორედ რომ შანსია, და არა გარანტია გზის მშვიდობიანი გადაკვეთისა, ვინაიდან მოძრაობის ფორმალური წესები კი არსებობს, მაგრამ ხშირად არაფერი არ ღირს, ხოლო გზებზე ბევრია „ჯიგითი“, რომლებიც სწორედ შანსებზე არიან ორიენტირებული, და არა გარანტიებზე.

“მე არ ვარ რელატივისტი” – ამბობს გელნერი (თავი 29, გვ.217 რუს) „და ისეთი ჭეშმარიტების არსებობა, რომელიც სცდება კულტურულ ბარიერებს, მეჩვენება ადამიანთა არსებობის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტად. ეს ფაქტი იმავდროულად სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი საწყისია, ვინაიდან მან უზრუნველყო მისი წარმოშობის უმთავრესი პირობა – შემეცნების, კოგნიტური ზრდის განვითარება და აბსოლუტიზმის უარყოფა”.

წინასწარმეტყველებადობა, უნივერსალურობა და ნეიტრალურობა არის ის მახასიათებლები, რომლებიც გელნერისეულ სოციალურ მოდულურ სტრუქტურას ახასიათებს. ადამიანის მოდულურობა ნიშნავს მისი ქცევის გარკვეული უნივერსალური სტანდარტის არსებობას, რომელიც დამოუკიდებელია მოცემული ადამიანის პოლიტიკური და მსოფლმხედველური თავისებურებებისგან, მისი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ძალაუფლებისგან (სხვა ადამიანებთან არსებული ძალთა ბალანსისგან). სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს ადამიანებს შორის უნივერსალისტური ეთიკის მოქმედებას, რაც ინდივიდუალიზმის საფუძველია. იმ ეთიკისა, რომელსაც გელნერის წინამორბედი ლიბერალები იცავდნენ, და რომლის საწყისი თვით ადამიანშია, და არა მის გარემოცვაში, თვით ადამიანის განწყობაში იყოს ორიენტირებული გათვლად, ცოდნით უზრუნველყოფილ, საიმედო მომავალზე. მის თავისუფლებას უზრუნველყოფს მისი უნარი განსაზღვროს საკუთარი მომავალი, რაც მხოლოდ უნივერსალისტური ინსტიტუტების ფუნქციონირების ფონზეა შესაძლებელი.

გელნერის მიდგომის ნაკლოვანება სწორედ მის ცალმხრივობაშია. მოდულური ადამიანი ვერ ამყარებს ინტერაქციულ ურთიერთობებს – ურთიერთობებს, რომლის დროსაც ის ახერხებს გავლენა მოახდინოს სხვებზე (და სხვების ზემოქმედებას განიცდის). სხვებთან მისი მოდულური შეკავშირების სიხისტე განაპირობებს ამ ურთიერთობის დროს ყველა მონაწილის თავისუფლებას. მაგრამ ზოგჯერ ჩვენ არ გვინდა თავისუფლება საზოგადოებისგან, როგორც არ გვინდა თავისუფლება ჩვენი ახლობლებისგან. თუკი გვინდა, რომ მოვახდინოთ ზეგავლენა საზოგადოებაზე, და მზადა ვართ ამისთვის „გავიხსნათ“, მაშინ გზა უნდა გაიკაფოს არაუნივერსალიზებულ სფეროში, სადაც არავინ იცის, თუ რას მოელოდოს ერთიმეორისგან, სადაც შესაძლებელია არანულოვანი შედეგი, რომელსაც მხარეთა ერთობლივი ძალისხმევა წარმოქმნის.

ლიტერატურა:

- Gellner Ernest, 1996 Conditions of liberty : civil society and its rivals. New York, N.Y. : Penguin Books chapters 10, 11,12,29
- A.B. Seligman. 1997 The Problem of Trust. Princeton University Press, chapter 4: Public and private in political thought: Rousseau, Smith and some contemporaries. pp.103-123
- ჟან-ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი კონტრაქტი, თბილისი, 1997, შერჩევა წიგნი 1, წიგნი 2-დან, 10 გვ.
- Adam Smith. The Theory of Moral Sentiments
- Ханна Арендт Vita Activa или о деятельной жизни. «Алетейя», С-Пб, 2000
- Elster John, 1997 The Market and the Forum: Three Varieties of Political Theory. in: Deliberative democracy: essays on reason and politics ed.Bohman Cambridge, Mass. : MIT Press

ლექცია 6

დემოკრატია: სამი პოლიტიკური ტრადიცია

ჯერ კიდევ 1997 წელს ცნობილი ანალიტიკოსი ფარიდ ზაქარია წერდა, რომ მსოფლიოს სულ უფრო და უფრო მეტ ქვეყანაში „დემოკრატიულად არჩეული რეჟიმები . . . უგულბელყოფენ მათი ძალაუფლების კონსტიტუციურ ფარგლებს და საკუთარ მოქალქეებს ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ართმევენ“. დემოკრატიზაციის მესამე ტალღამ მსოფლიოში ახალი ფენომენი, ახალი ტიპის რეჟიმი წარმოქმნა, რომელსაც არალიბერალური დემოკრატიის სახელი ეწოდა. ამ რეჟიმმა ისეთი მახასიათებლები შეიძინა, რომლებიც ძველ ლიბერალურ დემოკრატიებში არ იყო წარმოდგენილი. ძველი დასავლური დემოკრატიებისგან განსხვავებით, ამ რეჟიმებში მასობრივი დემოკრატია და საყოველთაო ხმის უფლება უფრო ადრე და საფუძვლიანად დამკვიდრდა, ვიდრე კონსტიტუციური ლიბერალიზმი: „დემოკრატია ყვავის, კონსტიტუციური ლიბერალიზმი კი – არა“. საყოველთაოდ არჩეული, პოპულარული მმართველები არ ერიდებიან იმას, რომ პარლამენტებსა და კონსტიტუციის ჩარჩოებს გვერდი აუარონ, ქვეყანა საპრეზიდენტო ბრძანებულებებით მართონ, სახელმწიფო აპარატი ოპოზიციისა და თავისუფალი პრესის წინააღმდეგ გამოიყენონ და ადამიანის კონსტიტუციური უფლებები შელახონ. ეს მოვლენები მრავალ და მრავალ ქვეყანაშია დაფიქსირებული, როგორც ლათინურ ამერიკაში, ასევე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. რეგულარული და საყოველთაოდ არჩევნების ჩატარება ამ ქვეყნებში ვერ უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას, კორუფციის შეზღუდვასა და კარგ მმართველობას ძალაუფლების კონსტიტუციურ ჩარჩოებში. ასეთი ქვეყნების რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება.

დემოკრატია, კონსტიტუციონალიზმი და ლიბერალიზმი არალიბერალურ დემოკრატიებში ერთმანეთთან გადაულახავ წინააღმდეგობაში მოდის. საქმე ისაა, რომ კონსტიტუციონალიზმი და ლიბერალიზმი, ორივე არსებითად ხელისუფლების შეზღუდვის, შეზღუდული მმართველობის თეორიასა და პრაქტიკას განასახიერებენ, ხოლო დემოკრატია ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეულ ლიდერთა ხელში ძალაუფლების მაქსიმალურ აკუმულირებასა და გამოყენებას ესწრაფვის. მაშინ, როცა ძველ დემოკრატიებში დემოკრატიის, კონსტიტუციონალიზმისა და ლიბერალიზმის პრინციპები გარვეულ დაბალანსებულ სისტემას ქმნის, ახალ დემოკრატიებში დემოკრატიის პრინციპები აშკარად ჭარბობს და ძირს უთხრის ლიბერალური დემოკრატიის არსებობისთვის აუცილებელ დანარჩენ კომპონენტებს: „დემოკრატიულად არჩეულ მთავრობებს ახასიათებთ იმის დაჯერების ტენდენცია, რომ მათ აბსოლუტური ძალაუფლება ეკუთვნით, ამან კი შეიძლება ძალაუფლების ცენტრალიზაცია გამოიწვიოს“. იგივე მოვლენას აღწერს ო'დონელი, როდესაც მიუთითებს, რომ ძლიერ ლიდერებს, რომლებსაც სჯერათ, რომ ხალხის სახელით ლაპარაკობენ, გულწრფელად არ ესმით, თუ რატომ უნდა დაუქვემდებარონ თავისი ძალაუფლება კონსტიტუციურ შეზღუდვებს, თუკი ის, რასაც ისინი აკეთებენ (როგორც წესი კი ეს კორუფციასთან ბრძოლას ეხება ხოლმე), ხალხისთვის სიკეთის მომტანია.

ახალი დემოკრატიების გამოცდილება ცხადყოფს, რომ არალიბერალურ დემოკრატიებში კონსტიტუციონალიზმის დამკვიდრება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე მეტ-ნაკლებად სამართლიანი არჩევნების ჩატარება. ტოკვილისეულმა გაფრთხილებამ, რომ ხალხის უმრავლესობის ნებამ შეიძლება პიროვნების თავისუფლება შეზღუდოს, ახალ დემოკრატიებში თვალნათლივი ინსტიტუციონალური განსახიერება ჰპოვა.

სასარგებლოა, ფარიდ ზაქარიას დიხოტომიის გარდა (დემოკრატია- ლიბერალური კონსტიტუციონალიზმი) განვიხილოთ ო'დონელის შედარებით უფრო ღრმა ტრიხოტომია: დემოკრატია, ლიბერალიზმი, რესპუბლიკანიზმი. (შემდგომი მსჯელობა G. O'Donnell. *Illusions about Concolidation*. Journal of Democracy, v. 7, N.2, 1996 და G. O'Donnell. *Horisontal Accontability in New Democracies*. Journal of Democracy, v.9, N.3, 1998-ის მიხედვით)

ლიბერალურ დემოკრატიებს ახასიათებთ არა მარტო დემოკრატიისადმი ერთგულება, არამედ სხვა პოლიტიკური ტრადიციების არსებობაც. როგორც წესი მათში იგულისხმება ორი კომპონენტი, ორი პოლიტიკური ტრადიცია, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს თანამედროვე დემოკრატიების სახეს - დემოკრატია და ლიბერალიზმი. მათთან ერთად არსებობს მესამე ტრადიცია, რომლისგანაც ასევე განუყოფელია თანამედროვე დემოკრატიის არსებობა - ეს არის რესპუბლიკანიზმი. ორი პოლიტიკური ტრადიციის - ლიბერალიზმისა და რესპუბლიკანიზმის სისუსტეზე ლათინური ამერიკის ქვეყნებში მიუთითებს გილერმო ო'დონელი, როდესაც ცდილობს ახსნას ამ ქვეყნებში დამკვიდრებული პოლიტიკური რეჟიმების თავისებურებები, მათ შორის არა მარტო დემოკრატიის არალიბერალურობა, არამედ კორუფციაც.

დემოკრატია, ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი სხვადასხვა ისტორიულ და ინტელექტუალურ ტრადიციაში იღებენ სათავეს. დემოკრატია სათავეს იღებს ძველ ათენში; რესპუბლიკანიზმი - ნინაიმპერიულ რომში და ზოგიერთ შუასაუკუნოვან იტალიურ ქალაქში; ლიბერალური ტრადიცია სცენაზე გამოდის შუასაუკუნოვანი ევროპის ფეოდალურ საზოგადოებებში, ხოლო შემდგომ ლოკის ინგლისში და მონტესკიეს საფრანგეთში. წინააღმდეგობრიობა, რომელიც ამ სამ ტრადიციას შორის არსებობს, ქმნის რთულ ნაზავს, თანამედროვე დემოკრატიის ღია და დინამიურ ფორმას.

ლიბერალიზმი იცავს ინდივიდს და მის უფლებებს, რომლებიც არც ერთმა ძალაუფლებამ არ შეიძლება შელახოს, და ამგვარად, კერძო სფეროს განიხილავს, საზოგადოებრივ სფეროსთან საპირისპიროდ, იმ ასპარეზად, სადაც ყველაზე სრულად ხდება ადამიანის რეალიზება. რესპუბლიკანიზმი, ისევე როგორც ლიბერალიზმი, მკაფიოდ განასხვავებს კერძო და საზოგადოებრივ სფეროებს, მაგრამ სხვა მიზეზის გამო. რესპუბლიკანიზმი ხაზს უსვამს პიროვნების, მით უფრო, მმართველის ვალდებულებებს საზოგადოების წინაშე და თვლის, რომ ადამიანის უმაღლესი ღირსებაა საზოგადოების უანგარო სამსახური.

შესაბამისად, საზოგადოებრივ სფეროს, საზოგადოებრივ ინტერესს ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი სხვადასხვა შინაარსს ანიჭებს. ლიბერალიზმისთვის საზოგადოებრივი ინტერესი ეს არის ყველას ინტერესი, კერძო ინტერესების ნაკრები და მათგან გამომდინარე ჯამური შედეგი. რესპუბლიკანიზმისთვის ეს არის საერთო ინტერესი, ინტერესი, რომელიც მაღლა დგას თითოეულ კერძო ინტერესზე და, რომელსაც კერძო ინტერესი შეიძლება შეენიროს კიდევ.

განსხვავებული ღირებულება, რომელსაც ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი ანიჭებს კერძო და საზოგადოებრივ სფეროს, ინვესტს განსხვავებულ დასკვნებს პოლიტიკური უფლებებისა და მოვალეობების, მოქალაქეობისა და სამოქალაქო საზოგადოების შესახებ, სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც პოლიტიკური დებატების არსია. ყველა ეს დებატები გამომდინარეობს იმ მკაფიო ზღვარის არსებობიდან, რომელიც ასხვავებს კერძოსა და საზოგადოებრივს, და რომელიც ორივე ტრადიციის მიერაა ხაზგასმული.

მიუხედავად ამ წინააღმდეგობრივი შინაგანი ლოგიკისა, ლიბერალიზმსაც და რესპუბლიკანიზმსაც აქვს მნიშვნელოვანი თანხვედრა, რომელიც განაპირობებს მათ ორგანულ თანაარსებობას ერთი საზოგადოებისა და ერთი დემოკრატიული სისტემის ჩარჩოებში: ორივე რეალიზდება კანონისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პატივისცემაში. რა გზითაც არ უნდა იაროთ, ლიბერალურით თუ რესპუბლიკურით, მიხვალთ ისეთი სამართლებრივი წესრიგის აღიარებამდე, რომელშიც ადამიანის და საზოგადოების ურთიერთობას არეგულირებს უნივერსალური, ყველასათვის ერთნაირი კანონი. ეს კანონი არა მარტო იცავს ადამიანის უნივერსალურ (ყველასათვის ერთნაირ) თავისუფლებებს, არამედ განსაზღვრავს მის ვალდებულებებს სხვა ადამიანების, საზოგადოების წინაშე. შედეგად თანამედროვე დემოკრატიის მოქალაქე არის არა მარტო თავისუფალი, არამედ პასუხისმგებელი, მისი თავისუფლება განუყოფელია საზოგადოების (და არა მხოლოდ საკუთარი თავისა და საკუთარი ოჯახის) წინაშე მისი პასუხისმგებლობისგან.

როდესაც ვამბობთ, რომ საზოგადოებრივი და კერძო სფეროები ერთმანეთისგან განცალკევებულია, ეს სულაც არ ნიშნავს ამ სფეროების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობას. ლიბერალიზმისგან და რესპუბლიკანიზმისგან განსხვავებით, დემოკრატია კი არ აშორიშორებს ერთმანეთისგან კერძოს და საზოგადოებრივს, არამედ პირიქით - მათ შორის კავშირს ამყარებს. დემოკრატიის მექანიზმებში ჩადებულია ის, რაც ახდენს კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების ერთმანეთზე მიბმას. დემოკრატიის ჩართვით ხდება სწორედ ინტერესთა მრავალნაირი კონფლიქტების მოგვარება, როგორც კერძო პირთა, ასევე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

დემოკრატია, რესპუბლიკანიზმისგან განსხვავებით, არ მოითხოვს მმართველებისგან განსაკუთრებულ კეთილშობილებას; პირიქით, დემოკრატია გულისხმობს, რომ ნებისმიერს შეუძლია ქვეყნის მართვა. ასევე, დემოკრატია, ლიბერალიზმისგან განსხვავებით, არ ფიქრობს, რომ პიროვნება დაცული უნდა იყოს იმისგან, რასაც ხალხი, ხალხის უმრავლესობა გადაწყვეტს. დემოკრატია უზრუნველყოფს ლიბერალიზმისა და რესპუბლიკანიზმის მიერ დაშორიშორებულ კერძო და საზოგადოებრივ სფეროებს შორის ჰარმონიული ბალანსის დამყარებას.

ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეს სამი ტრადიცია გაერთიანებულია მრავალნაირად და ცვალებადად. ნებისმიერი მათგანისთვის გადაჭარბებული უპირატესობის მინიჭებამ შეიძლება დემოკრატიას საფრთხე შეუქმნას. დემოკრატია ლიბერალიზმისა და რესპუბლიკანიზმის გარეშე შეიძლება უმრავლესობის ტირანად გარდაიქმნას, ლიბერალიზმი დემოკრატიისა და რესპუბლიკანიზმის გარეშე - პლუტოკრატად, ხოლო რესპუბლიკანიზმი ლიბერალიზმისა და დემოკრატიის გარეშე გადაგვარდება თვითდაჯერებული ელიტის პატერნალისტურ მმართველობად.

ქვეყნის კონსტიტუცია და კანონმდებლობა, რომელიც ტერიტორიულად განსაზღვრული სახელმწიფოს არსებობას უკავშირდება, ყველა ამ ტრადიციის ნაჯერია. სახელმწიფო არის დემოკრატიის მეოთხე კომპონენტი, რომელიც მისი ხასიათის მნიშვნელოვან ელემენტებს განსაზღვრავს.

ბევრი ქვეყანა, რომლისთვისაც, ინგლისისგან თუ საფრანგეთისგან განსხვავებით, დემოკრატია „სახლში ნაზარდი პროდუქტი“ არაა, ხშირად ცდილობს დაამკვიდროს ის კანონები და კონსტიტუცია, რომელიც განვითარებული დემოკრატიებისთვის დამახასიათებელ თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოწყობას შეეფერება. ამ დროს იწყება უსასრულო კამათი იმაზე, თუ რა არის უკეთესი - ცხოვრება აიგოს ამ კანონებისა და ინსტიტუტების შესაბამისად, თუ კანონები შემუშავდეს რეალური ცხოვრების მიხედვით. ცხადია, ორივე მხარე მხედველობაში მისაღებია. მაგრამ უფრო არსებითია ის, რომ თავად უნივერსალისტური კანონების შემოღება თანამედროვეობის ნიშანია, თანამედროვე ეპოქის მოვლენა. მათ უკან დასავლეთში ლიბერალური და რესპუბლიკური ტრადიციები დგას, რომელიც ძნელად თუ გასცდა დასავლეთის საზღვრებს, მიუხედავად სხვა სამყაროს მრავალი ქვეყნის პრეტენზიისა, დემოკრატიის სახელი დარქმეოდა. დასავლეთში ლიბერალური და რესპუბლიკური პრინციპების გაბატონება კი ამ მხრივ უკავშირდება ეროვნული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და კაპიტალიზმის დამკვიდრებას.

ეროვნული სახელმწიფო იღებს საკუთარ თავზე სამართლიანობის დაცვის ფუნქციას მას მერე, რაც ხორციელდება სამართლის კოდირება კანონების სახით და სამართლებრივი კანონის დაცვა ხდება სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქცია. ამდენად სამართალი რეალიზდება კანონის მეშვეობით, და არა პირიქით - სამართლიანობის დამკვიდრება კანონიდან გამომდინარეობს. სამართლიანობის დამკვიდრებას უნივერსალური კანონის გზით საფუძველში უნდა ედოს სამართლიანობის უნივერსალისტური პრინციპები, ისეთი, როგორსაც დასავლეთში დემოკრატია, ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი წარმოადგენენ. შესაძლებელია კი, სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა საზოგადოებაში სამართლიანობაზე რაიმე სახის უნივერსალისტური შეხედულებების არსებობის გარეშე?

თანამედროვე კაპიტალიზმის და საბაზრო ეკონომიკის განვითარების კავშირი

ლიბერალიზმთან და რესპუბლიკანიზმთან ასევე შეიძლება განვიხილოთ კერძო და საზოგადოებრივი სფეროს დაშორიშორების სიბრტყეში. სწორედ კერძოს და საზოგადოებრივის დაშორიშორება ხდის შესაძლებელს ისეთ საზოგადოებრივ მოწყობას, როდესაც ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება აღარაა მოქცეული ერთიან პირამიდაში. კაპიტალისტი შეიძლება იყოს ბევრად უფრო მდიდარი ხელისუფლების ნებისმიერ წარმომადგენელზე ისე, რომ მისი თავისუფლება არ იყოს შელახული (თავისუფლების დაცვის ლიბერალური პრინციპი), ხოლო რესპუბლიკანიზმის შედეგია ის, რომ ხელისუფალი, რომელიც საზოგადოებას უანგაროდ ემსახურება, სანაცვლოდ საყოველთაო აღიარებას მოიხვეჭს, რაც მის უანგარობას ანიჭებს არა ალტრუიზმის, არამედ რაციონალურობის ელფერს.

ამდენად, თანამედროვეობის ეპოქაში დასავლეთის ქვეყნებში საზოგადოებრივის და კერძოს, სახელმწიფოს და ეკონომიკის ცალკე სფეროებად ჩამოყალიბება (რაც ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმოქმნას უკავშირდება) შეიძლება დემოკრატიული, ლიბერალური და რესპუბლიკური პრინციპების ჭრილში განვიხილოთ. ამ სფეროების ეს არათანხვედრა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კანონის უზენაესობის დამკვიდრებისთვის, არამედ წარმომადგენლობითი დემოკრატიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

წარმომადგენლობითობა, ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი

როდესაც დემოკრატია პირდაპირი დემოკრატიაა, ანუ საჯარო ადგილას შეკრებილ მოქალაქეთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების ნაირსახეობაა, მაშინ არ არსებობს არჩევითი, წარმომადგენლობითი ხელისუფლება და მასთან დაკავშირებული პრობლემები არ ჩნდება. მაგრამ თანამედროვე დემოკრატია ძირითადად წარმომადგენლობით ხასიათს ატარებს, რომელიც დაფუძნებულია მმართველების არჩევის პრინციპზე.

ხელისუფლების არჩევით დემოკრატია ათავსებს კერძო ინტერესების მქონე პიროვნებას საზოგადოებრივ სფეროში, ანიჭებს მას საზოგადოებრივ ვალდებულებებს, მაგრამ ბევრს არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ უნდა იქნეს მის მიერ გაგებული მისი მოვალეობები, რას უნდა ეფუძნებოდეს მისი გადაწყვეტილებები. რა პრინციპებიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტოს მან კონფლიქტი, რომელიც შეიძლება გაჩნდეს მის კერძო ინტერესებსა და მის მიერ დასაცავ საზოგადოებრივ ინტერესებს შორის? ან კონფლიქტი სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა ინტერესებს შორის?

წარმოვიდგინოთ პარლამენტის დეპუტატი, რომელიც არის ფემინისტური მოძრაობის აქტივისტი და პარლამენტში მოსულია ქალთა უფლებების დაცვის ლოზუნგით. ან რეგიონის წარმომადგენელი, ან ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, რომელიც ამ უმცირესობის უფლებებს იცავს. რა პრინციპებით უნდა იხელმძღვანელონ ამ ადამიანებმა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას? რა არის მათი წარმომადგენლობითი ფუნქციის არსი? აქ შესაძლოა დეპუტატის მანდატის სხვადასხვა ინტერპრეტაცია: დეპუტატმა უნდა გამოხატოს თავისი ამომრჩევლების ინტერესები (იმათი, ვინც მას ხმა მისცა); დეპუტატი გამოხატავს მთელი მოსახლეობის ინტერესებს; დეპუტატი მისდევს თავისი პარტიის პოლიტიკას; დეპუტატი თავისუფალია მოიქცეს ისე, როგორც მას მისი სინდისი კარნახობს. ყოველ შემთხვევაში ის აუცილებლად აღმოჩნდება ისეთ სიტუაციებში, როდესაც იმ ჯგუფის ინტერესი, რომელსაც იგი წარმოადგენს, გარკვეულწილად არ ემთხვევა მთელი საზოგადოების ინტერესს - მაგალითად, მასწავლებელთა ხელფასების გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა და, ამის შედეგად, ინფლაცია, რაც მთელ საზოგადოებას შეეხება.

აქ ნაჩვენებია „წარმომადგენლობითობის პარადოქსი“, რომელიც უკავშირდება ამომრჩეველთა კერძო ინტერესების მათ ჯამურ (ან საერთო) ინტერესად გადაქცევის პროცესს. ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც ამ პროცესში იქმნება, მდგომარეობს არა მხოლოდ კერძოსა და საზოგადოებრივის ურთიერთმიმართებაში, არამედ ურთიერთმიმართებაში სხვადასხვა

საზოგადოებრივ ინტერესებს შორის, როგორცაა სხვადასხვა ჯგუფური ინტერესები, სახელმწიფოს ინტერესი და სხვა.

ლიბერალიზმიც და რესპუბლიკანიზმიც იძლევიან წარმომადგენლობით დემოკრატიაში ამ კონფლიქტის სამართლიანი გადაჭრის სცენარს, მაგრამ სხვადასხვა ლოგიკიდან გამომდინარე. ლიბერალიზმი, განიხილავს რა საზოგადოებრივ ინტერესს როგორც კერძო ინტერესთა ჯამს, რომელთაგან ყველა თანასწორუფლებიანია, ამბობს, რომ უმრავლესობის თავისუფლება არ უნდა მიიღწეოდეს უმცირესობის თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე. დემოკრატია, ხალხის მმართველობა, არ უნდა გადაიქცეს უმრავლესობის ტირანიად, ამდენად გადანყვეტილება უნდა მიიღებოდეს მოლაპარაკებითა და შეთანხმებით, ყველას ინტერესების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ, პოლიტიკოსი ვალდებულია მხარი დაუჭიროს კომპრომისულ, ყველას თვალში სამართლიან წინადადებას. რესპუბლიკანიზმი, განიხილავს რა საზოგადოებრივ ინტერესს როგორც ყველას ინტერესზე მალა მდგომს, როგორც არა ჯამურს, არამედ საერთოს, პოლიტიკოსისგან მოითხოვს საზოგადოების წინაშე ვალდებულებების შესრულებას.

მოკლედ, ერთი და მეორეც ამტკიცებს იმას, რომ საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩეული ადამიანი ემსახურება ამა თუ იმ სახით გაგებულ საზოგადოებრივ ინტერესებს. ისინი ქმნიან მიუკერძოებლობის ეთიკურ ველს, რომლის რეალიზება, გარდა სამართლებრივი მექანიზმებისა, გულისხმობს ამ ეთიკური ნორმების გაზიარებასა და აღიარებას ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების მიერ.

ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება, ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი

არჩევნები, რომელიც ტარდება პერიოდულად, წარმოადგენს ამომრჩეველთა მიერ ხელისუფლების კონტროლის ვერტიკალურ ინსტრუმენტს. სამწუხაროდ, ეს ინსტრუმენტი, მისი პერიოდული ხასიათისა და სხვა ნაკლოვანებების გამო სრულად ვერ უზრუნველყოფს ხელისუფლებაზე იმ კონტროლს, რომელიც აიძულებს მას დაუქვემდებაროს თავისი კერძო ინტერესები საზოგადოებრივ ინტერესებს. ამიტომ იყო, რომ დემოკრატის ინსტიტუციონალურ მოწყობაში თავის დროზე გათვალისწინებულ იქნა ჰორიზონტალური კონტროლის არსებობა - ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებისა და შტოების მიერ ძალაუფლების განაწილებისა და ურთიერთკონტროლის მექანიზმები.

ჰორიზონტალური კონტროლი ისაა, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოები უფლებამოსილნი არიან - და რეალურად ასრულებენ კიდევ - ერთმანეთის ზედამხედველობასა და კონტროლს კანონების დაცვის თვალსაზრისით, კონსტიტუციურობისა და ძალაუფლების გადამეტების თავიდან აცილების მიზნით. ამ კონტროლის არარსებობის პირობებში შეიძლება დაზარალდეს დემოკრატის სამივე კომპონენტი - დემოკრატიული, ლიბერალური და რესპუბლიკური. დემოკრატია ზარალდება, თუ არჩევნები ტარდება დარღვევებით, ლიბერალიზმი ზარალდება, თუ ირღვევა ადამიანთა უფლებები, ხოლო რესპუბლიკანიზმი ზარალდება, თუ ხელისუფლების წარმომადგენლები არღვევენ კანონს და მოქმედებენ ვოლუნტარისტულად.

თუ პირველი და მეორე ყოველთვის იწვევენ პროტესტს, უკანასკნელი ყველაზე იშვიათად აღიქმება როგორც ბოროტება, და ზოგჯერ არც შეიცავს ბოროტ განზრახვას. მართლაც, პრეზიდენტი, რომელიც კონსტიტუციის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ შლის არაპოპულარულ პარლამენტს, შეიძლება პატრიოტული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდეს და ხალხის მონობასაც იმსახურებდეს. მაგრამ ის იმავდროულად შლის სახელმწიფო მოწყობის საფუძვლებს, ეფექტურ და ავტონომიურ ინსტიტუტებს, რომლებმაც ერთობლივად, კომპლექსში უნდა განახორციელონ ძალაუფლება და გაინაწილონ პასუხისმგებლობა.

ახალ დემოკრატიაში ძალაუფლების ამგვარი გადამეტება, ხელისუფლების სხვა შტოების დასუსტება, როგორც წესი, პრეზიდენტებისგან მომდინარეობს. მართავენ რა ხალხის სახელით, ისინი ხშირად არ თვლიან საჭიროდ დაექვემდებარონ კანონის მოთხოვნებს. ამგვარი

ერთპიროვნული მმართველების ძალაუფლება არ არის უსაზღვრო, მათაც უნევთ კომპრომისებზე წასვლა როგორც მოკავშირე, ისე ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ინტერესებიდან გამომდინარე. მაგრამ ამგვარი კომპრომისები სულ სხვა, არაკონსტიტუციურ წესებსა და ნორმებს ეყრდნობა, ამნუთიერი, კონიუნქტურული და ინტრიგანული ხასიათის თამაშის ელფერს ატარებს.

ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულების დარღვევა ასუსტებს დემოკრაციას, განსაკუთრებით კი მის რესპუბლიკურ და ლიბერალურ კომპონენტებს. ის ქმნის საფუძვლებს იმისათვის, რომ პოლიტიკოსებმა გამოიყენონ თავისი თანამდებობები ბოროტად, რაც დაუშვებელია რესპუბლიკური ნორმებიდან გამომდინარე. ამავე დროს იგი ქმნის საფუძველს იმისათვისაც, რომ ცალკეულმა სახელმწიფო სტრუქტურებმა გადამეტებული ძალაუფლება მოიპოვონ, რაც დაუშვებელია ლიბერალური ნორმებიდან გამომდინარე.

დემოკრატია შეიძლება არსებობდეს, და არსებობს კიდევაც, ლიბერალური და რესპუბლიკური კომპონენტების სისუსტის ფონზეც. მაგრამ ამგვარ დემოკრაციას ახასიათებს ხოლმე მაღალი კორუფცია (რესპუბლიკანიზმის ნაკლებობა) და შედარებით ნაკლებად - ძალაუფლების გადამეტება (ლიბერალიზმის ნაკლებობა). ნაკლებად იმიტომ, რომ როგორც კი ძალაუფლების გადამეტება გარკვეულ ზღვარს ცდება, რეჟიმი დემოკრატიულობის სახელს კარგავს. ერთი კი ფაქტია - დემოკრატია თავისთავად, ლიბერალიზმისა და რესპუბლიკანიზმის გარეშე, კორუფციისა და ძალაუფლების გადამეტების პრობლემების მოგვარებას ვერ ახერხებს.

ლიტერატურა:

გ.ჟორჟოლიანი, თ.ბერეკაშვილი, მ. მუსხელიშვილი. *დემოკრატია გარდამავალ*

საზოგადოებებში, სახელმძღვანელო, თბილისი, 2002

G. O'Donnell. *Illusions about Concolidation*. Journal of Democracy, v. 7, N.2, 1996

G.O'Donnell. *Horisontal Accountability in New Democracies*. Journal of Democracy, v.9, N.3, 1998

დემოკრატიის დისკურსული თეორია და სამოქალაქო საზოგადოება

ჰანა არენდტის მიხედვით (Vita activa), პოლიტიკური ძალაუფლება არავის არ ეკუთვნის, პოლიტიკური ძალისგან განსხვავებით, იგი არსებობს ადამიანთა შორის სივრცეში და იქმნება (მყლავნდება) მათ ურთიერთქმედებაში — action-ში, რომელიც მდგომარეობს ნაბიჯის გადადგმაში, არამატერიალურ ქმნადობაში, კომუნიკაციის ფენომენის შექმნაში.

ჰანა არენდტი ამ პოლიტიკური სფეროს იზონომიაზე საუბრობს — სივრცითი თანასწორობის ფორმაზე, რაც ჯერ კიდევ არისტოტელედან მომდინარეობს (იხ. აგრეთვე, კოლა, პოლიტიკური სოციოლოგია). მაგრამ პოლიტიკური სფერო არ არის აუცილებლობით იზონომიური. პოლიტიკური ძალაუფლების ფარული სტრუქტურები ხშირად არათანასწორუფლებიანია, ასიმეტრიული და, ფუკოს თუ დაფუჯერებთ, მხოლოდ ასიმეტრიულად უნდა მოიაზრებოდეს.

უფრო გასაგები რომ გახდეს, თუ რა იგულისხმება პოლიტიკური ძალაუფლების ფარულ სტრუქტურაში (pattern), მოვიყვან ერთ მაგალითს. ამას წინათ, საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში ტარდებოდა ღონისძიება — საიუბილეო საღამო. ადგილობრივი მოსახლეობა და ადგილობრივი ხელისუფლება, შეკრებილები გამოჩენილი ქართველის სახლ-მუზეუმის ეზოში, მოთმინებით ელოდებოდნენ საპატიო მაღალჩინოსნის სტუმრობას თბილისიდან. გამზადებულ ტრიბუნაზე იდგა მიკროფონები, დინამიკებიდან რადიოს მუსიკა ისმოდა, ხალხი იჯდა მათ წინ წრიულად ან სეირნობდა ახლო-მახლო. ორი საათის განმავლობაში, რაც ამ ღონისძიებაში გავიდა, არავინ ეცადა მიკროფონთან მისულიყო და კომუნიკაციის დამყარების ინიციატივა თავის ხელში აეღო. საჯარო სივრცე ცარიელი დარჩა მანამ, სანამ დაიწყებოდა ოფიციალური ღონისძიება წინასწარ დაგეგმილი გამოსვლებით და შემაჯამებელი კონცერტით.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს არ აკლია ადამიანები, ვისაც შეუძლია სუფრის წარმართვა და ვისაც თამადაობის ნიჭი და მიდრეკილება გააჩნია. კერძო სიტუაციებში და საუბრებში ადამიანებს გამბედაობა და მჭევრმეტყველება არ აკლიათ, მაგრამ მიკროფონი და ოფიციალური ღონისძიების მდგომარეობა, ეს სულ სხვა საჯარო სივრცეა და ამ სივრცეში, როგორც ჩანს, მკაცრი ტაბუ ადევს თვითინიციატივას - სიმბოლური ძალაუფლება, რომელსაც ცარიელი მიკროფონი განასახიერებდა, ეკუთვნოდა იქ არმყოფ დიდ უფროსობას და მისი შელახვა ვერავინ გაბედა. კომუნიკაცია ვერ შედგა, მოსახლეობა პასიური ობიექტის როლში დარჩა ბოლომდე.

პოსტსაბჭოთა ადამიანების უუნარობა დაამყარონ კომუნიკაცია საჯარო სივრცეში — ეს, ჰანა არენდტის მიხედვით, არის მათი პოლიტიკური დათრგუნულობის შედეგი, ვინაიდან ურთიერთობა ადამიანებს შორის ყოველთვის არის პოლიტიკური აქტი, ოღონ განსხვავებული მნიშვნელობით. ადამიანთა საქმიანობა შეიძლება იყოს სამი ტიპის — ჯაფა, მუშაობა და მოქმედება. ამ სამი ტიპიდან მოქმედება არის უმაღლესი ფორმა, და ის პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. წინა ლექციის ტერმინოლოგიით, ის ინტერაქციულია, და მასში ადამიანის უმაღლესი მოქალაქეობრივი ღირსება გამოიხატება.

მაგრამ ადამიანთა ურთიერთობა არა მხოლოდ ამ (რესპუბლიკური) გაგებით არის პოლიტიკური. ის პოლიტიკურობის სამ განსხვავებულ ეთიკას მოიცავს, რომლებსაც ჩვენ დაბლა განვიხილავთ.

	დემოკრატია	ლიბერალიზმი	რესპუბლიკანიზმი
ლეგიტიმაცია	უმრავლესობა	ერთი	ყველა
აქტორები	პოლიტიკოსები	ექსპერტები	ელიტები
საგანი	სუბიექტურობა, ინტერესი	ობიექტური ცოდნა	მორალი
წყარო	ხალხი	სინამდვილე, ფაქტობრიობა	რელიგია, კულტურა, ეროვნულობა
დროითი ორიენტაცია	მოკლე	საშუალო	უსასრულო
კონფლიქტი	უმრავლესობა/უმცირესობა	პიროვნება/პიროვნება	პიროვნება/საზოგადოება
აგენტი	დარწმუნება	დამტკიცება	აღზრდა/ტრანსფორმაცია
ღირებულებები	არჩევნები/უზურპაცია	კანონი/ქაოსი	წარმომადგენლობითობა /კორუფცია მიკერძოება
მედია	ტელევიზია	ჟურნალი	ნიგნი
ქმნის	რეჟიმს	ინსტიტუტებს	სტრუქტურებს
ვებური	ქარიზმა	სამართლებრივ-რაციონალური	ტრადიცია
საფრანგეთის რევოლუცია	Egalite	Liberte	Fraternite
ჰაბერმასი	დრამატურგიული	ინსტრუმენტული	კომუნიკაციური

წარმოიდგინეთ, რომ მრავალრიცხოვანი კამპანია იღებს გადაწყვეტილებას იმაზე, თუ სად გაატაროს დასვენების დღე – ტყეში, მდინარესთან თუ მთაში. სავარაუდოდ, გადაწყვეტილება მიღებული იქნება ხმათა უმრავლესობით – წავლენ იქ, სადაც ყველაზე მეტ ადამიანს უნდა წასვლა.

ეს არის გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული გზა – ხმათა უმრავლესობით. ამ წესს მიმართავენ, როდესაც საქმე ეხება გარკვეულ სუბიექტურობას – მაგალითად, როდესაც სხვადასხვა ადამიანებს აქვთ განსხვავებული სურვილები და ინტერესები, ან, მაგალითად,

როდესაც ლაპარაკია განუსაზღვრელ მომავალზე და სამომავლო შესაძლო განვითარებაზე. აქ არავის შეუძლია წინასწარ დანამდვილებით სინამდვილის განჭვრეტა ისეთ საკითხზე, მაგალითად, თუ „ვინ იქნება საქართველოსთვის უკეთესი პრეზიდენტი – პეტრე თუ პავლე?“ სუბიექტურად შეიძლება ვივარაუდოთ, მაგრამ დანამდვილებით თქმის შეუძლებლობის გამო ისევ კენჭისყრას მივმართავთ.

თუმცა, გადანყვეტილება არ მიიღება ყველა შემთხვევაში ხმათა უმრავლესობით. ზოგჯერ აუცილებელია ყველას ხმები, და არა უმრავლესობის სურვილი. ასე მაგალითად, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ყველას უნდა წასვლა ტყეში, მაგრამ ჯგუფის ერთი წევრი აცხადებს, რომ მას აქვს ალერგია, და რომ ტყეში წასვლა მისთვის ლამის სასიკვდილო საფრთხესთან არის დაკავშირებული. ამგვარ ვითარებაში ამ ადამიანის ინტერესების იგნორირება და უმრავლესობის სურვილის დაკმაყოფილება უზნეობა იქნებოდა. სავარაუდოდ, ჯგუფი აირჩევს სხვა მარშრუტს, რომელიც ყველასთვის უსაფრთხო იქნება.

ამგვარად, თუკი უმცირესობის სიცოცხლეს ან სხვა ძირითად უფლებებს უმრავლესობის ნების განხორციელების შედეგად საფრთხე ემუქრება, გადანყვეტილებას ხმათა უმრავლესობით არ ღებულობენ. ამ შემთხვევაში საჭიროა კონსენსუსი – ყველას თანხმობა, ყოველგვარი გამოკლების გარეშე. ყველას შეთანხმების საფუძველზე ღებულობენ გადანყვეტილებებს მაშინ, როდესაც საქმე ეხება მორალისა და ეთიკის საკითხებს, როდესაც საჭიროა უსამართლობის ჩადენის თავიდან აცილება. ასე ხდება, მაგალითად, როდესაც ჯგუფი აწესებს მორიგეობას იმაზე, თუ ვინ მოამზადებს საჭმელს. ყველა უნდა იყოს თანახმა, რომ ეს უსიამოვნო ვალდებულება მოიხადოს, და თავისი წილი თავისუფალი დრო სხვებთან ერთად საერთო საქმის კეთებაზე დახარჯოს; სამართლიანია, რომ ყველამ თანაბრად გაინაწილოს მოსაბეზრებელი საქმეების კეთება, და უსამართლობა იქნება, თუკი ისინი მხოლოდ ნაწილს დაეკისრება.

ამასთან, არსებობს გადანყვეტილებები, რომლებიც არც ხმათა უმრავლესობით, და არც ყველას ხმებით არ მიიღება. თუკი ზემოხსენებულმა ჯგუფმა არ იცის, თუ რა მიმართულებით უნდა იაროს – ჩრდილოეთით თუ სამხრეთით – დასახული მიზნის მისაღწევად, ერთადერთი, რაც მას უშველის - ეს არის მცოდნე ადამიანი, რომელიც ან ადგილობრივ გეოგრაფიაში ერკვევა კარგად, ან რუქა და კომპასი აქვს. მოკლედ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც დასადგენია კონკრეტული ფაქტობრივი, თუ ობიექტური ცოდნა.

გასაგებია, რომ ორჯერ ორო რას უდრის, ან სწორია თუ არა აინშტაინის თეორია, ეს არის ის საკითხები, რომელთა გადანყვეტა ხმათა უმრავლესობით უაზრობაა, ისევე როგორც ყველას ხმებით. თუკი ერთმა ადამიანმა იცის, თუ რას უდრის ორჯერ ორი, მას არ სჭირდება სხვების გამოკითხვა, რომ სწორი პასუხი განსაზღვროს. ასევე, თუ ერთმა ადამიანმა იცის, თუ რა გზით არის საჭირო სიარული მიზნის მისაღწევად, გადანყვეტილების მიღება სწორედ მას უნდა მიენდოს.

ამდენად, ჩვენ გვაქვს გადანყვეტილებათა მიღების სამი წყარო, სამი ეთიკა, რომლებიც აწესებენ ლეგიტიმურ გადანყვეტილებებს, ანუ საზღვრავენ ამ გადანყვეტილებათა ლეგიტიმურობის დადგენის ხასიათს. ესენია გადანყვეტილებათა მიღება უმრავლესობის ხმებით, ყველას ხმებით და ერთის ხმით.

ამ სამ ეთიკას, სამ წესს, ჩვენ შესაბამისად ვუნოდებთ დემოკრატიულ, რესპუბლიკურ და ლიბერალურ ლეგიტიმაციას.

მიაქციეთ ყურადღება ფორმულირებას „ვუნოდებთ“. თვით ცნებები „დემოკრატია, რესპუბლიკანიზმი და ლიბერალიზმი“ გამოიყენება ზოგადად გარკვეული, თუმცა კი ფართოდ განფენილი მნიშვნელობებით. ჩვენ რომ გვეთქვა არა „ვუნოდებთ“, არამედ „ესენია“, ჩვენ მოგვინევდა ახლავე იმის დასაბუთება, რომ ეს მართლაც ასეა. ანუ მაშინ უნდა აგველო როგორც მინიმუმ კლასიკური ნაშრომები, რომლებიც დემოკრატიის, ლიბერალიზმისა და რესპუბლიკანიზმის პოლიტიკური აზროვნების ქვაკუთხედებს წარმოადგენენ, და დაგვეწყოს იმის გარჩევა, თუ რამდენად შეესაბამება ჩვენი გაგება ამ ნაშრომების იდეებს.

ჩვენ აქ სხვა გზით მივდივართ. ჩვენ ჯერ განვიხილავთ ლეგიტიმაციის ამ სამ განსხვავებულ წესს, შევისწავლით მათ სიღრმისეულად, ხოლო შემდეგ დავუბრუნდებით კლასიკოსებს და თანამედროვე ავტორებსაც და მათ ნაწერებთან პარალელურს გავავლებთ.

მაშ ასე, ჩვენ გვაქვს სამი ეთიკური წესი, რომლებსაც ჩვენ დავარქვით დემოკრატიული, რესპუბლიკური და ლიბერალური წესები. თითოეული წესი საზღვრავს სპეციფიკურ დისკურსს, რომელთა თვისებებსაც ჩვენ ახლა შევისწავლით.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება, რომლის გამოც ჩვენ ასე მკაფიოდ ვასხვავებთ ამ სამ დისკურსს ერთმანეთისგან. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ეთიკის მიმდევარი დისკურსები ვერ გაერთიანდებიან ერთ დისკურსში! ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მე თუ ვარ პოლიტიკოსი, და ტელევიზორში გამოვდივარ და მაყურებელთა უმრავლესობას მინდა თავი მოვანონო, ხოლო ჩემს ოპონენტს აქვს მტკიცებულებები, რომ ის, რასაც მე ვლაპარაკობ, არასწორია, ჩემი რაციონალური ქცევა ჩემი თავის დემაგოგიური გამართლებაა (და საერთოდ, მოვერიდები ისეთი ფაქტობრივი მტკიცებულებების გაკეთებას, რომლებიც შემონიშნავდა სხვების მიერ), და არა შეცდომის აღიარება. ანუ დემოკრატიული დისკურსის ჩარჩოებში ყოფნა (უმრავლესობას უნდა მოვანონო თავი) გამორიცხავს ლიბერალური დისკურსის წესების წინ წამოწევას, და პირიქით: თუ ჩემთვის სიმართლის დადგენაა მთავარი, შეიძლება ტელედებატებში საერთოდ ვერ მივიღო მონაწილეობა, ვინაიდან ისინი არ იძლევიან ქეშმარიტების დადგენის შესაძლებლობას. ანუ დისკურსის ეთიკა ერთ შემთხვევაში ერთია, ხოლო სხვა შემთხვევაში – სხვა.

ცხადია, ეს არ ნიშნავს რომ დისკურსებს შორის ინფორმაციის გაცვლა არ შეიძლება, ან არ წარმოებს, ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ ინტერდისკურსულ სივრცეში ახალი ინფორმაცია არ იწარმოება. ამ საკითხებს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი ვეცადოთ უკეთ გავიგოთ ჩვენი სამი დისკურსის ბუნება.

როგორც ვახსენეთ, დემოკრატიული ეთიკა ყველაზე უკეთ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება სუბიექტურობას, ლიბერალური – როდესაც ის ეხება ცოდნას, ხოლო რესპუბლიკური – მორალს. სამივე, ამასთან, უკავშირდება პოლიტიკურ ურთიერთობებს ადამიანთა რაღაც ჯგუფში. ჩვენს მაგალითში ერთს უნდა გადაენწყვიტა მიზანი (სტრატეგია), მეორეს – საერთო საქმისთვის გასაწევი შრომითი დანახარჯების სამართლიანი გადანაწილება, ხოლო მესამეს – სწორი მიმართულება (ტაქტიკა). სამივე ეს კომპონენტი პოლიტიკის სფეროს მიეკუთვნება, ოღონდ გადანწყვეტილების მიღება განსხვავებული წესებით იწარმოება. მიზნის შესარჩევად ჯგუფის წევრები ეცდებოდნენ ერთმანეთი მოეხიბლათ საკუთარი არჩევანის უპირატესობებით – *დაერწმუნებიათ* ოპონენტები იმ სილამაზით, რომლებსაც ისინი, ვთქვათ, მთაში ნახავდნენ, ან დაეშინებიათ ისინი, პირიქით, მთაში ასვლის სიძნელეებით. მოკლედ, მათი რაციონალური ქცევა იქნებოდა ერთმანეთის დარწმუნება, თავის მხარეს უმრავლესობის გადმოსაბირებლად, საკუთარი პოზიციის პროპაგანდა.

ამისგან განსხვავებით, ის, ვინც ტაქტიკას განსაზღვრავს, ანუ ირჩევს გზას, რომელიც ჯგუფს უკვე განსაზღვრულ მიზანთან მიიყვანს, უნდა მოქმედებდეს არა დარწმუნებით, არამედ *დამტკიცების* გზით. მან უნდა დაასაბუთოს თავისი აზრი ან რუქის მოშველიებით, ან ადგილობრივ მაცხოვრებელთაგან მიღებული ინფორმაციით, ან საკუთარი გამოცდილებით. მან უნდა თქვას „მე ვიცი“, და არა „მე მინდა“. საპირისპიროდ, თუკი ვინმე უარყოფს სტრატეგიას, ის ამბობს „მე არ მომწონს“, ან „მე არ ვეთანხმები“, ხოლო ვინც ტაქტიკას უარყოფს, ის ამბობს „არასწორია“, „მცდარია“.

და ბოლოს, სამართლიანი შენატანი საერთო საქმეში მიიღწევა ჯგუფში სოლიდარული, თანასწორი და ურთიერთპატივისცემის დამოკიდებულებების დამკვიდრებით. ამ დამოკიდებულებების ხარჯზე, თუკი თავიდან სამართლიანობის პრინციპი დაირღვა, და ვილაცამ იგრძნო თავი დაჩაგრულად, შემდგომში უნდა მოხდეს *ტრანსფორმაცია*, ჯგუფის ზარმაცი ან თავხედი წევრის თავის ადგილას დაყენება, და მისი დარწმუნება იმაში, რომ მისი ქცევა არასწორია და გასაკიცხია. ტრანსფორმაცია და *აღზრდა* არის ის წესები, რომლებიც ამ შემთხვევაში მოქმედებს, „ყოჩაღ“ და „გრცხვენოდეს“ არის ის შეფასებები, რომლებიც ამ დისკურსის რელევანტურია.

ინგლისური ტერმინოლოგია რომ ავითვისოთ, შეიძლება ითქვას, ამ დისკურსებს ახასიათებთ სამი განსხვავებული agency – მოქმედების უნარი. დემოკრატიული დისკუსიის agency არის დარწმუნება, ლიბერალურის – დამტკიცება, ხოლო რესპუბლიკურის აღზრდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, და ყოველთვის გვახსოვდეს, რასაც ვეცდები ხშირად გახსენებდეთ ხოლმე, რომ აქ აღინერება ნორმატიულად „სწორი“ სურათი. ანუ ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს, და არა იმაზე, თუ რა ხდება ხოლმე რეალობაში. ანუ არ არის გამორიცხული, რომ ჯგუფი წაეჩხუბოს ერთმანეთს და დაიშალოს, რომ საჭმლის მზადების ვალდებულება მამაკაცებმა ქალებს გადაულოცონ, რომ ურჩი წვერი ჯგუფისა მისგან გაირიცხოს, რომ ზედმეტად თავდაჯერებულმა და ლიდერობის მოწყურებულმა ჯგუფის წევრმა გამოაცხადოს, რომ მან იცის სწორი გზა და ჯგუფს ქაობში ამოაყოფინოს თავი, და ა.შ. და ა.შ. თითოეული ეს გადახრა იდეალური სურათისგან არსებითად დისკურსული ეთიკის დარღვევის ხარჯზეა შესაძლებელი. გარდა ამისა, ცხადია, ჯგუფს შეიძლება თავზე დაატყდეს სხვა უბედურებები, როგორცაა, მაგალითად, მოულოდნელად ამოვარდნილი ქარიშხალი, რასაც ჯგუფის ეთიკასთან კავშირი არა აქვს, და რაც თავისთავად გადაულახავი წინააღმდეგობა შეიძლება აღმოჩნდეს. მოკლედ, ის, რასაც ჩვენ აქ ვიხილავთ, სწორი, ანუ სასურველი მოწყობის იდეალური სახეა, რომელიც ჩვენთვის თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიების იდეალთანაა ასოცირებული, რომელიც მოგეხსენებათ, ჯერ ერთი, შეიძლება არ იყოს ერთადერთი შესაძლო იდეალი, ხოლო მეორე მხრივ, ის არასდროს სრულად არ ხორციელდება.

დავუბრუნდეთ დისკურსების ბუნების გარჩევას. მოქმედებები, რომლებიც ახასიათებს ამ დისკურსებს, არ ხდება თავისთავად. მათ ვიღაცა აწარმოებს. ის, ვინც მონაწილეობს ამა თუ იმ დისკურსში, ამ დისკურსის ჩარჩოებში გარკვეულ როლს თამაშობს. დისკურსის ჩარჩოებს მიღმა ის შეიძლება სხვა როლში გამოვიდეს, მაგალითად, მანქანის მძღოლის როლში ან ოჯახის წევრის როლში, იყოს ზოგადად პიროვნება და ა.შ. მაგრამ ამ წუთს ჩვენ გვაინტერესებს შემდეგი კითხვა — რა მერქმევა მე, თუკი ამ სამი დისკურსიდან ერთ-ერთში მოვინდომებ მონაწილეობის მიღებას?

დემოკრატიულ დისკურსში მონაწილეობის მიღება ნიშნავს მცდელობას, მოიპოვო რაც შეიძლება მეტი მომხრე (მოიპოვო უმრავლესობა) და დაარწმუნო ადამიანები საკუთარი პოზიციის მიმზიდველობაში. გასაგებია, რომ ამას აკეთებენ პირველ რიგში *პოლიტიკოსები* და ამ გზით ისინი პოლიტიკურ ძალაუფლებას მოიპოვებენ — როგორც მინიმუმ იმ პოლიტიკურ რეჟიმებში, სადაც ტარდება პერიოდული სამართლიანი არჩევნები სახელმწიფო პოსტების დასაუფლებლად. ამდენად, დემოკრატიული დისკურსის ძირითადი აქტორი (მოქმედი პირი, actor) არის პოლიტიკოსი. გამოცდილებიდან ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოების ყველა წევრი არასდროს გამოდის ამ როლში, არამედ ამ სოციალურ როლს, როგორც წესი, ადამიანთა მხოლოდ გარკვეული ჯგუფები ასრულებენ. თუმცა კი, თეორიულად, არ არის გამორიცხული, რომ რამდენი წევრიცაა ჯგუფში, იმდენი განსხვავებული აზრი დაფიქსირდეს, მაგრამ, როგორც წესი, არჩევანი და ალტერნატივები არც თუ იმდენად ბევრია და მალე ირკვევა, რომ საკმარისია რამდენიმე ალტერნატივის დაფიქსირება და მათი პროპაგანდირება.

ლიბერალური დისკურსის მონაწილე ალტურვილია ცოდნით და დამტკიცების უნარით. ის არის თავისი საქმის *ექსპერტი*. ის შეიძლება ასევე იყოს მოსამართლე (გარკვეული გაგებით, კანონების ექსპერტი). ექსპერტის მიზანია ცოდნა და მხოლოდ ცოდნა. ეს ცოდნა კარგადაა ასახული ინგლისურ ენაში სიტყვაში „policy”, — ტერმინი, რომელიც პოლიტიკისგან, „politics” –ს ნაცვლად აღნიშნავს არა ბრძოლას ძალაუფლებისთვის, არამედ გარკვეული სტრატეგიული კურსის შემუშავებას და განხორციელებას. policy მოიცავს საექსპერტო კვლევას, გაანგარიშებას, ტექნიკურ ცოდნას, ფინანსურ გათვლას და ა.შ.

ექსპერტები შეიძლება მუშაობდნენ მთავრობაში ან წარმოადგენდნენ სამოქალაქო საზოგადოებას. ცალკე აღსანიშნავია მოსამართლე, რომელიც ამა თუ იმ ქცევას აფასებს მისი შესაბამისობიდან კანონთან — რაც პირველ რიგში ცოდნის და არა მორალის საკითხია და არც უმრავლესობის აზრის პრობლემა. ასე, უმრავლესობას შეიძლება ეგონოს, რომ მე ვარ მკვლელი და რომ დანაშაული მაქვს ჩადენილი, მაგრამ მე ვფლობდე ცოდნას იმის თაობაზე, რომ ვარ უდანა-

შაულო და ამის მტკიცებულება გამაჩნდეს. მაშინ მიუკერძოებელმა მოსამართლემ უნდა გამამართლოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი საზოგადოება მზად არის ლინჩის წესით გამისწორდეს.

მაშინ, როცა ლიბერალური დისკურსის საგანია ცოდნა, ხოლო აქტორი — ექსპერტი, რესპუბლიკური დისკურსის აქტორი ვლინდება მის მიმართებაში მორალთან და აღმზრდელობითი საქმიანობის წარმართვასთან. ასეთი აქტორი მიეკუთვნება საზოგადოების ნორმატიულ ელიტას — იმ ადამიანთა უმცირესობას, რომლებიც საზოგადოების თვალში განსაკუთრებული, ამაღლებული თვისებებით გამოირჩევიან.

რესპუბლიკური დისკურსი ყველაზე ძნელი გასაგებია, ვინაიდან ნათელი არ არის, თუ რანაირად უნდა იყოს ყველა ჩართული მორალური საკითხების ლეგიტიმაციაში, მით უმეტეს, რომ ჩვენ ვსაუბრობთ თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიებზე, სადაც მორალი და ეთიკა თავისთავად პლურალიზმის ნორმებს ექვემდებარება.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ რესპუბლიკური დისკურსისათვის გადანყვეტილების მორალურობა — ეს არის ფორმა, და არა შინაარსი. ეს დისკურსი უბრალოდ მოითხოვს, რომ ყველა ემზრობოდეს მორალურობის პრინციპს, მაგრამ არ საზღვრავს, თუ რა უნდა იყოს ამ თანხმობის შინაარსი. ანუ მისთვის მნიშვნელოვანია თვით ლაპარაკი მორალზე, და არა რაიმე კონკრეტული დასკვნა, რომელიც ამ ლაპარაკიდან შეიძლება წარმოიშვას.

რესპუბლიკურ დისკურსს აწარმოებენ საზოგადოებრივი ელიტები და აწარმოებენ საზოგადოების ისეთ სტრუქტურებში, როგორებიცაა ეკლესია, უნივერსიტეტი, თეატრი, ლიტერატურა და ა.შ. ეს დისკურსი თავისი სტრუქტურით საზღვრავს საზოგადოების მსოფლმხედველობას, მის წარმოდგენებს სამართლიანობაზე, მის ბაზისურ ფილოსოფიურ სანყისებს. თავისი ბუნებით ის, რასაკვირველია, უფრო პრეპოლიტიკურია, ვიდრე უშუალოდ პოლიტიკური, მაგრამ პოლიტიკის სანყისები სწორედ მასში მოიპოვება.

რესპუბლიკური დისკურსის ელიტები ვერ გადაუდგებიან სინდისის კარნახს პოპულარობისა და უმრავლესობის თვალში მონონების გამო. ამით ისინი დემოკრატიული ელიტებისაგან განსხვავდებიან. ამავე დროს, ისინი არ არიან იდეოლოგები — აბსტრაქტული ცოდნის მიმდევრები, ვისთვისაც ცოდნა და კანონი უფრო მალა დგას, ვიდრე კონკრეტული ადამიანების წარმოდგენები ამ ცოდნასა და კანონზე.

იდეალურია, როდესაც სამივე ამ დისკურსის ელიტები, ცოდნა და მოქმედება ჰარმონიაშია ერთმანეთთან. ანუ პოლიტიკოსი იმავდროულად თავისი საქმის ექსპერტიცაა და იმავდროულად ზნეობრივად ამაღლებული საზოგადოებრივი მოღვაწე. ყველა საზოგადოებას უხარია ამგვარი მონყობა, სადაც ხალხს არწმუნებენ ცოდნაზე აპელირებით სინდისიერი ადამიანები, რომლებიც სამართლიანებიც არიან. მაგრამ, რეალურად ეს არის უტოპია, რომელიც ისეთივე ძნელი მისაღწევია, როგორც კომუნიზმი. ამიტომ, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ამ სამი დისკურსის სივრცით — სტრუქტურული დიფერენციაცია არის მათი გამართული ფუნქციონირების გარანტია. ანუ პოლიტიკოსმა უნდა იხელმძღვანელოს ერთი ეთიკით, ექსპერტმა — მეორე ეთიკით, ხოლო საზოგადოებრივმა მოღვაწემ — მესამეთი. და ასევე ისინი ფასდებიან სხვადასხვა კრიტერიუმებით და სხვადასხვა პარამეტრებს უნდა პასუხობდნენ.

სივრცით სტრუქტურულ დიფერენციაციას თან ახლავს დისკურსების დიფერენციაცია დროში. სივრცისა და დროის მიმართებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ზოდადად, დღესდღეობით, სოციალური მეცნიერებები და პოლიტიკური თეორია ერთგვარად პრენიუტონისეულ მდგომარეობაში იმყოფება. ანუ საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების შესწავლა არ ეყრდნობა ისეთ ცნებით აპარატს, რომელიც მიკრო დონეზე კავშირს დაამყარებდა სოციალური სტრუქტურების ხასიათსა და მათი გარდაქმნისა და ფუნქციონირების ტემპთან და დროით ორიენტაციათან. ამგვარი თეორიის ყველაზე თვალნათლივი მაგალითია პარსონსის თეორია. პარსონსისეული ფუნქციონალური ცვლადები მეტად სერიოზული შენატანი იყო სივრცის, ანუ საზოგადოების სიღრმისეული კავშირებისა და სტრუქტურების საანალიზოდ. მაგრამ ეს თეორია კრიტიკის საგანი გახდა სწორედ იმისთვის, რომ მხოლოდ სტატიკურ სურათს იძლეოდა და ვერ იხილავდა მოვლენებს მათ დინამიკაში და ამ

დინამიკას თავისთავად ვერ უკავშირებს სივრცით მახასიათებლებს.

დემოკრატიული, ლიბერალური და რესპუბლიკური დისკურსების განსხვავებული სივრცითი ეთიკა (გადანყვეტილების ლეგიტიმაცია უმრავლესობით, ყველათი, ერთით), უკავშირდება განსხვავებულ დროით ორიენტაციასაც.

ყველა, ვინც მონაწილეობს ეთიკური და მორალური ნორმებისა და წარმოდგენების მუდმივ განახლებაში, დაცვაში და უარყოფაში, ვერასდროს ვერ მიდის ერთ გარკვეულ საბოლოო დასკვნამდე. ეს არის პროცესი, (ფორუმი, როგორც მას ჯონ ელსტერი უწოდებს, ჰანა არენდტის ნაწერებზე, როგორც ამ ფორუმის აპოლოგეტიკაზე მითითებით). ამ პროცესს აქვს თავისთავადი ღირებულება, რომელიც გამოიხატება მონაწილეთა იდეების გაცვლაში, მათ ურთიერთ-გავლენაში, მათი კომუნიკაციური ერთობის ფორმირებაში. ყოველ მოცემულ მომენტში, თუკი ავიღებთ საზოგადოების მყისიერ ქრილს (როგორც ამას, მაგალითად, არჩევნები აკეთებს), დავინახავთ, რომ საზოგადოებაში ერთიანობა და თანხმობა არ არის. მაგრამ, არ არის გამორიცხული იგივე დაყოფები ვეძიოთ ამ საზოგადოებაში გარკვეული დროის გავლის შემდეგ; თვით დაყოფები მსჯელობისა და ურთიერთობის პროცესში თავად განიცდიან ტრანსფორმაციას.

გარდა იმისა, რომ თავისი სტრუქტურით რესპუბლიკური დისკურსი ვერ აღწევს ვერანაირ დასკვნებს დროის სასრულ მონაკვეთში, ის ამგვარ მიზანს არც ისახავს. მისი მიზნები, მისწრაფებები, უფრო მარადიულია, არაამწუთიერი, დროში განფენილი და საყოველთაო. მას არა აქვს ორიენტაცია დროში მოძრაობაზე, მას მიზნას აქვს დასახული სრულყოფა.

ასე, სულ ერთია, თუ სად წავა ზემოთხსენებული ჯგუფი და წავა ის სადმე თუ არა, მაგრამ თუკი ეს ადამიანები ერთად ყოფნას აპირებენ, მათ ურთიერთობას გარკვეული ნორმებისა და ეთიკის, სოლიდარობის გამომუშავება და მუდმივი განახლება სჭირდება.

ლიბერალური დისკურსი დროში შედარებით მიღწევად საზღვრებში მოქცეულ მიზნებზეა ორიენტირებული.

ცოდნის დადგენა სასრული აქტია. მეცნიერებაში ის მდგომარეობს ფაქტების მოძიებაში, ანალიზში და ლოგიკურ განსჯებში. სამართალსრულეობა მდგომარეობს იგივეში — დანაშაულის დაფიქსირება, მოძიება, ბრალდებულის დადგენა და მისი დანაშაულის შეფარდება წერილობით სამართალთან. პოლიტიკაში ის მდგომარეობს ნორმის (კანონის, ინსტიტუტის) დამკვიდრებაში, რაც გულისხმობს ვითარების შესწავლას, გააზრებას, მიზნებთან შეფარდებას და არგუმენტირებას, შედეგების გარკვეულ გაანგარიშებას, ინსტიტუტის დამკვიდრებას (რეფორმის გატარებას) და საზოგადოებრივი ქცევის ამ ინსტიტუტთან შესაბამისობაში მოყვანას. ყველაფერი ეს არის არაერთჯერადი პროცესი, მაგრამ არც თუ უსასრულო.

პირველისაგან და მეორისაგან განსხვავებით, დემოკრატიული დისკურსი ყველაზე მოკლევადიან პერსპექტივაზეა მიმართული. მისი მიზანია — უმრავლესობის გამოვლენა. ეს დისკურსი არ ახდენს მონაწილეთა ტრანსფორმაციას და არც ქცევის ნორმებს ცვლის ახალი ინსტიტუტების დამკვიდრებით (თუ ძველების უარყოფით). მან შეიძლება უბრალოდ შეცვალოს წარმოდგენები იმაზე, თუ რა არის ყველაზე მიღწევადი ან სასურველი, შეაკავშიროს მაქსიმალური სარგებლიანობა მინიმალურ დროსთან. ის მიმართულია ძალაუფლების მიღწევაზე მაქსიმალურად სწრაფად, რათა დაიწყოს მოქმედება, მისი აქტორები არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც სჭირდებათ ძალაუფლება აქ და ახლა, რისთვისაც ისინი მანიპულირებენ საზოგადოებრივი აზრით მომხრეთა მისაღებად.

და ბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, ლიბერალური დისკურსის აღწერისას, ეს დისკურსი ადგენს საზოგადოებრივ ჩონჩხს, მის ინსტიტუტებს — იმ წარმონაქმნებს, რომლებიც გარკვეული წესებისა და ნორმების მიხედვით მოქმედებენ, რაც გვაძლევს გარკვეულ ცოდნას მომავალი მოვლენების შესახებ. ანუ ლიბერალური დისკურსის შედეგად იქმნება ინსტიტუტები, დემოკრატიული დისკურსის შედეგად იქმნება რეჟიმები, ხოლო რესპუბლიკური დისკურსი ქმნის საზოგადოებრივ სტრუქტურას, რომელიც წინ უსწრებს ინსტიტუტებსაც და რეჟიმებსაც.

წელან ჩვენ ვახსენეთ, რომ ეს სამი დისკურსი სტრუქტურულად უნდა იყოს დიფერენცირებული ერთმანეთისაგან, რომ სხვანაირად ისინი ერთმანეთს ხელს შეუშლიან.

ამავე დროს, ჩვენ კარგად გვესმის, რომ თუკი პოლიტიკოსები მხოლოდ საზოგადოების მანიპულირებით იქნებიან დაკავებულნი და მათ ვერ მოვთხოვთ ვერც კომპეტენციასა და ვერც პატიოსნებას, ამგვარი პოლიტიკა კარგს ვერაფერს მოიტანს. მაშ რა მიმართებაა ამ სამ დისკურსს შორის და როგორი უნდა იყოს ის ნორმატიულად?

არსებითად, ეს ბოლო კითხვა თანამედროვე პოლიტიკური თეორიის საკვანძო საკითხია. სხვადასხვა მოაზროვნეები მასზე განსხვავებულ პასუხებს იძლევიან. ასე რატომ უნდა მიიღებოდეს თანამედროვე კონსტიტუციები უმრავლესობის ხმებით — ანუ იმ პოლიტიკური მექანიზმებით, რომლებიც თანამედროვე დემოკრატია ახასიათებს? უზრუნველყოფს თუ არა ამგვარი მექანიზმი ლიბერალური და რესპუბლიკური განზომილებების განხორციელებას?

ჰაბერმასისთვის კონსტიტუცია უნდა იყოს რესპუბლიკური დისკურსის საგანი, როგორც ამას ფრანგული რევოლუცია გულისხმობდა, ყველას ერთობის საგანი. ჰაბერმასი „დელიბერაციული დემოკრატია“ მოდელს ყველას მსჯელობაზე აფუძნებს და არა პოლიტიკოსებისა ან ექსპერტების მსჯელობაზე. ამისაგან განსხვავებულია ჯონ როულზის „საჯარო გონის“ იდეა. როულზი თავისი პოლიტიკური ლიბერალიზმის იდეას სრულიად „არაპოლიტიკურ“ ხასიათს ანიჭებს (თუკი „პოლიტიკურს“ მხოლოდ დემოკრატიულ დისკურსთან გავაიგივებთ). იმავე კითხვაზე — თუ რას უნდა დაეყრდნოს კონსტიტუციის საბაზისო დებულებები, თუ არა დემოკრატიულ უმრავლესობას, — ის, ჰაბერმასისგან განსხვავებით, არა რესპუბლიკურ, არამედ ლიბერალურ პასუხს იძლევა. „საჯარო გონი“, მისი გაგებით, არის არა ყველას მსჯელობის საგანი, არამედ მოსამართლის მიერ განხორციელებული განსჯა. ამერიკის უზენაესი სასამართლო უნდა იყოს ის ორგანო, ის ინსტიტუტი, რომელსაც იდეალურ ვარიანტში შეუძლია მაქსიმალურად ზუსტად განსაჯოს სამართლის ის ნორმები, რომლებიც ამერიკის კონსტიტუციას შეეფერება, ხოლო სამართლიანობის პრინციპები, ზოგადად, ეს არის ლიბერალური რაციონალური დისკურსის საგანი და არა რესპუბლიკური დელიბერაციის შედეგი.

პოსტმოდერნული აზროვნება, ზოგადად, უარყოფს როგორც ლიბერალური, ასევე რესპუბლიკური პროექტების შესაძლებლობას, მათ უნარს რაიმე ერთი, გარკვეული და საბოლოო ჭეშმარიტება წარმოქმნან. ამ მხრივ, როგორც ჰაბერმასი, მისი „თანამედროვეობის დაუსრულებელი პროექტით“, ასევე როულზი, ანაქრონიზმს წარმოადგენენ. მიშელ ფუკოსთვის ლიბერალური დისკურსი უბრალოდ ძალაუფლების განხორციელების ფორმაა, და მის უკან მხოლოდ დომინაციის დისციპლინარული ურთიერთობებია დამალული. დემოკრატიული დისკურსი, როგორც ჩანს, არის ის, რაც წინა პლანზე იწევს დასავლეთში პოსტმოდერნულ ეპოქაში, რაც დასავლეთის ლიბერალური დემოკრატიების პრობლემატიკას აახლოვებს არალიბერალური არადასავლური დემოკრატიების პრობლემასთან, რაზედაც კიდევ გვექნება საუბარი.

პოსტთანამედროვეობას ახასიათებს ლეგიტიმაციის საწყისების ტრანსფორმაცია, მათი გადატანა სულ უფრო დემოკრატიული დისკურსის ველში, ანუ, როგორც ამას ბუტროს ბუტროს გალი აყალიბებს, “For the past two centuries, it was law that provided the source of authority for democracy. Today, law seems to be replaced by *opinion* as the source of authority, and the media serve as the arbiters of public opinion”¹ (Boutros Boutros Ghali, *Opinion –the New Authority*, in: *Media & Democracy*, ed. by E.E.Dennis, R.W.Snyder, Transaction Publishers). სწორედ ამ ტრანსფორმაციასა და მედიის როლს მასში იხილავს ჰაბერმასი, რომელსაც ჩვენ შემდეგ ლექციაში განვიხილავთ.

ლიტერატურა:

M.Muskhelishvili, *Free but Not Liberal: Media and a Particularistic Social Context, conference papers, CMI, Yerevan, Armenia (in Russian)2004, 15 gv.*

¹ „დემოკრატიული მმართველობის წყაროს ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა კანონი. დღეს-დღეობით მისი ადგილი როგორც ჩანს დაიკავა *შეხვედულებამ*, ხოლო მედია თამაშობს არბიტრის როლს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში“.

ჰაბერმასი: საჯარო სივრცის სტრუქტურული ტრანსფორმაცია

თანამედროვეობის ყველაზე გავლენიანი ფილოსოფოსის, იურგენ ჰაბერმასის ადრეული ნაშრომი „საჯარო სივრცის (სფეროს) სტრუქტურული ტრანსფორმაცია“ გამოქვეყნდა 1962 წელს გერმანულ ენაზე, და მიუხედავად მისი გავლენიანობისა გერმანულ თეორიულ დისკურსში, ინგლისურად ითარგმნა შედარებით გვიან, 1989 წელს. ეს ნაშრომი, რომელიც საჯარო დისკურსებს სწავლობს (public discourses) წინ უსწრებს „სამოქალაქო საზოგადოების“ ცნების აქტუალიზებას და რეაბილიტაციას XX საუკუნის ბოლო წლებში და ბევრ დისციპლინასა და ცოდნის სფეროს აერთიანებს. მიუხედავად იმისა, რომ შესწავლის სფერო ინტერდისციპლინარულია, და მასში ღრმად გარკვევა მოითხოვს საფუძვლიან ცოდნას როგორც მინიმუმ რამდენიმე განსხვავებულ სფეროში, მისი მეთოდი ავტორის მიერ განისაზღვრება როგორც ისტორიული და სოციოლოგიური. ავტორი იყენებს ისტორიულ მეთოდს, რომლითაც ის შეისწავლის სოციალური სტრუქტურების ტრანსფორმაციას ბოლო საუკუნეების ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში. გარდა სოციალური სტრუქტურებისა, ის ასევე ისტორიულ პერსპექტივაში განიხილავს თეორიულ რეფლექსიებს ამ სტრუქტურების შესახებ - კანტიდან ჯონ სტიუარტ მილამდე.

ჰაბერმასი, ფრანკფურტის ნეომარქსისტული სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, თავის ანალიზში გარკვეულწილად აერთიანებს ემპირიულ კვლევას და იდეოლოგიურ კრიტიკას, ნორმატიულ შეფასებებს და ფაქტობრივ მსჯელობებს, ის სწავლობს ერთდროულად რეალურ ისტორიასაც და ნორმატიულ იდეალებს. მკითხველი ყურადღებით უნდა იყოს იმ მხრივ, რომ, თავად ავტორის აღიარებით, მან ხშირად ვერ განასხვავა იდეალური (იდეალიზებული) მოდელი ბურჟუაზიული (ლიბერალური) საჯარო სივრცისა და მისი რეალური ისტორიული საწყისები (ემპირიული ფორმები).

მისი ინტერესის საგანი პირველ რიგში დემოკრატია, დემოკრატიის თეორიაა. „მე კვლავაც ვაღიარებ იმ მიდგომას, რომელიც საფუძვლად დაედო ამ კვლევას,“ – ამბობს ჰაბერმასი 1989 წელს – „მასობრივი დემოკრატიები, რომლებიც ჩამოყალიბდა საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოების ფორმით, . . . მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აცხადებდეს პრეტენზიას რომ ემყარება ლიბერალური კონსტიტუციური სახელმწიფოს პრინციპების აღიარებას, თუკი ის სერიოზულად ცდილობს იცხოვროს იმ სტანდარტების მიხედვით, რომლებსაც ქმნის საჯარო სივრცე, რომელიც ასრულებს პოლიტიკურ ფუნქციებს“ (გვ. 441, *Habermas and the Public Sphere*, MIT Press, 1992). მას აინტერესებდა, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ „საზოგადოებამ. . . შექმნას საჯარო კომუნიკაციის კრიტიკული პროცესი იმ ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც მის მედიაციას ეწევიან“ (ST, p.332 – იქვე). კრიტიკა, რომელიც ნაშრომმა ღიად დატოვა, და რომელსაც, შეიძლება ითქვას, მიედევნა ჰაბერმასის მთელი მომდევნო საქმიანობა, მდგომარეობს შემდეგში: „კონკრეტული ინტერესების გადაუჭრელი მრავალფეროვნება . . . ბადებს ეჭვს, რომ შეუძლებელი იყოს წარმოიქმნას ისეთი ზოგადი ინტერესი, რომელსაც საზოგადოებრივმა აზრმა შეიძლება მიმართოს როგორც კრიტერიუმს (ST, 234).

„ბურჟუაზიული საჯარო სივრცე“, რომელსაც სწავლობს ნაშრომი, არის ისტორიული, სოციალური, და ამავე დროს, ნორმატიული წარმონაქმნი (კატეგორია). ის განიხილება როგორც მოცემული ეპოქისთვის და ადგილისთვის დამახასიათებელი კატეგორია, ევროპული შუა საუკუნეების ისტორიიდან წარმოქმნილი უნიკალური მოვლენა. ამ მხრივ იგი ისტორიული კატეგორიაა.

ტერმინი, რომელსაც ჩვენ აქ ვიყენებთ, „საჯარო სივრცე“ (სფერო) მოითხოვს გარკვეულ განმარტებას. „Public“ შეიძლება ნიშნავდეს საჯაროსაც და საზოგადოებრივსაც. ამ ტერმინის გამოყენება ამ ორ ცნებას შორის გარკვეული ტოლობის ნიშანს სვამს, განსაკუთრებით მის

ოპოზიციაში „Private,“-თან, ანუ კერძოსთან. საჯაროსა და საზოგადოებრივის გაიგივება არის, ალბათ, ის მთავარი, რაც დემოკრატიის ჰაბერმასისეულ ნორმატიულ გაგებას ყველაზე მეტად ახასიათებს, და მას ჰანა არენდტისეულ რესპუბლიკურ ხასიათს ანიჭებს. უნივერსალურობა, რომელიც ნამდვილად საზოგადოებრივს ახასიათებს, ჩნდება მხოლოდ თანასწორი დელიბერაციის იდეალურ დისკურსში, სადაც ყველა თანაბრად უფლებამოსილია სამონაწილეოდ. თანამედროვე დემოკრატიების პრობლემას, რომელსაც ის მოცემული ნაშრომის ბოლოში აყალიბებს, წარმოადგენს შემდეგი კითხვა: უზრუნველყოფს კი თანამედროვე მედია ამგვარი მონაწილეობისთვის შესაფერის სივრცეს. 1989 წელს ჰაბერმასი აყალიბებს ამ კითხვას შემდეგნაირად: „რამდენად, და რა დონემდე, მასმედიის მიერ დომინირებული საჯარო სივრცე უქმნის სამოქალაქო საზოგადოების წევრებს რეალისტურ შესაძლებლობას, რათა მათ, მედიის ძალით აღჭურვილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებთან ბრძოლაში (კონკურენციაში), მოახერხონ იმ ღირებულებების, საკითხებისა და მსჯელობების სპექტრის შეცვლა, რომლებსაც გარე ზეგავლენის შედეგად ღებულობენ, მიუდგენენ მათ ინოვაციურად და განიხილონ კრიტიკულად“. (გვ. 455, Habermas and Public Sphere).

მაგრამ დავუბრუნდეთ ისტორიას, და საჯარო სივრცისა და თვით საჯაროობის ცნების წარმოშობას, მასთან კი საზოგადოებრივი აზრის ცნების ფორმირებას. განსხვავებით „სამოქალაქო საზოგადოების“ ცნებისგან, რომელიც ძველი დროიდან მომდინარეობს, ეს ახალი მოვლენა მხოლოდ თანამედროვეობას უკავშირდება და სწორედ მაშინ ჩნდება, როდესაც ხდება სახელმწიფოს და საზოგადოების დაშორიშორება, ანუ თანამედროვე ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება.

თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირება ეს არის ის პროცესი, როდესაც ხდება კერძო და საზოგადოებრივის ერთმანეთისგან განცალკევება, რასაც ადგილი არ ჰქონდა ფეოდალურ ხანაში, როდესაც სახელმწიფოს მფლობელობა იმავდროულად მმართველის საკუთრებას უტოლდებოდა. საზოგადოებრივი, public, ხდება იმავდროულად სახელმწიფოს ეკვივალენტი, ხოლო მის გარეთ ყველაფერი, კერძო სფეროს აყალიბებს. იმავდროულად ამ კერძო სფეროდან ფორმირდება „ბურჟუაზიული სამოქალაქო საზოგადოება“ - საჯარო სივრცე, ფორმირებული კერძო ადამიანთა მიერ, რომელიც თანდათან იკავებს ადგილს იმ საჯარო სივრცისა, რომელსაც მანამდე არისტოკრატია და სამეფო კარი ქმნიდნენ.

კაპიტალისტური განვითარებისა და სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის ამ ადრეულ სტადიებზე, იწყებს განვითარებას პრესა (მეჩვიდმეტე საუკუნე). ინფორმაცია, რომელიც ქვეყნდება ამ ჟურნალებში, მიმართულია „პუბლიკაზე“ და მოიცავს სავაჭრო და ეკონომიკურ ახალ ამბებს, სარეკლამო შეტყობინებებს და ხელისუფლების დადგენილებებს და ახალ ამბებს, რომლებიც მიმართულია სავაჭრო კაპიტალიზმის რეგულირებაზე. თანდათან, ინსტრუმენტიდან, რომელიც შველის სახელმწიფო ადმინისტრაციას მმართველობის განხორციელებაში, ის გადაიქცევა საზოგადოების საკუთრივ ინსტიტუტად, პრესად, რომელსაც საზოგადოება სულ უფრო იყენებს „გონის საჯარო გამოყენების“ მიზნით და კრიტიკული რეფლექსიისთვის. კრიტიკული განაზრებების შემცველი პრესა იწყებს განვითარებას მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში. ეს კრიტიკული განხილვები იმ პერიოდში შეზღუდულია, და უფრო განმანათლებლურ ხასიათს უნდა ატარებდეს. სუბიექტური შეხედულებები იდევნება ცენზურის მიერ და არ განიხილება განსაჯაროების ღირსად (პრუსიაში). ამავე დროს საფრანგეთში და დიდ ბრიტანეთში უკვე საფრანგეთის რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრე აკრძალული შეხედულებები იწოდება „საზოგადოებრივ“ შეხედულებად და საჯარო სივრცე იხილება როგორც „ფორუმი, რომელზედაც კერძო ადამიანები ერთიანდებიან საზოგადოების შესაქმნელად, და მზად არიან აიძულონ ხელისუფლება მოახდინონ საკუთარი თავის ლეგიტიმაცია საზოგადოების თვალში“ (გვ. 25-26).

მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში სიტყვა „public“ (პუბლიკა, საზოგადოება), შემოდის ხმარებაში და ჩნდება „საზოგადოებრივი აზრის“ ცნება.

„ბურჟუაზიული საჯარო სივრცე პირველ რიგში უნდა იყოს გაგებული როგორც სფერო,

სადაც კერძო ადამიანები ერთიანდებიან საზოგადოებაში (საზოგადოებრიობაში). მალე მათ მოითხოვეს ისეთი საჯარო სივრცე, რომელიც იქნებოდა რეგულირებადი ქვემოდან ხელისუფლების საპირისპიროდ, რათა ეკამათათ იმ ზოგად წესებზე, რომლებიც არეგულირებდა ურთიერთობებს მეტწილად პრივატიზებულ მაგრამ საჯარო მნიშვნელობის მქონე სფეროებში, როგორებიცაა ფასეულობათა მიმოცვლა და საზოგადოებრივი შრომა. ამ პოლიტიკური კონკურენციის მედიუმში იყო უნიკალური და ისტორიულად უპრეცედენტო: ხალხის მიერ საჯარო განსჯის გზა (people's public use of their reason)” (გვ. 27.)

ამ სივრცეში ნოდებები არ იბრძვიან სახელმწიფო ძალაუფლების განსხვავებული გადანაწილებისთვის; ისინი სხვა ტიპის ძალაუფლებას ესწრაფვიან, რომელიც არ გულისხმობს მმართველობაში მონაწილეობას. თავის განვითარებაში და კრიტიკული აზროვნების პრაქტიკის განხორციელებაში ის თანდათან იშორებს ხელისუფლების კონტროლს საკუთარ ფუნქციონირებაზე, და, იმავდროულად თავად იყოფა და ორ ქვესფეროს წარმოშობს: პოლიტიკურ საკითხებზე კრიტიკული მსჯელობის პარალელურად ვითარდება საჯარო სივრცის აპოლიტიკური ფორმაც - ლიტერატურული საჯარო სივრცე; ამ სივრცეში სუბიექტური კერძო პირები იაზრებდნენ საკუთარ თავს საზოგადოებასთან მიმართებაში.

ლიტერატურული საჯარო სივრცე ჩამოყალიბდა როგორც ქალაქის სივრცე, რომლის ინსტიტუტები ყავის სახლები (კაფეები), სალონები და სხვა საზოგადოებებია. ამ საზოგადოებამ ხიდი გადო ახალ სამოქალაქო საზოგადოებასა და უწინდელ, წარმავალ, არისტოკრატიულ საზოგადოებას („სვეტი“) შორის.

ამდენად, მეთვრამეტე საუკუნეში ყალიბდება შემდეგი სოციალური სტრუქტურა კერძო სფეროსა და სახელმწიფოს შორის: პოლიტიკური საჯარო სივრცე და ლიტერატურული საჯარო სივრცე. ერთიც და მეორეც ყალიბდება „ქალაქში“ როგორც საერთო ეკონომიკისა და კომუნიკაციის სივრცეში.

ამ საჯარო სივრცის ინსტიტუტები - კაფეები, სალონები, კლუბები და ა.შ. ყველა ქმნიან მუდმივ სადისკუსიო სივრცეს, რომელიც არის: 1. ნეიტრალური სტატუსური სხვაობების მიმართ (არ იღებს მხედველობაში ნოდებრივ სხვაობებს); 2. იხილავს ისეთ სფეროებსაც, რომლებიც მანამდე კრიტიკული განხილვის საგანი არ ხდებოდა; 3. საზოგადოებას ინკლუზიურობის განზომილებას ანიჭებს.

ცხადია, ეს მახასიათებლები უნდა უფრო განვიხილოთ როგორც ნორმატიული სიახლეები წინა პერიოდთან შედარებით, ვიდრე როგორც სრულად რეალიზებული ემპირიკა. სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ამ სფეროს შეადგენს მეტად ვიწროა მთლიანად მოსახლეობასთან შედარებით; ის უფრო მაღალი სტატუსური მდგომარეობით ხასიათდება; ის მოკლედ, არ არის მთელი საზოგადოება, არამედ მისი ელიტა. რაც იცვლება, და რაც არის ხაზგასასმელი აქ, ეს არის ამ ელიტის ფორმირების ეთიკა და საწყისები. ეს ეთიკა ახალია, ის ინდივიდუალისტურია, და ის **ინკლუზიურია**. ინკლუზიურია არა ყველა პარამეტრით (დებილი და ქურდი არ არის თანაბრად მონონებული ამ სივრცეში), არამედ პიროვნულ თვისებებზე ორიენტაციით, პიროვნულ ქარიზმაზე, წესიერებაზე და ინტელექტზე აქცენტის გადატანით - განსხვავებით ნოდებისა, ძალაუფლებისა და სიმდიდრისა, რაც ექსკლუზიურ მახასიათებლებს შეადგენს.

ჰაბერმასი, აღწერს რა ამ სივრცის სტრუქტურას, ინტერესებს და კომუნიკაციის წესებს, განსაკუთრებით აღნიშნავს ისეთი პუბლიკაციების წარმოქმნას, როგორებიცაა ყოველკვირეული მორალისტური ჟურნალები, ან ის, რასაც შეიძლება „პერიოდული ესსეისტიკა“ ეწოდოს. ეს ჟურნალები მჭიდროდ იყო გადაბმული კაფეების დისკურსებთან და თავად ხდებოდა კაფეებში განხილვის საგანი. „ამ გამოცემებში საზოგადოება საკუთარ თავს სარკეში უყურებდა“ (გვ.43). ამგვარი გამოცემები ყურადღებას მანერებსა და მორალზე ამახვილებდნენ. „[ტატლერი] მიმართული იყო ტოლერანტობის გავრცელებაზე, სამოქალაქო მორალის გათავისუფლებაზე მორალური თეოლოგიისგან, და აკადემიური ფილოსოფიისგან პრაქტიკური სიბრძნის დაცვაზე. საზოგადოება, რომელიც კითხულობდა და კამათობდა ამგვარ საკითხებზე, კითხულობდა და კამათობდა საკუთარი თავის შესახებ“ (გვ.43).

მაგრამ დავუბრუნდეთ პოლიტიკურ საჯარო სივრცეს. რა ტიპის დებატები ჩნდება მასში? ეს დებატები იმთავითვე მიმართულია არა მმართველობაზე (ძველი ბერძნებისა და რომაელების საჯარო დებატებისგან განსხვავებით), არამედ სამოქალაქო საზოგადოების რეგულირებაზე. ხელისუფლების მიმართ მათი მონაწილეები გამოდიან როგორც *კერძო პირები* და მოქმედებენ *პოლემიკურად*. კრიტიკული საჯარო დებატები ხელს უწყობს კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებას, მმართველთა განუკითხავი ნების საპირისპიროდ. საჯაროობა აქ დიდ როლს თამაშობდა. „ზუსტად ისევე, როგორც საიდუმლოება წარმოდგენილი იყო *voluntas*-ზე (ხელისუფლების ნება) დაფუძნებული სუვერენობის შენარჩუნების ინსტრუმენტად, ისე საჯაროობა მოიაზრებოდა ისეთი კანონმდებლობის მხარდამჭერად, რომელიც *ratio*-ზე (გონებაზე) იქნებოდა დაფუძნებული“ (გვ. 53). საზოგადოებრივი აზრი პრეტენზიას აცხადებს სამართლებრივი ნორმების განსჯაზე და მათი საფუძვლების გამიჯვნაზე (ის გამოავლენს ბუნებრივ წესრიგს, რომელიც უნდა გადატანილ იქნეს სამართლებრივ წესრიგში). უნივერსალისტური კანონები სახელმწიფოში და მსჯელობის უნივერსალისტური წესები საზოგადოებრივ საჯარო სივრცეში ორივე ამ პერიოდში გამოდის წინა პლანზე როგორც ადამიანის უნივერსალური გონის ნაყოფი, ნეიტრალური და ობიექტური განსჯის ლეგიტიმური შედეგი.

ჰაბერმასი აღწერს საჯარო სივრცის განვითარებას ქრონოლოგიურად სამი ქვეყნის მაგალითზე: ინგლისი, გერმანია და საფრანგეთი. ეს მიდგომა გარკვეულწილად საკამათოა. განვითარების ეტაპები, რომლებიც დროში ერთმანეთს მისდევს და სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე სხვადასხვა დობით ვლინდება, შეიძლება არ წარმოადგენდნენ განვითარების ერთიანი ხაზის ელემენტებს. პირიქით, როგორც ჩვენ შემდგომ ვნახავთ, მასმედია, და საჯარო სივრცის ხასიათიც, ამ ქვეყნებში არსებითად განსხვავებულად ჩამოყალიბდა.

ინგლისში სიტყვის თავისუფლება ბევრად უფრო ადრე მკვიდრდება, ვიდრე პრუსიაში, და ცენზურაც მალევე ქრება. აქ პრესა ახორციელებს მუდმივ კომენტარსა და კრიტიკას ხელისუფლებისა და პარლამენტის მიმართ და ქმნის ნამდვილ მეოთხე ხელისუფლებას (მეთვრამეტე საუკუნე). თანდათან, საზოგადოებრივი აზრის გავლენით, საპარლამენტო დებატები ორიენტირებული ხდება (მიმართული) საზოგადოების დარწმუნებაზე, ხოლო ხმის უფლების მქონე ადამიანთა რაოდენობა (მეცხრამეტე საუკუნე) მატულობს. მეცხრამეტე საუკუნეში, ამ დებატების გავლენით, პარტიები იწყებენ საკუთარი პლატფორმების წინასაარჩევნო გამოქვეყნებას.

საფრანგეთში ცენზურა გრძელდება გაცილებით დიდხანს, ვიდრე ინგლისში, ხოლო სოციალური მდგომარეობა არის სხვაგვარი. ამდენად, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური კრიტიციზმი მეტწილად ფილოსოფოსების საქმეა. გერმანიაში სიტყვის თავისუფლება კიდევ უფრო გვიან ვითარდება. ჰაბერმასის ინტერპრეტაციაში ეს სხვაობა უბრალოდ ქრონოლოგიურია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სხვაობას აქვს კავშირი მედიის და სამოქალაქო საზოგადოების დომინანტური მოდელის სახეობასთან დღეს.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირება არის ის ფუნქცია, რომელსაც ასრულებს, თვითინტერპრეტაციით, საჯარო სივრცე. საზოგადოებრივი აზრი აქ არის რეპუტაციის, პატივისცემის სინონიმი.

ჰობსმა განაცალკევა მმართველობისგან შეხედულება, კერძო სინდისი და ცნობიერება, რაც იმ პერიოდში სეკულარიზაციას და სახელმწიფოსა და ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის განცალკევებას ნიშნავდა. ამის მერე (მალე) ლოკი წერს „შეხედულების კანონს“, რომელიც, ფაქტობრივად, ამტკიცებს, რომ საზოგადოების ცხოვრების წესი, რომელიც ქმნის ინდივიდუალური (რელიგიური და მორალური სანქციების მქონე) შეხედულებები, უფრო ძლიერია, ვიდრე სახელმწიფოსა თუ ეკლესიის შესაძლო სანქციები.

შემდგომში, ჰაბერმასის მიხედვით, საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო იძენს ლეგიტიმაციას, როგორც ჰობსისეული „*auctoritas, non veritas, facit legem*“-ის საპირისპირო მოვლენა, როგორც *ratio*-ს წყარო *voluntas*-ის საპირისპიროდ. ჰაბერმასი აღწერს როგორც ცნების ფართო გამოყენების აღმოცენების ისტორიას, ასევე იმ დატვირთვას, რომელსაც იძენს ეს ცნება ჯერ კანტის, შემდეგ ჰეგელისა და ბოლოს მარქსის ნაშრომებში. *Ratio* ამ ავტორების

ნაშრომებში უნდა აკავშირებდეს პოლიტიკას და მორალს, პოლიტიკას ზნეობრიობის განზომილებას ანიჭებდეს.

თავის დროზე, ამბობს ჰაბერმასი, ჰობსმა მმართველთა აბსოლუტური ძალაუფლების ლეგიტიმაციით ფორმულით „auctoritas, non veritas, facit legem“ ეცადა მშვიდობის დამკვიდრებას, რელიგიური სამოქალაქო ომის შეჩერებას, სამოქალაქო საზოგადოების, როგორც კონფლიქტის წყაროს, ნეიტრალიზებას. კანტი, ორი საუკუნით გვიან, ახდენს მორალური აზროვნების რეაბილიტაციას, პრაქტიკული გონის დამკვიდრებას კანონის ფორმით, ის კანონებს უქვემდებარებს მათი წარმოქმნის პრინციპს - საჯარო სფეროს. ამავე სფეროში ახდენენ ადამიანები ინტელექტუალურ ემანსიპაციას.

შემდგომში, ჰეგელის ნაშრომებში, საზოგადოებრივი აზრის ბუნების გაგება ტრანსფორმაციას განიცდის. ჰეგელთან მას უკვე აღარ აქვს ჭეშმარიტების ბაზისის ფორმირების ფუნქცია, ის უმრავლესობის სუბიექტურ შეხედულებაზე დაიყვანება. ჰეგელისთვის სამოქალაქო საზოგადოება არის დაყოფილი, მასში ერთმანეთს ებრძვიან კერძო ინტერესები და კორპორაციები. საზოგადოებრივი აზრი აქ საღი აზრის მნიშვნელობას იძენს. საზოგადოებრივი სივრცე აღარ ემსახურება ჭეშმარიტების გამოვლენას და აღარ არის გონის სამფლობელო, არამედ მასში ხდება სუბიექტური კერძო შეხედულებების შეთავსება (ინტეგრირება) იმ ობიექტებთან, რომელსაც სახელმწიფო განასახიერებს. ჰეგელი უარყოფს თვით იდეას პოლიტიკური მორალის საზომით გაზომვისა, ამდენად, მმართველობის რაციონალიზაცია საჯარო სივრცის მეშვეობით მის კონცეფციაში ადგილს არ იკავებს.

მარქსმა საზოგადოებრივი აზრი „ყალბ ცნობიერებად“ გამოაცხადა. ის უბრალოდ ფარავს ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესს. მისი დანიშნულებაა კაპიტალისტური ექსპლუატაციის წარმოჩენა „ბუნებრივ წესრიგად“. ყველა იდეა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას ედო საფუძვლად, არის, მარქსის მიხედვით, ფიქცია: არ არსებობს შესაძლებლობათა თანასწორობა; მისი ფუძემდებლური „ღიაობის“ პრინციპი (ყველასათვის ღია სივრცე) ირღვევა, მას არა აქვს უფლება გააიგივოს საკუთარი თავი ნაციასთან და საზოგადოებასთან. ადამიანის უფლებებისა და მესაკუთრეთა უფლებების გაიგივება ბადებს იდეოლოგიას. განსხვავებით ჰეგელისგან, სახელმწიფო მარქსისთვის განასახიერებს არა ჭეშმარიტებას, არამედ იდეოლოგიას, და კლასობრივ დომინაციას.

პოლიტიკური ფილოსოფიის ეს ევოლუცია ასახავს იმ ტრანსფორმაციას, რომელსაც განიცდის საჯარო სივრცე წარმოქმნიდან და შემდგომ. თუკი მეთვრამეტე საუკუნის ვერსია იყო მიმართული იმაზე, რომ პოლიტიკური მმართველობის რაციონალიზაციას სჭირდებოდა იმ „ბუნებრივი წესრიგის“ წარმოჩენა, რომელიც არსებობს საზოგადოებაში, ეს კი ხდება საზოგადოებრივი აზრის ფორმირების გზით, შემდგომში ეს იდეა ეჭვის ქვეშ დგება. საზოგადოებრივი აზრისა და გონის კონვერგენციას შეუძლებელს ხდის, შემდგომი კრიტიკული გააზრების მიხედვით, საზოგადოებაში არსებული ინტერესთა კონფლიქტები (კლასთა ბრძოლა) და სახელმწიფო ბიუროკრატიის ინტერფერენცია. ამდენად, წინ წამოიწია საზოგადოებრივი აზრის ახალი – ლიბერალური – ვერსია, რომლის თანახმადაც ის აღარ გამოხატავს ობიექტურად ბუნებრივ წესრიგს, არამედ იძენს რეალისტური და რაციონალური პრაგმატული არენის ფუნქციას, სადაც მოპაექრე ინტერესები ებრძვიან ერთმანეთს იმის გარეშე, რომ ეს ბრძოლა გადაიზარდოს ძალისმიერ კონფლიქტში.

(კომენტრი: ჰაბერმასი წარმოაჩენს ამ ლიბერალურ ვერსიას როგორც უფრო ადრინდელი რესპუბლიკურის ტრანსფორმაციას ახალ ფაზაში. სინამდვილეში ისინი პარალელურად თანაარსებობენ, და ერთმანეთისგან არ წარმოიშვებიან, არამედ როგორც იდეალური ტიპები „მეტ-ნაკლებობენ“. კონტინენტური ევროპისთვის და ინგლისისთვის დღესაც დამახასიათებელია სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება „ჭეშმარიტების“ მიმართ. ის ტენდენცია, რომ საზოგადოებრივი აზრი უნდა გამოხატავდეს „ratios“ და ადგენდეს ჭეშმარიტებას (ისევე, როგორც კანონი) მისაღებია კონტინენტზე და სრულიად უცნობია ინგლისში. ასევე, ჰაბერმასის დებულება, რომლის თანახმადაც ხელისუფლება განასახიერებს voluntas, ხოლო საზოგადო-

ებრივი აზრი ratios, რატომ არ უნდა განვიხილოთ შებრუნებულად დემოკრატიის თვალსა-
ნიერიდან? „არასაჯარო აზრი“, რომელსაც იწუნებს შემდგომ ჰაბერმასი, ხომ შეიძლება ხალხის
„voluntad“ იყოს განხილული, რომელსაც უნდა ზღუდავდეს მმართველების ratio? სხვა საქმეა,
რომ თუკი ხალხი არა მარტო გამოხატავს ნებას, არამედ მართავს კიდევ, მაშინ მას უნდა
ჰქონდეს მექანიზმები, რათა საზოგადოებრივი აზრი იყოს ერთდროულად volunta-ც და ratio-ც.)

სწორედ ლიბერალური მიდგომა კრიტიკულად უდგება საზოგადოებრივი აზრის
დომინირებას, როგორც (გავიხსენოთ ტოკვილი) ინდივიდის შესაძლო შეზღუდვასა და
„მორალური ძალადობის იარაღის ფორმას“ (მილი), ანუ საზოგადოება არ არის გონიერების
წყარო, არამედ არის პიროვნების თავისუფლების შემზღუდავი. ამ პერიოდში მიდის ბრძოლა ხმის
უფლების გავრცობისათვის (მეცხრამეტე საუკუნე), ვინაიდან თუკი საზოგადოებრივი აზრი
ყველას აზრი არ არის, არამედ ვილაცეების ნების გამომხატველი, სხვების ნება არათანაბარ
მდგომარეობაში აღმოჩნდება. საზოგადოებრივი აზრის მმართველობა, მილის თანახმად, არის
უმრავლესობის ტირანია და მედიოკრატია. „And what is a still greater novelty, the masses do not now
take their opinions from dignitaries in Church or state, from ostensible leaders, or from books. Their thinking
is done for them by men much like themselves, addressing them or speaking in their name, on the spur of the
moment, through the newspapers“.² (მილი, ციტ. ჰაბ. გვ.133)

ამდენად, საზოგადოებრივი აზრის ლიბერალური ხედვა სრულიად გამორიცხავს მისთვის
სრული მმართველობითი ლეგიტიმაციის მინიჭებას, არამედ მხოლოდ რეპრეზენტაციისა,
რომელსაც ძალაუფლების შემზღუდავი ფუნქცია ექნება, და არა მმართველობითი ფუნქცია.

შემდგომ პერიოდს, გარკვეულწილად, ჰაბერმასი პოსტლიბერალური განვითარების
პერიოდად იხილავს, როდესაც ახალი ტენდენციები ჩნდება, რომლებიც უკარგავენ საჯარო
სივრცეს მის პოლიტიკურ ფუნქციას. საბაზრო ეკონომიკის მასობრივ ზრდას, ჰაბერმასის
მიხედვით, მოჰყვა „სოციალურის“ სფეროს აღზევება, კერძო და საზოგადოებრივი სფეროების
აღრევა, და სახელმწიფოს გარკვეული „რეფეოდალიზაცია“ (იმ მდგომარეობასთან დაბრუნება,
როდესაც კერძოსა და საზოგადოებრივ შორის ზღვარი არ არსებობს). ამან გავლენა
მოახდინა საჯარო სივრცის არსზეც: „საზოგადოების რაციონალურ-კრიტიკული განსჯა ასევე
ამ „რეფეოდალიზაციასაც“ შეეწირა. დისკუსიებმა, როგორც სოციალიზაციის ფორმამ, ადგილი
დაუთმო კომუნალური ერთობის, როგორც ასეთის, ფეტიშიზმს“ (გვ.158). იმავდროულად
ტრანსფორმაციას განიცდის ლიტერატურული საჯარო სივრცე, რომელიც გარდაიქმნება
კულტურაზე მოსაუბრე საზოგადოებიდან კულტურის მომხმარებელთა საზოგადოებად.
ამასთან, საჯარო სივრცეში მონაწილეობა აღარ ეფუძნება (კერძო საკუთრების მქონე) კერძო
მესაკუთრეთა ავტონომიას, და ამდენად დამოკიდებულობის ახალი ურთიერთობებით
განიმსჭვალა. ორმაგი როლი „მოქალაქისა“ და „კერძო პირისა (მესაკუთრესი)“ რომელიც
მანამდე საზღვრავდა ბურჟუაზიული საჯარო სივრცის რაციონალურ ხასიათს, სუსტდება.
„მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იწყებს დასუსტებას ის ინსტიტუტები, რომლებიც
მანამდე უზრუნველყოფდნენ საზოგადოების, როგორც კრიტიკულად მოაზროვნე ერთობის,
შეკრულობას“. (გვ. 162). სოციალიზაცია სულ უფრო და უფრო ემყარება ისეთ „ჯგუფურ
მოქმედებებს“, როდესაც ყველა თავს იკავებს პოლიტიკური და ლიტერატურული კამათისგან.
პოლიტიკური კამათები, თუმცა კი ნარჩუნდება, მაგრამ ისევ და ისევ „სამომხმარებლო“,
ფორმალისტულ ფორმატს იძენს და ინარმოება ხელფასიანი სპეციალისტების მიერ
„გასაყიდად“ და „მოსახმარად“.

„მკითხველთა საზოგადოების კრიტიკული დისკუსიების ადგილს იკავებს „გემოვნებათა და
პრეფერენციების ურთიერთგაზიარება“ მომხმარებელთა შორის. . . „გემოვნებათა გამოვლენა“
ხდება მოხმარების ნაწილი“ (გვ.171).

² „და, რაც კიდევ უფრო ახლებურია, მასები საკუთარ შეხედულებებს არ სესხულობენ ეკლესიისა თუ სახელმწიფოს
ნარჩინებული პირებისგან, აღიარებული ლიდერებისგან ან წიგნებიდან. მათ აზრებს გამოთქვამენ ადამიანები,
რომლებიც მათი მსგავსია. ეს ადამიანები მიმართავენ მასებს ან ლაპარაკობენ მასების სახელით ამწუთიერი
ვითარების გავლენით, გაზეთების მეშვეობით.“

სივრცეში მონაწილეობით, იძენს რეფლექსურობას, უნარს, დააყენოს საკუთარი თავი სხვა ადამიანის ადგილას, და ამით მისი განცდები გაიზიაროს. ამ გზით ყალიბდება ის, რაც ლიბერალურ ეთიკას შეეფერება, იზონომიური თამასწორობა ნაწილებს შორის (ბობიოს ტერმინოლოგია გავიხსენოთ). პარტიკულარისტული ეგოცენტრიზმის ადგილს ლიბერალური უნივერსალისტურობა იკავებს, რომელიც დეპერსონიფიცირებულია და საყოველთაო. პოლიტიკურ საჯარო სივრცეში მონაწილეობით ის ყალიბდება როგორც მოქალაქე, ავითარებს „გონის საჯარო გამოყენების“ პრაქტიკას და საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებს, რომლებიც მას მოქალაქედ აქცევენ.

საყოველთაო ხმის უფლება და მასობრივი დემოკრატიის წარმოქმნა ნიშნავს ადამიანისთვის მესამე სოციალური როლის გაჩენას: ეს არის ამომრჩევლის როლი. როგორც ამომრჩეველი, ჰაბერმასის მიხედვით, ის ხდება არასაჯარო საზოგადოებრივი აზრის სუბიექტი, რომელიც გამოხატავს საკუთარ აზრს ხმის მიცემით ფარულ კენჭისყრაში.

პიროვნება როგორც ერთდროულად კერძო ადამიანი, მოქალაქე და ამომრჩეველი უნდა ახერხებდეს ამ სამი სოციალური როლის შეთავსებას და მათ შორის დიფერენცირებას. თუკი ამომრჩევლის როლია ნამყვანი, ის შეიძლება ანგრევდეს პირველ ორს, ვინაიდან მათ ათქვეფას ნიშნავს, და ამომრჩევლის როლისადმი დაქვემდებარებას. ეს ქმნის, ჰაბერმასის მიხედვით, მასობრივ, და არა სამოქალაქო საზოგადოებას. საშველი, ჰაბერმასის მიხედვით, არის მოქალაქის როლის გაძლიერებაში საჯარო დისკურსში ყველას მონაწილეობის გზით.

აქ ჩვენ ვაწყდებით იმ პრობლემას, რომელიც ხშირად ჰაბერმასის კრიტიკის საფუძვლეს იძლევა. ეს არის დასავლური საზოგადოებების სტრუქტურული დიფერენციაციის არასაკმარისი ხაზგასმა მის ნაშრომებში. სტრუქტურული დიფერენციაციის ქვეშ აქ ვგულისხმობთ შემდეგს. ამგვარ საზოგადოებებში (დასავლური ტიპის თანამედროვე საზოგადოება) სოციალური როლები ერთმანეთისგან საკმაოდ დამოუკიდებლად ხორციელდება. ანუ ოჯახში, სამსახურში, საზოგადოებრივი ინტერაქციის სხვადასხვა ვითარებებში, პოლიტიკაში და სხვა ერთი და იმავე პიროვნება შეიძლება მოქმედებდეს იმისგან განურჩევლად, თუ რას მოიმოქმედებს ის სხვა ტიპის ვითარებებში ჩართვისას. ანუ, ოჯახის წევრები შესაძლებელია სხვადასხვა პარტიებს აძლევდნენ ხმას, ჟურნალისტი შეიძლება მუშაობდეს ლიბერალურ გაზეთში მაგრამ განწყობით იყოს კონსერვატორი, მონადირეთა კლუბის წევრები შეიძლება სრულიად განსხვავებულ სოციალურ ფენებს ეკუთვნოდნენ და ა.შ. თუკი შევადარებთ ერთმანეთს კერძო პირის, მოქალაქისა და ამომრჩევლის როლებს, დავინახავთ, რომ, მაგალითად, რომელიმე კონკრეტული პოლიტიკოსის მხარდაჭერა არანაირ კავშირში არ უნდა იყოს სამსახურეობრივი წარმატების მიღწევასთან (რომელსაც პირველ რიგში პიროვნების უნარ-ჩვევები და პროფესიული და პიროვნული თვისებები უნდა განაპირობებდნენ), მოქალაქეობრივი გრძნობები მის პოლიტიკური პრეფერენციებს სამართლიანი და ეთიკური პოლიტიკური ბრძოლის ჩარჩოებში უნდა ათავსებდნენ, და ა.შ. ნაკლებად დიფერენცირებულ საზოგადოებებში ამგვარი როლები ერთმანეთში ათქვეფილია და ერთგანზომილებიან ვითარებას ქმნიან. გავიხსენოთ სამხრეთ იტალიის ნაკლებად სამოქალაქო კონტექსტი, როდესაც პარტიებისათვის ხმის მიცემა დიდადაა განპირობებული თანამდებობის ან სხვა პრეფერენციის მიღების სურვილით, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები გადახლართულია პატრონ-კლიენტურ და კორუპციულ ქსელებში, საზოგადოებრივი საქმე კი, დაქვემდებარებულია კერძო ინტერესებს.

ვინაიდან კერძო, სამოქალაქო და პოლიტიკური ეთიკა სხვადასხვა პრინციპებს ემყარება, რაც ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, ეს აღრევა ნიშნავს ეთიკური საზომის არარსებობას, და, საბოლოოდ, ადამიანთა შორის ნდობის დაკნინებას. საარჩევნო დემოკრატიის დამკვიდრება სამოქალაქო საზოგადოების სისუსტის ფონზე (მათ შორის საბაზრო ეკონომიკის სისუსტის ფონზე) ნიშნავს, რომ პიროვნება აღიქვამს საკუთარ თავს პირველ რიგში არა როგორც კერძო ადამიანი და მოქალაქე, არამედ როგორც ამომრჩეველი. ფარიდ ზაქარიას ტერმინოლოგიით, ეს ბადებს არა ლიბერალურ საკონსტიტუციო დემოკრატიებს, არამედ არალიბერალურ

„მასმედიის მიეს ნარმოჩენილი სამყარო მხოლოდ მოჩვენებითად არის საჯარო სივრცე“ - და ეს დებულება ჰაბერმასიდან მოყოლებული დღემდე სპეციალისტების მსჯელობის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა, რომელსაც ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

პოლიტიკური საჯარო სივრცე, მასმედიის გავლენით იქნება ეს თუ ყველა ფაქტორის ერთობილობით, იცვლის თავის ბუნებას ერთ მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში. სამოქალაქო საზოგადოებიდან მასობრივ სამომხმარებლო კულტურაზე გადასვლა უკავშირდება იდეებისა და იდეოლოგიების როლის ტრანსფორმაციას. „ყალბი ცნობიერება“ რომელიც ჩნდება საზოგადოებაში, აღარ არის, მეცხრამეტე საუკუნისგან განსხვავებით, იდეების შეკრული კომპლექსი, რომელიც ქმნის სამყაროს ლოგიკურ სურათს. ახლა ის უფრო ნააგავს ქცევის ნორმების კომპლექსს, მიბაძვის პატერნს. შესაბამისად, პარტიული აგიტატორებისა და პროპაგანდისტების ადგილს იკავებენ სპეციალისტები, რომლებიც „ყიდიან“ პოლიტიკას და პოლიტიკოსებს შინაარსისგან განურჩევლად. იწყება საზოგადოებით მანიპულირების ტექნოლოგიების განვითარება. მანიპულირებული საჯარო სივრცე მიმართულია პირველ რიგში არასაჯარო შეხედულებების ფორმირებაზე; მისთვის საჯაროობა არ არის პრიორიტეტი, არამედ საარჩევნო ქცევა. თუკი საჯაროობა, სიტყვის თავისუფლება და საზოგადოებრივი საჯარო აზრის ფორმირება თავის (შინაგან) მიზნად იაზრებდნენ სიმართლის ნარმოჩენას, და რეალობის სწორ ასახვას (ამიტომაც იყო საჭირო რაციონალური მსჯელობა და ყველასათვის სიტყვის მიცემა), მანიპულირებული აზრის მიზანია ხმები - ამომრჩეველთა ხმები, რომლებიც ფარული კენჭისყრის შედეგად გროვდება.

ამდენად, მასობრივი დემოკრატიების საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს საზოგადოება, რომელიც იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, სულ სხვანაირ ურთიერთობებშია ხელისუფლებასთან, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრიობა, რომელიც მეტწილად საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა. ამ ახალი საზოგადოებრიობისგან ხელისუფლებას პირველ რიგში სჭირდება ის ქცევა, რომელიც არჩევნებზე ვლინდება, და სწორედ ამ ქცევის უზრუნველსაყოფად მიმართულია მთელი ძალისხმევა, ანუ იმაზე, რასაც ჰაბერმასი არასაჯარო საზოგადოებრივ აზრს უწოდებს.

ჰაბერმასი ამ ნაშრომში უკვე საფუძველს უყრის თავის შემდგომ თეორიას კომუნიკაციური ქცევის შესახებ, როდესაც ის ასხვავებს საჯაროობის ორ ფუნქციას - კრიტიკულ მსჯელობას და მანიპულაციურ ქცევას, და უკავშირებს მათ საჯარო და არასაჯარო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. შემდგომში ჰაბერმასი ასხვავებს სამი იდეალური ტიპის რაციონალურ ქცევას: დრამატურგიული, ინსტრუმენტული და კომუნიკაციური. მანიპულაციური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საარჩევნო ხმების მოპოვებაზე, ამ სქემის მიხედვით აშკარად დრამატურგიული ხასიათისა უნდა იყოს, ხოლო ყველაზე დიდ ყურადღებას ჰაბერმასი კომუნიკაციურ რაციონალობას აქცევს, რომელიც როგორც ჩვენ ეს ადრე დავაფიქსირეთ, ჩვენი კლასიფიკაციით რესპუბლიკური დისკურსული ეთიკის ველს იქნება მიკუთვნებული.

რასაც ჰაბერმასი არ აკეთებს, მაგრამ რასაც ჩვენ აქ ხაზი უნდა გავუსვათ, ეს არის იმავე დაკვირვების ცოტა სხვა კუთხით დანახვა--იმ კუთხით, რომლითაც ო'დონელი აღწერს თითქმის იმავე დილემას - დემოკრატიის, რესპუბლიკანიზმისა და ლიბერალიზმის პოლიტიკური ტრადიციების ურთიერთქმედებას. მართალია, ო'დონელი მხოლოდ ახალ დემოკრატიებზე ლაპარაკობს, მაგრამ არსებითად იმავე პრობლემას აღწერს, რასაც ჰაბერმასი (გავიხსენოთ, რომ გერმანია, სხვა დასავლური ქვეყნებისგან განსხვავებით, შედარებით ახლად დემოკრატიზებულ ქვეყანად უნდა ჩაითვალოს). ორივე ეს ავტორი ნეგატიურად უყურებს დემოკრატიული ლეგიტიმაციის გაძლიერებას ლიბერალური და რესპუბლიკური კომპონენტების სისუსტის (ან დასუსტების) ფონზე.

ბურჟუაზიულ სამოქალაქო საზოგადოებაში, ჰაბერმასის მიხედვით, პიროვნებას აქვს ორმაგი სოციალური ფუნქცია--ის არის ჩართული ლიტერატურულ საჯარო სივრცეში და პოლიტიკურ საჯარო სივრცეში. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ერთდროულად ორი სოციალური როლი აქვს - კერძო პირისა და მოქალაქისა. როგორც კერძო პირი, ის, ლიტერატურულ საჯარო

დემოკრატიებს, სადაც ხდება მოსახლეობით ფაქტობრივი მანიპულირება.

ამგვარი ვითარება მეტად მძაფრად დადგა ბოლო წლებში საქართველოში, როდესაც მასმედიის დისკურსი პირველ რიგში მაყურებელს ამომრჩევლის როლში იხილავს. მთავარი დიხოტომიები, დაყოფები და ბრძოლები საზოგადოებაში იაზრება არა კერძო ადამიანთა ან მოქალაქეთა დაპირისპირების ტერმინებით, არამედ ამომრჩეველთა დაპირისპირების ტერმინებით. კლასები ერთმანეთს არ უპირისპირდებიან - არ ხდება მდიდართა და ღარიბთა ინტერესებს შორის დაპირისპირების წინ წამოწევა; მსოფლმხედველობები ერთმანეთს არ უპირისპირდება - არ ხდება ერთმანეთში მაგალითად, ტრადიციონალისტებისა და მოდერნიზატორების ბრძოლის წარმართვა. ანუ, ეს დიხოტომიები საზოგადოებაში ლატენტურად არსებობს, და იგრძნობა, მაგრამ არტიკულირება ხდება მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლის, იმისა, თუ ვინ უნდა იყოს ხელისუფლებაში. მთავარი მესიჯი, რომელიც მასმედიის მიერ მიეწოდება მაყურებელს (მკითხველს) არის ის, რომ პოლიტიკოსი პეტრე არის კარგი, ხოლო პოლიტიკოსი პავლე არის ცუდი. თუკი პეტრე (პავლე) მოვა ხელისუფლებაში, ყველაფერ კარგად (ან ცუდად) იქნება.

სამოქალაქო საზოგადოების აშენება საქართველოში (და ეკონომიკის აშენებაც) ნიშნავს პირველ რიგში ამ მოჯადოებული წრის გარღვევას და საზოგადოების მიერ უფრო სიღრმისეული საჯარო დისკურსების დამკვიდრებას, სადაც კერძო ადამიანები და მოქალაქეები გაომჩნდებიან თავისი ნამდვილი სახით, და არა ამომრჩეველთა როლის დამახინჯებულ ფოკუსში. ამ მხრივ ჰაბერმასის ნაშრომი ჩვენი რეალობისთვის უაღრესად აქტუალური მეჩვენება, თუმცა კი ყველა მის მიდგომებს პრობლემის გადაჭრისადმი შეიძლება არ ვიზიარებდეთ.

ლიტერატურა:

- Habermas J. 1994. The Structural Transformation of the Public Sphere. An Inquiry into a Category of Bourgeois Society. N.Y.
(ed. C. Calhoun), Habermas and the Public Sphere, The MIT Press, 1994
Simone Chambers. A critical theory of civil society, in: Alternative Conceptions of Civil Society, Princeton University Press, 2002, pp90-112

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში

წინა ლექციებზე ჩვენ განვასხვავეთ სამი დისკურსული ეთიკა და, აგრეთვე, ვილაპარაკეთ იმაზე, რომ არსებობს ორი საპირისპირო მიდგომა სამოქალაქო საზოგადოების ცნების გააზრებისადმი – ტრადიციული და კრიტიკული. ამ ორი თვალსაზრისიდან ჩვენ განვიხილავთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას და ვეცდებით ვუპასუხოთ კითხვებზე – თუ რამდენად არსებობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება და თუ არსებობს, როგორი.

1. არასამთავრობო ორგანიზაციები: სამოქალაქო თუ არა

სამოქალაქო საზოგადოების საკითხის განხილვისას პირველ რიგში დავინყებთ არასამთავრობო ორგანიზაციებით და ვეცდებით ვუპასუხოთ კითხვას – რას წარმოადგენენ ისინი საქართველოში და მიეკუთვნებიან თუ არა სამოქალაქო საზოგადოებას?

პირველ რიგში უნდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ საქართველოში (და მთლიანად, პოსტსაბჭოთა სივრცეში) ჩამოყალიბებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ ერთი მახასიათებელი – ისინი არ არიან მასიურები. ეს მათი თვისება თვისებრივია, და არა უბრალოდ რაოდენობრივი. მასიური და ვიწრო ჯგუფების ერთმანეთისგან განსასხვავებლად გამოვიყენებთ მანკურ ოლსონის მიერ შემოთავაზებულ ცნებებს. შეგახსენებთ, რომ მანკურ ოლსონის მიდგომა წმინდა ეკონომიკურია (თავისი მეთოდოლოგიით) და იყენებს რაციონალური არჩევანის თეორიას.

მანკურ ოლსონის კლასიკურ ნაშრომში "კოლექტიური მოქმედების ლოგიკა" (M. Olson. 1971, *The Logic of Collective Action. Public Goods and the Theory of Groups*. Harvard Economic Studies, v. CXXIV, Harvard University Press) გამოყენებულია ჯგუფების შემდეგი ტაქსონომია. ერთი და იმავე ეკონომიკური სუბიექტებისგან შემდგარი ორგანიზებული ჯგუფი შესაძლოა წარმოადგენდეს ინკლუზიურ ან ექსკლუზიურ ჯგუფს იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის კოლექტიური სარგებლის მიღწევას ისახავს იგი მიზნად. ასე მაგალითად, ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავს საკანონმდებლო ცვლილებების ლობირებას (მაგალითად, გადასახადების შემცირებას) არის ინკლუზიური - ის დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი მონაწილის ჩართვით, მაგრამ ამავე დროს არ არის დამოკიდებული დაინტერესებულ პირთა ასპროცენტიან მონაწილეობაზე და მონაწილეთა შორის სტრატეგიული ინტერაქციის წარმართვაზე. ამისგან განსხვავებით, ეკონომიკურ აქტორთა ჯგუფი, რომელიც ისწრაფვის ბაზარზე მაღალი ფასის დაწესებას, მიაღწევს მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მასში ჩართული იქნება ბაზარზე მომუშავე ყველა მონაწილე; შეთანხმებაში ერთი მონაწილის არყოფნაც კი გამოორიცხავს შეთანხმების შესაძლებლობას; ჯგუფის ყველა წევრი დაინტერესებულია ბაზრიდან რაც შეიძლება მეტი მოთამაშის განდევნით, ჯგუფი ცდილობს იყოს რაც შეიძლება ვიწრო და მის წევრებს შორის მუდმივად მიმდინარეობს რთული სტრატეგიული გარიგებები, ვაჭრობა და ერთმანეთისადმი უნდობლობით განპირობებული სტრატეგიული თამაშები. კოლექტიური სარგებელი, რომელსაც აღწევს ჯგუფი, ექსკლუზიური ხასიათისაა.

ამგვარად, ფორმალურად ერთნაირად ორგანიზებული ჯგუფები (შესაძლოა, ერთი და იმავე ორგანიზაციის წევრები) სინამდვილეში განსხვავებულად ფუნქციონირებენ, და ეს განსხვავება არის კონტექსტუალური, გამომდინარე იმ მნიშვნელობიდან, რომელსაც ჯგუფის წევრები აქსოვენ ჯგუფის საქმიანობაში. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ღია, მასობრივ, ინკლუზიურ მონაწილეობასთან და ნდობის მაღალ მაჩვენებლებთან, მეორე შემთხვევაში კი, ექსკლუზიურ, დახურულ წარმონაქმნებთან, რომლებიც დიდ ენერჯიას ხარჯავენ და სპეციალურ ზომებს

მიმართავენ შიდა ურთიერთობების დასარეგულირებლად.

ოლსონის დაკვირვება ნათლად წარმოაჩენს მოდერნიზაციის გიდენსისეული ხედვის ზედაპირულობას. გიდენსის თეორიის მიხედვით, მოდერნიზაცია წარმოადგენს საზოგადოებრივი ინსტიტუტების დისემბედიგ-ისა და რე-ემბედიგ-ის პროცესს, სადაც ინსტიტუტი, თავდაპირველად წარმოქმნილი დასავლეთის სოციალურ კონტექსტში, იოლად იკიდებს ფეხს სხვა სოციალურ კონტექსტში ნდობის მექანიზმების მეშვეობით (იდენს, ნტჰონს. 1990. *თჰე ჩონსექუენცეს ოფ ოდერნიტიყ.* ჩორნნალლ). საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის არაცალსახა პრაქტიკა ამ მიდგომის პრობლემურობის ერთ-ერთი ილუსტრაციაა.

(განმარტება: თვით ეს ტერმინი – „ნდობა“ – რომელიც კითხვას არ იწვევს მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ საუბარში გამოიყენება, შეიძლება ასახავდეს სტრუქტურულად მეტად განსხვავებულ მოვლენებსა და ფილოსოფიებს, და შესაბამისად მოვლენების განვითარების განსხვავებულ პერსპექტივებს. ასე, პოლიტიკური პარტიის ნდობა ბუნებრივად შეზღუდულია იმ ადამიანთა წრით, ვინც მის იდეოლოგიას ან ინტერესებს იზიარებს, ხოლო მეტეროლოგიური ბიუროს ნდობა შეზღუდულია მხოლოდ მისი უნარით სწორად იწინასწარმეტყველოს ამინდი. ნდობის ეს ორი "იდეალური ტიპი" შეესაბამება ჩვენს მიერ დაფიქსირებულ სხვადასხვა დისკურსულ ეთიკებს. ბიურო საკუთარი თავისადმი ნდობას იძენს „დამტკიცებით“, ხოლო პოლიტიკური პარტია – „დარწმუნებით“. სოციალურ ელიტად ასევე შეუძლია მოიპოვოს ნდობა ქცევის მაღალი სტანდარტების დემონსტრირებით (რესპუბლიკური ელიტა) რაც ნდობის კიდევ ერთ, მესამე ტიპს წარმოადგენს. ნდობის სახეობათა სპეციფიკას აღნიშნავს თავის ნაშრომში სელიგმანი).

პოსტსაბჭოურ სივრცეზე სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროექტი დასაწყისში ყველაზე უკეთ იყო წარმოდგენილი სოროსის ფონდის ინიციატივებითა და გრანტების სტრუქტურით. სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის სოროსისეული პროექტი იყო წმინდა ინსტიტუციონალური, ანუ მიმართული გარკვეული ინსტიტუტების მხარდაჭერაზე და ნახალისებაზე. ეს ინსტიტუტები თავიდან იყო მასობრივი ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობით მათი წევრები, გარდა ძირითადი ეკონომიკური საქმიანობისა, (რომელსაც ისინი სადღაც სხვაგან გასწევდნენ), მიიღებდნენ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ანუ, სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა (ინსტიტუტები), ანალოგიურად პოლიტიკური სისტემის სტრუქტურისა (ინსტიტუტებისა), უნდა ყოფილიყო შექმნილი დასავლური პრაქტიკის "ცოჰყ-პასტინგ"-ის გზით, ან, სხვა სიტყვებით, დისემბედიგ-რეემბედიგ-ის მეშვეობით. ამ სტრუქტურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ახლადქმნიდი არასამთავრობო ორგანიზაციების მასობრიობას, ღიაობას ("ღია საზოგადოების" მშენებლობა), არაპოლიტიზებულიობას და მოქალაქეთა ნებაყოფლობით მონაწილეობას. მშენებარე ორგანიზაციები, ისევე როგორც ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დამოუკიდებელი მედია, უნდა გამხდარიყო სამოქალაქო საზოგადოების ჩონჩხი.

დღეს საკმარისი დროა გასული რომ ვიმსჯელოთ ამ გეგმის წარმატება-წარუმატებლობაზე და მის შედეგად გაჩენილი ინსტიტუტების შესაბამისობაზე თავდაპირველ გეგმასთან. დაკვირვება ცხადყოფს, რომ სახეზეა მთელი რიგი ფორმალური მახასიათებელი, რომლებიც ახალი ინსტიტუტების თავისებურებაზე მეტყველებენ. ესენია:

ა. არასამთავრობო ორგანიზაციები არიან მეტად ვიწრო ჯგუფები; მათი წევრების რაოდენობა ხშირ შემთხვევაში რამდენიმე ადამიანს არ აღემატება; არასამთავრობო ორგანიზაციებში მოსახლეობის 3-4 პროცენტი თუ არის განვერიანებული (ეს ხდება არა მართო საქართველოში, არამედ მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეზე) თითოეული ორგანიზაცია, როგორც წესი, წარმოადგენს ფუნქციონერთა მცირერიცხოვან ჯგუფს, რომლის თითოეული წევრი მიმართულია საკუთარი მუშაობისთვის ანაზღაურების მიღებაზე (ხელფასი ან ჰონორარი). ისინი პრაქტიკულად ვერ იზიდავენ სანევროებს, შემონირულობებს და ნებაყოფლობით დახმარებას მოსახლეობისგან. თუ ერთ მშვენიერ დღეს შეწყდა დაფინანსება საერთაშორისო

ფონდებისგან და უცხოური მთავრობებისგან, არცთუ ბევრი დარჩება დღეს არსებული მრავალფეროვნებისგან.

ბ. არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე პირთა ხელფასი (ანაზღაურება, პონორარები) ბევრად აღემატება ქვეყნის მოქალაქეთა საშუალო შემოსავალს.

ც. არასამთავრობო ორგანიზაციების პერსონალი უმეტეს შემთხვევებში წარმოადგენს პროფესიულ, ენერგიულ და პროდასავლურ ახალგაზრდობას, რომელსაც შეიძლება „ქართული იაპების“ სოციალური ფენა ვუნოდოთ. ამდენად, ამ ორგანიზაციებში განვერიანებულები არიან არა საშუალო, რეპრეზენტატიული მოქალაქეები, არამედ საზოგადოების გარკვეული ელიტარული ფენა, რომელიც ხშირად თავს "ახალ ინტელექტუალებად" და საზოგადოების ავანგარდად იაზრებს.

დ. ზღვარი არასამთავრობო ორგანიზაციასა და პოლიტიკურ ორგანიზაციას შორის დიდწილად ნაშლილია. სახეზეა როგორც ბრძოლა ამა თუ იმ პოლიტიკური ინიციატივებისათვის, პოლიტიკური აგიტაციით საარჩევნო პერიოდებში, არამედ პიროვნებათა უშუალო მონაწილეობა პოლიტიკაში, ბრძოლა ძალაუფლებისათვის.

აშკარაა, რომ სახეზეა ინსტიტუტების არაინკლუზიური, ექსკლუზიური ტრანსფორმაცია, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ამ ორგანიზაციების ღია საზოგადოების ინსტიტუტად გადაქცევის გეგმასთან. ამდენად, თუ გამოვიყენებთ ოლსონის მიდგომას, შესაძლოა ვივარაუდოდ, რომ მიზეზი, რომლის გამოც ამ ფორმალურმა ორგანიზაციებმა ამგვარი ტრანსფორმაცია განიცადეს, მდგომარეობს მათი წევრების რაციონალური მოტივაციების ბუნებაში და იმ მიზნების ხასიათში, რომლებსაც ეს წევრები ისახავენ.

ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ვინრო-ჯგუფური, ექსკლუზიური ბუნების ასახსნელად შესაძლოა წამოვაცენოთ ორი ჰიპოთეზა - ერთი, ეკონომიკური, უფრო აშკარაა, ხოლო მეორე, პოლიტიკური, მეტ განსჯა-ანალიზს მოითხოვს.

ეკონომიკური მიზეზის ჰიპოთეზა შესაბამისობაშია საბაზრო მექანიზმების ანალიზთან და გულისხმობს, რომ არსებული ორგანიზაციები წარმოადგენენ ეკონომიკის ახალ სეგმენტს, რომელიც ფუნქციონირებს ჯამობრივად შეზღუდული ეკონომიკური ბაზრის ათვისებაზე (საერთაშორისო ფონდების გრანტები), და ამდენად, რაციონალურად მიისწრაფვის სტრატეგიული მოქმედებისკენ ექსკლუზიური მიზნების მისაღწევად. ანუ ის, რომ დაფინანსების წყაროებს შეადგენენ საერთაშორისო ფონდების ჯამობრივად შეზღუდული რესურსები და არა საზოგადოების თეორიულად შეუზღუდავი ნებაყოფლობითი შემონიშნულობები, აყალიბებს სექტორის სახეს და საქმიანობის ელფერს.

მეორე ჰიპოთეზა გარკვეულწილად პირველთანაა კავშირში. თავისი არსით იგი ეფუძნება სხვაობას იდეოლოგიურ (პარტიკულარისტულ) და სამართლებრივ (უნივერსალისტურ) ლეგიტიმაციებს შორის. (ადრე ჩვენს მიერ გამოყენებულ სამ დისკურსულ ეთიკას თუ გავიხსენებთ, აქ ერთმანეთს უპირისპირდება დემოკრატიული დისკურსის ეთიკა და ლიბერალურ-რესპუბლიკური დისკურსების ეთიკები. პირველი ქმნის ბრძოლას ძალაუფლებისთვის, რომელიც არის ექსკლუზიური რესურსი, ხოლო დანარჩენი ორი - ჰორიზონტალურ ურთიერთობებს, რომლებიც ინკლუზიურობას განაპირობებენ).

მაგალითისთვის განვიხილოთ ჯგუფი, რომელიც ისწრაფვის სიტყვის თავისუფლების დაცვას. სიტყვის თავისუფლება აშკარად ინკლუზიური ფასეულობაა, რომელიც წესით ღია და მასობრივ კოლექტიურ ქმედებას გულისხმობს. თუმცა კი ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, რომლებიც ემხრობიან სიტყვის თავისუფლების გარკვეულ შეზღუდვას ეთიკური და სხვა მოსაზრებებიდან გამომდინარე. მოკლედ, მათ, მედიის თავისუფლების გარდა (და, შესაძლოა, უფრო მეტადაც), აღელვებთ იმ პროდუქტის ხარისხი, რომელიც იქმნება მედიის სივრცეში. სიტყვის თავისუფლების დაცვის დისკურსიული ლოგიკა მოითხოვს მათ თანაბარ მონაწილეობას საკითხის განხილვასა და შესაბამისი ნორმების ინსტიტუციონალიზებაში; სიტყვის თავისუფლების დაცვის იდეოლოგიური (პოლიტიკური, დემოკრატიული) ლოგიკა გულისხმობს, რომ პოლიტიკურად უფრო ეფექტურია ამგვარი ადამიანების გარიყვა საჯარო

სივრცეიდან და სიტყვის პრიორიტეტული თავისუფლების დამკვიდრება მხოლოდ მათთვის, ვინც მას უპირობოდ ემხრობა. ანუ სტრატეგიულად მომგებიანია მისი დამკვიდრება დომინანტური იდეოლოგიის სახით, საჯარო სივრცის შესაბამისი მონოპოლიზებით. ამ დომინანტური იდეოლოგიის როლს ამ შემთხვევაში თამაშობს ნეოლიბერალური დოქტრინა, რომლის მიხედვითაც სიტყვისა და პრესის თავისუფლება ავტომატურად იწვევს კარგი დონის პრესის შექმნასა და მედია - აუდიტორიის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ხდება საკითხის მკვეთრი იდეოლოგიზირება, რაც იწვევს შესაბამისი ჯგუფის გადასროლას სამოქალაქო საზოგადოებიდან პოლიტიკურ საზოგადოებაში, ხოლო ინკლუზიური საზოგადოებრივი დისკურსის ნაცვლად - ექსკლუზიური პოლიტიკური ძალაუფლების მიზნად დასახვას. იმას, თუ რატომ ხდება, რომ ეს ლოგიკა ეფექტურად მოქმედებს პოსტსაბჭოთა სივრცეში, ჩვენ დაბლა დავუბრუნდებით.

თუკი ნეოლიბერალური, იდეოლოგიური (პოლიტიკური, დემოკრატიული) ეთიკა საზოგადოებაში სჭარბობს, ხოლო ლიბერალური და რესპუბლიკური კომპონენტები სუსტია, სამოქალაქო საზოგადოების ფორმალური ორგანიზაციული სტრუქტურები (ინსტიტუტები) ამ კონტექსტის შესაბამისად განიცდიან რაციონალურ არაფორმალურ ტრანსფორმაციას. მათი ღიაობა ვერ განხორციელდება იმ სახით, როგორც იგი ნაგარაუდევია. ინკლუზიური, სამოქალაქო ხასიათის ნაცვლად ისინი იძენენ პოლიტიკურ, ექსკლუზიურ ხასიათს. ერთადერთი, რაც უცვლელი რჩება, არის ის ტერმინოლოგია და წარმოდგენები, რომელიც თავიდანვე ედო საფუძვლად მათ ჩამოყალიბებას, და რომელიც ამ ტრანსფორმირებულ კონტექსტში "ყალბ ცნობიერებად" იქცევა. ეს არის წარმოდგენა, რომელიც არ ითვალისწინებს რეალობას, და კვლავიდანებურად უწოდებს ამ ორგანიზაციებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ დემოკრატიის დამკვიდრებას. ისინი მართლაც უწყობენ ხელს "დემოკრატიზაციას", მაგრამ ეს სხვა ტიპის, "ავანგარდისტული", "იდეოლოგიური" დემოკრატიაა (ლიბერალური დემოკრატიის საპირისპიროდ), ისევე როგორც თვით ეს ინსტიტუტები არა სამოქალაქო საზოგადოების, არამედ საზოგადოების "ავანგარდის" ინსტიტუტებს წარმოადგენენ საბოლოო ჯამში. აღსანიშნავია, რომ აქ ნახსენები სოციალური კონტექსტი არ უნდა გავიგოთ როგორც ქართული საზოგადოების კულტურულად განპირობებული რაიმე თავისებურება, არამედ როგორც ქვეყნის ისტორიული წარსულისა და ეკონომიკური და გლობალისტური ვითარებების ერთობლიობა, რომელიც სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებშიც იჩენს თავს.

უაღრესად დაბალი მაჩვენებლები არასამათავრობო ორგანიზაციებში განევრიანების, რომელშიც დამახასიათებელია პოსტტოტალიტარული ქვეყნებისთვის, (**Marc Morijn Howard The Weakness of Civil Society in Post-Communist Europe. Cambridge University Press; 2003**) არის მათი საერთო მაჩვენებელი. ათას სულ მოქალაქეზე პოსტტოტალიტარულ დემოკრატიებში (აღმოსავლეთი ევროპა, ბალტიისპირა ქვეყნები), მოდის გაცილებით ნაკლები რაოდენობის ადამიანი, რომელიც განევრიანებულია არასამათავრობო ორგანიზაციებში თუ პოლიტიკურ პარტიებში, ვიდრე ეს ხდება არა მარტო ძველ დემოკრატიებში, არამედ პოსტავტორიტარულ ქვეყნებშიც კი.

პოსტსაბჭოთა განვითარების წლებმა აჩვენეს, რომ ტოკვილისეული გამოწვევა ჩვენნაირი ქვეყნებისთვის გადაულახავი აღმოჩნდა. მიუხედავად უაღრესად ბევრი მცდელობებისა და ახალი და ახალი წამოწყებებისა, რომლებიც მიზნად საზოგადოების გააქტიურებას და მის მიერ მმართველობაზე პასუხისმგებლობის აღებას ისახავდა მიზნად, არაფერი გამოვიდა. ქართული საზოგადოება აწარმოებს ოპოზიციურ დისკურსს, აკრიტიკებს მთავრობას და, უაღრესი გამწვავების შემთხვევაში, გამოდის ქუჩაში მთავრობის ჩამოსაგდებად. მაგრამ რევოლუციებსა და არჩევნებს შორის ის არ აქტიურობს, და ახდენს მთელი მმართველობითი პასუხისმგებლობის დელეგირებას ხელისუფლებაზე (გაიხსენეთ დელეგირებული დემოკრატიის ცნება). ამავ დროს ქართული საზოგადოება (და მთლიანად პოსტსაბჭოთა საზოგადოებები) უაღრესად ეგალიტარულია, და, ტოკვილის გაგებით, დემოკრატიული. თანასწორობა მათთვის

უმალესი ღირებულებაა, და დემოკრატია, როგორც პოლიტიკური თანასწორობის განსახიერება, იმყოფება მათ ღირებულებრივ სისტემაში მეტად მაღალ დონეზე. პოსტსაბჭოთა საქართველოს არა ჰყავს პოლიტიკური ელიტები, გამოყოფილი სამოქალაქო საზოგადოებისგან, არისტოკრატიული საზოგადოების მსგავსად (ტოკვილისეული გაგებით). ამდენად, თუკი ეგალიტარული საზოგადოება არ მართავს თვითონ, ტოკვილისეული გაგებით, ვინ უნდა მართავდეს მას? ტოკვილის პასუხი ამ კითხვაზე ცნობილია – ამგვარ საზოგადოებებს ემუქრება დემოკრატიის ტირანიული ფორმა, ანუ ის, რასაც ჩვენ აქ უფრო არალიბერალური დემოკრატიის სახელით მოვიხსენიებთ.

დაბალი ნევრობა არასამთავრობო ორგანიზაციებში და პოლიტიკურ პარტიებში, საზოგადოების უუნარობა მართოს თვითონ, უნდა განვიხილოთ როგორც პოლიტიკური სისტემის საკმაოდ სტაბილური და მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც განაპირობებს პოლიტიკური რეჟიმის ხასიათს და სხვა მაჩვენებლებს (ან, უფრო სწორედ, მათთან უშუალო კავშირში იმყოფება).

2. დისკურსული ეთიკები: გვაქვს თუ არა საქმე საზოგადოებრივ მოძრაობასთან

წინა განხილვამ შეიძლება შეგვიქმნას დამახინჯებული წარმოდგენა საქართველოში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებზე. კერძოდ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი, ჯერ ერთი, ყველა ერთნაირია, და, მეორე, განვლილი დროის განმავლობაში ერთი და იმავე სახით არსებობდა. არც ერთი და არც მეორე მტკიცებულება არ იქნებოდა სწორი.

ჯერ ერთი, მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა, არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში მეტად მრავალფეროვანია როგორც საქმიანობის სტილით, ასევე პოლიტიკური მსოფლმხედველობებითაც. გარკვეული ერთფეროვნება მოჩვენებითია, და განპირობებულია დიდწილად იმითი, რომ საჯარო სივრცეში (ძირითადად რუსთავი-2-ის მიერ ფორმირებულში) არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოჩინდება როგორც ერთგვარად ერთიანი კონგლომერატი, რომელსაც ჰყავს რადენიმე გამოკვეთილი ლიდერი ორგანიზაცია (ეს ორგანიზაციები, როგორც წესი, ყველაზე კარგად ფინანსდება ამასთან). სხვა ტიპის ორგანიზაციები ან არ ჩანან საჯარო სივრცეში, ან არ მოიაზრება „არასამთავრობო სექტორის“ სათაურის ქვეშ.

მეორეც, თავისი საქმიანობის ტიპითა და მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში განიცდიდნენ მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას, რომელიც უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ. ეს ტრანსფორმაცია გვაძლევს საფუძვლეს ვივარაუდოთ, რომ მოცემული სექტორი უფრო კარგად აღიწერება საზოგადოებრივი მოძრაობების თეორიის მეშვეობით, ვიდრე რეგულარული, სტაბილურად არსებული სამოქალაქო გაერთიანებების ტერმინებით. ამ ევოლუციას ჩვენ აქ აღვწერთ სიღრმისეულად, იმ ცნებითი აპარატის გამოყენებით, რომელიც ადრე ავითვისეთ.

დავუბრინდეთ ჩვენს მიერ განხილულ სამ დისკურსულ ეთიკას. იყო ნათქვამი, რომ თითოეული ეთიკა განსაზღვრავს „პოლიტიკური“ მოქმედების რაღაც ტიპს. ეს „პოლიტიკური“ მოქმედებები ხორციელდება (პრევალირებს) საზოგადოებრივი სტრუქტურის სხვადასხვა დონეებზე, რასაც საზოგადოების სტრუქტურული დიფერენციაცია უზრუნველყოფს. კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ მათ დახასიათებას.

დავუშვათ, რომ რამდენიმე პიროვნება საუბრობს დემოკრატიაზე საქართველოში. ეს საუბარი სხვადასხვანაირად შეიძლება წარიმართოს. კითხვა – არის თუ არა საქართველოში დემოკრატია – სხვადასხვა კუთხით შეიძლება აღელვებდეს და აინტერესებდეს მოსაუბრეებს.

პირველი, და ყველაზე სიღრმისეული დონე, რომელზედაც შეიძლება წარიმართოს დისკუსია – ეს არის თვით დემოკრატიის არსისა და ღირებულებების შესახებ მსჯელობა ფილო-

სოფიური, ინტელექტუალური, მსოფლმხედველობითი, ღირებულებრივი თვალსაზრისიდან. ეს უფრო აკადემიური ან მოქალაქეობრივი მსჯელობაა, როდესაც ლაპარაკია „მაღალმატერიებზე“, სამართლიანობის ბაზისურ ცნებებზე, როდესაც გადწყვეტილება არასდროს არის საბოლოო, არამედ ის არის მხოლოდ ეტაპი უსასრულო ჯაჭვში მსჯელობისა, რომელსაც ახალი და ახალი თაობები უერთდება. ამ დონეზე ისეთი გამონათქვამი, როგორცაა „საქართველოში არის დემოკრატია“, ან „საქართველოში არ არის დემოკრატია“ გამოხატავს მოქალაქეობრივ შეშფოთებას გარკვეული იდეალების განუხორციელებლობის გამო, ან პირიქით, სიხარულს ამ იდეალებთან მიახლოების გამო. ეს მსჯელობა გულისხმობს იმაზე მსჯელობასაც, თუ რას წარმოადგენენ ეს იდეალები, და იმის შეფასებაც, თუ რამდენად მისაღებია არსებული მდგომარეობა.

ამგვარი, ჩვენი ტერმინოლოგიით „რესპუბლიკური“ დონის მსჯელობა, როგორც ვიცით, ტრანსფორმაციულია (ინტერაქციული). მის დროს ადამიანები ცდილობენ ერთმანეთზე ზეგავლენის მოხდენას და ამავე დროს საკუთარი შეხედულებების დახვეწას. ამ დონეზე იქმნება საზოგადოებრივი კონტრაქტი – ბაზისური სამართლიანობის პრინციპებით აღჭურვილი ერთობა. მისი მთავარი პრინციპია მონაწილეობა – ანუ, კონტრაქტი დადებულია, თუკი ყველა აღიარებს ერთობის არსებობას, რომელშიაც ყველა თანაბარუფლებამოსილია ილაპარაკოს სხვების წინაშე და აღიარებს სხვების მონაწილეობის უფლებას. ამ ერთობის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს ყველა – საზოგადოებრიობა ფართო გაგებით; მისი ინსტიტუტებია ეკლესია, უნივერსიტეტი, თეატრი, მუზეუმი და სხვა. ამ დონეზე არავინ რჩება მოგებული ან წაგებული, მონაწილეობა ამ მსჯელობაში თვითმიზანია, და შეესაბამება ადამიანის შინაგან მოთხოვნილებას.

ცხადია, რომ აქ ჩვენ არ მოველით იმას, რომ ამ დისკუსიით იქნება მიღწეული ერთიანი შეხედულება იმაზე თუ რას წარმოადგენს დემოკრატია. შეიქმნება უბრალოდ რაღაც ღირებულებების რიგი, რომლებიც მასთან არიან ასოცირებული.

გადავიდეთ შემდეგ დონეზე. დავუშვათ, რომ რომელიმე მოსაუბრეები მტკიცედ ჩამოყალიბდნენ საკუთარ შეხედულებებში დემოკრატიის შესახებ და აღარ უნდათ ამ საუბრის გაგრძელება (მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის აუცილებლად დარჩება გარკვეული, და, შესაძლოა, მნიშვნელოვანი სხვაობები). შემდეგი კითხვაა, რომელიც მათ შეიძლება გაუჩნდეთ, ეს არის „როგორ?“ – როგორ შეიძლება დასახული იდეალების რეალიზება?

ამ ეტაპზე ადამიანები უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებებით (რომლებიც აუცილებლობით მრავალფეროვანი იქნება) გადადიან მეორე დონეზე და იწყებენ კონკრეტული რეალიზების გზების ძიებას მათი შეხედულებების რეალიზებისთვის. მათ შეიძლება მხარი დაუჭირონ კონკრეტულ რეფორმებს, ინსტიტუციონალურ გარდაქმნებს და პოლიცყ-ს რომელიც მათთვის ყველაზე მიზიდველია. აქ უკვე შეიძლება ჩნდებოდეს დისკუსია რომელიც ცოდნაზე იქნება დამყარებული – ვითარების შეფასება, სტრატეგიების შესწავლა და პროპაგანდირება, წინადადებების და კანონპროექტიების შემუშავება. ეს კვალიფიციური, საექსპერტო მსჯელობის არეალია, რომელშიაც ექსპერტები იჩენენ თავს, და ცოდნა წამყვან როლს თამაშობს.

მივაქციოთ ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ მეორე დონეზე ცოდნა წამყვანი იარაღი, ღირებულებრივად ნეიტრალური ეს მსჯელობა უკვე არ არის, ვინაიდან მონაწილეებს პირველი დონიდან უკვე აქვთ გამოტანილი სხვადასხვანაირი ორიენტაციები. ანუ შეიძლება წარმოიქმნას მემარჯვენე ან მემარცხენე, კონსერვატორი ან ლიბერალი ექსპერტები, რომლებიც არსებითად განსხვავებულ პოლიტიკურ სტრატეგიებს შეიმუშავენ. არ არსებობს პოლიცყ, რომელიც პირველი დონისადმი ნეიტრალური იქნება. ჯანსაღი მეორე დონე უნდა წარმოქმნიდეს პლურალისტურ სტრატეგიებს, პირველი დონის დაყოფების შესაბამისად. ამ დონეზე მსჯელობა იმის შესახებ არის თუ არა საქართველოში დემოკრატია – ჩვენს კონკრეტულ მაგალითს რომ დავუბრუნდეთ – იქნება მონაცემი შემდეგნაირად: ჯერ იქნება შემუშავებული ოპერაციონალიზებული განმარტება იმისა, თუ რა არის დემოკრატია, ხოლო შემდგომ ამ განმარტებისა და ემპირიული ფაქტების შედარებით იქნება დადგენილი (დასაბუთებული) არის

თუ არა საქართველოში დემოკრატია. იმისდა მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრება დემოკრატია სხვადასხვა ღირებულებრივი ორიენტაციების მქონე ექსპერტების მიერ, იქნება ასევე შესაძლოა განსხვავებული პასუხები დემოკრატის არსებობა-არარსებობის თაობაზე და მისი შესაძლო განვითარების გზების შესახებ. ამ დონის მიდგომის ერთ-ერთი ტიპური მაგალითია რეედომ ოუსე, რომელიც იყენებს დემოკრატის გარკვეულ ინსტრუმენტალიზირებულ განმარტებას და ზომავს დემოკრატის დონეს მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში. მეორე კარგი მაგალითია სამოქალაქო საზოგადოების ცნება. სამოქალაქო საზოგადოება ზოგიერთი ავტორის თვალში საქართველოში არსებობს და ვითარდება, ხოლო სხვა ავტორთა თვალსაზრისით, დაკნინების პროცესში იმყოფება და პრაქტიკულად არ არსებობს.

და ბოლოს, მესამე დონე – ეს არის პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის ველი. აქ, ამ ველში, მთავარ მნიშვნელობას იძენენ პოლიტიკოსები, ხოლო დისკურსული ეთიკა ძალაუფლებისთვის ბრძოლით არის ნაკარნახევი. კითხვა იმის თაობაზე, არის თუ არა საქართველოში დემოკრატია აქ შეიძენს პოლიტიკულ ხასიათს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება აუცილებლობით ილაპარაკებს დემოკრატის მიღწევებზე საქართველოში, ხოლო ოპოზიცია – იმაზე, რომ დემოკრატია არ არის, და რომ ხელისუფლება (ან მმართველი ელიტა) არღვევს დემოკრატის ფუძემდებლურ ნორმებს. ამ დისკურსის ეთიკა სუფთა მანიპულაციური ხდება, ხოლო დროითი ორიენტაციები – მეტად მოკლე. ანუ, თუკი პირველი დისკურსი არ სვამდა რაიმე დროით ორიენტირებს, და უსასრულოდ შეიძლება გაგრძელებულიყო, მეორე კი, მეტ-ნაკლებად რეალისტურობას ცდილობდა, მესამე, პოლიტიკური დისკურსი ჩქარობს და რაც შეიძლება მალე ცდილობს ძალაუფლების მოპოვებას. ამ ეთიკაში მთავარია გამარჯვება, გამარჯვებულს არ სჯიან, ხოლო შედეგი ამართლებს საშუალებებს.

შესაბამისად, ჩვენი საკვანძო ფრაზა – „საქართველოში არის (ან არ არის) დემოკრატია” სამ განსხვავებულ დისკურსში სამ განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. ერთ შემთხვევაში ის გამოხატავს მოქალაქეობრივ პოზიციას, მეორეში – საექსპერტო შეფასებას, ხოლო მესამეში – პოლიტიკურ პროპაგანდას.

პრობლემა, როგორც ადრე ავღნიშნეთ, როდესაც ამ დისკურსებს ვსწავლობდით, ჩნდება მაშინ, როდესაც არ ვიცით, რასთანა გვაქვს საქმე. თუ დისკურსები არ არის ერთმანეთისგან სტრუქტურულად დიფერენცირებული, საზოგადოება ვერ იცავს საკუთარი დისკურსის ველს პოლიტიკური მანიპულაციისგან. მაშინ მოსალოდნელია, რომ კეთილი სურვილი მოქალაქეობრივი ურთიერთობისა ან აკადემიური განწყობა სიმართლის ძიებისა გახდეს მსხვერპლი არაკეთილსინდისიერი პროპაგანდისა, რომელსაც პოლიტიკური სარჩული ექნება. დისკურსის წარმოების მეთოდის დაუცველობა დაუკარგავს ამ დისკურსს ჭეშმარიტ არსს და მოუსპობს ადამიანებს ნდობას მის მიერ წარმოებული შედეგებისადმი, და მომავალი ურთიერთობისადმი. პოლიტიზირება ამცირებს ნდობას მოქალაქეთა შორის – იმ ნდობას, რომელიც ქმნის სოციალურ კაპიტალს და საფუძველში უდევს სამოქალაქო საზოგადოებას.

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ჩვენში არსებობდა ის, რასაც თამამად შეიძლება სამოქალაქო საზოგადოების სახელი ეწოდოს, ერთადერთი იმ სხვაობით, რომ ის იყო ჩრდილოვანი, სახელმწიფოსგან დაფარული და არასაჯარო. მაგრამ ეს იყო საზოგადოება ადამ სმიტისა და სხვა კლასიკოსების გაგებით, ვინაიდან მასში ადამიანები უმალლეს ღირებულებებად იხილავდნენ წესიერებას, საკუთარი სინდისის ნორმებსა და ღირსებას. ვინაიდან პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატების მიღწევის გზები ამ საზოგადოების ეთიკის ნორმების ჩარჩოებში პრაქტიკულად არ არსებობდა, ან იყო მეტად შეზღუდული, ამ საზოგადოების წევრთა მთელი ცხოვრებისეული ძალისხმევა პროფესიული და ადამიანური სტანდარტების ამაღლებაზე იყო გადატანილი. პიროვნების თვითრეალიზება თვითსრულყოფასაც გულისხმობდა.

ამ ჩრდილოვანმა სამოქალაქო საზოგადოებამ პერესტროიკის გზით შეიძლება ითქვას, რომ თვითლიკვიდირება მოახდინა. ის გამოვიდა ქუჩებში და ჩაერთო პოლიტიკაში თავისუფლებისა და სამართლიანობის მოთხოვნით, მაგრამ ძალიან მალე ისევ პასიურ არსებობას დაუბრუნდა,

ვინაიდან აქტიურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობას არ იყო მიჩვეული. ამ სფეროებმა კი, განსაკუთრებით პოლიტიკურმა სფერომ, მიიზიდეს სხვა ადამიანები, რომლებიც ნაკლებად განიცდიდნენ სამოქალაქო ღირებულებების (წესიერება, ღირსება) ზეწოლას. პოლიტიკურმა ეთიკამ დაჯაბნა სამოქალაქო ეთიკა, ხოლო ძალაუფლება და სიმდიდრე გახდა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საზომი წარმატების, ვიდრე წესიერება და ღირსება.

შესაბამისად იკლო, და არა გაიზარდა საზოგადოებრივმა კაპიტალმა და ნდობამ. ამას სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებს, მაგრამ ეს ისედაც ჩანს.

არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება საქართველოში უკვე იმ პერიოდში იწყება (დაახლ. 1994 წ.), როდესაც ადრე არსებული სამოქალაქო საზოგადოების სოციალური ამბობების ტალღამ იკლო, და არ არსებობს საზოგადოებრივი კაპიტალი მასობრივი ორგანიზაციების შესაქმნელად. ის ენთუზიასტები, რომლებიც ქმნიან სამოქალაქო ორგანიზაციებს, მალევე რწმუნდებიან, რომ მათი ძალისხმევა მასობრივი ნებაყოფლობითი ორგანიზაციების შექმნისა შედეგის მომტანი ვერ იქნება. შედეგიანად მოქმედებენ მხოლოდ ისინი, ვინც ადვილად იწერება ახალ, სამოქალაქო გაგებით არაეთიკურ, მაგრამ პოლიტიკური გაგებით ეფექტურ საქმიანობაში პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ახალი სექტორის ეთიკა კონფლიქტში მოდის ძველი საზოგადოების ეთიკასთან, რაც მიანიშნებს, რომ ჩვენს მიერ განხილული დონეებიდან არასამთავრობო ორგანიზაციები და ძველი საზოგადოებრიობა სხვადასხვა დონეებზე აღმოჩნდებიან. გზადაგზა ამ დაპირისპირებას გამოეყოფა შუალედური – საექსპერტო დონე, რომელიც მეტ-ნაკლები სტაბილურობით იმკვიდრებს ადგილს პროფესიული, ცოდნაზე ორიენტირებული ვიწრო ორგანიზაციების სახით.

ბოლო 10 წლის განმავლობაში არასამთავრობო სექტორმა განვლო განვითარების სრული ციკლი – პირველი დონიდან მეორეს გავლით მესამე, პოლიტიკურ დონემდე, და დაასრულა ეს ციკლი ვარდების რევოლუციის მოწყობით. როგორ იცვლებოდა ამ პერიოდში მიმართება ადგილობრივ ორგანიზაციებსა და „გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებას“ შორის, რომელიც საქართველოში ამ წლებში მეტწილად იყო წარმოდგენილი სოროსის ფონდის, ევრაზიის ფონდის, სხვა ფონდების, ამერიკის განვითარების სააგენტოს, ეუთოს სტრუქტურებისა და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების სახით?

სოროსის ფონდის მიერ გასაცემი გრანტები 10 წლის წინ აუცილებლობით უკავშირდებოდა შემდეგ მოთხოვნებს გრანტის მიმღებთა მიმართ: მათ არ უნდა აეღოთ ხელფასები და პონორარები გრანტის ფულიდან; მათ არ უნდა გამოეყენებინათ გრანტის სახსრები პოლიტიკური საქმიანობისთვის; გრანტის მიმღები ორგანიზაციის მასობრიობა და საქმიანობის შიდა დემოკრატიულობა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომლითაც ფასდებოდა გრანტის მიმღები.

რამდენიმე წლის პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს მოთხოვნები მასობრივად ირღვეოდა იმ გაგებით, რომ ვინც გრანტებს ახორციელებდა, იმათ უნდა მიეღოთ ანაზღაურება, სხვანაირად სერიოზული და კარგი პროექტები ვერ ხორციელდებოდა. თანდათან ჩამოყალიბდა „პროფესიონალთა“ ვიწრო წრე, რომლებიც გახდნენ არასამთავრობო სექტორის „სპეციალისტები“, მათ, სხვა საზოგადოებასთან შედარებით კარგად აითვისეს ბევრი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევა, რაც სჭირდება წარმატებულ არასამთავრობო საქმიანობას. მათი ორგანიზაციები დამკვიდრდა, მაგრამ მასობრივი არ გახდა. ამ ორგანიზაციების მიერ წარმოებულმა პროფესიულმა პროდუქტმა (პუბლიკაციები, კონფერენციები, იურიდიული კონსულტაციები, ადამიანთა უფლებების დაცვა, სოციოლოგიური კვლევების წარმოება) სერიოზული ადგილი დაიმკვიდრეს საზოგადოებაში.

ამდენად, ამ ეტაპზე ჩვენ საქმე გვაქვს ცოდნაზე დაფუძნებულ პროფესიონალებთან, რომლებიც საზოგადოებრივი მომსახურების თვალსაზრისით მნიშვნელოვან პროდუქტს აწარმოებენ. ეს პროდუქტი აუცილებელია ნებისმიერი დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის. ამ პერიოდში სოროსის ფონდი უკვე უშვებს გრანტების ბიუჯეტში სახელფასო სახსრების გათვალისწინებას, და მეტ გრანტებს იძლევა საექსპერტო, პროფესიული მომსახურების

გასანევად – მაგალითად, კანონპროექტის დასწერად ან პოლიცყ ანალყსის-თვის. ამ საქმეში ამ პერიოდში ლიდერობს ფონდი ევრაზია, რომელიც მიმართულია ტჰინკ ტანკ-ების განვითარებაზე, განსაკუთრებით კავკასიის რეგიონულ დონეზე, და ცდილობს საექსპერტო საზოგადოების მხარდაჭერას. ამავე პერიოდში ამერიკის განვითარების სააგენტოც სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის თავის პოლიტიკაში ცვლის პრიორიტეტებს და იღებს გადაწყვეტილებას დაეხმაროს პირველ რიგში არასამთავრობო სექტორის „ლიდერ“ ორგანიზაციებს – იმ ორგანიზაციებს, რომლებიც უკვე ჩამოყალიბდნენ როგორც ყველაზე ძლიერი და აქტიური მოთამაშეები. ეს ცვლილება გულისხმობს, რომ სახსრების ამგვარი გადანაწილება ყველაზე ეფექტური იქნება მათი გამოყენების თვალსაზრისით.

ეს პერიოდი დიდხანს არ გრძელდება. შევარდნაძის რეჟიმი ამ პერიოდში უკვე ღრმადაა ჩიხში შესული და ახალი ინიციატივები და პოლიტიკური ნამოწყებები ვერ პოულობენ განხორციელებასა და გამოძახილს პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონეზე. არასამთავრობო სექტორის ლიდერებს უჩნდებათ შეგრძნება, რომ მათ უნდა მოიპოვონ ძალაუფლება, რათა საკუთარი გეგმები განახორციელონ. ამ დროისთვის სამოქალაქო საზოგადოების ლიდერობა ასოციირებულია რამდენიმე ორგანიზაციასთან, რომლებსაც აქვთ ერთიანი პოლიტიკური ხედვა, სერიოზული კონტროლი არასამთავრობო სექტორის სახსრების ხარჯვაზე და რომლებიც აღარ არიან განწყობილი გრძელვადიანი გეგმები დასახონ, არამედ ჩქარობენ პოლიტიკური შედეგები მიიღონ.

ამ პერიოდში იცვლება ასევე სოროსის ფონდის სტრატეგია. იქმნება მოძრაობა „კმარა“, და იწყება სოროსის ფონდის პროექტი სახელწოდებით „კმარა“, რომელიც არსებითად რეჟიმის ცვლილებაზეა მიმართული. ეს პროექტი არსებითად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და საკუთარი წვლილი შეაქვს ვარდების რევოლუციის განხორციელებაში. არასამთავრობო სექტორის ლიდერები აღწევენ პოლიტიკურ ძალაუფლებას და ამით, არსებითად, თავდება ამ სექტორის განვითარების ის ციკლი, რომელიც წინ უძღოდა ვარდების რევოლუციას.

რა მიმართულებით განვითარდება არასამთავრობო სექტორი ვარდების რევოლუციის შემდეგ, ეს კითხვა ჯერჯერობით გაურკვეველია, რაიმე გამოკვეთილი ტენდენცია აქ არ შეიმჩნევა. უეჭველია, რომ დარჩება მთელი რიგი ორგანიზაციებისა, ვისაც შეუძლია მაღალი ხარისხის საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოება – იქნება ეს მონიტორინგი, ტრენინგები თუ საექსპერტო ცოდნა. უეჭველია, აგრეთვე, რომ იწყება საზოგადოების უფრო სიღრმისეული გარდაქმნების ეტაპი – განათლების რეფორმა გაცილებით ღრმა საზოგადოებრივ სტრუქტურებს უმიზნებს, ვიდრე უბრალოდ არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა. როგორ წარმართება ეს რეფორმები – როგორც თურქეთში, სადაც მოდერნიზაციამ ფაქტიურად დაანგრია ტრადიციული საზოგადოებრივი სტრუქტურა (იხ. შემდგომ), თუ უფრო დემოკრატიული გზით, ბევრად იქნება დამოკიდებული თვით საზოგადოების უნარზე აქტიურობა გამოიჩინოს სამოქალაქო საზოგადოების დონეზე ამ პროცესში.

3. დომინანტური თუ პლურალისტური; საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკული ხედვა

ლარი დაიმონდი (Larry Diamond, Promoting democracy in the 1990s: actors, instruments and issues. in: Democracy's Victory and Crisis, ed. Axel Hadenius, Cambridge University Press, 1997) აღწერს, თუ როგორ ეხმარება მსოფლიო, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციების მეშვეობით, დემოკრატიის გავითარებას, და რა უზარმაზარი სახსრები იხარჯება ამ საქმიანობაზე. ფაქტობრივად, მსოფლიო არენაზე, გარდა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო კორპორაციებისა, გაჩნდა არასამთავრობო დამოუკიდებელი აქტორები, რომლებიც, პირველი ორის მსგავსად, ხშირად ბევრად აჭარბებენ თავისი ზომითა და შესაძლებლობებით იმ პატარა, სუსტი და განუვითარებელი სახელმწიფოების პოტენციალს, რომელსაც ისინი ეხმარებიან.

მათი საქმიანობა დიდწილად მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე და მხარდაჭერაზე, რაც დიდად განაპირობების ამ საზოგადოების განვითარების პოტენციალსა და მიმართულებას.

ამ უზარმაზარი დახმარების ფონზე, რომელმაც უეჭველად დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს პოლიტიკურ კლიმატზე და მის თანამედროვე ისტორიაზე, რატომ ვლავარაკობთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პრაქტიკის წარუმატებლობაზე? ხომ ისიც უნდა ითქვას, რომ არასამთავრობო სექტორი საქართველოში, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, მეტად ძლიერ და გავლენიან წარმონაქმნად იქცა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ბევრი დემოკრატიული ინციატივის წამოწყებაში და ადამიანის უფლებების დაცვაში.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ რევოლუციის წინა პერიოდში საქართველოში არსებობდა ბევრი სერიოზული არასამთავრობო ორგანიზაცია, და თუ არა რევოლუციაში მათი მონაწილეობა, დღესაც შესაძლებელი იქნებოდა ლაპარაკი იმაზე, რომ არასამთავრობო სექტორი საქართველოში მტკიცედ დგას ფეხზე. მითუმეტეს, რომ გარდა „რევოლუციონერი“ ორგანიზაციებისა, არის სხვა, არარევოლუციონერი მონაწილეები, რომლებიც დღესაც წარმატებით საქმიანობენ სხვადასხვა დარგში. ეს ორგანიზაციები საზოგადოებას დღესაც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პროდუქტით ამარაგებენ და, ალბათ, ესენი თუ სხვები იარსებებენ, ვინც იმავე საქმიანობას გააგრძელებენ.

და მაინც, კეთილსინდისიერი დამკვირვებელი ბევრს იფიქრებს, ვიდრე ამ სექტორს „სამოქალაქო საზოგადოების“ სახელით მოიხსენიებს, ვინაიდან ამგვარი გაიგივება არაცალსახაა და ბევრ კითხვას წარმოქმნის.

ლარი დაიმონდის მიერ აღწერილი ორგანიზაციები ყველა არიან დაკომპლექტებული ჩვეულებრივი ადმინისტრატორებითა და მენეჯერებით, რომლებიც მოქმედებენ ისე, როგორც შეეფერება მათ პროფესიას. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უნდა დასახონ კონკრეტული მიზნები, განახორციელონ ზომები ამ მიზნების მისაღწევად და მიიღონ ხელშესახები შედეგები, რომლებიც შეიძლება გაიზომოს. ყველაფერი ეს ერთად ნიშნავს, რომ მათ საქმიანობას წარმართავს ემპირიული მიდგომა რეალობისადმი, პრაგმატული საღი აზრი და მათი დასაყრდენია ის, რაც შესაძლებელია ადვილად იყოს გაგებული სოციალური კონტექსტისა და განურჩევლად, ერთნაირად იკითხებოდეს როგორც ამერიკაში, ასევე საქართველოში. შესაბამისად, განურჩევლად იმისა, თუ რა პოლიტიკური შეხედულებებისაა, ყველა ეს ორგანიზაცია მეთოდოლოგიურად ერთნაირია და ჩვენს მიერ მიღებული კლასიფიკაციით „ლიბერალური“ დისკურსის ჩარჩოებში მოქმედებს.

მაგრამ როდესაც გავდიოდით სამოქალაქო საზოგადოებისა თუ დემოკრატიის ცნებებსა და თეორიებს, ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, და არაერთ ავტორთან ეს დავაფიქსირეთ, რომ სამოქალაქო საზოგადოება (და დემოკრატია) არის რამდენიმე მიდგომის ნაზავი. კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოება უნდა მოიცავდეს როგორც „ლიბერალურ“, ასევე „რესპუბლიკურ“ კომპონენტებს.

გამოდის, რომ მსოფლიო დახმარება ნებისმიერ შემთხვევაში მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების მხოლოდ ერთი მხარის განვითარებაზე, და ვერაფერს შევლის მისი მეორე, რესპუბლიკური კომპონენტის წარმოჩენას. ანუ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა შესაძლოა უშველონ საქართველოს იმაში, რომ შეიქმნას რაღაც ინსტიტუტი, ორგანიზაცია, მოხდეს რეფორმა თუ სხვა, მაგრამ ისინი ვერანაირად ვერ ჩაერევიან (და არც ჩაერევიან) ჩვენი საზოგადოების სიღრმისეულ ურთიერთობებში, რომელთა ფონზეც უნდა იფუნქციონიროს ამ სტრუქტურამ.

ღირებულებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით, ამგვარი ვითარება სწორია. ვინაიდან ჩვენი შიდა საქმეები არის ჩვენი შიდა საქმეები. საზოგადოების სიღრმისეული გარდაქმნა არის ჩვენი საქმე, და სხვისი ჩარევა ამ სფეროში კულტურული ექსპანსიის ტოლფასი იქნებოდა, და ვესტერნიზაციის ფორმას მიიღებდა, დემოკრატიზაციის სანაცვლოდ. ვესტერნიზაციის ფორმა რომ არ მიიღოს, საერთაშორისო დახმარება კონცენტრირებას აკეთებს მხოლოდ

ინსტიტუტებზე (უნივერსალისტური ინსტიტუტებია მხედველობაში), იმ ვარაუდით, რომ ეს ინსტიტუტები ნეიტრალურია კონტექსტის მიმართ, და შესაძლებელია სოციალური სტრუქტურისა და ინსტიტუტების ერთმანეთისგან ისეთნაირად დამორიშორება, რომ შესაძლებელი ხდება მათი ცალ-ცალკე განხილვა და დანერგვა.

პრობლემა ის არის, სამწუხაროდ, რომ ამგვარი შეხედულება წარმოადგენს ერთ-ერთ, და არა ერთადერთ შესაძლო ხედვას სამოქალაქო საზოგადოებისა, და მისი მხოლოდ ერთი გაგებიდან გამოდის, მაშინ როცა არსებობს სამოქალაქო საზოგადოების ალტერნატიული თეორიებიც, რომელთა უგულებელყოფა არ შეიძლება.

ალტერნატიული მიდგომის თანახმად, საქართველოს არასამთავრობო სექტორი ჩამოყალიბდა როგორც ზოგადი ტრანზიტოლოგიური პარადიგმის ნაწილი, და ატარებს ამ პარადიგმით განპირობებულ იდეოლოგიას. ეს იდეოლოგია არა მარტო მოიცავს განვითარების მიმართულებას და მის გარკვეულ საბოლოო ინსტიტუციონალურ იდეალს, არამედ სახავს კიდევ ამ იდეალის მიღწევის სტრატეგიას. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ არასამთავრობო სექტორში თავმოყრილია მცირერიცხოვანი, გავლენიანი, სპეციფიკური დაფინანსებისა და მიზნების მქონე სოციალური ჯგუფი, რომელსაც ასევე გარკვეული "ყალბი ცნობიერება" (იდეოლოგიის მარქსისტული სახელი) ახასიათებს, შეიძლება ითქვას, რომ მის აღსაწერად კარგად გამოდგება წმინდა მარქსისტული ტერმინოლოგია და რომ მას საკმაოდ ზუსტად პოლიტიკური კლასის ცნება შეესაბამება. ამ ნაწილში ჩვენ საქართველოს არასამთავრობო სექტორს სწორედ ამ თვალსაწიერადან შევხედავთ.

აქ მთავარია ორი მახასიათებელი - ეკონომიკური არსებობის თავისებურება და ამ არსებობის შესაბამისი ცნობიერების ფორმირება. რაც შეეხება ეკონომიკურ საკითხებს, ის დიდ განმარტებას არ საჭიროებენ - სექტორი არსებობს მთლიანად უცხოური ფონდების დაფინანსებით და მასში დასაქმებული ადამიანები ხშირად ცხოვრების საშუალო დონესთან შედარებით ბევრად უფრო მაღალ შემოსავლებს იღებენ. რაც შეეხება მის "ყალბ ცნობიერებას", იგი შეიძლება რამდენიმე ფრაზით გამოიხატოს: "ჩვენ, არასამთავრობო სექტორი, ვართ სამოქალაქო საზოგადოება; ჩვენ ვვითარდებით როგორც სამოქალაქო საზოგადოება; ჩვენ, როგორც სამოქალაქო საზოგადოებას, გვევალება ხელისუფლებასთან დაპირისპირება".

ეკონომიკური საწყისები ამგვარი წარმოდგენის გავნითარებისა, როგორც ვთქვით, განსხვავდება იმ საწყისებისგან რომლებიც ძველ დემოკრატიებში არსებობდა. ძველი დემოკრატიებისგან განსხვავებით, მინიმალური დემოკრატიები ხასიათდება კაპიტალიზმის გვიანდელი განვითარებით (პოსტსაბჭოთა ქვეყნები -საერთოდ განიცდიან წყვეტას ამ მხრივ მეოცე საუკუნეში). კერძო სფერო, როგორც სამოქალაქო საზოგადოების საწყისი ამ ქვეყნებში საბაზრო თვითრეგულირების სუსტ საწყისებს მოიცავდა.

ამ ტიპის ქვეყნებში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში საზოგადოებრივი დისკურსი და საზოგადოებრივი ინსტიტუტები დიდად განსხვავდებოდა დასავლური სამოქალაქო საზოგადოების მოდელისგან. ამ დისკურსებში მონაწილეობდნენ ძირითადად ინტელექტუალები და ინტელიგენცია - ის, რასაც ყველაზე უკეთ აღწერს სიტყვა „საზოგადოებრიობა“ (“ობსჩესტვენოსტ” იხ. მაგალითად, **Вадим Волков, Общественность: забытая практика гражданского общества**, წმწ.ცარნეგი.რუ), და რასაც სულ არ უდგება დასავლური ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოება“. არ უდგება პირველ რიგში დისკურსში ბურჟუაზიული, ეკონომიკური ინტერესების არწარმოდგენლობით და დისკურსის მეტად მაღალი იდეოლოგიური და პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციითა და პოლარიზებით. ზოგიერთი ავტორი ამგვარ ვითარებებს „პოლარიზებული პლურალიზმის“ ტერმინით მოიხსენიებს. განსხვავდებოდა, აგრეთვე, მედიის სისტემები, რომლებშიაც ჭარბობდა პოლიტიკურად მიკერძოებული პრესა და ჟურნალისტიკა, მიბმულობა პოლიტიკურ ბრძოლებზე და დაბალი იყო მედიის ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

ეს ვითარება დღესაც იგრძნობა სამხრეთ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის იმ ქვეყნებშიც კი, რომლებსაც (ზოგიერთს) დემოკრატიული არსებობის ჩვენზე გაცილებით ხანგრძლივი ისტორია აქვთ. სულაც არაა გასაკვირი, რომ კიდევ უფრო მძაფრია ამ ფაქტორების გავლენა იმ

სივრცეზე, სადაც მეოცე საუკუნის განმავლობაში მოხდა საზოგადოებების ძალისმიერი მოდერნიზება ერთი პოლიტიკური იდეოლოგიის მიერ მთლიანად ინსტრუმენტალიზებული ტოტალიტარული სახელმწიფოს ძალით.

პოლიტიკური რეჟიმის გამოცვლას ზოგჯერ საზოგადოება მეტად სწრაფად, რამდენიმე წელიწადში ახერხებს. „თანამედროვეობის“ (modernity) ტიპის გამოცვლა საზოგადოებას რევოლუციურად არ ძალუძს, ის მხოლოდ თანდათან მოდიფიცირდება. მარქსიზმ-ლენინიზმის როგორც მმართველი იდეოლოგიის გარდაცვალებამ გარდაქმნა პოლიტიკური ლანშაფტი, მაგრამ იდეოლოგიური, დოგმატური მიდგომები სამოქალაქო და საზოგადოებრივ წარმოდგენებსა და ფილოსოფიაში დღესაც განმსაზღვრელ როლს ასრულებს და უკიდურეს პოლიტიკურ პოლარიზებას უწყობს ხელს.

ამ იდეოლოგიზირებულ კონტექსტში არასამთავრობო სექტორი ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი იდეოლოგიის მატარებელი, და არა სხვადასხვა იდეოლოგიების ქიდილის ადგილი (რასაც სამოქალაქო საზოგადოების იდეა გულისხმობს). საკუთარი თვალსაზრისიდან ის ჩამოყალიბდა, „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდში, ყოველ შემთხვევაში, როგორც გარკვეული ტიპის „დემოკრატიზაციის“ ავანგარდი, რომელიც წინ უძღვის საზოგადოებას. მისი ფუნქცია არის წინამძღოლობა, რეფორმირება, დასავლეთიზაცია და მოდერნიზაცია. სექტორის პოლიტიკური პოზიცია გამოიხატება ხელისუფლების მიმართ ტოტალურ დაპირისპირებაში. მის თვითშეგნებაში მეტად მკაფიოდ დაუპირისპირდა „ჩვენ“ „იმათს“ და ის ხასიათდებოდა მორალური ზეობის განცდით. როგორც იდეოლოგიზირებულ აზროვნებას შეეფერება, ხდებოდა „იმათი“ სტიგმატიზება („ხელისუფლების აგენტები“, „პრორუსული ძალები“). როგორც შეეფერება ავანგარდს, სექტორი კრიტიკულად უყურებს ქართულ საზოგადოებას და ცდილობს მის ცივილიზებასა და განათლებას.

საპირისპირო წარმოდგენები არ იქნა ფორმირებული არტიკულირებულ იდეოლოგიად (განვითარების პოლიტიკურ სტრატეგიად), მაგრამ მოახდინა თვით სექტორის სტიგმატიზება „გრანტიჭამიებად“, „ცრუს აგენტებად“, „ბოლშევიკებად“, „ისინი ქუეხს გვასწავლიან და სულელები ვგონივართ“ და ასე შემდეგ. ამდენად, თუმცა კი ადამიანის დამოკიდებულება ამ სექტორის მიმართ პრინციპში პოლიტიკური თვალთახედვის ამსახველია, საპირისპირო წარმოდგენებმა ვერ შექმნეს საკუთარი იდეოლოგიები და არტიკულატორები საზოგადოებრივ სივრცეში, რაც მიანიშნებს მათ დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე. საბოლოოდ, საზოგადოების პოლიტიკური მიმართებების მრავალფეროვნება აისახა არა სექტორის შიდა სტრუქტურირებაში, როგორც ეს თავიდან იყო დაგეგმილი, არამედ სექტორისადმი დამოკიდებულებაში ზოგადად – ჩამოყალიბდა ხედვა შიგნიდან და ხედვა გარედან.

4. პროცედურული თუ სუბსტანციური: სამოქალაქო საზოგადოების ორი ვერსია

ზემოაღნიშნული კრიტიკული ხედვა გულისხმობს, რომ, თუმცა კი არაარტიკულირებულად, საზოგადოებაში არსებობს სამოქალაქო საზოგადოების ორი დაპირისპირებული კონცეფცია: სამოქალაქო საზოგადოება არის არასამთავრობო სექტორი, და სამოქალაქო საზოგადოება არის მთელი საზოგადოება. პირველის თანახმად არასამთავრობო სექტორი გამოხატავს მთელი მოსახლეობის შეხედულებებს, და, შესაბამისად, ყველაფერი, რაც მის შეხედულებებს არ შეეფერება, არის ანტიდემოკრატიული. მეორე შეხედულების თანახმად, სამოქალაქო საზოგადოება არის მთელი საზოგადოება, მთელი თავისი შეხედულებების მრავალფეროვნებით, რომელთაგან არასამთავრობო სექტორი წარმოადგენს ერთ-ერთს, და არა ერთადერთს, ხოლო ამ სექტორის პრეტენზია ერთადერთობაზე სწორედ მას ანიჭებს არადემოკრატიულობის ხასიათს.

სამოქალაქო საზოგადოების ეს ორი ვერსია ზედმიწევნით შეესაბამება დემოკრატიის ცნების ასევე ჩვენში არსებულ ორ ვერსიას. პირველის თანახმად (ტრანზიტოლოგიური

პარადიგმა) დემოკრატია არის მიზანი, რომელსაც უნდა მივალნიოთ გარკვეული რეფორმატორული ძალისხმევის შედეგად; მეორეს თანახმად დემოკრატია არის პროცედურა, რომელიც საზღვრავს იმ წესებს და პროცედურებს, რომლებიც წარმოადგენენ საშუალებას, რათა განისაზღვროს, თუ რა და როგორ უნდა გარდაიქმნას.

დემოკრატია როგორც მიზანი და დემოკრატია როგორც პროცედურა – ეს არის დემოკრატიის ორი, პოლიტიკური და სამოქალაქო ვერსია, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდება არა მარტო საქართველოში, არამედ დასავლურ პოლიტიკურ თეორიაშიც და მსოფლიოს დემოკრატიზაციის და გლობალიზაციის პრაქტიკაშიც. ეს დაპირისპირება ახალი არ არის, თუმცა კი სახეშეცვლილია. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, ცივი ომის დროს, უკვე იყო იდეოლოგიური ბრძოლა ლიბერალურ დემოკრატიებსა და საბჭოთა იდეოლოგიებს შორის, როდესაც საბჭოთა კავშირი პრეტენზიას აცხადებდა იმაზე, რომ ის „სახალხო დემოკრატიის“ ფორმას წარმოადგენდა. ანუ, ამ გაგებით, ის, მართალია, ვერ უზრუნველყოფდა პროცედურულ დემოკრატიულობას (დემოკრატია როგორც ხალხის მმართველობა), სამაგიეროდ ხაზს უსვამდა თავის ზრუნვას ხალხისთვის (დემოკრატია როგორც მმართველობა ხალხისთვის). მიზნებისა და საშუალებების ეს დაპირისპირება, ამდენად, უკვე არსებობდა თავისი უკიდურესი ფორმით, და მიზნებზე ორიენტაციამ უკვე ერთხელ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას მონაწილეობითი უნარ-ჩვევები და ღირებულებები თითქმის მთლიანად გაუქრო. დღესაც, როგორც ითქვა, მონაწილეობითი ღირებულებებისა და ჩვევების ნაკლებობის პრობლემა კითხვის ქვეშ აყენებს სამოქალაქო საზოგადოების, როგორც პროცედურული ერთობის, განვითარების პოტენციალის არსებობას. სწორედ ამ ჩვევებმა შეიძლება გადონ ხიდი სამოქალაქო საზოგადოების ორ დაპირისპირებულ ვერსიას შორის, მაგრამ ეს, რასაკვირველია, იოლი გზა არ არის.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და ტრანსფორმაციის გზები და პერსპექტივები საქართველოში ამდენად ამ ორი სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობაში და კონკურენციაში/ თანამშრომლობაში უნდა ვეძიოთ.

5. საქართველოს პოლიტიკური დისკურსები

ჰაბერმასის ნაშრომის განხილვისას ჩვენ ავლნიშნეთ, რომ კერძო ადამიანის და მოქალაქის სოციალური როლები ხშირად ეწირება ახალ დემოკრატიებში მესამე – ამომრჩევლის როლის ეთიკას. ეს მანიშნებელია იმის, რომ საზოგადოება არ არის საკმარისად მოძლიერებული როგორც საზოგადოება და როგორც სამოქალაქო სივრცე, რომ პოლიტიკური ბრძოლა „იტვირთოს“. ნიშნავს თუ არა ეს, რომ საზოგადოება არის, არისტოტელესეული გაგებით, „ბარბაროსული“, ან, თანამედროვე გაგებით, ჩამორჩენილი, ანუ მას არა აქვს პოლიტიკური წესრიგის შექმნის უნარი, რომელზედაც ლაპარაკობს დომინიკ კოლა და რასაც ხაზს უსვამს ჰანა არენდტი?

საქართველოში არსებული „სამოქალაქო ტიპის“ პოლიტიკური შეხედულებების კვლევა, რომელიც 2004 წელს იყო ჩატარებული ავტორის მიერ (ლ.არუტინთან თანაავტორობაში), გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს აქვს სრული პოტენციალი განვითარდეს როგორც ნორმალური politeia და ჯანსაღი პოლიტიკური საზოგადოება. საქართველოს მოქალაქეებს აქვთ პოლიტიკური შეხედულებები, რომლებიც სავსებით შესაძლებელია საფუძვლად დაედოს სამოქალაქო განვითარებას, თუკი მოვახერხებთ იმ პოლიტიზირების და რადიკალიზაციის შესუსტებას, რომელსაც აჩენს ამომრჩევლის როლზე კონცენტრირება და რომელსაც აძლიერებს საქართველოს მასმედია (რომელსაც მოგვიანებით დავახასიათებთ).

მოცემულ ნაშრომში საზოგადოებას ვიკვლევდით როგორც სუბიექტური შეხედულებებისა და წარმოდგენების მქონე ადამიანთა ურთიერთობის სივრცეს. ურთიერთობენ რა ერთმანეთთან და პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტებთან, მოქალაქეები სინამდვილის საკუთარ სურათს ხატავენ, რომელიც შეფერილია მოცემული ინდივიდის პოლიტიკური

შეხედულებებითა და მსოფლმხედველობით. ამიტომ, ისეთი ცნებები, როგორებიცაა, ვთქვათ, დემოკრატია, კანონი, კონსტიტუცია და ა.შ. სხვადასხვა ადამიანისთვის შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობისა და ღირებულების ფენომენებს წარმოადგენდეს. ამდენად, პოლიტიკური საზოგადოება არა თუ ერთგვაროვანია, არამედ მასში არსებობს ადამიანთა დიდი ერთობლიობები, რომლებიც მეტ-ნაკლებად მსგავსად ფიქრობენ და პოლიტიკურ მოვლენებს მსგავსად აფასებენ. საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკური შეხედულებების ამ შეკრულ სისტემებს ჩვენ აქ პოლიტიკური დისკურსების სახელით მოვიხსენიებთ. კვლევის მიზანს შეადგენდა საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული პოლიტიკური დისკურსების გამოკვეთა და შესწავლა კონსტიტუციის მნიშვნელობისა და კონსტიტუციური ღირებულებების გავრცელების კვლევის ფარგლებში. კვლევისას ამოვდიოდით მოსაზრებიდან, რომლის თანახმად, დემოკრატიის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ საზოგადოებაში არსებული ყველა შეხედულება უფლებამოსილია საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში (პროცედურული მიდგომა).


საქართველოს მოსახლეობაში ჩვენ მიერ გამოვლენილ იქნა ოთხი განსხვავებული დისკურსი, პოლიტიკური შეხედულებების ოთხი განსხვავებული ტიპი. სანამ მათ დახასიათებაზე გადავიდოდეთ, პირველ რიგში, უნდა განვმარტოთ, რას ნიშნავს განსხვავებულობა პოლიტიკურ შეხედულებებში, რაზედაც აქ ვსაუბრობთ.

საქართველოში მცხოვრები რეალური ადამიანები არ არიან ერთმანეთის სრული ანტიპოდები, რომლებსაც საერთო მისწრაფებები არ გააჩნიათ. ასე მაგალითად, ნებისმიერ ქართველ მოქალაქეს სურს, რომ საქართველო აღორძინდეს, რომ ქართველები უკეთესად ცხოვრობდნენ, რომ გვექონდეს კონსტიტუციური დემოკრატიული სახელმწიფო და რომ საქართველო ჩადგეს თანამდეროვე ცივილიზებული ქვეყნების რიგში. თუ საკითხს ამ კუთხით მივუდგებით, დიდ სხვაობას ადამიანებს შორის ვერ დავინახავთ. სხვაობა მყდარდება მაშინ, როდესაც მათ ვაიძულებთ ზემომოყვანილ დებულებათა შორის გამოკვეთონ პრიორიტეტები და მოახდინონ ღირებულებების რანჟირება, ანუ დააფიქსირონ, რას უნდათ პირველ რიგში მიაღწიონ. რეალურ ცხოვრებაში ადამიანებს ამგვარ მოთხოვნას უყენებს პოლიტიკური გარემო – იმის საჭიროება, რომ არჩეულ იქნეს ესა თუ ის ხელისუფლება და გამოიკვეთოს დამოკიდებულება ამა თუ იმ პოლიტიკური გადანყვეტილებებისა და სამოქმედო გეგმების პრიორიტეტების მიმართ.

იმაში გასარკვევად, თუ რა შინაარის სხვაობები ჩნდება მოქალაქეთა შეხედულებებში რეალურ ვითარებაში, ჩვენ შემოგვაქვს დისკურსების აბსტრაქტული მოდელი, რომელშიც, რეალური ცხოვრებისგან განსხვავებით, ყველა დისკურსი (და მათი მატარებელი წარმოსახვითი ინდივიდები) მკვეთრად განსხვავდება და ერთმანეთს უპირისპირდება, ანუ ე.წ. ვებერისეული „იდეალური ტიპის“ მოდელი. რეალურ ცხოვრებაში ამგვარი იდეალური ტიპის დისკურსები წმინდა სახით არ არსებობს. მიუხედავად ამისა, იდეალური ტიპები გვეხმარება გავერკვეთ იმ მრავალფეროვან სამყაროში, რომელიც ჩვენ ირგვლივ არსებობს.

კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა ოთხი იდეალური ტიპის დისკურსი, რომლებიც კარგად ახასიათებენ საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკურ შეხედულებებს. მათ გასააზრებლად ჩვენ შემოვიტანთ შემდეგ თეორიულ მატრიცას. წარმოვიდგინოთ ისეთი პოლიტიკური შეხედულებების სისტემები, რომლებიც შესაძლებელია განვალაგოთ შემდეგი ორგანოზომილებიანი სიბრტყის შესაბამის მეოთხედებში; ამ სიბრტყის განზომილებები შემდეგი დაპირისპირებებითაა შექმნილი:

ანტიტრადიცია



ამ სიბრტყის ვერტიკალური განზომილება პირობითად შეგვიძლია გავიაზროთ, როგორც ოპოზიცია „ტრადიცია“ — „ანტიტრადიცია“. სიბრტყის ქვედა ნაწილში იმყოფებიან ტრადიციონალისტები, რომელთათვისაც პოლიტიკური ლეგიტიმაციის წყაროს წარმოადგენს პირველ რიგში ის, რაც არის ადგილობრივი, ქართული, წარსულიდან მომდინარე, გარკვეული ჩარჩოებით და იდენტურობით გამოყოფილი დანარჩენი სამყაროსგან. განზომილების მეორე ბოლოში მყოფნი მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ გარე სამყაროს, დასავლურ გამოცდილებას, მომავალს, წარსულის უარყოფასაც კი.


სიბრტყის მეორე — ჰორიზონტალური — განზომილება შეიძლება გავიაზროთ როგორც დამოკიდებულება პოლიტიკისადმი ზოგადად. სიბრტყის მარჯვენა მხარეს იმყოფებიან ისინი, ვინც პოლიტიკაში ყველაზე მეტად აფასებს **მიზნებს**, ხოლო მეორე მხარე აქცენტს აკეთებს **ნესებზე**, რომლებსაც მისდევენ პოლიტიკოსები თავისი მიზნების მისაღწევად. ამ ოპოზიციას პირობითად დავარქმევთ „პროცედურისა“ და „მიზნის“ დაპირისპირებას. საილუსტრაციოდ მოვიშველიოთ დემოკრატიის ლინკოლნისეული ცნობილი განმარტება — „დემოკრატია არის ხალხის მმართველობა, ხალხის მიერ განხორციელებული ხალხისთვის“, „პროცედურის“ მიმდევრები ამ გამონათქვამში უფრო დიდ მნიშვნელობას მიანიჭებენ მმართველობის განხორციელებას **ხალხის მიერ**, ხოლო „მიზნის“ მიმდევრები იმას, რომ მმართველობა იყოს **ხალხისთვის**.

აქ განსამარტავია, თუ რატომ გამოვიყენეთ ტერმინი „ანტიტრადიცია“ სიბრტყის ზედა ნაწილის დასახასიათებლად და არ დავუპირისპირეთ „ტრადიციას“ „მედასავლეთეობა“, რომელსაც ხშირად ეყრდნობიან საქართველოში ცვლილებების მოსურნე რეფორმატორები. საქმე ისაა, რომ ეს უკანასკნელი ცნება ქართულ რეალობაში გარკვეულწილად „მითვისებული“ აქვს ერთ კონკრეტულ დისკურსს, მაშინ როდესაც სხვა დისკურსებიც აცხადებენ მასზე პრეტენზიას. ჩვენი შეხედულებით, ჭეშმარიტი „მედასავლეთეობა“ მდგომარეობს ზემოთ მოცემული სქემის ცენტრალური ზონისკენ სწრაფვაში და არა მისი რომელიმე განაპირა უკიდურესობის აბსოლუტიზებაში. სიბრტყის ოთხივე მეოთხედი საჭირო და აუცილებელი კომპონენტია იმისა, რასაც ავტორები დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიად მოიაზრებენ, ხოლო ჭეშმარიტად „მედასავლური“ განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მათი თანაარსებობის შემთხვევაში, რადიკალიზაციისა და ურთიერთგანდევნისგან თავის არიდებით.

ამ დაყოფის შესაბამისად, სიბრტყის ზედა მარჯვენა კუთხეში განლაგდებიან ისინი, ვისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს რეალობის რაც შეიძლება სწრაფი გარდაქმნა იმ ნიმუშების მისაღწევად, რომლებიც ქვეყნის გარეთ, უფრო განვითარებულ დემოკრატიებში არსებობს. სიბრტყის მარჯვენა ქვედა მეოთხედში იმყოფებიან ისინიც, ვისთვისაც ქვეყნის სწრაფი განვითარება პრიორიტეტია, ოღონდ ქართულ ტრადიციებზე და მენტალიტეტზე დაყრდნობით. ქართულ ტრადიციებს ასევე პირველ რიგში აფასებენ სიბრტყის ქვედა მარცხენა მეოთხედში, ოღონდ მათ მატარებლად ისინი პირველ რიგში ქართველებს განიხილავენ, ამდენად, მათთვის ქვეყნის განვითარებაზე უფრო მნიშვნელოვანია ქართველებისთვის ადამიანური ცხოვრების აწყობა. სიბრტყის ზედა მარცხენა მეოთხედი, მარჯვენა მეოთხედის მსგავსად, დასავლური ნიმუშებითაა შთაგონებული, მაგრამ, მისგან

განსხვავებით, მათში უფრო პოლიტიკური ცხოვრების წესებს ეძებს, ვიდრე პოლიტიკური გარდაქმნების მიზნებს.

კვლევის შედეგად გამოვლენილი დისკურსები ერთმანეთისგან დაახლოებით იმგვარად განსხვავდება, როგორც ამ სიბრტყის მეოთხედები, ანუ ისინი საკმაოდ კარგ (თუმცა, არაზუსტ) შესაბამისობაში არიან მოყვანილი სიბრტყის მეოთხედებთან. პირობითად შერქმეული სახელების გამოყენებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ პირველი დისკურსი „მოდერნიზატორი“ იმყოფება ზედა მარჯვენა კუთხეში, „მართლმადიდებელი ტრადიციონალისტი“ — ქვედა მარჯვენაში, „ჰუმანისტი ტრადიციონალისტი“ — ქვედა მარცხენაში, ხოლო „ოპოზიციონერი კონსტიტუციონალისტი“ — ზედა მარცხენაში.



ეს ოთხი განწყობა უნდა მივიჩნიოთ იმ დევიზებად, რომლებიც კარგად ასახავენ საქართველოს მოსახლეობის პრიორიტეტებს.

ჩვენ აქ არ დავახასიათებთ დანვრილებით მიღებულ შეხედულებებს. ავლნიშნავთ, რომ თითოეულ დაფიქსირებულ შეხედულებათა სისტემას აქვს როგორც კეთილგანწყობილი ინტერპრეტაცია – ის, თუ როგორ ხედავს საკუთარ თავს, ასევე კრიტიკული ხედვა გარედან – თანაც განსხვავებული, იმისდა მიხედვით, თუ რომელი დისკურსის კუთხიდან შევხედავთ. გარდა ამისა, შეხედულებათა თითოეული სისტემა შეიძლება ზომიერებისკენ იხრებოდეს და ამით უახლოვდებოდეს მიღებულ დემოკრატიულ დისკურსებს, თუმცა ასევე შესაძლებელია განიცდიდეს რადიკალიზაციას და საშიში ხდებოდეს დემოკრატიისათვის.

მეორე დისკურსი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ბრძოლების დრო დამთავრებულია, და დადგა მიღწეული პოლიტიკური ძალაუფლების რეალიზების დრო. პოლიტიკური დაპირისპირებების გაგრძელება მისთვის საშიშროებას წარმოადგენს და ამდენად ის გმობს პირველი დისკურსის მცდელობებს, შეხედოს მოვლენებს პოლიტიკური თვალსაწიერიდან – სახელმწიფო დროშა არ უნდა იყოს განხილული ნაციონალური მოძრაობის დროშად, არსებული ხელისუფლება – დიქტატურად, ხოლო ძალაუფლებაში რევოლუციით მოსული ადამიანები – სახელმწიფო თანამდებობების უზურპატორებად. განვითარების სწორი გეზი განსაზღვრულია; დადგა დრო, იურისტებმა ის, უბრალოდ, კანონებში გადაიტანონ. მეორე დისკურსისთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს მეოთხე დისკურსიც, რომელიც შესაძლოა ამ კანონებს არ დაემორჩილოს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მოსახლეობის დიდი ნაწილი, ე.წ. უბრალო ადამიანები, დარჩნენ სამართლებრივი რეგულირების მიღმა და ამით დააბრკოლონ განვითარება. ეს ისევე კორუფციის წყარო იქნება. ამიტომ წარსული უკან უნდა მოვიტოვოთ. კანონების ამოქმედებაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ვერ დაველოდებით. მეორე დისკურსი მესამესაც უპირისპირდება მის ორიენტაციაში ქართულ

მენტალიტეტზე და ტრადიციულ ღირებულებებზე. მეორე დისკურსი არ ეთანხმება კონსტიტუციაში რელიგიის დაფიქსირებასაც.

პირველი დისკურსი, მეორესგან განსხვავებით, სულაც არ არის განწყობილი შეაფასოს მდგომარეობა, როგორც დემოკრატიული განვითარების საწინდარი. ის აშკარად ხედავს შექმნილ მდგომარეობაში დიქტატურის ნიშნებს და საკუთარი პოლიტიკური უფლებების დაცულობის საწინდარად კონსტიტუციონალიზმის საფუძვლების განმტკიცებას მოიაზრებს. მეორე დისკურსი მის თვალში ბოლშევიკური ტიპის ტოტალიტარიზმის ნაირსახეობის ადვოკატად გამოიყურება, ვინაიდან პოლიტიკურად ცალმხრივად ცვლის დროშას, კონსტიტუციას და ეუფლება სახელმწიფო თანამდებობებს. ამ მხრივ, მეორე დისკურსს, პირველი დისკურსის მიხედვით, კვერს უკრავს მესამე დისკურსიც, რომელიც მიიჩნევს, რომ დღეს არის განსაკუთრებული მომენტი და პრეზიდენტმა მთელი ძალაუფლება უნდა იტვირთოს ამ მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანად. მესამე დისკურსი, მისი აზრით, საერთოდ საშიშია დემოკრატიისათვის, ვინაიდან ნაკლებად აფასებს კანონის უზენაესობის საჭიროებას და იხრება ერთპიროვნული და კონსტიტუციონალიზმის პრინციპების საწინააღმდეგო, მკაცრად მაჟორიტარული მმართველობისკენ, თითქმის დიქტატურისკენ. პირველის თვალში მეოთხე დისკურსს არა აქვს სამართლებრივი ცნობიერება, ის გულგრილია კონსტიტუციის ბოლო-დროინდელი ხელყოფის მიმართ და არ იზიარებს პირველი დისკურსის შემართებას იმოქმედოს პოლიტიკურად, ანუ ხელისუფლება ხალხის კონტროლს დაუქვემდებაროს.

მესამე დისკურსი, მეორე დისკურსის მსგავსად, იმედიანად უყურებს მომავალს, რადგან მიაჩნია, რომ რევოლუციით მოსული პრეზიდენტი ხალხის უმრავლესობის ნებას განასახიერებს და მის იმედებს ფრთებს შეასხამს: მაგალითად, მართლმადიდებლურ რელიგიას განსაკუთრებულ სტატუსს მიანიჭებს. თუმცა, პრეზიდენტის ძალაუფლებას შეიძლება წინაღობები შეხვდეს, რაც ხალხის უმრავლესობის ნების აღსრულებას გაართულებს. მის თვალში როგორც პირველი, ისე მეორე დისკურსი ხალხის ნების აღსრულებას არასათანადო ყურადღებას აქცევს და ამით ქართულ თვითმყოფადობას და იდენტურობას საფრთხეს უქმნის. ამ დისკურსებს შორის ის დიდ სხვაობას ვერ ხედავს, გარდა იმისა, რომ პირველი საშიშია, რადგან ხელისუფლების ოპოზიციურია, ხოლო მეორე სხვანაირად ხედავს განვითარების მიმართულებას, ანუ ზედმეტად მიმბაძველია დასავლეთის. რაც შეეხება მეოთხეს, ისიც საფრთხეს უქმნის ხალხის ნების აღსრულებას პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციის მეშვეობით, ვინაიდან ეშინია დიქტატურის და ზედმეტად ზრუნავს ადამიანის უფლებების დაცვაზე.

მეოთხე დისკურსი იწყება მეტად საინტერესო მტკიცებით „კონსტიტუციონერებისა“ და უბრალო ადამიანების შესახებ, რომელიც მრავალმხრივად შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული. ერთი მხრივ, ის გვაგონებს ჰაბერმასისეული სისტემისა და ცხოვრების სამყაროს დაპირისპირებას და ცხოვრების სამყაროს დაცვის ლოზუნგს. მეორე მხრივ, ის არა მარტო მკაფიოდ ანსხვავებს კანონსა და მორალს (რასაც მარქსისტული მიდგომა, ლიბერალურისგან განსხვავებით, არ აკეთებდა), არამედ ორივეს მკაფიოდ გამიჯნულ სამოქმედო არეალებს უწესებს და ადამიანთა ცხოვრებას, პირველ რიგში, მორალის სამყოფელად იხილავს. და ბოლოს, ის შეიძლება გავიაზროთ პატნემისეულ ტერმინებით, როგორც „ამორალური ფამილიზმი“, რაც, რესპუბლიკური ცნობიერების საპირისპიროდ, ბადებს კორუფციას და ხელს უშლის დემოკრატიის ფუნქციონირებას.

საქართველოს ისტორიის თვალსაწიერიდან ეს დისკურსი გვევლინება იმ მიდგომად, რომელიც არა მარტო საბჭოთა პერიოდში, არამედ წინა საუკუნეებშიც, მრავალი გარე დამპყრობლის ქვეშ საქართველოს არსებობის დროს, წესად და ჩვეულებად ჩამოყალიბდა, იმ წესად და ჩვეულებად, რომელმაც თვითგადარჩენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მასობრივი სტრატეგიები განსაზღვრა. ის მდგომარეობს მტრული და უცხო გარემოსაგან გამიჯვნაში და არა მასზე ზემოქმედების მოხდენის მცდელობაში.

ამ მხრივ, მას მთავარ ოპონირებას მეორე დისკურსი უწევს, რომელიც სწორედ რომ სისტემის შექმნითაა დაინტერესებული. მეორეს ყველაფერი იმის შეცვლა სურს, რაც

მეოთხესთვის თავშესაფარსა და დასაყრდენს წარმოადგენს – წარსული, ქართული მენტალიტეტი. თუკი მეორე დისკურსი სისტემის გარკვეული ღირებულებრივი ტოტალიტარულობით ემუქრება, მესამე — დიქტატურის ნიშნებს ატარებს. ამდენად, არც მესამე დისკურსია მისთვის ხსნა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ღირებულებრივ განწყობებს ორივე იზიარებს. მის თვალში, მესამე დისკურსი, გარკვეულწილად, რელიგიური ფანატიზმითაა დაავადებული და თავისი დიქტატორული მიდრეკილებებით მას შეუძლია კერძო ადამიანი დიქტატორის ძალადობის ობიექტად გახადოს. მიუხედავად ყველაფერი ამისა, მეოთხე დისკურსს აქვს ხელისუფლების ნდობა, რომელსაც პირველი დისკურსი უქარწყლებს. მეოთხე დისკურსის განწყობას მიიმალოს თავის ნაჭუჭში და იმედოვნოს, რომ ხელისუფლება თავის საქმეს თვითონ მიხედავს, პირველი დისკურსი ეწინააღმდეგება და საზოგადოებრივ სივრცეში პოზიციის დაკავებისკენ უბიძგებს, რასაც ის მიჩვეული არ არის.

ლიტერატურა:

John S. Dryzek, Leslie Holmes, 2002, Post-communist Democratization. Political Discourses Across Thirteen Countries, New York: Cambridge University Press. Chapter on Georgia

მ. მუსხელიშვილი. „დემოკრატიზაციის“ ავანგარდი. ბროშურაში „არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებრივი იმიჯი საქართველოში“, სადისკუსიო ნაშრომები, 2(8) CIPDD, CAP, Tbilisi, 2003, 12 გვ.

მ. მუსხელიშვილი. დემოკრატია როგორც კომუნიზმი: მეთოდოლოგიური შეზღუდვები დემოკრატიზაციის შესწავლასა და დემოკრატიზაციის პრაქტიკულ განხორციელებაში. „ეპოქა“, N 3, საზოგადოების კვლევის ცენტრი, 2003

Джордж Сорос, Мыльный пузырь американского превосходства. На что следует направить американскую мощь. Альпина Бизнес Букс, Москва 2004

Marc Morjij Howard The Weakness of Civil Society in Post-Communist Europe Cambridge University Press; (2003)

ლექცია 11.

მასმედიის სისტემაში: მედიის სამი სისტემა და დისკურსული ეთიკის სამი ტიპი.

ამ ლექციაში ჩვენ ვეცდებით ერთმანეთს დავუკავშიროთ პოლიტიკური კომუნიკაციის ინსტიტუციონალური და დისკურსული ანალიზი. საფუძვლად ჩვენ ავიღებთ, ერთის მხრივ, ადრე ჩამოყალიბებულ სამ დისკურსულ ეთიკას – სამ იდეალური ტიპის დისკურსს, ხოლო მეორეს მხრივ, მედია სისტემების ტიპოლოგიას, როგორც ის აღწერილია ერთ-ერთ თანამედროვე მონოგრაფიაში: D.Hallin, P.Manchini, `Comparing Media Systems. Three Models of Media and Politics`.

მიუხედავად გარკვეული მსგავსებებისა, მედია - სისტემები, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები, სხვადასხვა დასავლურ ქვეყნებში ისტორიულად განსხვავებული ფორმითა და ხასიათით ჩამოყალიბდა. ჰალინისა და მანჩინის ნაშრომი ეძღვნება დასავლური დემოკრატიების მედია - სისტემების შედარებით ანალიზს. ამ მიზნით მედია სისტემების დასახასიათებლად ისინი გამოყოფენ ოთხ ძირითად კომპონენტს, მახასიათებელს, რომლებსაც შემდგომში სწავლობენ შედარებით პერსპექტივაში; ესენია:

- 1) მედია - ბაზრის განვითარების დონე, განსაკუთრებით, თუ რამდენად არსებობს მაღალტირაჟიანი პრესა;
- 2) პოლიტიკური პარალელიზმი; ეს მოიცავს როგორც მედიისა და პოლიტიკური პარტიების ურთიერთმიმართების სიმჭიდროვეს და ხასიათს, ასევე უფრო ზოგადად, თუ რამდენად შეესაბამება მედია სისტემა საზოგადოებაში არსებულ სიღრმისეულ პოლიტიკურ დაყოფებს;
- 3) ჟურნალისტიკის, როგორც პროფესიის, განვითარების დონე;
- 4) მედია სისტემაში სახელმწიფოს ჩარევის დონე და ხასიათი;

ამ მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ავტორები გამოყოფენ სამი ტიპის მოდელს, სამი ტიპის იდეალურ მედია - სისტემას, რომლებიც არსებობს თანამედროვე ევროპულ და ჩრდილოამერიკულ დემოკრატიულ ქვეყნებში. ესენია, ავტორთა ტერმინოლოგიით,

1. ხმელთაშუაზღვისპირა, ანუ პოლარული პლურალიზმის მოდელი;
2. ჩრდილო ცენტრალური ევროპის მოდელი, ანუ დემოკრატიულ-კორპორატივისტული მოდელი;
3. ჩრდილო ატლანტური, ანუ ლიბერალური მოდელი.

პირველი მოდელი არსებობს ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია, პორტუგალია და ესპანეთი. მეორე არსებობს შემდეგ ქვეყნებში: ავსტრია, ბელგია, გერმანია, ფინეთი და სხვა სკანდინავური ქვეყნები. მესამე – ბრიტანეთში, აშშ-ში, კანადაში, და ირლანდიაში. (იხ. ტაბულა, გვ.68)

ლიბერალურ მოდელში ჭარბობს საბაზრო მექანიზმები და კომერციული მედია; დემოკრატიულ-კორპორატივისტულ მოდელში – კომერციული მედია ისტორიულად თანაარსებობს სოციალურ და პოლიტიკურ ჯგუფებთან მიბმულ მედიასთან; ამ მოდელში ასევე შედარებით აქტიურია სახელმწიფოს სამართლებრივი რეგულირება; პოლარიზებული პლურალიზმის მოდელი ხასიათდება მედიის ჩართულობით პარტიულ პოლიტიკაში, კომერციული მაუწყებლობის ისტორიულად სუსტი სანყისებით, და ძლიერი როლით რომელსაც

თამაშობს სახელმწიფო.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ეს ფორმულირებები არ არის მთლად ზუსტი, ვინაიდან ხან ჩვენ ვლაპარაკობთ რეალურად არსებულ მედია სისტემებზე, ხოლო ხანდახან გადავდივართ ლაპარაკზე იდეალური ტიპების შესახებ, რომლებსაც ეს რეალურად არსებული სისტემები მეტ-ნაკლებად წააგავენ. იმედია, რომ ეს განსხვავება რეალურ სისტემებსა და იდეალურ ტიპებს შორის არ იქნება მივიწყებული, მიუხედავად ფორმულირებების ერთგვარი უზუსტობისა. რეალური მედია სისტემები არასდროს არ ემთხვევა ზუსტად რომელიმე იდეალურ ტიპს, არამედ როგორც წესი მოიცავენ ყველა ტიპისათვის დამახასიათებელ ნიშნებს მეტ-ნაკლებობით. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, თუ რომელი ნიშნები სჭარბობს ამა თუ იმ ქვეყნის სისტემებში, და არა იდეალური ტიპისა და რეალური სისტემის სრულ იდენტურობაზე.

მედიის ეს იდეალური ტიპები ერთმანეთისგან განსხვავდება იმ პარამეტრებით, რომელშიც ავტორებმა მედია - სისტემების მთავარ მახასიათებლებად ჩამოაყალიბეს. სანამ მათ ცალ-ცალკე განვიხილავდეთ, ისიც უნდა ავლნიშნოთ, რომ მედია - სისტემები, ისევე როგორც მათი მახასიათებლები, წარმოადგენენ საკმაოდ მდგრად და ნელა ცვალებად ინსტიტუტების ნაკრებებს - მათი ფორმირების საწყისები საკმაოდ შორეულ წარსულში მიდის, ხოლო ტრანსფორმაცია დიდ დროს მოითხოვს. ისევე, როგორც სხვა სოციალურ ბაზისურ მახასიათებლებს, მათ მდგრადობა ახასიათებს, რომელიც არ ექვემდებარება სწრაფ, და თუნდაც საშუალო სისწრაფის ცვლილებებს. ასე, ის, რომ მასობრივი პრესა ისტორიულად ადრე გავრცელდა ზოგიერთ ქვეყნებში (XIXს.-XX საუკუნის დასწყისში), სხვებში კი - არა, დღესაც ვლინდება პრესის ტირაჟებში. სკანდინავიის ქვეყნებში დღესაც მაღალია გაზეთების კითხვის ჩვევა და კულტურა, ხოლო საბერძნეთში, მათთან შედარებით, გაცილებით უფრო დაბალი.

ბეჭდვითი მედიის დასაბამიდან პოლიტიკური აგიტაცია მის ცენტრალურ ფუნქციად განიხილებოდა. გავრცელებული იყო პირველ რიგში პუბლიცისტიკა, რომელსაც გავლენა უნდა მოეხდინა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაიწყო გავრცელება კომერციულმა პრესამ, და, იმავე დროს, სულ უფრო პოპულარული ხდება ჟურნალისტიკის, როგორც ნეიტრალური არბიტრის, ცნება - ჟურნალისტიკის, რომელიც განზე დგას ნებისმიერი პოლიტიკური ინტერესებისგან და პარტიებისგან. ამდენად, ჟურნალისტიკის თანამედროვე ნორმატიული ლიბერალური მოდელი - ობიექტური, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკა - შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია. დღესდღეობით ბალანსი ნეიტრალურ ინფორმაციულ და პროპაგანდისტულ ჟურნალისტიკას შორის სხვადასხვა სისტემებში სხვადასხვანაირი არსებობს. ასე, დანიაში, წინა საუკუნის დასაწყისში ყველა ქალაქში არსებობდა ოთხ-ოთხი გაზეთი, რომელიც წარმოადგენს ოთხ ძირითად პოლიტიკურ პარტიას. დღესდღეობით პარტიებთან პრესის უშუალო მიბმა გაცილებით უფრო იშვიათია, უფრო ხდება ზოგადი პოლიტიკური პოზიციების დაკავება - მაგალითად, მარჯვენა-ცენტრისტულის, ან მარცხენა-ცენტრისტულის.

განსხვავებით ამ ორი ვითარებისგან - ობიექტური, ნეიტრალური პრესა და ზოგად პოლიტიკურ ორიენტირებზე (იდეალებზე, იდეოლოგიებზე) ორიენტირებული პრესა, არსებობს კიდევ მესამე ვარიანტი. იქ, სადაც პოლიტიკური პარალელიზმი პოლიტიკასა და მედიას შორის მაღალია, მედია სისტემა შეიძლება ხასიათდებოდეს „გარე პლურალიზმით“ - ანუ არსებობდეს ბევრი სხვადასხვა ორიენტაციის მქონე მედია. ამისგან განსხვავებით, პირველ, ნეიტრალურ ვარიანტში უფრო მოსალოდნელია „შიდა პლურალიზმის“ არსებობა - ერთი პუბლიკაციის ფარგლებში სხვადასხვა პოლიტიკური მიდგომების წარმოჩინება.

რაც შეეხება ტელემაუწყებლობას, და, განსაკუთრებით, საზოგადოებრივ მაუწყებლობას, მასში შეიძლება დავაფიქსიროთ შემდეგი მოდელები: პროფესიული მოდელი (BBC) - ხასიათდება ყველაზე დაბალი პოლიტიკური პარალელიზმით; სამთავრობო მოდელი (ახლოსაა სახელმწიფო მაუწყებლობის მოდელთან) - ყველაზე მაღალი პარალელიზმი; მათ შორის შუალედში იმყოფება პლურალისტული მოდელები, სადაც მაუწყებლობა არ არის პოლიტიკურად ნეიტრალური, მაგრამ არც მონოპოლიზებულია. მასში უზრუნვეყოფილია ან

პოლიტიკური პარტიების თანაბარი რეპრეზენტაცია, ან სხვადასხვა სოციალური ჯგუფების (სამოქალაქო საზოგადოების) თანაბარი რეპრეზენტაცია.

შემდეგი მახასიათებელი არის ჟურნალისტიკის პროფესიონალიზაცია. ეს ნიშნავს იმას, თუ რამდენად ავტონომიურია ჟურნალისტიკა ერთობა, რამდენად მოქმედებს საკუთარი ნორმებისა, და არა გარედან განხორციელებული ზეგავლენის მიხედვით; რამდენად აქვთ გამო-მუშავებული პროფესიული ნორმები, რამდენად ემხრობიან საზოგადოების წინაშე საკუთარი ვალდებულებების კონცეფციას.

პირველი შეხედვით, პოლიტიკური პარალელიზმის სისუსტე და ჟურნალისტიკის პროფესიონალიზაცია პრაქტიკულად ერთი და იგივეა, და ისტორიულადაც ეს ორი მოვლენა პარალელურად ვითარდებოდა. მაგრამ ისინი მაინც განსხვავებულ ცვლადებად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან როგორც ამას კონკრეტული ანალიზი ცხადყოფს, ჟურნალისტიკური პროფესიონალიზმის სხვადასხვანაირი კონცეფციები არსებობს და ყველა მათგანი არ ემთხვევა ობიექტური და ნეიტრალური ჟურნალისტიკის კონცეფციას. ჟურნალისტიკის პროფესიონალიზაცია ჩრდილო და ცენტრალურ ევროპის ქვეყნებში თანაარსებობს პოლიტიკური პარალელიზმის შედარებით მაღალ დონესთან.

სახელმწიფოს ჩარევა მედიის ფუნქციონირებაში ყველაზე დაბალია აშშ-ში, სადაც პრაქტიკულად არ არსებობს საზოგადოებრივი მაუწყებლობა. აშშ-სგან განსხვავებით ევროპის ყველა ქვეყანაში საზოგადოებრივი მაუწყებლობა მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ სახელმწიფოს ჩარევა მედიის ფუნქციონირებაში არ უნდა იყოს გაგებული ყოველთვის ჩვენებური, ნეგატიური, გაგებით, ვინაიდან ეს ჩარევა თავისუფალ ქვეყნებში ხორციელდება არა სიტყვის თავისუფლების შესაზღვრავად, არამედ, პირიქით, მედიის მხარდასაჭერად და საზოგადოების ინტერესების უფრო სრული რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

განხილული მახასიათებლების ანალიზის საფუძველზე ავტორები განასხვავებენ სამ სისტემას, რომლებიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით (გვ.67): *პოლარიზებული პლურალიზმის მოდელს* ახასიათებს „გაზეთების დაბალი ტირაჟები, ელიტისტური, პოლიტიკურად ორიენტირებული პრესა; მაღალი პოლიტიკური პარალელიზმი; გარე პლურალიზმი; კომენტირებაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა; პოლიტიკის დომინირება მაუწყებლობაზე და სახელმწიფო კონტროლი მასზე; ჟურნალისტიკის დაბალი პროფესიონალიზაცია და მისი ინსტრუმენტალიზაცია; ძლიერი როლი სახელმწიფოსი ზოგადად“. *დემოკრატიული კორპორატივიზმის მოდელს* ახასიათებს „გაზეთების მაღალი ტირაჟები; მასობრივი პრესის ადრეული განვითარება; გარე პლურალიზმი, ძლიერი პარტიული პრესა (ისტორიულად); მაუწყებლობაში პოლიტიკური პლურალიზმი და ძლიერი ავტონომია; ჟურნალისტიკის ძლიერი პროფესიონალიზაცია და ინსტიტუციონალიზებული თვითრეგულირება; სახელმწიფოს მაღალი როლი, თუმცა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გარეშე; დიდი სუბსიდიები სახელმწიფოს მხრიდან, განსაკუთრებით ძლიერი საზოგადოებრივ მაუწყებლობაში“. *ლიბერალური მოდელი* ხასიათდება შემდეგით: „გაზეთების საშუალო ტირაჟები მასობრივი კომერციული პრესის ადრეული განვითარებით; ნეიტრალური კომერციული პრესა; საინფორმაციო ჟურნალისტიკა; შიდა პლურალიზმი; საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროფესიული მოდელი; ჟურნალისტიკის ძლიერი პროფესიონალიზაცია არაინსტიტუციონალიზებული თვითრეგულირებით; სახელმწიფოს როლი დაბალია საბაზრო მექანიზმებთან შედარებით“.

რა კავშირშია მედია სისტემები შესაბამისი ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებთან? ავტორები რამდენიმე დაკვირვებას გვთავაზობენ.

1. ერთი ფაქტორი, რომელიც შეიძლება განაპირობებდეს აშშ და ევროპული მოდელების განსხვავებულობას (ფაქტორი, რომელიც არასდროს სერიოზულად არ მიიღება მხედველობაში მათ მიერ, ვინც საქართველოში მედიის განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობს) არის სხვაობა ბაზრის მასშტაბებში. ამერიკული ბაზარი კომერციული

რეკლამისტვის არის მეტად ფართო, მაშინ როცა ევროპული ბაზრები შედარებით ვიწროა, და ისაზღვრება თითოეული ქვეყნის საზღვრებით (არა მარტო პოლიტიკურით, არამედ ლინგვისტურითაც). გარდა ამისა, რეკლამის განთავსებაზე ეკონომიკური სექტორის დანახარჯები ნაკლებია ევროპაში, რაც დიდად განაპირობებს მასმედიის ხასიათს, მათ შორის აუცილებელს ხდის საზოგადოებრივი მაუწყებლობის არსებობას.

2. აშშ არის ლიბერალური დემოკრატია, მაშინ როცა კონტინენტურ ევროპაში უფრო მეტად არსებობს საყოველთაო კეთილდღეობის სახლმწიფოები. ამდენად სახელმწიფოს როლი ევროპაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანია და აქტიური, ვინაიდან მედია აქ განიხილება როგორც სოციალური მომსახურების ფორმა, სფერო, რომელსაც უზრუნველყოფს სახელმწიფოც (მაგ. კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, ან მცირე, სუსტი სოციალური ჯგუფების მხარდასაჭერად).

3. მასმედიის სისტემები გარკვეულ პარალელიზმშია შესაბამისი ქვეყნების დემოკრატიის მოდელებთანაც. ლეიპჰარტი განასხვავებს კონსესუალურ და მაჟორიტარულ დემოკრატიებს. კონსესუალურ დემოკრატიებში, როგორც წესი, მრავალპარტიულობაა, ეს პარტიები ქმნიან კოალიციურ მთავრობებს, მონაწილეობენ უსასრულო კომპრომისებში და მოლაპარაკებებში ერთმანეთთან, და ირჩევიან, როგორც წესი, პროპორციული საარჩევნო სისტემით. მათგან განსხვავებით, მაჟორიტარულ სისტემებში არსებობს ორი ძირითადი პარტია, რომელთაგან ერთი იღებს მთელ პასუხისმგებლობას და ძალაუფლებას და აყალიბებს მმართველ კაბინეტს, ხოლო მეორე თამაშობს ინსტიტუციონალიზებული ოპოზიციის როლს.

მაჟორიტარული სისტემები მჭიდროდაა ასოცირებული ნეიტრალური ჟურნალისტიკის ცნებასთან. ხოლო კონსესუალური სისტემები ქმნიან პოლიტიკურ პარალელიზმს ჟურნალისტიკაში. პოლიტიკური პარტიები ამ სისტემაში, მაჟორიტარულისგან განსხვავებით, არ ისწრაფვიან მოიპოვონ ლეგიტიმაცია „მთელი ნაციის“ რეპრეზენტაციით, არამედ საზოგადოების სეგმენტებს წარმოაჩენენ.

რაც შეეხება მაუწყებლობას, მაჟორიტარულ სისტემებში შეიძლება მოხდეს ორიდან ერთი: ან მაუწყებლობა გამოყვანილია პოლიტიკური კონტროლის სფეროდან (კლასიკური, ვესტმინისტერული, ბრიტანული მოდელი), ან მთლიანად მის კონტროლსაა დაქვემდებარებული (ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი).

4. მაჟორიტარული და კონსესუალური დემოკრატიები, ლეიპჰარტის მიხედვით, ერთმანეთისგან განსხვავდება სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ელემენტის – ინტერესთა ჯგუფების სტრუქტურით. მათი პლურალიზმისა და ინსტიტუციონალიზაციის ხასიათი სხვადასხვაა. (იხ. ის ლექციები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ლიბერალურ და რეპუბლიკურ ტრადიციებს ეხება).

5. სამართლებრივი უნივერსალიზმისა თუ კლიენტელისტური ურთიერთობების პრევალირება. ეს საკითხი ჩვენ კონკრეტულ მაგალითზე განვიხილეთ, როდესაც ვისწავლეთ ჩრდილო და სამხრეთ იტალიის შედარებითი ანალიზი. დაახლოებით იგივეა სხვაობა ჩრდილოეთ და სამხრეთ ევროპასა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას შორის ზოგადად. კლიენტელისტური ურთიერთობების სიჭარბე ინვეს ხოლმე მედიის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციას და არათავსებადია მედიის ლიბერალური მოდელის მახასიათებლებთან. გავიხსენოთ, რომ გაზეთების ტირაჟები უფრო მაღალია ჩრდილო იტალიაში, ვიდრე სამხრეთში.

6. ზომიერი და პოლარიზებული პლურალიზმი. პოლარიზებული პლურალიზმის ცნება უკავშირდება, სარტორის მიხედვით, ისეთი პოლიტიკური ძალების არსებობას, რომლებიც არსებული სისტემის ლეგიტიმურობას კითხვის ქვეშ აყენებენ. ასეთ საზოგადოებებში ძლიერია იდეოლოგიური დაპირისპირება და პოლარიზაცია, განსაკუთრებით კონსერვატიულ ძალებსა და ლიბერალიზმის ტენდენციებს შორის. პოლიტიკური აზროვნების

მკვეთრი იდეოლოგიზაცია პოლიტიკას უფრო კონფლიქტურ საქმიანობად აქცევს, და მკვეთრად აძლიერებს მედიის პოლიტიზირებას და მის პროპაგანდისტურ ხასიათს, აძლიერებს დოქტრინულ, ნაკლებად პრაგმატულ და ემპირიულ სანყისებს პოლიტიკაში. ასეთ სისტემებში ხშირია რეჟიმების ცვლა.

ზომიერი პლურალიზმი უფრო კარგად თავსდება კომერციულ და პროფესიულ მედიასთან, იქ ნაკლებია პოლიტიკური პარალელიზმი და კომერციალიზაცია.

მედიის სამი სისტემის ეს ინსტიტუციონალური თავისებულებები შესაძლოა კარგად მივეუსადაგოთ იმ სამი პოლიტიკური ტრადიციის სიძლიერეს მოცემულ ქვეყნებში, რომლებიც ჩვენ ასევე დისკურსული ეთიკების სახეობებს დავუკავშირეთ: რესპუბლიკური, ლიბერალური და დემოკრატიული.

დემოკრატიული დისკურსი (პოლარიზებული პლურალიზმის მოდელი) ყველაზე პოლიტიზირებულია; ის ძალაუფლებისთვის ბრძოლის ლოგიკას მიყვება ყველაზე მეტად, და პოლიტიკური ელიტების მიერ ინაროება ამომრჩეველთა დარწმუნების მიზნით. პარადოქსულად, ის ყველაზე ძლიერია სწორედ იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან დემოკრატიის ნაკლებობას: ჰალინის მიერ განხილული დემოკრატიებისგან ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნების უმეტესობა გვიანდელი დემოკრატიზაციით ხასიათდება და მეოცე საუკუნის დიდი ნაწილი მათთვის ავტორიტარული და ფაშისტური რეჟიმების არსებობას უკავშირდება. (კომენტარი: გთხოვთ ისევ მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ სახელწოდება „დემოკრატიული“ მოცემული დისკურსისთვის პოზიტიური ნორმატიული შეფასების შემცველი არ არის; სიტყვა დემოკრატია აქ უბრალოდ დესკრიპტულად აღწერს იმ ვითარებას, როდესაც პოლიტიკური ძალაუფლება მიიღწევა კონკურენტული ბრძოლით ამომრჩეველთა ხმებისთვის. გვიან დემოკრატიზებულ ქვეყნებში ამ ბრძოლის წესები ნაკლებად რეგულირდება ლიბერალური და რესპუბლიკური ეთიკით, რაც ძალაუფლებისთვის ბრძოლას ხდის უფრო ცინიკურ საქმიანობად, ვიდრე ის არის ძველი დემოკრატიის ქვეყნებში). პოლიტიკური ბრძოლა ძლიერ იდეოლოგიზირებულია, ხოლო პოლიტიკური პროგრამები ფასდება არა მათი ეფექტურობით (მაგალითად, ეკონომიკის განვითარების მხრივ), არამედ მათი აბსოლუტური ჭეშმარიტების განზომილებით იდეოლოგიური თვალსაზრისიდან (ჭეშმარიტება არა ემპირიულად დამტკიცებადი, არამედ რწმენაზე დაფუძნებული).

ლიბერალური ჩრდილოატლანტიური სისტემა, როგორც ითქვა, ხასიათდება არა მარტო ფაქტებზე დამყარებული, ნეიტრალური მედიის იდეალის არსებობით, არამედ, აგრეთვე, ორპარტიული სისტემის ფუნქციონირებით. ორპარტიულ სისტემაში თითოეული პარტია საკუთარი ლეგიტიმაციის სანყისებს ეძებს მთელი მოსახლეობის ინტერესების და შეხედულებების წარმოჩენაში – ვინაიდან წარმატების შემთხვევაში ის ლებულობს მთელ პასუხისმგებლობას მმართველობაზე, და ვალდებული იქნება მთელი მოსახლეობის რეპრეზენტაცია განახორციელოს. ამ ვითარებაში ორი კონკურენტი პარტია პრეტენზიას აცხადებს თითოეულ ამომრჩეველთან საკუთარი პოზიციის დაცვის შესაძლებლობაზე. თითოეული ხდება უფლებამოსილი იმსჯელოს განვითარების იმ გეგმაზე, რომელიც პარტიის მიერაა შემოთავაზებული, და მის მომგებიანობაზე უშუალოდ მისთვის. ვინაიდან აქ ლიბერალური დისკურსია წამყვანი, პირველ პლანზე გამოდის ფაქტობრიობა – პარტიების პროგრამების საექსპერტო შეფასება, ცოდნა, როგორც პარტიებს და პოლიტიკურ პროგრამებს შორის არჩევანის გაკეთების საშუალება. ადამ სმიტის მსგავსად, დამოუკიდებელი ნეიტრალური დამკვირვებელი არის საუკეთესო არბიტრი, და ამ დამოუკიდებელი ნეიტრალური დამკვირვებლის როლს ორ მოპაექრეს შორის ასრულებს ჟურნალისტი. ჟურნალისტი არ დგება არც ერთის მხარეზე, არამედ კრიტიკულ შუქში აქცევს ორივეს, ანალიტიკური გონისა და საღი აზრის გამოყენებით.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, რესპუბლიკური ტრადიციის მედიის არსებობა თავსებადია მრავალპარტიულ სისტემებთან, სადაც პარტიები მჭიდრო კავშირშია საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებთან. საზოგადოებები ევროპაში ბევრი გაგებით დანაწევრიანებულია, და სახელმწიფოს არსებობა და პოლიტიკური მმართველობის განხორციელება საჭიროებს მუდმივ მოლაპარაკებებს,

კონსულტაციებს, შეთხმებებს და ხშირად საჭიროებს კონსესუსის მიღწევას ამა თუ იმ საკითხზე. თანაცხოვრების ეს პლურალისტური ტრადიცია აქ ძლიერადაა განვითარებული. შესაბამისად, საზოგადოების ამა თუ იმ სეგმენტების რეპრესენტაციას ახორციელებენ პოლიტიკური პარტიები და მედია საშუალებები, რომლებმაც იმთავითვე იციან თავისი აუდიტორია და არეალი. მათ, ერთი მხრივ, არა აქვთ საყოველთაობის პრეტენზია, ამდენად ისინი პოლიტიკურად „მიკერძოებულები“ არიან, ხოლო მეორე მხრივ, მათ აქვთ იმის განცდა, რომ მათი მიკერძოებული პოზიცია არ არის ერთადერთი სწორი და შესაძლებელი, რომ არსებობენ სხვები, რომლებთანაც მათ მოუწევთ თანაარსებობა და შეთანხმება. ამდენად, ამ რეგიონში საზოგადოების ბუნებრივი დანაწევრებულობა ჯერ აისახება პარტიებისა და მედიის დანაწევრებულობაში, რომ მერე, უკვე ქვეყნის პარლამენტში პარტიების მიერ მიღწეულ იქნეს კონსესუსი (შეიქმნას კოალიციური მთავრობა) უმრავლესობის შესაქმნელად და ამა თუ იმ პრობლემების გადასაჭრელად. მუდმივი ორიენტირება ჰორიზონტალურ მოლაპარაკებებზე ქმნის ტრანსფორმაციულ განწყობებს, როდესაც ყველამ უნდა იქონიოს ვალდებულება წავიდეს ნაწილობრივ დათმობებზე საყოველთაო ნების ჩამოყალიბების მიზნით. თუკი მედია (და პარტიები) არაეთიკური იქნება (დაამახინჯებენ ფაქტებს, გასწვევენ მანიპულაციურ პოლიტიკურ პროპაგანდას) ჩაიშლება კოალიციების შექმნისა და ნდობაზე (სიტყვის შესრულებაზე და წესიერების სხვა ნორმებზე) დაფუძნებული კონსესუსალური მმართველობა. ამდენად, ამ არეალში, გამორიცხულია თამაში წესების გარეშე, რაც პოლარიზებული პლურალიზმის პირობებში იგრძნობა, თუმცა კი ეს თანაარსებობს პოლიტიკური პლურალიზმის არსებობასთან.

ჰალინის სხვა პუბლიკაციაში (Hallin, D., S Papathanassopoulos 2002, *Political clientelism and the media: southern Europe and Latin America in comparative perspective Media, Culture and Society*, v.24, N 2, pp.175-195) ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნების მოდელი შედარებულია ლათინური ამერიკის მედია სისტემებთან, და ხაზგასმულია წინაპირობა, რომელიც მათ მსგავსებას განაპირობებს – ეს არის კლიენტელისტური ურთიერთობები, პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროების ურთიერთგამჭოლი ხასიათი. ყველა ამ ქვეყნებში დაბალია პრესის ტირაჟები, სუსტია ჟურნალისტიკის პროფესიონალიზაცია, და უაღრესად მაღალია სამაუწყებლო არხების პოლიტიზირება – კომერციული არხების მეპატრონეები, როგორც წესი, ხელისუფლების კლიენტები არიან, ხოლო სახელმწიფო (საზოგადოებრივი) მაუწყებლობა ხელისუფლების ზენოლას განიცდის.

სააქმე ისაა, რომ ყველა ეს ქვეყანა ჩრდილოეთის ქვეყნებისგან განსხვავდება არა მარტო დემოკრატიის შედარებით გვიანდელი განვითარებით, არამედ ასევე საბაზრო ეკონომიკის გვიანდელი განვითარებით. ეკონომიკური, საბაზრო სანყისები მედიის ფუნქციონირებაში მეტად გვიან განვითარდა, და ეკონომიკის „საბაზროობა“ (ამ შემთხვევაში უფრო იგულისხმება ლეგალურობა, კანონის ჩარჩოებში მოქცევა) საკმაოდ სუსტი. სამაგიეროდ ძლიერია „ბრძოლა წესების გარეშე“ როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკაში. ეს ბრძოლა თავის ინსტრუმენტად იყენებს მედიას, და ხდება მედიით მანიპულირება და მისი ინსტრუმენტალიზება.

ამასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ დისკურსების ხასიათი მეტად მდგრადი მოვლენაა. მეცხრამეტე საუკუნეების დისკურსების ხასიათი გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის დღევანდელობაზე. მეცხრამეტე საუკუნეში კი მოცემულ ქვეყნებში მედია არ თამაშობდა ბაზრის ინსტიტუტის როლს, და შემდგომშიც (დღესაც) ნაკლებად თამაშობს. ის აქტიურად გამოიყენებოდა ყოველთვის პოლიტიკური პროპაგანდისთვის. თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საჯარო სივრცის ფორმირებაში ამ ქვეყნებში ნაკლებად იყო ჩართული ადგილობრივი ბურჟუაზია (კლიენტელისტურ საზოგადოებებში ის საერთოდ ერიდება საჯაროობას). წამყვანი როლი საჯარო დისკურსების ფორმირებაში ეკუთვნოდა ინტელიგენციას, რომელიც თავისი არსითა და ბუნებით ცხოვრობს არა რეალობით, არამედ იდეებითა და იდეოლოგიებით.

ანალოგიურად ევროპის სამხრეთისა, მისი აღმოსავლეთიც იმავე ტენდენციებს განიცდიდა. იდეოლოგიზირებული ინტელიგენცია და არისტოკრატია აქ საჯარო სივრცის ფორმირებაში წამყვან როლს თამაშობდა. საკმარისია გავიხსენოთ მეცხრამეტე საუკუნის რუსეთი, მისი არისტოკრატითა და რაზნოჩინური ინტელიგენციით, რომელიც ცდილობდა ხალხის განათლებას, და მწვევედ

განიცდიდა ქვეყანას და მის ხალხს როგორც ჩამორჩენილს და პერიფერიულს დასავლეთის ცივილიზაციის მიმართ. „პერიფერიულობის“ და ჩამორჩენილობის ეს განცდა არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც საჯარო დისკურსს დაღს ასვამს და ცვლის მის სტრუქტურას. ის აღარ არის რეპრეზენტატიული და ღია სივრცე, რომელიც მიცემულ საზოგადოებას სარკის სახით ემსახურება, ის უფრო ლინზაა, რომელმაც უნდა დააკავშიროს ცივილიზაცია და ჩამორჩენილი საზოგადოება. ის „საზოგადოებრიობა“ რომელიც ამ ქვეყნებში ვითარდება (იხ. ვოლკოვის ტერმინოლოგია) კრიტიკულ დისკურსებს კი ავითარებს, მაგრამ მას ძლიერი იდეოლოგიური ელფერი აქვს. პროგრესის შემოტანა და ერის იდეოლოგიური ლიდერობა - ამ მიზნით წერენ მაშინდელი პუბლიცისტები საქართველოშიც: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა“ (ილია ჭავჭავაძე).

ფაქტობრივად, გამოდის, რომ მედიის სისტემაში სარკესავით აისახება რამდენიმე სფეროს ხასიათი: პოლიტიკური კლიენტელიზმი; კორუფცია, საზოგადოების გვიანდელი მოდერნიზაცია; სამართლებრივი სისტემის სისუსტე; გვიანდელი დემოკრატიული და საბაზრო განვითარება - ყველაფერი ეს შეიძლება ერთადერთი პარამეტრით გავზომოთ: რამდენი გაზეთი იბეჭდება ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე.

ეს მართლაც გაბედული მტკიცებულებაა, და ამგვარი რადიკალიზმით ის არ უნდა დავიცვათ, მაგრამ ერთი რამ შეიძლება ითქვას. ინგლეჰარტის თეორიით, პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური სფეროები საზოგადოებაში ურთიერთმიმართებაშია ერთმანეთთან, და მათი ხასიათი ურთიერთგანპირობებულია. ანუ, საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესი ეს არის ამ სფეროების ურთიერთდამოკიდებული მოდელების ერთდროული ტრანსფორმაციის პროცესი, სადაც ყველაფერი ურთიერთგანპირობებულია. მათ შორის მედიაც, და სამოქალაქო საზოგადოებაც. ეს არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, მაგრამ მთლად უაზრო არ ყოფილა, როგორც ამას ჰალინის წიგნი აჩვენებს.

აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნების მედია მეტად წააგავს ჰალინის მიერ განხილულ პოლარიზებული პლურალიზმის მოდელს (Peter Gross, 2002 *Entangled Evolution – Media and Democratization in Eastern Europe*, Washington, D.C.: Woodrow Wilson Centre Press; Baltimore: Johns Hopkins University Press). მაგრამ კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც უნდა მივიღოთ მხედველობაში პოსტსაბჭოური მედიის სიტემების ანალიზისას ეს არის საბჭოური პერიოდის გავლენა. ეს გავლენა იდეოლოგიური აზროვნების ტრადიციაში გამოიხატება. მარტივად რომ ვთქვათ, მარტო ეკონომიკური ინტერესები არაა ის, რაც განაპირობებს ჟურნალისტების საქმიანობის ხასიათს. ჟურნალისტები შეიძლება პოლიტიზირებულები ხდებოდნენ საკუთარი მსოფლმხედველობის გამო, პოლიტიკური პროპაგანდა მათ შეიძლება მათი საქმიანობის განუყოფელი ნაწილი ეგონოთ. თავის მხრივ, საზოგადოება შეიძლება ვერ აღიქვამდეს ისეთ ინფორმაციას, რომელსაც შეფასებითი ელფერი არ დაჰკრავს - ამგვარი ინფორმაცია საზოგადოებას შეიძლება საერთოდ არ აინტერესებდეს. ასე მაგალითად, გერმანიის გაერთიანების შემდეგ დასავლეთ გერმანიის ბევრმა გაზეთმა და ჟურნალმა გახსნა ახალი გამოცემები აღმოსავლეთ გერმანიელთათვის, და დააკომპლექტა მათი ჟურნალისტური კორპუსი პროფესიონალი დასავლეთ გერმანელი ჟურნალისტებით. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ეს ახალი გამოცემები არ სარგებლობდნენ პოპულარობით ადგილობრივ მოსახლეობაში. გამოსავალი მოიძებნა - სამსახურში აიყვანეს ადგილობრივი ჟურნალისტები, რომელთა წერის მანერა უფრო ჩვეული იყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მაშინ გაზეთები უფრო პოპულარული გახდა და საქმე გამოსწორდა. ამდენად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის გარეშე შეიძლება ვთქვათ ერთი რამ - საზოგადოების და მისი ინსტიტუტების ხასიათი ერთმანეთზე ახდენს ზეგავლენას, და ამის გათვალისწინების გარეშე სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მშენებლობა შეიძლება უშედეგო აღმოჩნდეს.

ტელევიზიის და დემოკრატიის ურთიერთმიმართების პრობლემა

მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების საზოგადოებებში პოლიტიკური მასობრივი კომუნიკაციის მედია იყო წერილობითი – ძირითადად ჟურნალი და გაზეთი. პოლიტიკური კომუნიკაციის მედიის განვითარება და ტრანსფორმაცია კარგადაა აღწერილი ჰაბერმასთან, და გავრცობილი სხვა მკვლევრების მიერ, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რაც ეხება მეოცე საუკუნეში ტელევიზიით კომუნიკაციაზე გადასვლას წინა საუკუნეების წერილობითი კომუნიკაციისგან განსხვავებით.

პოლიტიკურ კომუნიკაციაში ტელევიზიის სიჭარბე გაზეთებთან შედარებით განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება სწორედ არადასავლურ სამყაროში. განვითარებად ქვეყნებში გაცილებით დაბალია გაზეთების ტირაჟები, და გაზეთების როლი პოლიტიკურ კომუნიკაციაში. სამაგიეროდ, ტელევიზიის უყურებს ყველა – და მაგას არ სჭირდება არც წერა-კითხვის ცოდნა, და არც კითხვის კულტურის დამკვიდრება.

რამდენად ახდენს გავლენად საჯარო სივრცის სტრუქტურაზე მედიის ხასიათის შეცვლა? და რამდენად უკავშირდება ეს ტრანსფორმაცია პოლიტიკური ინსტიტუტების ხასიათს და დემოკრატიის შესაძლო ფორმებს ოცდამეერთე საუკუნეში? ამაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, და არა მარტო ის, რაც ჰაბერმასმა ჩამოაყალიბა. ასე, რობერტ პატნემი აღნიშნავს აშშ-ში სოციალური კაპიტალის ემპირიულად დაფიქსირებულ კლებას, და ამას გარკვეულწილად ტელევიზიის გავრცელებას უკავშირებს. მრავალი მემარცხენე მკვლევრისთვის, ისევე როგორც ჰაბერმასისთვის, ტელევიზია არის უფრო მანიპულაციის და პროპაგანდის იარაღი, ვიდრე მოსახლეობის დემოკრატიული მონაწილეობის და რეპრეზენტაციის ორგანო. ბერლუსკონისდრინდელი იტალიური დემოკრატია ამ მხრივ იმდენად არადაამაკმაყოფილებელ სურათს ქმნის, რომ ბევრი მკვლევარი საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იტალიაში დემოკრატიის არსებობის ფაქტსაც კი.

დაბლა ჩვენ გავაგრძელებთ პრესის, ტელევიზიის, დისკურსული ეთიკისა და დემოკრატიის ურთიერთმიმართების განხილვას, და გავეცნობით სხვადასხვა ავტორთა კვლევებს ამ საკითხებზე.

ერთ-ერთი ცნობილი ავტორი მედიის ემპირიული კვლევების სფეროში არის პიპა ნორისი. ის ამ პრობლემას პირველ რიგში დასავლური დემოკრატიების თვალსაწიერიდან იხილავს. თავის წიგნს „Virtuous Circle“ ის უძღვნის შემდეგ პრობლემას. დასავლურ დემოკრატიებში ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ და შეშფოთებას გამოთქვამენ იმით, რომ დემოკრატიის ინსტიტუტები თითქოს კარგავენ თავის პოპულარობას, მოსახლეობა ხდება სულ უფრო ცინიკური მათ მიმართ, ნაკლებად მონაწილეობს არჩევნებში, არ ენდობა პოლიტიკოსებს და პოლიტიკურ პარტიებს. ამას ისინი დემოკრატიის ავადმყოფობას უწოდებენ. ეს მოვლენები, თუმცა კი არ არის ცალსახად დადასტურებული ემპირიულად, მსჯელობის საგანს შეადგენენ, და ამ მსჯელობას, როგორც ჩანს, გარკვეული საფუძველი აქვს. ის ცვლილებები, რომლებიც დასავლურ დემოკრატიებში მიმდინარეობს, მათ შორის ლეგიტიმაციის სფეროს მიეკუთვნება, რის გამოც ბევრი ჰიპოთეზა მათ უკავშირებს მასმედიის ტრანსფორმაციას თანამედროვე სამყაროში. პიპა ნორისის მტკიცებით, მასმედია არ არის თანამედროვე დემოკრატიების კრიზისის მიზეზი, და პრობლემის საწყისები სხვაგან უნდა იყოს მოძიებული.

მედიის კრიზისის კვლევები, ნორისის მიხედვით, ორ ძირითად დაშვებას ეყრდნობა:

- 1) პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესი დიდ გავლენას ახდენს სამოქალაქო აქტივობაზე;
- 2) დღეს ეს გავლენა ნეგატიურ ხასიათს ატარებს.

მედიისა და დემოკრატიის ურთიერთმიმართების კვლევისას საჭიროა მედიის იმ მხარეებზე კონცენტრირება, რომლებიც ყველაზე მეტად ეხება დემოკრატიას. წარმომადგენლობითი დემოკრატიის კონცეფცია მასმედიის სამ ძირითად როლზე ამახვილებს ყურადღებას. მედია უნდა იყოს:

- 1) სამოქალაქო ფორუმი, სადაც მიმდინარეობს პლურალისტური დებატები საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ;

- 2) ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სადარაჯოზე მდგომი ინსტიტუტი;
- 3) მობილიზების იარაღი, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის სწავლებას და ჩართვას პოლიტიკურ ბრძოლაში.

ეს სამი ფუნქცია მოცემულ კვლევაში მრავალგვარი ემპირიული მეთოდების მეშვეობით შეისწავლება. შეისწავლება, აგრეთვე, ამ ფუნქციების ტრანსფორმაცია დროთა განმავლობაში. შესაბამისად, მეთოდოლოგიურად, ნორისი ასხვავებს პოლიტიკური კომუნიკაციის სამ ელემენტს: წარმოებას, შინაარსს და ზეგავლენას. რა შეიცვალა ბოლო დროს, თუკი მედიას შევაფასებთ ამ პარამეტრების მიხედვით?

ახალი ამბების ინდუსტრიაში მოხდა შემდეგი ცვლილებები: ბეჭდვითი პრესის მფლობელობა ხდება სულ უფრო კონცენტრირებული; მცირდება დამოუკიდებელი გაზეთების რიცხვი, თუმცა კი საერთო ტირაჟები არ დაცემულა. 80-იანი წლებიდან საზოგადოებრივ მაუწყებლობას ევროპაში ავინროებს საკაბელო, სატელევიზიო და სხვა კერძო არხები, ხოლო 90-იანი წლებიდან მთლიანად ტელევიზიას უჩნდება ახალი კონკურენტი – ინტერნეტი.

კრიტიკოსების აზრით, ამ პერიოდში იკლო სერიოზული ახალი ამბების წილმა და მოიმატა ე.წ. „ინფოგართობება“ – საინფორმაციო სტილმა, რომელიც უფრო უსვამს ხაზს სკანდალებს გართობებს და პიროვნებებს. რა ხდებოდა სინამდვილეში? შეიმჩნეოდა ორი ტენდენცია:

- 1) ახალი ამბების აუდიტორია გაფართოვდა; იმატა იმ ადამიანების რიცხვმა, ვინც უყურებს და კითხულობს ახალ ამბებს, ეძებს მათ ინტერნეტში. ახალი ამბები გახდა უფრო მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი.

- 2) ახალმა ამბებმა განიცადეს არა იმდენად ტრანსფორმაცია სერიოზული სტილიდან გასართობ სტილზე, არამედ უფრო დიფერენციაცია. ანუ ერთ არხებზე და გაზეთებში ხელმისაწვდომია სერიოზული ინფორმაცია, ხოლო სხვებში კი – სხვა, და ორივე სახეობა გაიზარდა და გახდა უფრო გავრცელებული.

სოციოლოგიური კვლევების მონაცემების ღრმა და მრავალმხრივ ანალიზზე დაყრდნობით, ნორისი ასკვნის, რომ ცვლილებებს პოლიტიკური კომუნიკაციის სტრუქტურაში არ მოუხდენია უარყოფითი გავლენა სამოქალაქო აქტიობის კლებაზე. პირიქით, ახალი ამბების ინდუსტრია დადებით გავლენას ახდენს პოლიტიკურ ჩართულობაზე, ნდობაზე და მობილურობაზე. ისინი, ვინც უფრო ინტერესდება ახალი ამბებით, იქნება ეს ტელევიზიის, გაზეთისა თუ ინტერნეტის ახალი ამბები, გაცილებით უფრო ინფორმირებულია, მთავრობის მიმნდობი და განწყობილი პოლიტიკაში მონაწილეობის მისაღებად როგორც ევროპაში, ასევე აშშ-ში.

ანუ, თუკი არსებობს ისეთი მოვლენა, როგორცაა სამოქალაქო ჩართულობისა და აქტივობის კლება, ამ სიმპტომის ბრალი არ არის მასმედია. პოლიტიკის ავადმყოფობის მიზეზი უფრო სხვაგან უნდა იყოს მოძიებული, ხოლო მასმედიისადმი ბრალდებების წამოყენება უსაფუძვლოა, და საშიშიც კი, განსაკუთრებით ახალი დემოკრატიებისათვის, სადაც სიტყვის თავისუფლება ჯერ კიდევ ფეხს იკიდებს.

თუმცა კი, ეს მონაცემები მოითხოვს ყურადღებით ინტერპრეტაციას იმის გათვალისწინებით, რომ მასმედიის პრობლემა, ანუ ის, რომ მასმედია პრობლემაა, საკმაოდ ვრცელადაა გაზიარებული. ასე, „ამერიკელ ჟურნალისტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ პრესა არ აქცევს სათანადო ყურადღებას რთულ საკითხებს, ვერ ასხვავებს რეპროტაჟსა და კომენტარს, საზოგადოებისგან განზე დგას და არის ცინიკური“. ასევე საზოგადოების დიდი ნაწილი, გამოკითხვების მიხედვით, ძალიან დაბალ ნდობას ამჟღავნებს მედიის მიმართ.

ნორისის კვლევა აჩვენებს, რომ ამბების მედია აძლიერებს სამოქალაქო აქტიობას, და არა ასუსტებს მას, ხოლო ის კი, თავისთავად, ზრდის ინტერესს ახალი ამბების მიმართ. ეს არის ციკლი, რომელიც თანდათან აძლიერებს ახალი ამბებით დაინტერესებისა და სამოქალაქო აქტიობის ურთიერთგავლენას, და პოზიტიურ შედეგს იძლევა იმ მოქალაქეებზე, ვინც თავიდან იჩენს გარკვეულ ინტერესს პოლიტიკაში. შესაბამისად, მათ შეიძლება დროთა განმავლობაში, სოციალიზაციის სხვა მექანიზმების გამოყენებით, გავლენა მოახდინონ არადაინტერესებულ პირებზე.

ნორისის დასკვნები ეფუძნება ფართო მონაცემებსა და ფაქტობრივი ვითარების ვრცელ

ანალიზს. ამდენად, მათი სანდოობა ეჭვს არ იწვევს. სხვა საქმეა, მათი ავტორისეული ინტერ-პრეტაცია, რომელშიაც გარკვეული მომენტები ყურადღების მიღმა შეიძლება დარჩენოდა.

მონაცემები აჩვენებს, რომ პოლიტიკურად აქტიური და დაინტერესებული ადამიანები მასმედიის ახალ ამბებთან სულ უფრო მჭიდროდ არიან მიბმულნი. ამ ურთიერთმიმართების გაძლიერება, რაც არ უნდა იყოს ამგვარი განვითარების მიზეზი, ნიშნავს ერთ მნიშვნელოვან მოვლენას – მასმედიის პოლიტიკური როლის ზრდას. ანუ მასმედიას როგორც ჩანს, აქვს ამ ვითარებაში არა პოლიტიკური სარკის, პოლიტიკური დამკვირვებლის როლი, არამედ იზრდება მისი როგორც პოლიტიკური მანიპულატორის, პოლიტიკური ძალაუფლების მქონე აქტორის როლი. არის მედია ნეიტრალური დამკვირვებელი თუ მანიპულატორი, ეს საკითხი მრავალი დებატების საგანს შეადგენს, და მასმედიის პლურალისტური და მარქსისტული თეორიების დაპირისპირების მთავარი საგანია. ერთსაც და მეორესაც აქვს არგუმენტები. მაგრამ თუკი არ მივუდგებით ამ საკითხს იდეოლოგიურად, და ორივე მიდგომას განვიხილავთ როგორც შესაძლო იდეალურ ტიპებს, რომლებიც თანაარსებობენ რეალობაში მეტ-ნაკლები ბალანსით, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ გარკვეული ზეგავლენების შედეგად ამა თუ იმ ტიპმა შეიძლება გადნოს; მათ შორის შესაძლებელია, რომ ნეიტრალური ობიექტური ჟურნალისტიკის ცნობილ ნორმატიულ ტიპს დღეს თანდათან ცვლიდეს ახალი, პოსტმოდერნული, ჯერ კიდევ შეუსწავლელი ტიპი, რომელიც ნდობის სხვა მექანიზმებსა და ეთიკას ეყრდნობა.

მასმედიით გაღიზიანება, თუკი მასმედიის პოლიტიკური როლი იცვლება (არა მარტო ძლიერდება, არამედ თვისობრივად სხვა ხასიათს ღებულობს) მაშინ ბუნებრივ ახსნას პოულობს. მასმედია დამოუკიდებელია მისი აუდიტორიისგან იმდენად, რამდენადაც აუდიტორიას არ შეუძლია მისი უარყოფა, მხოლოდ იგნორირება. ხელისუფლება ამ მხრივ გაცილებით უფრო მართვადაა ამომრჩეველთა მხრიდან, ვინაიდან მათ ყოველთვის შეუძლიათ მისი გადარჩევა – ანგარიშვალდებულების მეტად ქმედითი იარაღი. მასმედიის მიმართ ამის გაკეთება შეუძლებელია.

მედიის მოქმედება, როგორც „პოლიტიკური გამაღიზიანებლის“ შესაძლოა სწორედ მანიპულაციური მოქმედების შედეგი იყოს, და არა პირიქით. აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ მედია ვერ უზრუნველყოფს პორიზონტალური კომუნიკაციის განხორციელებას, რაზედაც ჰაბერმასი ლაპარაკობს. აქ უფრო იმაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, რომ ვერტიკალურ კომუნიკაციაშიც კი ბალანსი ხალხსა და პოლიტიკას შორის შესაძლოა დარღვეული იყოს. ამგვარი დარღვევა, შესაძლოა, ვერ იქნეს დაფიქსირებული კვლევაში გამოყენებული ტექნოლოგიებით, და უფრო შინაარსობრივ და დეტალურ ანალიზს მოითხოვდეს.

ეს რასაკვირველია, მხოლოდ მოსაზრებებია იმ მონაცემების საანალიზოდ, რომლებიც იყო წარმოდგენილი მოცემულ კვლევაში.

ლიტერატურა:

- Media Systems and Politics by Daniel C. Hallin (Author), Paolo Mancini (Author), W. Lance Bennett (Editor), Robert M. Entman (Editor) Cambridge University Press; (2004). Chapter 5: The Mediterranean or Polarized Pluralist Model, pp117-132
- Peter Gross, 2002 Entangled Evolution – Media and Democratization in Eastern Europe, Washington, D.C.: Woodrow Wilson Centre Press; Baltimore: Johns Hopkins University Press, chapter 5: The media, civil society, political democracy and the market; chapter 6 conclusions: The media, journalism and democratization, pp. 124-174
- Hallin, D., S Papatthanassopoulos 2002, Political clientelism and the media: southern Europe and Latin America in comparative perspective Media, Culture and Society, v.24, N 2, pp.175-195

საქართველოს მასმედია

1. მასმედიის ზოგადი ხასიათი

სიტყვის თავისუფლება ერთ-ერთი ის დემოკრატიული ღირებულებაა, რომლის დეფიციტი განსაკუთრებით მწვავე იყო საბჭოთა კავშირში, და რომელიც ყველაზე იოლად და საკმაოდ სრულად დამკვიდრდა საქართველოში. გორბაჩოვის „გლასნოსტის“ პოლიტიკის კვალობაზე, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ უშვებდა სიტყვის თავისუფლების ელემენტებს, თანდათან თავისუფლდებოდა ქართული მედიაც. შემდეგ, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დამოუკიდებლობის წლებშიც. ეს არ ყოფილა უპრობლემო პროცესი, პირიქით, თითოეული მომდევნო ხელისუფლება ცდილობდა არ დაეშვა მისი აზრით მავნე პოლიტიკური იდეებისა და მოწოდებების გავრცელება მედიის საშუალებით. ბევრი პოლიტიკური მოვლენა საქართველოში სწორედ ამგვარი აკრძალვებისა და შეზღუდვების გადალახვის მოთხოვნებს უკავშირდება. ეს განსაკუთრებით ეხება ტელევიზიას, რომლის პოლიტიკური კონტროლის პრობლემა რამდენჯერმე იქცა საკვანძო თემად პოლიტიკური დაძაბულობის კულმინაციურ მომენტებში.

ვარდების რევოლუციის წინ მე ვწერდი: „მიუხედავად დიდი დაბრკოლებების არსებობისა, სიტყვის თავისუფლების განმტკიცების პროცესი შეუქცევადი აღმოჩნდა. ამჟამად, თუმცა კი კვლავაც აშკარაა დაძაბულობა სიტყვის თავისუფლების თემის გარშემო და არსებობს ჟურნალისტების დაშინების არაერთი მცდელობა, პრაქტიკულად არ არსებობს პოლიტიკური ხასიათის ინფორმაცია, შეხედულება თუ მიდგომა, რომელთა გავრცელება მედიის მიერ შეზღუდული იყოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან.“ (იხ. *The Mass Media*, in: 'Building Democracy in Georgia', Discussion paper N 7, International IDEA, 2003) დღესდღეობით ეს მტკიცებულება ნაკლებად დამაჯერებლად გამოიყურება, ვინაიდან ტელევიზიების დამოუკიდებლობა საკმაოდ საკამათო საკითხია, ხოლო ჟურნალისტები გამუდმებით თვითცენზურას აფარებენ თავს, სამსახურის დაკარგვის შიშით. მაგრამ ეს თემა არ წარმოადგენს მოცემული ლექციის საგანს. კარგად უნდა განვასხვაოთ სიტყვის ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლება. ხელისუფლებას შეუძლია შეზღუდოს მხოლოდ სიტყვის ნეგატიური უფლება – გამოიყენოს სახელმწიფო აპარატი ცენზურისა თუ სხვა შეზღუდვების მიზნით. ამგვარი შეზღუდვების არარსებობა სულაც შეიძლება არ ნიშნავს, რომ ყველას ჰქონდეს თანაბარი პოზიტიური უფლება სალაპარაკოდ – გავიხსენოთ ტოკვილის დაკვირვება ამერიკაში საზოგადოებრივი აზრის მიერ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე. პოზიტიურად კომუნიკაცია, რომელიც ხორციელდება პრაქტიკულად თავისუფალი მედიის მიერ შეიძლება არ იყოს სრულფასოვანი, ან უბრალოდ შეიძლება იყოს თავისებური, ჩვენ აქ გვინტერესებს საქართველოს მედიის სწორედ ეს მხარე – მისი დისკურსული ტიპი, დისკურსული ხასიათი და ეთიკა.

ყველაფერს, რაც საბჭოთა დროს მედიაში პოლიტიკის შესახებ იწერებოდა და საჯაროდ ითქმოდა, ცოდნის გავრცელების სტატუსი ჰქონდა. ამ ცოდნის წყარო იყო მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით აღჭურვილი კომუნისტური პარტია. შეხედულებებს, რომლებიც ამ ცოდნას კითხვის ქვეშ დააყენებდა, საჯარო სივრცეში ადგილი არ ჰქონდა. ჟურნალისტი „კარგად“ წერდა იმდენად, რამდენადაც სწორად ასახავდა მმართველი პარტიის კურსს. დემოკრატიული გარდაქმნების კვალობაზე გაქრა მონოპოლია პოლიტიკურ „ცოდნაზე“, გაჩნდა მრავალფეროვანი პოლიტიკური შეხედულებები, შეფასებები და მიდგომები, და ჟურნალისტებს გაუჩნდათ პრობლემა – როგორ უნდა წერონ პოლიტიკური მოვლენების შესახებ ახალ ვითარებაში, როდესაც აღარ არსებობს ძველი ათვლის სისტემა – „სწორი“ ცოდნის ერთადერთი წყაროს სახით.

ამ გამონვევაზე პასუხების ძიება ჟურნალისტური კორპუსის თითქმის სრული განახლების

ფონზე წარმართა. ჟურნალისტების ძველმა თაობამ, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა დროს მოღვაწეობდა, ისევე როგორც ძველმა მედიამ, დიდწილად დროს ალლო ვერ აულო და ასპარეზი ახალ მედიასა და ახალ ჟურნალისტებს დაუთმო. ახალი გაზეთები, რადიო- და სატელევიზიო არხები და გადაცემები ჯერ კიდევ გამოუცდელი, სხვადასხვა განათლების მქონე ახალგაზრდობით დაკომპლექტდა. ამ თაობამ წერის და საუბრის საკუთარი მანერა მუშაობის პროცესში ჩამოიყალიბა. წინა თაობისგან განსხვავებით, ამ ჟურნალისტებმა გაბედულად შეტოპეს პოლიტიკური ბრძოლის ქაობში და აღიარებული ჭეშმარიტების ძიებაში თავის დასაყრდენად და ორიენტირად პოლიტიკური შეფასებების სისტემა გაიხადეს. მათი პროფესიული საქმიანობის დასაყრდენად იქცა არა იმდენად საკუთრივ ჟურნალისტური ქცევის ნორმები და მეთოდები, რამდენადაც სამოქალაქო თუ პოლიტიკური პოზიცია. ეს მათ არა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების არბიტრად [ფასილიტატორად], არამედ მის აქტიურ შემოქმედად აქცევს.

მედია შედარებით მაღალი ნდობით სარგებლობს საზოგადოებაში. ამავე დროს, მედიის კრიტიკაც საკმაოდ ჩვეული და გავრცელებული მოვლენაა ქართულ საზოგადოებაში. ეს, ალბათ, ზემოხსენებულ პრობლემას, ცოდნისა და შეხედულების ასახვას, პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს უკავშირდება. დღევანდელი ჟურნალისტიკა, ისევე როგორც მასობრივი კომუნიკაცია ზოგადად საქართველოში მეტად შორს არის ფაქტებზე დამყარებული ჟურნალისტიკის სტანდარტებისგან. ის არ ერიდება პოლიტიკურ პროპაგანდას, არ ესწრაფვის ცოდნისა და პოლიტიკური შეხედულების გამიჯვნას, პირიქით, ის ხშირად მზად არის დაუქვემდებაროს ცოდნა პოლიტიკურ შეფასებას, დაარღვიოს ჟურნალისტური ეთიკის ნორმები, არ სცეს პატივი განსხვავებულ აზრს და მიმართოს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების სხვადასხვა ხერხებს.

თავის ფუნქციონირებაში მედია დამოკიდებულია ორ მხარეზე – ერთი მხრივ, ხელისუფლებაზე, ხოლო მეორე მხრივ, ფართო აუდიტორიაზე. ათი წლის წინ პირველი მიმართება: მედია – ხელისუფლება აშკარად ყველაზე მწვავე და პრობლემატური იყო და ყველაზე სწრაფ გადაჭრას საჭიროებდა; ამ მიმართებამ წინა პლანზე მედიის *თავისუფლების* დამკვიდრების პრობლემა გამოიტანა. დღესდღეობით მედიისთვის უფრო კრიტიკულ და აქტუალურ გამოწვევად უნდა მივიჩნიოთ მეორე, ბევრად ნაკლებად გამოკვეთილი მიმართება: მედია – აუდიტორია. ეს მიმართება უკავშირდება ჟურნალისტურ *პასუხისმგებლობას* მკითხველის, ჭეშმარიტებისა და საკუთარი პროფესიის წინაშე.

2. მედიის ეკონომიკური გარემო

ეკონომიკური პრობლემები და რთული ბიზნეს-გარემო დღესდღეობით უფრო მეტ დაბრკოლებებს უქმნის მედიის ინსტიტუციურ განვითარებას, ვიდრე სახელმწიფო რეგულირება. ასე, მაღალი ტირაჟები, რომლებითაც იყიდებოდა გაზეთები „პერესტროიკის“ დროს, მკვეთრად დაეცა დამოუკიდებლობის პირველ წლებში, როდესაც მოიძალა ეკონომიკა, დაირღვა კავშირები და საფოსტო მომსახურება, გაღარიბდა მოსახლეობა. ტელეგადაცემების მიღება გააძნელა ელექტროენერგიით მომარაგების მკვეთრმა შეზღუდვამ. დღესაც რეკლამისგან მიღებული შემოსავალი მხოლოდ მცირე ნწილს შეადგენს გაზეთების დაფინანსებაში. ასეთი შემოსავლები შედარებით მაღალია ტელევიზიაში, მაგრამ ისინი მაინც არასაკმარისია მრავალფეროვანი მაუწყებლობის დასაფინანსებლად. ეკონომიკური გარემო ჯერჯერობით მეტად სუსტი ბაზაა მედიის ეფექტური საქმიანობის წარსამართავად. ეკონომიკური ბაზის სისუსტე განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

- ეკონომიკური ბაზრის სივინროვე. ქართულენოვანი მედიის პოტენციურ მომხმარებელთა რიცხვი სულ რამდენიმე მილიონია, რაც მეტად ვიწრო სარეკლამო ბაზარია, ეს განსაკუთრებით საგრძნობი ფაქტორია ტელემაუწყებლობისთვის, რომელიც მოითხოვს

ძვირადღირებულ ინვესტიციებს სრულფასოვანი პროდუქციის საწარმოებლად.

- ეკონომიკა სუსტია და მასში დიდია ჩრდილოვანი სექტორის წილი, ბევრი ეკონომიკური სუბიექტი თავს არიდებს პროდუქციის რეკლამირებას. საქონლის რეკლამირებას ხელს არ უწყობს საგადასახადო კანონმდებლობაც.
- ეკონომიკა არათანაბრადაა განვითარებული საქართველოს მასშტაბით. შიდა პროდუქტის დიდი წილი ინარმოება თბილისში, რაც შეეხება რეგიონებს, ადგილობრივი ბაზარი თავისი სიღარიბის გამო პრაქტიკულად ვერ უქმნის ადგილობრივ მედიას დამოუკიდებლობის ეკონომიკურ საფუძველს.
- მედია, ისევე როგორც მთელი დანარჩენი ეკონომიკა, დიდწილად ჩრდილოვან სექტორში ფუნქციონირებს. გაზეთები, გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით, გაურბიან თავისი ნამდვილი ტირაჟების გამოცხადებას. ამის გამო, მედია განიცდის იმავე ტიპის დეპრეზიაციას, რასაც სხვა ეკონომიკური სუბიექტები – ის დამოკიდებულია პოლიტიკურ მფარველობაზე და/ან პირად კონტაქტებზე, არსებული რეჟიმის კეთილ ნებაზე, თვალი დახუჭოს მედიის მიერ ჩადენილ ეკონომიკურ დარღვევებზე.

შესაბამისად, მეტად სუსტია მედიის დამოუკიდებლობისა და განვითარების ეკონომიკური საფუძვლები. დღესდღეობით მისი დიდი წილი სხვადასხვა სახის სუბსიდიებით არსებობს, რაც მედიის დამოუკიდებლობის ხარისხს ამცირებს და მისი პოლიტიზირების ხარისხს ზრდის. ჟურნალისტების ხელფასები მეტად დაბალია, შესაბამისად მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები ხშირად პროფესიას იცვლიან და უშუალოდ ჟურნალისტიკას არ მისდევენ. მედიის ფინანსების გაუმჭვირვალე ხასიათი ერთი მხრივ აჩენს უნდობლობას მომხმარებელთა მხრიდან, ხოლო მეორე მხრივ ქმნის საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების წინაპირობებს.

რაც შეეხება ხელისუფლებისა ან მსხვილი კაპიტალის მხრიდან მედიის თავისუფლების შეზღუდვის ეკონომიკურ მექანიზებს, უნდა აღინიშნოს, რომ მედიის მატერიალური ბაზა არ არის მონოპოლიზირებული სახელმწიფოსა ან რომელიმე ეკონომიკური სუბიექტის მიერ. ბევრია სხვადასხვა მფლობელობაში მყოფი სტამბა თუ პოლიგრაფიული საწარმო. შედარებით გვიან (თავისი სიძვირის გამო) გაჩნდა სტუდიები და სამაუნწყებლო სიმძლავრეები, ადგილობრივი ტელეპროდუქციის წარმოების პოტენციალი. არსებობს კონკურენცია ინტერნეტ პროვაიდერებსა და პრესის გამავრცელებელ კომპანიებს შორის.

3. ბეჭდვითი მედია

საქართველოში დღეს გამომავალი მრავალფეროვანი პრესის უდიდესი ნაწილი დამოუკიდებელი გამოცემაა, არ იგრძნობა მონოპოლიზება არც სახელმწიფოსა და არც რომელიმე ეკონომიკური დაჯგუფების მხრიდან. თითქმის ყველა არსებული გაზეთი ბოლო ათი წლის განმავლობაში დაფუძნდა. მათი სახეობები, სტილი და ტირაჟები მეტად დინამიურად იცვლება. ბევრი გაზეთი, რომელიც დამოუკიდებლობის პირველ წლებში იყო პოპულარული, დღეს ან აღარ გამოდის, ან პოპულარობა დაკარგა. კონკურენცია მით უფრო მძაფრია, რომ დღეს გაზეთებს პრაქტიკულად არა ჰყავთ გამომწერები – ტირაჟების უდიდესი ნაწილი კიოსკებში და ქუჩაში იყიდება. გაზეთების გამომწერის ტრადიცია მოირღვა დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო ომების წლებში და შემდგომში ვეღარ აღდგა. ვარდების რევოლუციის შემდეგ გაქრა ბევრი გაზეთი, რაც, სავარაუდოდ, უნდა აიხსნას პოლიტიკური დაკვეთის შესუსტებით – პოლიტიკურ აქტორებს ამ წუთას გაზეთების დაფინანსება არ სჭირდებათ

გაზეთების საერთო ტირაჟი დღეს საქართველოში მეტად დაბალია. მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ან ვერ ყიდულობს გაზეთებს, ხოლო ახალ ამბებს და პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციას მეტწილად ტელევიზიით იღებს. ყველაზე მაღალი ტირაჟები აქვს

ყოველკვირეულ გაზეთებსა და ჟურნალებს, რაც შეეხება უფრო ხშირად (კვირაში სამჯერ და მეტად) გამომავალ პრესას, 20 000-იანი ტირაჟი მისთვის საოცნებო მაქსიმუმია. ეს დაბალტირაჟიანობა არ უკავშირდება პრესის სპეციალიზაციას, პირიქით, მკითხველი პირველ რიგში პრესაში მრავალფეროვნებას აფასებს. მკითხველის მოზიდვა გაზეთებისთვის უპირველესი პრობლემაა, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის საწინდარი.

თითქმის ყველა მკითხველი მეტ-ნაკლებად თანხმდება იმაზე, რომ პრესის ხარისხი დაბალია, რომ მას „სიყვითლე“ დაჰკრავს. ამ მოსაზრებას თავად ჟურნალისტებიც იზიარებენ. თუმცა ამ მოვლენის შეფასებისას აზრები ძირითადად ორად იყოფა. ერთნი (და მათ შორის ჟურნალისტების დიდი ნაწილი) თვლიან, რომ „როგორი საზოგადოებაცაა, ისეთი ჟურნალისტებაცაა“, ანუ არსებული გაზეთები შეესაბამება მოსახლეობის მოთხოვნების დაბალ სტანდარტს. პრესის ძირითად პრობლემად ისინი ზოგად ეკონომიკურ სიდუხჭირეს ასახელებენ, ხოლო ეკონომიკური პრობლემების დაძლევის და ტირაჟების ზრდას სწორედ ამ დაბალი სტანდარტის დაკმაყოფილებას უკავშირებენ. სხვები ამტკიცებენ, რომ მოსახლეობა მშვენივრად არჩევს კარგ და უხარისხო პუბლიკაციებს და რომ არსებობს საბაზრო მოთხოვნილება უფრო პროფესიულ პრესაზე, რომელიც ჯერ არ არის დაკმაყოფილებული. ამ შეხედულების მიმდევრები ამტკიცებენ, რომ პრესის დაბალი ტირაჟები აიხსნება არა იმდენად მოსახლეობის ეკონომიკური სიდუხჭირითა თუ ინტერესის ნაკლებობით, არამედ აუდიტორიის მოთხოვნების არდაკმაყოფილებით პრესის მხრიდან. ამასვე, მათი აზრით, სოციოლოგიური გამოკვლევებიც ადასტურებს.

გაზეთების შინაარსის ანალიზი აშკარად აყენებს შემდეგ პრობლემებზე მსჯელობის აუცილებლობას.

1. *გაზეთები როგორც ოპერატიული ინფორმაციის წყარო.* ვინაიდან მოსახლეობის პოლიტიკურ საკითხებზე ოპერატიული ინფორმირების ფუნქციას ძირითადად ტელევიზია ასრულებს, გაზეთებმა ამ ფუნქციის შესრულებაზე არსებითად ხელი აიღეს და თავის როლს უფრო მოვლენების კომენტირებაში და შეფასებაში ხედავენ. ეს ეხება არა მარტო ყოველკვირეულ, არამედ ყოველდღიურ გაზეთებსაც. წინა დღის მოვლენების თაობაზე მკითხველის დაწვრილებითი ინფორმირების ფუნქციის უკანა პლანზე გადატანა პრობლემატურს ხდის ყოველდღიური გაზეთების მომავალს. ამასთან, ეს მიდგომა მოსახლეობას მისთვის აუცილებელი ინფორმაციის გარეშე ტოვებს. ის განსაკუთრებით საზიანოა სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციისთვის, რომელიც ზუსტ, წერილობითი გადმოცემას საჭიროებს. ეს ვითარება მეტად არახელსაყრელია სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისთვის. შესაძლოა დამოუკიდებელმა პრესამ მეტი იზრუნოს იმ სამომხმარებლო ბაზრის ათვისებაზე, რომელიც სწორედ ამგვარ ოპერატიულ ინფორმაციას საჭიროებს, თუნდაც ასეთი აუდიტორია შედარებით მცირე იყოს. ტელევიზიისთვის კონკურენციის გასანეგად გაზეთებმა შეიძლება უკეთ გამოიყენონ წერილობითი გადმოცემის უპირატესობები, მეტი იმუშაონ წერილობით წყაროებზე, ციფრებზე და კონკრეტულ დეტალებზე.

სამართლებრივი სიახლეების ასახვა ქართულ პრესაში: ორი მაგალითი.

1999 წლის 20 ივლისს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ისტორიაში პირველი საკონსტიტუციო ცვლილებები და შეიტანა რიგი არსებითი შესწორებებისა საარჩევნო კანონში. როგორ აისახა ეს მოვლენები ქართულ პრესაში?

მომდევნო ორი დღის განმავლობაში თბილისში გამოვიდა 10-მდე გაზეთი, მათ შორის 2 - ოფიციალური. ამ გაზეთებიდან მხოლოდ ერთმა მოიხსენია, რომ შეიცვალა საარჩევნო ბიულეტენში პარტიების ნუმერაციის წესი (ძლიერი პარტიების სასარგებლოდ). პარტიებისთვის საარჩევნო ბარიერის გაზრდა 5-დან 7 პროცენტამდე აღნიშნული იყო 8 გაზეთში, მათ შორის 7-ში - როგორც საკუთარი კომენტარებისა ან პოლიტიკოსების შეფასებების საგანი. ახალი საკონსტიტუციო შეზღუდვები პრეზიდენტობის შესაძლო

კანდიდატის თაობაზე აღნიშნა ორმა გაზეთმა, ხოლო საარჩევნო კომისიის ახლად-დანიშნული ხუთი წევრიდან ამ გაზეთებში არავინ არ იყო ნახსენები, გარდა კომისიის თავმჯდომარისა, რომლის გვარი ერთმა გაზეთმა დაასახელა. აღსანიშნავია, რომ ამ საპარლამენტო გადანყვეტილებათაგან არც ერთი არ იყო ნახსენები ამ დღეებში გამოსულ ოფიციალურ პრესაში.

ანალოგიური მდგომარეობა შენარჩუნდა 2002 წელსაც. 10 აპრილს პარლამენტმა განიხილა რამდენიმე შესწორება ადგილობრივი მმართველობის კანონში და საარჩევნო კოდექსში. რა ოპერატიული ინფორმაცია მიენოდა ამის შესახებ მოსახლეობას პრესით?

11 აპრილს გამოსული ყოველდღიური (ან კვირაში რამდენჯერმე გამომავალი) გაზეთები ან არ აქვეყნებენ ინფორმაციას პარლამენტის 10 აპრილის გადანყვეტილების შესახებ, ან მას შეცდომით და/ან მიკერძოებულად აქვეყნებენ. არ იტყობინება მიღებული გადანყვეტილებების შესახებ „საქართველოს რესპუბლიკა“ და „ახალი თაობა“ (თუმცა კი, ამ უკანასკნელში თვით საპარლამენტო სხდომის მიმდინარეობა ვრცლადაა გადმოცემული). დანარჩენებიდან ყველაზე ინფორმატიულ „დილის გაზეთს“ ავინყდება იმის აღნიშვნა, რომ გადანყვეტილებები მიღებულია არა საბოლოოდ, არამედ პირველი მოსმენით (როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, მეორე და მესამე კენჭისყრა აღარც შემდგარა). საკითხით ყველაზე დიდ დაინტერესებას იჩენენ გაზეთები „ალია“ და „რეზონანსი“, რომლებიც ვრცლად აკრიტიკებენ პარლამენტის გადანყვეტილებას, მაგრამ თვით გადანყვეტილების შესახებ ინფორმაციას უკეთეს შემთხვევაში მოიხსენიებენ ფრაზებით „დეპუტატებმა ყველაფერი უცვლელად დატოვეს“. თუმცა საქმეს ნაწილობრივ ასწორებს გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ დეპუტატ ხმალაძესთან, მთლიანობაში ფაქტების გაგება მკითხველებისთვის თითქმის შეუძლებელი რჩება.

2. *პროფესიული და ეთიკური ჟურნალისტიკა.* ამ მხრივ ყველაზე სერიოზულ გამოწვევას პოსტსაბჭოური ჟურნალისტიკისთვის ცოდნისა და შეფასებების დაშორიშორება და ინფორმაციის ობიექტურად გადმოცემა წარმოადგენს. განსხვავებით დასავლური პროფესიული მედიისგან, სადაც გაზეთის ან ცალკეული ავტორების პოზიციის დასაფიქსირებლად სპეციალური სივრცეა გამოყოფილი, საქართველოს გაზეთებში პრაქტიკულად არ ხდება პოლიტიკური ინფორმაციის გადმოცემა მისთვის გარკვეული შეფასების მიცემის გარეშე, გარდა საინფორმაციო სააგენტოების მოკლე შეტყობინებებისა. ამგვარი შეფასება ხშირად ეკუთვნის არა თავად ჟურნალისტს, არამედ რედაქციას, რომელიც გამოხატავს მას სათაურში ან სტატიის წინ დართულ ანოტაციაში. ის, რომ როგორც წესი მოვლენის შეფასება მოცემულია სათაურში ან ტექსტის დასაწყისში, ანუ მკითხველი მას ეცნობა მანამ, სანამ თავად ინფორმაციას შეიტყობს, კიდევ უფრო ამძაფრებს ტექსტის პოლიტიზირების ელფერს. ხშირია შინაარსის შეუსაბამო სათაურები, სასამართლო პროცესის ერთი მხარის გამართლება განჩინების გამოტანამდე, აშკარად „შეკვეთილი“ პუბლიკაციები, არასაკმარისად არგუმენტირებული ბრალდებები და ბევრი სხვა. აღსანიშნავია, რომ ამგვარი პრობლემები მეტ-ნაკლებად ყველა გაზეთს ახასიათებს.

პოლიტიკური ინფორმაციის ამგვარი გადმოცემის სტილი საფრთხეს უქმნის არამანიპულირებული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, მედიას პოლიტიკური პროპაგანდის იარაღად აქცევს და პოლიტიკური ცხოვრების უკიდურეს პოლარიზებას უწყობს ხელს. საზოგადოება იძულებული ხდება არა თავად შეაფასოს ესა თუ ის მოვლენა თუ ფაქტი, არამედ გაიზიაროს ან არ გაიზიაროს მისთვის მიწოდებული მზა შეფასებები არასაკმარისი ინფორმირებულობის ფონზე.

3. *პრესა როგორც სამომხმარებლო პროდუქცია.* კიდევ ერთი საკითხი, რომელიც პრესის შინაარსს ეხება, არის ის, რომ პრესა თითქმის მთლიანად არის ორიენტირებული მაღალი პოლიტიკის

პრობლემებზე და მასში პრაქტიკულად არ აისახება საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების პრობლემატიკა, არ ხდება რეფლექსია იმ პრობლემებზე, რომლებიც უშუალოდ მკითხველის ცხოვრებას ეხება. იბადება კითხვა – რითია ეს გამონვეული – იმით, რომ გაზეთების გამომცემლები და რედაქტორები იდეოლოგიაზე, და არა ბაზარზე ორიენტირების საბჭოურ ტრადიციას აგრძელებენ, თუ იმით, რომ ამგვარია საბაზრო შეკვეთა. დღესდღეობით საზოგადოება თითქმის არ ფიგურირებს მედიის მიერ შექმნილ ვირტუალურ სივრცეში. ეს სივრცე მხოლოდ პოლიტიკური ელიტის და პოლიტიკური ბრძოლის პრობლემატიკით ივსება (გასართობ პროგრამებს და პუბლიკაციებს აქ არ მოვიხსენიებთ, ვინაიდან ისინი ცდება ჩვენი განხილვის საგანს). ეს მიდგომა, ერთის მხრივ, ასახავს არსებული პოლიტიკური სივრცის მკვეთრად ელიტისტურ ხასიათს, მაგრამ მეორეს მხრივ, კიდევ უფრო ამძაფრებს მოსახლეობისა და პოლიტიკური კლასის გაუცხოებას, ზღუდავს საზოგადოების უნარს გაიაზროს მის წინაშე მდგარი გამონვევები.

4. ინტერნეტი

ინტერნეტის თავისუფალი მისაწვდომობა და მისი მეშვეობით გლობალურ საინფორმაციის სივრცესთან ურთიერთობის შესაძლებლობა საქართველოში სიტყვის, მედიისა და ინფორმაციის თავისუფლების ერთ-ერთი საბაზისო ელემენტია. ინტერნეტის მეშვეობით ვრცელდება საინფორმაციო სააგენტოების ბიულეტენები, მისაწვდომი ხდება მსოფლიოს სხვა ქვეყნების ამბები, ქვეყნდება წერილები და პუბლიკაციები. თვით ფაქტი ინტერნეტის არსებობისა და ინტერნეტით კომუნიკაციის აკრძალვის შეუძლებლობისა დიდწილად აზრს უკარგავს სხვა ღონისძიებებს სიტყვის აკრძალვის მიზნით.

ინტერნეტით სარგებლობა დღეს არანაირ შეზღუდვებს არ ექვემდებარება. ფუნქციონირებს რამდენიმე ინტერნეტ-პროვაიდერი, რომელთა შორის კონკურენციის წყალობით სარგებლობის ფასები შედარებით მისაწვდომ დონეზე ნარჩუნდება ამ სფეროში ახალი ფირმების ლიცენზირება ავტომატურ რეჟიმში წარმოებს.

მიუხედავად ამისა, ინტერნეტი საქართველოში ჯერჯერობით ელიტარული მედიის როლს ასრულებს და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებას არ წარმოადგენს. ეს გამონვეულია საზოგადოების კომპიუტერიზაციის არასაკმარისი დონითა და სატელეკომუნიკაციო კავშირების არასრულფასოვნებით. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაში, სატელეფონო ხაზების უვარგისობისა და უფრო დაბალი ეკონომიკური დონის გამო, ამ მხრივ რეგიონები არიან.

მიუხედავად ამისა, ინტერნეტის ქართულენოვანი და ქართული რესურსები ნელ-ნელა ვითარდება, ისევე როგორც ქართულენოვანი სანავიგაციო ტექნოლოგიები. ივსება ინტერნეტზე ქართულენოვანი რესურსების ბაზა – გაზეთების სრული ტექსტები, სატელევიზიო პროგრამები, საკანონმდებლო ბაზა და სხვა. ამასთან, სრულიად არადაამაკმაყოფილებელია სახელმწიფო ორგანოების მიერ ინტერნეტზე განთავსებული ინფორმაციის ოდენობა.

5. ტელემაუწყებლობა

დღეს საქართველოში ახალი ამბების გასაგებად მოქალაქეები ძირითადად ტელევიზიას მიმართავენ. არსებობს მრავალფეროვანი რადიოარხებიც, რომლებიც, მართალია, დიდწილად მუსიკალური და გასართობი მაუწყებლობით არიან დაკავებული, მაგრამ მოსახლეობის გარკვეული (არც თუ უმნიშვნელო) ნაწილისთვის პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციის მიწოდებასაც ემსახურება.

ბოლო წლების პოლიტიკური ცვლილებები გაცილებით გვიან და ძნელად აისახა ტელევიზიაზე, ვიდრე პრესაზე. ამის მიზეზი იყო, ერთის მხრივ, ის, რომ ტელემაუწყებლობის მატერიალური ბაზა ბევრად უფრო ძვირია, მეორეს მხრივ კი ის, რომ სახელმწიფოს მეტი ბერკეტი აქვს ელექტრონული მედიის რეგულირებისათვის სამაუწყებლო არხების განაწილების მეშვეობით. მოსახლეობის

უდიდესი ნაწილი დღესდღეობით მხოლოდ სიხშირული მაუწყებლობით სარგებლობს, ანუ მისთვის არსების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობაა მისაწვდომი, რაც დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს ამ არსების სამაუწყებლო სტრუქტურას.

ტელევიზია უაღრესად დიდ გავლენას ახდენს ამომრჩეველთა პოლიტიკურ ქცევაზე და მოსახლეობის სამოქალაქო აქტიუბაზე. პოლიტიკური მეცნიერების მიერ ეს გავლენა არ არის ცალსახად შეფასებული როგორც ლიბერალური დემოკრატიის ხელშემწყობი. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სატელევიზიო გადაცემების სპეციფიკა არ იძლევა პოლიტიკური პრობლემების სიღრმისეულად გაშუქების საშუალებას. ტელერეპორტაჟს აქცენტი გადააქვს გართობაზე, პიროვნებებზე და სკანდალურ მოვლენებზე, და საკმარისად მკაფიოდ ვერ წარმოაჩენს პოლიტიკური დღის წესრიგის ძირითად საკითხებს. ზეპირი სიტყვა, რომელიც ქალაქში არ ფიქსირდება, ნაკლებად საიმედო წყაროა სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციის გასაცემად. სარეკლამო დროის მაღალი ფასები აძვირებს წინასაარჩევნო კამპანიებს და ზრდის პოლიტიკური კორუფციის ალბათობას. არსების რაოდენობის შეზღუდულობა მათი პოლიტიკური მიკერძოებულობის ფონზე არათანაბარ პირობებში აყენებს არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს. საქართველოში ამას ამძაფრებს ის ვითარება, რომ დღესდღეობით მოსახლეობისთვის ტელევიზია პოლიტიკური ინფორმაციისა და შეხედულებების მიღების უკონკურენტო (ხოლო ზოგიერთი სოციალური ჯგუფისთვის პრაქტიკულად ერთადერთი) წყაროა.

მაუწყებლობის თეორია ასხვავებს მაუწყებლობის სამ ინსტიტუციონალურ ფორმას – სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კომერციულ მაუწყებლობას. დღეს თვალი უნდა გავუსწოროთ მეოთხე ფორმის ინსტიტუციონალიზაციასა და განვითარებას. ფორმალურად კომერციული არხი, მითუმეტეს თუ იგი ფინანსურად მომგებიანი არ არის, ან ფორმალურად სახელმწიფო არხი, შესაძლოა თავის რეალურ მიზნად არა მოგების ნახვას ან სახელმწიფო ინტერესების დაცვას ისახავდეს, არამედ პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენას ერთი რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ ან საზიანოდ. ეს ვითარება მეტად თვალნათელია საქართველოში, სადაც, ერთი მხრივ, სახელმწიფო მაუწყებლობა არ არის ტრანსფორმირებული საზოგადოებრივ მაუწყებლობად, ხოლო, მეორე მხრივ, სარეკლამო ბაზარი ვიწროა და სატელევიზიო კომპანიების შემოსავლები ხშირად არ ფარავენ მათ ხარჯებს.

მასმედიაში დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, პოლიტიკურად მიკერძოებული მაუწყებლობა არ უნდა განვიხილოთ დროებით და გარდამავალ მოვლენად, რომელიც შეიძლება მისი აკრძალვის გზით გადაილახოს. პირიქით, მოსალოდნელია, რომ ამ ტიპის მაუწყებლობის წვლილი და მისი გავლენა ამომრჩევლებზე და პოლიტიკური ბრძოლის ხასიათზე სულ უფრო გაიზრდება. ამდენად, საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები ამ ზეგავლენის დემოკრატიის სასარგებლოდ, და არა მის საზიანოდ შემოსაბრუნებლად. ამერიკის დემოკრატიის გარიჟრაჟზე პოლიტიკური პარტიები ასევე ხშირად განიხილებოდა როგორც დემოკრატიისთვის საშიშროების შემქმნელი ბოროტება, და მხოლოდ ხანგრძლივი პოლიტიკური პროცესის შედეგად მოხერხდა პოლიტიკური პარტიებისა და დემოკრატიის თანაარსებობის ინსტიტუციონალური ჩამოყალიბება. ამის უზრუნველმყოფელი მექანიზმები კი ღიაობა და კონკურენციაა.

მართალია, საქართველოს სამაუწყებლო მედიაში პლურალიზმის გარკვეული დონე არსებობს, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ცალკეული სამაუწყებლო კომპანიის გაჩენასა თუ ეთერიდან გაქრობას დღესდღეობით შეიძლება არსებული პოლიტიკური ლანშაფტის მნიშვნელოვანი ცვლილება მოჰყვეს. ამდენად, სამაუწყებლო კანონმდებლობას, საზოგადოებრივი ტელევიზიის ფორმირებას და ლიცენზიების გამცემი მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციონალურ ხასიათს დემოკრატიისთვის არანაკლები მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, ვიდრე საარჩევნო კანონმდებლობას.

ლიტერატურა:

M.Muskhelishvili, *The Mass Media*, in: 'Building Democracy in Georgia', Discussion paper N 7, International IDEA, 2003

გლობალიზაცია: გლობალური სამოქალაქო საზოგადოება

გლობალიზაცია

მეოცე საუკუნის ბოლო ხასიათდებოდა ორი მოვლენით, რომლებიც ჩვენი განხილვის კონტექსტში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ესენია დემოკრატიზაციის მესამე ტალღა და გლობალური სამოქალაქო საზოგადოების სწრაფი ზრდა. ორივე ერთი და იმავე მოვლენის ფონზე განვითარდა- ესაა გლობალიზაცია.

გლობალიზაციის კონტექსტის მხედველობაში მიღების გარეშე ბევრი თავისებურება იმისა, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, დარჩება გაუგებარი. გაუგებარი, ცხადია, თუკი გავყვებით იმ მიდგომას, რომელსაც აქამდე ვიყენებდით – შედარებით ანალიზს. როდესაც ერთმანეთს ვადარებთ წინა წლებში განხორციელებულ დემოკრატიზაციებს და მესამე ტალღის ჩარჩოებში მიმდინარე პროცესებს, როდესაც ვსწავლობთ მეცხრამეტე საუკუნის სამოქალაქო საზოგადოებებს და თანამედროვე არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადვილად შესაძლებელია ერთმანეთში ავრიოთ სხვადასხვა ბუნების მოვლენები, თუკი გლობალიზაციის პროცესს ყურადღების მიღმა დავტოვებთ.

საინფორმაციო სივრცის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური ურთიერთობების მიერ სახელმწიფოს საზღვრების გადალახვა და უგულებელყოფა, როგორც მნიშვნელოვანი და პირველხარისხის ფაქტორისა, ეკონომიკაში ცოდნაზე დაფუძნებული დარგების ზრდამ, რომელთათვის მთავარი კაპიტალი არა მინა ან ნედლეულია, არამედ განათლების სისტემა და თავისუფლად მოაზროვნე ადამანი, მსოფლიოს რუკაზე ახალი რეალიების შექმნა ტრანსნაციონალური ბიზნესის მიერ, ყველაფერი ეს განაპირობებს ჩვენში მიმდინარე მოვლენების ხასიათს, და გარკვეულწილად სვამს ამ მოვლენებს ერთ განზომილებაში, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ მოდერნიზაცია ინტერნაციონალიზაციის გზით.

მოდერნიზაცია ინტერნაციონალიზაციის გზით

დემოკრატიზაციის მესამე ტალღამ, რომელიც 1974 წელს დაიწყო, მოიცვა სამხრეთ ევროპის, სამხრეთ ამერიკისა და პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნები. დემოკრატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკური რეფორმების ერთდროული განხორციელება პოსტკომუნისტურ სივრცეში ჯერჯერობით არ გამხდარა ჩვენი განხილვის საგანი; ჩვენ მას აქ შევეხებით როგორც ის წარმოდგენილია ნაშრომში Przeworski, et. *Sustainable Democracy*. Cambridge University Press, 1995.

პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროების ძირეული გარდაქმნა პოსტსაბჭოთა სივრცეში არ იყო სულ მთლად უნიკალური იმ მხრივ, რომ ეკონომიკური ტრანსფორმაციისა და დემოკრატიზაციის პროცესების ერთდროულობა მესამე ტალღის სხვა ქვეყნებისთვისაც იყო დამახასიათებელი. ეკონომიკური კრიზისები, რომელიც განიცადა არგენტინამ, ბრაზილიამ და მექსიკამ 80-იან წლებში უპრეცედენტო აღმოჩნდა ამ ქვეყნების ისტორიაში.

რიგმა ქვეყნებმა (განსაკუთრებით პოსტკომუნისტური სივრციდან, მაგრამ არა მარტო მათ) გასწიეს რისკი და მიიღეს მონაწილეობა ექსპერიმენტში, რომელიც უდიდესია სტალინისტური ფორსირებული ინდუსტრიალიზაციიდან (1929წ.) მოყოლებული. ეკონომიკურ ტრანსფორმაციას ამ ქვეყნებში ბევრი აქვს საერთო ტრანსფორმაციის წინა, სოციალისტურ

პროექტთან. მათ განახორციელეს ინტელექტუალური პროექტი, რომელიც გამომუშავდა ჩრდილოეთ ამერიკის აკადემიურ წრეებში და გაზიარებულ იქნა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ. ეს არის რადიკალური პროექტი: ის მიმართულია ყველა არსებული სოციალური ურთიერთობების უგულებელყოფაზე, გადატრიალებაზე. ეს პროექტი გვთავაზობს ერთადერთ პანაცეას, ჯადოსნურ ჯოხს, რომლის ერთი აქნევაც უმკურნალებს ყველა ავადმყოფობას. პირველად ისტორიაში კაპიტალიზმი მოხდა აღიარებული, როგორც დოქტრინის აპლიკაცია და არა როგორც განვითარება გამოცდისა და შეცდომის ისტორიული პროცესისა.

გარდაქმნების ეს პროცესი დაეყრდნო იდეოლოგიას, ეს არის ნეოლიბერალური იდეოლოგია, რომელიც მოდის აშშ-სა და მულტინაციონალური სააგენტოების განაცხადებიდან იმის თაობაზე, რომ კურსი, რომელსაც უნდა მივსდით აშკარაა, ცხადია. ეს იდეოლოგია დაფუძნებულია ბაზრისა და კერძო საკუთრების ღირსების, სიქველის, უკეთესობის რწმენაზე, რაც არ არის დამტკიცებადი, გამართლებადი, არგუმენტირებადი თანამედროვე ეკონომიკის შუქზე, მათ შორის ნეოკლასიკური თეორიისა. ის აყენებს ეფექტურობას განაწილებაზე უფრო მაღლა, იმდენად, რომ გამართლებულად მიიჩნევენ მოსალოდნელ სოციალურ საფრთხეებს. ის განათავსებს ეკონომიკურ მოსაზრებებს პოლიტიკურზე ზემოთ, და მზადაა მიიტანოს სხვა ეკონომიკური და პოლიტიკური ღირებულებები ეფექტურობის სამსხვერპლოზე. ის დაფუძნებულია ღრმა რწმენაზე, რომ არსებობს მხოლოდ ერთი გზა, რომელსაც აუცილებლად უნდა მივსდით: არა მხოლოდ ოპონირება, არამედ მსჯელობა, დისკუსიაც კი განიხილება როგორც რეაქციონერობა, რომელიც გამომდინარეობს საკუთარი, „პოპულისტური“ კერძო ინტერესებიდან. ამ იდეოლოგიის მიმდევარნი აცხადებენ, ისე, თითქოს ისინი ფლობდნენ საბოლოო ჭეშმარიტებას: თითქოს ეს არის ზოგადი მოდელი პოლიტიკური და ეკონომიკური დინამიკისა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას შეფასებულ იქნეს საბოლოო შედეგები ყველა ცალკეული ნაბიჯისა. ეს არის მოდერნიზაციის ახალი პარადიგმა, რომელმაც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გაუწია მაგივრობა მოძველებულ, პოპულარობადაკარგულ პარადიგმას – მოდერნიზაციას მბრძანებლური ეკონომიკის გზით.

II მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოში განხორციელდა მოდერნიზაციის რამდენიმე მოდელი, კერძოდ, კომუნისტურ აღმოსავლეთში და კაპიტალისტურ სამხრეთში.

ლათინურ ამერიკული მოდელი დაეფუძნა კერძო საკუთრებას, სახელმწიფოს აქტიურ როლს და პროტექციონისტული პოლიტიკის წარმართვას, რომელიც ორიენტირებული იყო იმპორტის შემცვლელ ინდუსტრიალიზაციაზე. აღმოსავლეთ ევროპის მოდელი დაეფუძნა სახელმწიფო საკუთრებას და ცენტრალიზებულ მბრძანებლურ ეკონომიკას. ორივე რეგიონი დიდი ინტერნაციონალური სისტემის დამოკიდებული ნაწილი იყო: მთავარი გადაწყვეტილებები ინვესტიციების, წარმოების, ფასების შესახებ მიიღებოდა ცალკეული ქვეყნების საზღვრებს მიღმა. აღმოსავლეთ ევროპის სისტემა დომინირებული იყო ერთი ცენტრის მიერ და გადაწყვეტილებები უპირატესად პოლიტიკური გახლდათ, ხოლო სამხრეთში შესაძლებელი იყო სხვადასხვა ცენტრების მეტოქეობა და გადაწყვეტილებები მიიღებოდა ნაკლებად ხილული კერძო ინსტიტუტების მიერ.

ორივე სტრატეგია წარმატებული იყო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და რიგმა ქვეყნებისა შექმნა მნიშვნელოვანი ინდუსტრიული ბაზა - ეკონომიკური ზრდის ტემპები იყო უმეტესწილად უფრო მაღალი, ვიდრე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში (1950 -80 წწ-ში). მაგრამ ეს ზრდა 1980 წლიდან ფერხდება, ხდება ტემპების დაცემა და თითქმის ეკონომიკის კოლაფსი.

ძნელია ილაპარაკო ამ დაცემის მიზეზებზე და გარდაუვალობაზე. ფაქტია, რომ ეს მოვლენები ერთდროულად განვითარდა აღმოსავლეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, თუმცა კი გარეგნულად განსხვავებული რეაგირება გამოიწვია - აღმოსავლეთ ევროპამ უარყო ეკონომიკის თავისი მოდელი (მბრძანებლური ეკონომიკა), ლათინურმა ამერიკამ კი - არა.

მიუხედავად ამ სხვაობისა, ეკონომიკური კრიზისის გამონვევაზე რეაგირების არსი არსებითად ერთი და იგივე აღმოჩნდა. ის შეიძლება აღინეროს, როგორც მოდერნიზაცია ინტერნაციონალიზაციის (გლობალიზაციის) გზით. სხვადასხვა პოლიტიკური ძალები კაპიტალისტურ სამხრეთში და პოსტკომუნისტურ აღმოსავლეთში ვერ ხედავენ ალტერნატივას „ჩრდილოეთ-დასავლეთის გზისა“: გზისა, რომელიც მიიყვანს მათ საზოგადოებებს პირველ სამყაროში. ეს არის გზა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ორგანიზაციის გადმოღებისა, რომელნიც უკვე არსებობენ: დემოკრატია, ბაზარი და ინდივიდუალისტური, მოხმარებაზე ორიენტირებული კულტურისა, რომელიც გაბატონებულია განვითარებულ კაპიტალისტურ სამყაროში. ამ სტრატეგიაში მოდერნიზაცია ხდება სინონიმი ინტერნაციონალიზაციისა: ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში, კომბინირებული იმიტაციასთან ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მოდელებისა, რომელიც პრევალირებს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. „აღმოსავლეთ ევროპული სილოგიზმი“ აცხადებს: „თუ არა კომუნიზმი, ჩვენ ვიქნებოდით როგორც დასავლეთი“.

ეს სტრატეგია განსხვავდება ომის შემდგომი მოდერნიზაციის სტრატეგიებისაგან, რომლებიც განიხილავდა განვითარებას, როგორც პროექტს ნაციონალური ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისა. იმდროინდელი მიდგომები იცავდა ეროვნული კულტურის მნიშვნელობას, მიისწრაფოდა პოლიტიკური ინსტიტუტებისაკენ, რომელიც შეიცავდა ეროვნულ ტრადიციებს, ეროვნულ ინდუსტრიას მიიჩნევდნენ ეკონომიკური ზრდის წარმმართველად და ორიენტირებულნი იყო ლოკალურ ბაზრებზე. ამის საპირისპიროდ სტრატეგია მოდერნიზაციისა ინტერნაციონალიზაციის მეშვეობით ნებაყოფლობით აღიარებს, სულ მცირე, ეროვნული სუვერენიტეტის ნაწილობრივ დათმობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში. ეს სტრატეგია აღებს ლოკალურ ბაზრებს უცხოური შეღწევისათვის, ის არღვევს კულტურულ ბარიერებს, და ახდენს პოლიტიკური ინსტიტუტების მოდელირებას საყოველთაოდ გავრცელებული ნიმუშების მიხედვით. კოკა-კოლა აღარ არის იმპერიალისტური ბატონობის ნარკოტიკი, არამედ უნივერსალური აყვავების ნექტარი.

ალტერნატივები აღარ არსებობს: დღეს მოდერნიზაცია ნიშნავს ლიბერალურ დემოკრატიას, მოხმარებაზე ორიენტირებულ კულტურას და კაპიტალიზმს.

მართალია, ადგილობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება და მისწრაფებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ ერთდროულობა ამ ცვლილებებისა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში წარმოშობს ვარაუდს, რომ ინტერნაციონალური ფაქტორები გადამწყვეტია. ამას განაპირობებს, ერთი მხრივ, შექმნილი საერთო გარემო, რომელშიც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს უნევთ ოპერირება, ხოლო, მეორე მხრივ, ინტერნაციონალურ აქტორთა სპეციფიკური ქმედებები, რომელნიც (აქტორები) ახორციელებენ ზენოლას ცვლილებებზე.

გლობალური სამოქალაქო საზოგადოება (John Keane (Author), Global Civil Society? Cambridge University Press; (2003)

გლობალური სამოქალაქო საზოგადოება – ეს არის ერთი მხრივ, ემპირიული მოვლენა, ხოლო მეორე მხრივ – ნორმატიული იდეალი და სამოქმედო ლოზუნგი.

როგორც ნორმატიული იდეალი და სამოქმედო ლოზუნგი ის არის მსოფლიოს გაერთიანების პროგრამა, რომელიც უნდა გამოიხატოს ერთიანი მსოფლიო საზოგადოების შექმნაში. ამ მხრივ ის აგრძელებს აზროვნების იმ ტრადიციებს, რომლებიც ჯვაროსანთა ლაშქრობებსა თუ კომუნისტური რევოლუციების მეშვეობით კაცობრიობის სრულყოფას და გაერთიანებას ცდილობდა. პირველი თავის უზენაეს მისიად ქრისტიანობას და ადამიანთა სულიერ გადარჩენას ისახავდა; მეორე კლასობრივ დაყოფას უტევდა და ყველა ქვეყნის პროლეტარების გაერთიანებას ცდილობდა. გლობალური სამოქალაქო საზოგადოება ეყრდნობა ადამიანის

უფლებების დეკლარაციას და ადამიანთა ბუნებაში უნივერსალურობის კომპონენტის ხაზგასმას. ის გამოიყენება გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობების მიერ როგორც მობილიზაციური ლოზუნგი, ძალისხმევათა გასაერთიანებლად, თავისუფლებისა და სამართლიანობის მისაღწევად.

როგორც ემპირიული ფაქტი ის წარმოჩინდება ეგრეთ წოდებული INGO-ების (არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა მოქმედების არეალი არ არის შეზღუდული სახელმწიფო საზღვრებით და საერთაშორისო ხასიათს ატარებს) უპრეცედენტო ზრდაში, რომელიც შეიმჩნევა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. ზოგადად მეოცე საუკუნის განმავლობაში ამგვარი ორგანიზაციების რიცხვი (და კომერციული ფირმების რიცხვიც) გაიზარდა არნახულად. ამ ახალი INGO-ების 90 პროცენტი 1970 წლის მერე დაფუძნდა. ამ ორგანიზაციებში ასიათასობით ადამიანია დასაქმებული და ბევრჯერ მეტი მოხალისე მუშაობს. მათი მეშვეობით მეტი სახსრები იხარჯება, ვიდრე გაეროს მეშვეობით.

კეანი განსაზღვრავს გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებას როგორც „ურთიერთ-დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების დინამიურ არასამთავრობო სისტემას, რომელიც მთელ დედამიწას სწვდება, და რომლის საქმიანობის მრავალმხრივი შედეგები ყველგან იგრძნობა. ის არ არის არც სტატიკური ობიექტი, და არც fait accompli. ის არის ქსელები, პირამიდები, კლუბები იმ სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტებისა და მოქმედი პირების, რომლებიც ერთიანდებიან რათა გააერთიანონ სამყარო ახლებურად. ისინი მიისწრაფვიან პლურალიზმისკენ და ძალადობის აცილებისკენ; შესაბამისად, მათი საქმიანობის მშვიდობიანი ანუ სამოქალაქო შედეგები იგრძნობა ყველგან, ყველა დონეზე“ (გვ.8)

როგორც ხედავთ, ეს განმარტება ძნელად თუ შეიძლება „განმარტებად“ აღვიქვათ, იმდენად ყველაფრის მომცველია და არაფრისმთქმელია. ეს ბუნდოვნება აძნელებს ნორმატიული იდეალისა და ემპირიული რეალობის ერთმანეთისგან გარჩევას. ასე, რას ნიშნავს რომ მისი გავლენა ყველგან იგრძნობა – ეს როგორ უნდა გაიზომოს, თუკი ეს ემპირიკაა, ხოლო თუ ეს შეფასებითია – იგულისხმება, რომ ასე უნდა იყოს?

მეორე, რასაც ცდილობს ავტორი (რომელიც აშკარად თავისი საკვლევი ობიექტის მიმართ არის განწყობილი როგორც აქტივისტი, და არა როგორც ნეიტრალური მკვლევარი) არის ის, რომ გლობალური სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგინოს, როგორც საზოგადოების სოციალური ფორმა: „გლობალური სამოქალაქო საზოგადოება არის მეტ-ნაკლებად მჭიდროდ გადაბმული სოციალური პროცესების დინამიური ერთობა“ (გვ.10). ეს მტკიცებულება ბაზისურად მცდარი მეჩვენება; გაცილებით უფრო ადეკვატურია, ჩემი აზრით, ულრიხ ბეკის შენიშვნა, რომ გლობალურ დონეზე საზოგადოებები ერთიანდებიან არა უშუალო სოციალური კომუნიკაციის მეშვეობით, არამედ მხოლოდ მედიის მეშვეობით. მას სწორედ რომ უშუალო კომუნიკაციის კომპონენტი აკლია. ანუ, კომუნიკაცია მედიის გზით – ეს არის ის მთავარი, რაც გლობალურ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების პროექტს ასხვავებს ლოკალური სამოქალაქო საზოგადოებისგან, და მას „საზოგადოების“ სტრუქტურისგან ცლის. კეანი ცდილობს რომ წარმოადგინოს გლობალური სამოქალაქო საზოგადოება უფრო ფართო ცნებად, ვიდრე უბრალოდ არასამთავრობო ორგანიზაციების ნაკრები; რომ ლოკალური საზოგადოებები მის ჰარმონიულ შემადგენელ კომპონენტად წარმოიდგინოს; მაგრამ ეს წარმოდგენა გარკვეულწილად ცალმხრივი, ან უფრო ნორმატიული მეჩვენება, და თვითონაც პრინციპში აღიარებს, რომ ამგვარ წარმოდგენაში ის უფრო აღწერს სასურველ იდეალს, და არა პრაქტიკულ რეალობას.

ამ კუთხით დანახული, გლობალური სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგობრივი ბუნება დიდად არ განსხვავდება მისი ლოკალური წინამორბედის წინააღმდეგობრივი ბუნებისგან. „ბურჟუაზიული სამოქალაქო საზოგადოება“, ერთი მხრივ (გავიხსენოთ ჰაბერმასი) თავისუფლების, თანასწორობის, კრიტიკული აზროვნებისა და ეთიკური, მორალური ქცევის არეალია, ხოლო მეორე მხრივ, უთანასწორობისა და „კლასობრივი დომინაციის“ ყალბი ცნობიერება. დაახლოებით ესაა ის პრობლემატიკა, რომელიც გლობალურ დონეზეც

ერთმანეთს უპირისპირებს მის მომხრეებსა და კრიტიკოსებს.

კრიტიკოსების განცდას წარმოადგენს ის რომ გლობალური სამოქალაქო საზოგადოება ლაპარაკობს „დასავლური აქცენტით“. გლობალური ვესტერნიზაციისა და ლოკალური საზოგადოებების დაპირისპირების ნეგატიურ მაგალითად ავტორს მოყავს თურქეთის მოდერნიზაციის გამოცდილება, როდესაც მოდერნიზატორმა სახელმწიფომ, აღჭურვილმა ისლამური ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ავტორიტარული ატრიბუტებით, მოახდინა პრო-დასავლური რეფორმები. ამგვარ გარდაქმნებს, როგორც ნესი, მოჰყვება პრე-სოციალური ურთიერთობების, სოციალური ინსტიტუტები და და ეკონომიკური ურთიერთობების კომპლექსის ნგრევა ან დეფორმირება, ხოლო წარმოქმნილი ვაკუუმი ივსება ეტატიტური სტრუქტურებით. „ახალი ქემალისტური თურქეთი (1923-38) ამის ნათელი მაგალითია: სახელმწიფოს ნაციონალისტურმა მშენებლობამ, რომელსაც მუსტაფა ქემალი აწარმოებდა (შემდგომში ათა თურქად, ანუ თურქების მამად წოდებული) მოსპო რელიგიური სკოლების მთელი სისტემა, რასაც განათლების სამინისტრო უძღვებოდა. იტალიურ, შვეიცარიულ და გერმანულ პრეცედენტებზე დაფუძნებული სეკულარული სამართლებრივი კოდექსები მტკიცედ დამყარდა სამოქალაქო სისხლის სამართლისა და კომერციულ სამართალში. არაბულ და სპარსულ ენებზე დაბეჭდილი მასალები აიკრძალა, და მხარდაჭერილ იქნა ფუნდამენტალისტ მუსლიმთა მიერ დაგმობილი ყურანის თურქული თარგმანი. აიკრძალა რელიგიური წიგნები და მათი გამოყენება. დერვიშების ორგანიზაციები დაიხურა. პროპაგანდა გაენია დასავლური ტანსამცლის ტარებას; კვირა დღე გამოცხადდა დასვენების ოფიციალურ დღედ მუსლიმური პარასკევის სანაცვლოდ. ადგილმდებარეობის განსაზღვრის ძველი სისტემა, რომელიც მიბმული იყო მოედნებთან, შეიცვალა სახლებისა და ნაგებობების დანომვრით და ყველა ქუჩისთვის სახელის დარქმევით, ევროპული ტრადიციის შესაბამისად. ჩატარდა პირველი თურქული სილამაზის კონკურსი, დაშვებულ იქნა ალკოჰოლის მოხმარება; სამოქალაქო ქორწინება გახდა ყველასათვის აუცილებელი. და ყოველივე ამის ფონზე, რაც სამხედროთა მუქარის ფონზე მიმდინარეობდა, ათათურქის ქანდაკებები და პორტრეტები განთავსდა ყველგან – რაც არღვევს მუსლიმურ ტრადიციას, რომლის თანახმადაც ცოცხალ არსებათა გამოსახვა დაუშვებელია.“

კეანი გლობალური სამოქალაქო საზოგადოების წარმოქმნას უკავშირებს ე.წ. ტურბოკაპიტალიზმის განვითარებას. ეკონომიკური აქტორები დასავლეთიდან ინაცვლებენ მთელ მსოფლიოში, რაც ქმნის კაპიტალის ნაკადებს ცენტრისკენ და ცენტრიდან. უნდა ვაღიაროთ, რომ სამოქალაქო საზოგადოების გლობალიზაციის მიბმა გლობალური ეკონომიკის წარმოქმნასთან მართებულია, და გლობალურის სამოქალაქო საზოგადოება (შეიძლება გლობალური მმართველობის სისტემაც მომავალში) სწორედ ამ სანყისიდან გამოვიყვანოთ (თუკი დეტერმინიზმის ცდუნებას ძალიან შორს არ გავყვებით). თუმცა ამ შემთხვევაში მართებულია ყურადღება მივაქციოთ, პირველ რიგში ლოკალური სამოქალაქო საზოგადოებებისა და გლობალური საბაზრო ეკონომიკის მიმართებას. ამას გავაკეთებთ ჰერნანდო დე სოტოს წიგნის „The Mystery of capital: Why Capitalism Triumphs in the West and Fails Everywhere Else“ Basic Books, 2000-ის მიხედვით. ამ წიგნის ფოკუსი სწორედ იმ სხვაობის ხაზგასმაში დევს, რომელსაც რუსოსთან აღვნიშნეთ – განსხვავება საკუთრებასა და მფლობელობას შორის, და რეკომენდაციაც რუსოს სტილში მოიაზრება – საზოგადოებრივი კონტრაქტი როგორც საკუთრებითი ურთიერთობების დადგენის საშუალება. დე სოტოს მიდგომა ერთ-ერთი ინოვაციური ხედვაა, რომელიც ბოლო დროს მკვლევართა დიდ ყურადღებას იწვევს.

დე სოტო სწავლობს იმ ქვეყნებს, რომლებიც კაპიტალიზმისკენ მიილტვიან თავის განვითარებაში, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნები. რითია განპირობებული ამ ქვეყნების სიღარიბე და ჩამორჩენილობა, თუკი მისი მოსახლეობა შრომობს და იღწვის იმისთვის, რომ გაჭირვებას თავი დააღწიოს? სიმდიდრის უზარმაზარი სხვაობა, რომელიც არსებობს დასავლეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის იმდენად დიდია, რომ ამ სხვაობის ახსნა

უბრალოდ კულტურული ფაქტორებით და საზოგადოებების ჩამორჩენილობით არა მარტო არაპუმანური, არამედ არაადამაჯერებელიც იქნებოდა. ყველა ამ ქვეყანაში არსებობს დიდი რაოდენობა ადამიანებისა, რომლებსაც აქვთ უნარი აწარმოონ ბიზნესი, გასწიონ რისკი და ჩაერთონ სამენარმეო საქმიანობაში. რატომ ვერ ხერხდება საბაზრო მექანიზმების მიერ ამ ქვეყნებში სიმდიდრის შექმნა, მაშინ როცა დასავლეთში მას აყვავება მოაქვს?

პასუხი, გაცემული დე სოტოს მიერ, საოცრად წააგავს პატენემის პასუხს იმაზე, თუ რატომ არ მუშაობს დემოკრატიული ინსტიტუტები ეფექტურად იქ, სადაც სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს. „ამ წიგნში მე ვაპირებ ვაჩვენო, რომ ძირითადი ბარიერი, რომელიც არ აძლევს დანარჩენ სამყაროს შესაძლებლობას სარგებელი ნახოს კაპიტალიზმისგან, არის ამ სამყაროს უუნარობა წარმოქმნას კაპიტალი. კაპიტალი არის ის ძალა, რომელიც ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ქმნის ერების სიმდიდრეს. ის არის კაპიტალისტური სისტემის სასიცოცხლო სისხლი, პროგრესის საფუძველი, და ის არის ის, რასაც ღარიბი ქვეყნები თავისთვის როგორც ჩანს, ვერ ქმნიან, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად სურს მის მოსახლეობას ჩაერთოს ყველა დანარჩენ საქმიანობაში, რაც კაპიტალისტურ ეკონომიკას თან ახლავს.“ (გვ.5).

დე სოტო ამტკიცებს, ფაქტებით და ციფრებით, რომ მრავალ მესამე სამყაროს ქვეყნებში ღარიბები ხშირად ფლობენ იმ ქონებას, რომელიც მათ სჭირდებათ რათა კაპიტალიზმისგან სარგებელი ნახონ. „ყველაზე ღარიბ ქვეყნებშიც კი ღარიბები აკეთებენ დანაზოგებს. ამ დანაზოგების ოდენობა ორმოცჯერ აღემატება მთელ იმ უცხოურ დახმარებას, რომელიც ამ ქვეყნებს მიუღიათ 1945 წლიდან.“. მაგრამ მოკლედ რომ ვთქვათ, ეს რესურსები მათ აქვთ არა საბაზრო ქონების სახით. მათი ქონება არ არის ადეკვატურად დოკუმენტირებული, ხშირად ჩრდილოვანია, მისი გადაქცევა კაპიტალად, ყიდვა-გაყიდვა ვინრო ნაცნობობის წრის გარეთ, სესხის აღებისთვის გამოყენება და ა.შ. არ ხერხდება.

ამდენად, მესამე სამყაროს ქვეყნების მოსახლეობას აქვს მათ მფლობელობაში მყოფი ფიზიკური სიმდიდრე, მაგრამ მათ არა აქვთ საკუთრება. შედეგად ის, რაც მათ გააჩნიათ, არის მკვდარი კაპიტალი, რომელიც არ მუშაობს სათანადოდ ეკონომიკაში. მათი შინაური კაპიტალი არ მუშაობს.

თუ გავიხსენებთ სხვაობას ორ გამონათქვამს შორის: „მე მაქვს ფანქარი“ და „ეს ფანქარი ჩემია“, რომელთაგან ერთი გამოხატავს მფლობელობას, ხოლო მეორე –საკუთრებას, დე სოტოს აზრი ხდება გასაგები. ფანქარი, რომელსაც ახლავს რეპრეზენტაცია მის ლეგენდაში, დოკუმენტში ან ზეპირ ცოდნაში მისი მიკუთვნებულობის შესახებ არის გაცვლის ობიექტი. მეპატრონე მას ადვილად მისცემს სხვას, თუკი მისი დაბრუნება განპირობებულია მისი მფლობელის ვინაობის გაცხადებულობით. ფანქარი, რომლის მფლობელი არ არის დადგენილი, ვერ „იტრიალებს“. რეპრეზენტაცია ვირტუალურ სივრცეში ქმნის მფლობელობიდან საკუთრებას, და ეს ვერ ხერხდება ღარიბ ქვეყნებში. რატომ?

ამის გასაგებად უნდა გავიხსენოთ დასავლეთის ისტორია, შვეიცანავლოთ, თუ როგორ დამკვიდრდა საკუთრებითი ურთიერთობები იქ, და არ მოველოდოთ, რომ „do as we say, not as we do“ მოუტანს რაიმე სიკეთეს სამყაროს სხვა ქვეყნებს. განვითარებულ ქვეყნებს აქვთ გავლილი საკუთრებითი ურთიერთობების ჩამოყალიბების რთული გზა, და ამ გზის გამეორების გარეშე წარმატების მიღწევა ძნელი იქნება.

“მეცხრამეტე საუკუნით დაწყებული ქვეყნებს გადმოჰქონდათ თავისთან დასავლური კანონები, რათა პროდუქციის საწარმოებლად სამართლებრივი ჩარჩოები შეექმნათ. ისინი დღესაც აგრძელებენ ამგვარი კანონების კოპირებას, და ცხადია, ისინი არ მუშაობენ. მოქალაქეთა უმრავლესობას კვლავაც არ შეუძლია კანონის გამოყენება და საკუთარი დანაზოგების გადაქცევა საკუთრებად.“ (გვ.12).

დასავლეთში კაპიტალის, ანუ, ფაქტობრივად, აბსტრაქციის, მიერ თავისი პოტენციალის გამოვლენა უკავშირდება საკუთრების უფლებების მრავალნაირი ხერხებით დაცვას, უფრო შესაძლოა რთულით და მრავალრიცხოვანით, ვიდრე მატერიალური მფლობელობის დაცვა მოითხოვს. ესენია ფორმალური ჩანაწერები და სხვა, რომლებიც არეგულირებენ

საკუთრების მფლობელის დადგენის შესაძლებლობას. საკუთრებად გადაქცევის ეს პროცესი მეტად რთულია და მრავალი ნაწილისგან შედეგა, რომლებიც მიმოფანტულია კანონმდებლობის სხვადასხვა ნაწილებში და სისტემის სხვადასხვა ელემენტებში. (კომენტარი: ცხადია, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ გარდა ამ სისტემისა, უნდა არსებობდეს სახელმწიფო, რომელიც ავლენს უნარს და კეთილ ნებას რათა წერილობითი უფლება რეალურად აქციოს. დე სოტო კანონშემოქმედებით პროცესზე უფრო ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე კანონალსრულებაზე. ორივე მნიშვნელოვანია, რათა სამოქალაქო საზოგადოებამაც და ეკონომიკამაც სამართლებრივ რეგულირებას დაეყრდნოს).

მესამე სამყაროს და პოსტკომუნისტური სამყაროს ქვეყნებში ხდება უპრეცედენტო სისწრაფის გარდაქმნები, სოციალური, ეკონომიკური და ინდუსტრიული, რომლებიც სრულიად ცვლიან იქ არსებულ ურთიერთობებს. სამართლებრივი ცვლილებები უბრალოდ ვერ ეწევიან ამ სწრაფ პროცესს. ადამიანები მოძრაობენ, გადაადგილდებიან, ქმნიან ახალ ბიზნესებს და დოვლათს, და ეს ხდება ნაცნობობის, ვინრო წრეების და არაფორმალური ურთიერთობების მეშვეობით, რომლებიც ჯამში შეადგენენ უზარმაზარ ექსტრალეგალურ სისტემას, რომელსაც ფორმალური კანონი არ ფარავს. ეს ექსტრალეგალური (არაფორმალური) სექტორი არის უზარმაზარი, და სულ უფრო მზარდი. მის ჩარჩოებში მსოფლიოში მიმდინარეობს ახალი ინდუსტრიული რევოლუცია, რომელიც არ არის სათანადოდ გააზრებული და შესწავლილი. იქმნება უთანასწორობა, როდესაც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არა აქვს სამართლებრივ სივრცეში შეღწევის შესაძლებლობა, როდესაც ჩნდება ბარიერი, რომელსაც სახელმწიფო ვერ სპობს (ან, პირიქით, ქმინს) და რომლის მიღმა არსებობს ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, პირველ რიგში დიდ ქალაქებს მიღმა, მიგრანტები, და სხვა.

თუკი ხელისუფლებამ შეიგნო, რომ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი აფუძნებს თავის ცხოვრებას საქმიანობაში, რომელიც არ ჯდება დანერგულ კანონებში, ეს უკვე კარგია. მაშინ მას, თუკი არ უნდა რომ ყოველთვის არსებობდეს კონფრონტაცია ოფიციალურ სამართლებრივ ურთიერთობებსა და არაოფიციალურ ცხოვრებას შორის, უნდა შესწევდეს უნარი მოახდინოს არაფორმალური ურთიერთობების ლეგალიზება და სამართლებრივი კანონები მისადაგება რეალურად არსებულ ვითარებასთან. ეს გზა გაიარეს თავის დროზე ევროპულმა ქვეყნებმა, რომლებმაც, ინდუსტრიული რევოლუციის კვალობაზე, აღიარეს, რომ პრობლემას შეადგენდნენ არა ადამიანები, რომლებიც არაფორმალურად მოქმედებდნენ, არამედ კანონები. საბოლოო ჯამში ის ქვეყნები, რომლებმაც მოახდინეს სამართლებრივი რეფორმები არაფორმალური სექტორის ფორმალურ ეკონომიკაში ინტეგრირების მიზნით განვითარდნენ უფრო სწრაფად, ვიდრე ისინი, ვინც ეს არ გააკეთა.

როგორც ჩანს, განვითარებული ქვეყნების ისტორია არასდროს ყოფილა გააზრებული პროცესის (პროცედურის) კუთხით იმის თაობაზე, თუ როგორ შეიქმნა საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, ამ ქვეყნებში. „ათასობით ფურცლის კითხვამ მიმიყვანა ფუნდამენტურ დასკვნამდე, რომ შეკრულ სამართლებრივ საკუთრებით სისტემაზე გადასვლა არ უკავშირდებოდა რაიმე ტექნოლოგიებს. . . საკვანძო ცვლილება უკავშირდებოდა კანონების მისადაგებას მოსახლეობის უმრავლესობის სოციალურ და ეკონომიკურ მოთხოვნებთან. თანდათანობით, დასავლურმა ერებმა შეძლეს იმის გაცნობიერება, რომ საზოგადოებრივი ხელშეკრულებები, რომლებიც ოფიციალური სამართლის მიღმა წარმოიქმნა, კანონის ლეგიტიმურ წყაროს წარმოადგენდა. მათ იპოვეს გზები ამ კონტრაქტების სამართლებრივ სფეროში ინტეგრირებისა. კანონები გახდა საშუალება კაპიტალის წარმოქმნისა და ეკონომიკური ზრდის. ეს არის ის, რაც სიცოცხლის ძალას აძლევს დასავლეთში არსებულ საკუთრების ინსტიტუტს. მეტიც, ეს საკუთრებითი რევოლუცია ყოველთვის იყო პოლიტიკური გამარჯვება. ყველა ქვეყანაში ის მომდინარეობდა რამდენიმე განათლებული ადამიანისგან, რომლებმაც ჩათვალეს, რომ ოფიციალურ კანონს აზრი არ ჰქონდა, თუკი მოსახლეობის დიდი ნაწილი მის მიღმა ცხოვრობდა“ (გვ. 106).

ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია, რომელსაც აღწერს დე სოტო მინაზე საკუთრების უფლების დამკვიდრების კუთხით, შესაძლოა, სწორედ იმითაა საინტერესო, რომ

ახალი მიგრანტები და მოსახლეები, რომლებიც იკავებდნენ მინას ამერიკაში, ძლიერ თვითმმართველობით ჯგუფებს ქმნიდნენ. ამერიკული მმართველობის სისტემა მართლაც, რომ ქვევიდან ზევით ვითარდებოდა. ანუ ჯერ არაფორმალურ დონეზე ცნობილი ხდებოდა გარკვეული წესები, რომლებითაც ადამიანები ადგენდნენ ერთიმეორის უფლებებს, რაც მათ მუდმივი სისხლისღვრისგან და ქიშპისგან იცავდა, ხოლო შემდგომ კოლექტიურად იცავდნენ ამ ერთობლივად დადგენილ წესებს. ანუ იდებოდა პატარა საზოგადოებრივი ხელშეკრულებები, რომლებიც შემდგომ კარგად მუშაობდა წესრიგისა და უფლებების უზრუნველსაყოფად. შესაძლოა, სხვა ქვეყნებში, სადაც არაფორმალური ეკონომიკური ურთიერთობები უკვე დამკვიდრებული სახელმწიფოების ჩარჩოებში ვითარდება, ამგვარი შეთანხმებების მიღწევა და ინსტიტუციონალიზება ძნელი საქმე იყოს. სამაგიეროდ ამერიკის ეკონომიკა ყველაზე სწრაფად და ეფექტურად განვითარდა სწორედ მისი ამგვარი პრინციპული მოწყობის შედეგად. კანონის ლეგიტიმაციაში საზოგადოებრივი კონტრაქტის მძლავრად გამოყენებამ კანონები გახადა ეფექტური, და არა უბრალოდ, აბსტრაქტულად „სამართლიანი“.

კანონშემოქმედება ახალ დემოკრატიებში და მესამე სამყაროს სხვა ქვეყნებში სამწუხაროდ ზედმეტად ხშირად ატარებს იდეოლოგიურ ხასიათს. ეს იდეოლოგიურობა მდგომარეობს კანონების აბსტრაქტულ „შემუშავებაში“, იმ იმედით, რომ საზოგადოება მოერგება კანონს, და არა პირიქით. ამ დროს ხდება რეალურად არსებული და საზოგადოების მიერ დაცული ურთიერთობების, ანუ მოქმედი საზოგადოებრივი ხელშეკრულების იგნორირება, და შედეგად კანონები არ მუშაობს, ხოლო ეკონომიკა ცუდად ვითარდება. რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ იდეა არ არის სრული აბსტრაქცია, არამედ პოლიტიკური (და არა იურიდიული) სამოქმედო გეგმა. კანონი, როგორც ამას რუსო ამტკიცებს, არ არსებობს კარგი ან ცუდი. კანონი უნდა შეესაბამებოდეს იმ საზოგადოებას, რომლისთვისაც ის იწერება.

